The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC21012026

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N1, 2026, VOL 21, ISSUE 1

Economy is the basis of everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Academy of Phasis;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი „ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში". იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ფაზისის აკადემია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. N5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N1 (80), 2026, VOL.21, ISSUE 1.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Phasis..

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA (Corresponding Member of Georgian National Academy of Science); IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Central European University); NATIA TURNAVA (President of the National Bank of Georgia); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA (Prezident of the Academy of Phasis); MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part); VASIL KIKUTADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA; LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Academician of Georgian National Academy of Science; Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); AVTANDIL SILAGADZE (Academician of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Responsible Secretary); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; LAMARA QOQIAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI; NIKO CHIKHLADZE; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Chancellor of Sukhumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE; MICHAEL JIBUTI (Academician of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N1 (80), 2026, ტ. 21, გამოც. 1

ლოიდ ქარჩავა - **მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის აკადემიის წევრი.**

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი); ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გია კვაშილავა (ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი); მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი); ვასილ კიკუტაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); ეკატერინე ლომია; რევაზ ლორთქიფანიძე; ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი); ალექსანდრე სიჭინava; გელა სვირავა; ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; ლამარა ქოქიური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენგაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი; ნიკო ჩიხლაძე; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2026 წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 30 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Summary of the Results of the Competition Announced by our Magazine ----------9

CONDOLENCES

The Epochal Patriarch Ilia II ---------- 10

SCIENCE

Gia Kvashilava
Economy and Writing Systems---------- 12

Niko Chikhladze, Mirza Khidasheli
Peculiarities of Public Investments in Georgia---------- 20

Ketevan Akhobadze
Cultural Resource Management Strategy in Georgia Within
the Framework of Economic Optimization Principles ---------- 27

David Oboladze, Ilia Soselia
The Economic Dimension of Sports Achievements
in Georgia 2023-2024: The Role and Importance of Sport Satellite Accounts (SSA)---------- 37

Givi Talakvadze, Joseph Archvadze
Functions and dynamics of artificial intelligence in modern conditions ---------- 46

Tamaz Obgadze, Maia Shevardenidze, Tornike Ogadze
Mathematical modeling of individual dynamics of mental types ---------- 57

Givi Lobzhanidze, Ketevan Akhobadze
The relationship of the state and law with culture „With Chinese specificity“ ---------- 67

Giorgi Abashishvili, Salome Liparteliani
The Georgian Insurance Market: Emerging Trends, Challenges,
Opportunities, and Growth Drivers ---------- 80

Vasil Zagaidze, Loid Karchava
Artificial Intelligence and Data-Driven Policy
in Economic Governance: Opportunities and Risks---------- 85

Beka Peradze
Occupational Safety Policy in the Context of Modern Challenges ---------- **93**

Archimandrite Abo (Levan Chachua)
The Diaspora and Georgia ---------- 101

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Giorgi Nikuradze
Artificial Intelligence and Economic Policy: Risk Analysis and Governance Challenges in the Modern State ---------- 106

Nika Tsotsoria
Analysis of the institutional arrangement for environmental protection in Georgia ---------- 118

Ani Otarashvili
Economic Impact of Soil Degradation and Assessment of Restoration Efficiency in the Agricultural Sector ---------- 127

JUBILEE

A date that transcends personal boundaries and acquires national significance
Academician Nodar Chitanava - 90 ---------- 134

Ioseb Archvadze - 70 ---------- 136

NEW BOOKS

"Tourist and Recreational Resources" ---------- 138

"Time saved by words" ---------- 139

ჩვენი ჟურნალის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება ---------- 9

სამძიმარი

ეპოქალური პატრიარქი ილია მეორე ---------- 10

მეცნიერება

გია კვაშილავა
ეკონომიკა და წერითი სისტემები ---------- 12

ნიკო ჩიხლაძე, მირზა ხიდაშელი
სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ინვესტიციების თავისებურებები საქართველოში -- 20

ქეთევან ახობაძე
კულტურის სფეროს რესურსების მართვის სტრატეგია საქართველოში
ეკონომიკური ოპტიმიზაციის პრინციპების ჩარჩოში ---------- 27

დავით ოგოლაძე, ილია სოსელია
საქართველოში 2023-2024 წლის სპორტული მიღწევების ეკონომიკური განზომილება:
სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) როლი და მნიშვნელობა ---------- 37

გივი თალაკვაძე, იოსებ არჩვაძე
ხელოვნურ ინტელექტის ფუნქციები და დინამიკა თანამედროვე პირობებში ---------- 46

თამაზ ოგბაძე, მაია შევარდენიძე, თორნიკე ოღაძე
ფსიქიკური ტიპების ინდივიდუალური დინამიკის მათემატიკური მოდელირება ---------- 57

გივი ლოგჟანიძე, ქეთევან ახობაძე
სახელმწიფოსა და სამართლის კავშირი კულტურასთან „ჩინური სპეციფიკით“ ---------- 67

გიორგი აბაშიშვილი, სალომე ლიპარტელიანი
საქართველოს სადაზღვევო ბაზარი:
არსებული ტენდენციები, გამოწვევები, შესაძლებლობები და ზრდის დრაივერები ---------- 80

ვასილ ზაგაიძე, ლოიდ ქარჩავა
ხელოვნური ინტელექტი და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა ეკონომიკურ
მმართველობაში: შესაძლებლობები და რისკები ---------- 85

ბექა ფერაძე
შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე ---------- 93

არქიმანდრიტი აბო (ლევან ჩაჩუა)
დიასპორა და საქართველო ---------- 101

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გიორგი ნიკურაძე

ხელოვნური ინტელექტი და ეკონომიკური პოლიტიკა: რისკების ანალიზი და მმართველობითი გამოწვევები თანამედროვე სახელმწიფოში ---------- 106

ნიკა წოწორია

საქართველოს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი---------- 118

ანი ოთარაშვილი

ნიადაგის დეგრადაციის ეკონომიკური გავლენა და აღდგენის ეფექტიანობის შეფასება აგროსექტორში ---------- 127

იუბილე

თარიღი, რომელიც პიროვნულ საზღვრებს სცდება და ეროვნულ მნიშვნელობას იძენს
ნოდან ჭითანავა - 90 ---------- 134

იოსებ არჩვაძე - 70---------- 136

ახალი წიგნები

„ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“ ---------- 138

„სიტყვით გადარჩენილი დრო“ ---------- 139

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ჩვენი ჟურნალის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება

ჩვენი ჟურნალის მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ 2025 წელს გამოცხადებული იყო კონკურსი წლის საუკეთესო სტატიის გამოსავლენად. ავტორთა სტიმულირების მიზნით აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჟურნალის ყველა ნომერში სტატიები უფასოდ იბეჭდებოდა. კონკურსის პირობების თანახმად, საუკეთესო სტატიის ავტორისთვის უნდა გადაგვეცა ფულადი პრემია და შესაბამისი სერტიფიკატი.

სარედაქციო საბჭომ უკვე შეაჯამა კონკურსის შედეგები. გამარჯვებულად დასახელდა პროფესორ **შოთა ვეშაპიძის** სტატია — **„ღირებულებები და ფასეულობები ილია ჭავჭავაძის შეხედულებებში: ინტერპრეტაცია თანამედროვე ეკონომიკურ კონტექსტში“**. კონკურსის პირობების შესაბამისად, ავტორს გადაეცა **300 ლარის ოდენობის ფულადი ჯილდო** და **„წლის საუკეთესო სტატიის ავტორის“** სერტიფიკატი.

ცხადდება ახალი კონკურსი – 2026 წლის საუკეთესო სტატიის გამოსავლენად

2026 წელს ჟურნალში სტატიების გამოქვეყნება ჩვეულებრივ ფასიანი იქნება. წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან, სარედაქციო საბჭოს ხმათა უმრავლესობით, გამოვლინდება საუკეთესო სტატია. გამარჯვებული სტატიის ავტორს გადაეცემა **ფულადი ჯილდო** (მისი ოდენობა წლის ბოლოს განისაზღვრება) და **„წლის საუკეთესო სტატიის ავტორის“** სერტიფიკატი.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" 20 წლისაა

გვსურს, შევახსენოთ ჩვენს მკითხველს, რომ 2026 ჟურნალისთვის საიუბილეო წელია — „ახალ ეკონომისტს“ 2026 წლის 16 ნოემბერს 20 წელი უსრულდება. იუბილე აუცილებლად აღინიშნება. თუმცა, ღონისძიების მასშტაბები, თარიღი, ადგილი, მოწვეული სტუმრების ვინაობა და სხვა დეტალები მოგვიანებით დაზუსტდება.

ლოიდ ქარჩავა
მთავარი რედაქტორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ᲔᲞᲝᲥᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“

ილია მეორე

მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე იყო ადამიანი, რომელიც ნახევარი საუკუნე მართავდა საპატრიარქოს და თავისი დაუღალავი შრომითა და თავდადებით შექმნა ახალი ეპოქა, რომლის ღვაწლის ჩამოსათვლელად, ალბათ ტომების დაწერა შეიძლება, და დაიწერება კიდევაც.

ის იყო პატრიარქი, რომელსაც წილად ხვდა ეტარებინა მძიმე ჯვარი ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში - დაწყებული საბჭოთა რეჟიმიდან დღემდე. მან ჩვენთან ერთად გამოიარა ეროვნული მოძრაობა, 9 აპრილი, დამოუკიდებლობის გამოცხადება, სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი და ათასი უბედურება გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან მოყოლებული.

ბევრი საყვედურობდა, რომ არ თქვა სიმართლე. მაგალითად, სახელმწიფო გადატრიალებას არ უწოდა „სახელმწიფო გადატრიალება“. სიმართლე კი ის იყო, რომ ერის ბრძენმა მამამ შესანიშნავად იცოდა, თუ ამას იტყოდა, მაშინ ის მხარე გამოვიდოდა, არადა მისი მიზანი და მოვალეობაც ის იყო, რომ ორივე მხარესთან შემრიგებლური პოზიცია ჰქონოდა, რადგან ორივე მხარეს საქართველოს შვილები იდგნენ. თუ ერთ მხარეს ეტყოდა სიმართლეს, ის ნდობას დაკარგავდა ადრესატის მხრიდან, ეს რეალობაა. ამიტომ, მან ის გააკეთა, რაც პატრიარქს უნდა გაეკეთებინა, ის შორსმჭვრეტელურად იღებდა გადაწყვეტილებებს და შესაბამისად მოქმედებდა. სწორედ ამ ვითარებაში პატრიარქის მშვიდი და გაწონასწორებული ხმა იქცა ნდობისა და იმედის წყაროდ. ქადაგებები მუდმივად ახსენებდა ხალხს ერთობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის მნიშვნელობას.

თუ გადავხედავთ მის ქადაგებებს, ეპისტოლეებს, ნათლად დავინახავთ ბრძნულ და ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებულ რჩევებს მოქმედი ხელისუფლების მიმართ. ის კრიტიკასაც არ ერიდებოდა, ის იყო არა იმპერატიული ან ოპოზიციური ტონით ნათქვამი, რასაც მოითხოვდა ზოგიერთები მისგან, არამედ ეს იყო რჩევის სახით, რაც უნდა გაეთვალისწინებინა ადრესატს.

მან ბევრი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რომ მოსახლეობაში რეალურად დაბრუნებულიყო რწმენა ღმერთისად, რომელიც 70 წლის განმავლობაში შეზღუდული იყო. ამისათვის, გამოიცა ბევრი საეკლესიო ლიტერატურა, ბიბლია, ახალი აღთქმა, ლოცვების წიგნები, მათ შორის, შვიდგზის ლოცვებიც, მისი უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით გამოიცემოდა ყოველკვირეული გაზეთი, იყო ტელეგადაცემები, და ბოლოს, - საპატრიარქოს ტელევიზიაც. შედეგად კი მივიღეთ ადამიანთა გულებში სულიერი ფასეულობების გაღვივება და რწმენის განმტკიცება.

მისი პატრიარქობის დროს მან რეკორდულად აღადგინა დანგრეული და ააშენა ახალი ტაძრები და მონასტრები. ახალ ეკლესიაბში მარტო სამების ტაძარიც საკმარისია, რომელიც გვირგვინია მისი პატრიარქობის პერიოდში, ალბათ, - სულიერების ტაძართან ერთად დიდი სიამაყე ქართველი მორწმუნისათვის.

გარდა ზემოთ ხსენებული საქმეებისა,

რომელიც მისი უშუალო ფუნქცია იყო, მან წმინდა ეროვნული საქმეებიც პრაქტიკულად აკეთა. პატრიარქის განსაკუთრებული ყურადღება ყოველთვის მიმართული იყო ოჯახის ინსტიტუტის, ახალგაზრდობისა და მომავალი თაობებისადმი. მისი ინიციატივით დამკვიდრებული საყოველთაო ნათლობის ტრადიცია უნიკალურ მოვლენად იქცა თანამედროვე საქართველოში. უწმინდესი გახდა დაახლოებით **50 000-მდე ბავშვის ნათლია**, რითაც ათიათასობით ოჯახი დაუკავშირდა ეკლესიას. ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც, რადგან მრავალშვილიან ოჯახებში გაძლიერდა სულიერი მხარდაჭერა და საზოგადოების ყურადღება.

ამ და სხვა დიდი საქმეების გამო, მას ცოცხალ წმინდანს უწოდებდნენ და სრულიად სამართლიანად. ეჭვი არ მეპარება, რომ უახლოეს მომავალში წმინდა სინოდი მას წმინდანად შერაცხავს.

როგორც პატრიარქის მოსაყდრე, მეუფე შიომ აღნიშნა, მისი წასვლით ფიზიკური სამყაროდან საქართველომ შეიძინა მლოცველი და მფარველი, მეოხი ზეციურ სამყაროში.

მისმა წასვლამ დაგვანახა, რაოდენ დიდია მისდამი სიყვარული მრევლის მხრიდან, რაოდენ დიდი სიყვარული დაგვიტოვა და როგორ გაგვაერთიანა, როცა მთელი კვირა გლოვობდა მთელი ქვეყანა.

როგორც დავინახეთ, მისი ავტორიტეტი განუზომლად დიდი იყო არა მხოლოდ საქართველოში და არა მხოლოდ ქრისტიანულ სამყაროში, არამედ არაქრისტიანულ სამყაროშიც. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ის, რომ საქართველოში მცხოვრებმა მუსულმანებმა თავიანთი რელიგიური დღესასწაული გადადეს და გლოვას შეუერთდნენ.

პატივისცემითა და მადლიერებით ვიხსენებთ ადამიანს, რომლის ცხოვრება მთლიანად დაკავშირებული იყო ღმერთთან, ეკლესიასთან და საკუთარ ხალხთან. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მრავალი ათწლეულის განმავლობაში წარმოადგენდა ეროვნულ სულიერ საყრდენს და იმ მოღვაწეს, რომლის სიტყვა ათასობით ადამიანისთვის იქცა ნუგეშად, იმედად და ცხოვრების გზის მაჩვენებლად.

მისი სიტყვები ყოველთვის იყო მოწოდება მშვიდობისკენ, შემწყნარებლობისკენ და ურთიერთგაგებისკენ. რთულ პერიოდებში პატრიარქი საზოგადოებას ახსენებდა, რომ ქართველობის ძალა ერთობაში, რწმენასა და სიყვარულში მდგომარეობს. სწორედ ასეთ ღირებულებებზე დაფუძნებული გზავნილები ქმნიდა სულიერ გარემოს, რომელმაც მრავალი ადამიანის ცხოვრება შეცვალა.

ილია მეორე იყო პიროვნება, რომლის სიმშვიდე, სიბრძნე და თავმდაბლობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. მისი მოღვაწეობა სცილდებოდა მხოლოდ ეკლესიურ სივრცეს და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. მრავალი ადამიანისთვის იგი იქცა სულიერ ავტორიტეტად, რომლის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

დღეს, როდესაც პატივისცემით ვიხსენებთ მის ღვაწლს, თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს, რომ მისი საქმიანობა უკვე ისტორიის ნაწილია. ეს არის მემკვიდრეობა, რომელიც მომავალ თაობებს დიდხანს გაახსენებს ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა ღმერთს, ეკლესიას და საკუთარ ხალხს.

ამიტომ დღეს ვამბობთ არა მხოლოდ გამოსათხოვარს, არამედ გულწრფელ მადლობას — დიდი მსახურებისთვის, სიყვარულისთვის, სულიერი მაგალითისთვის და იმ გზისთვის, რომელიც მან განვლო და დაგვიტოვა.

ერის ცხოვრებაში იშვიათად ჩნდება ადამიანი, რომელიც მთელი ეპოქის სიმბოლოდ იქცევა. ილია მეორე სწორედ ასეთი პიროვნება იყო — სულიერი მამა, რომელმაც საკუთარ ხალხთან ერთად ატარა ქვეყნის ტკივილი, იმედი და მომავლის რწმენა.

მისი მიწიერი გზა დასრულდა, მაგრამ მის მიერ ნათქვამი სიტყვები, ლოცვა და მაგალითი კვლავ გააგრძელებს ადამიანების გზის განათებას.

ამიტომაც, დღეს საქართველო მხოლოდ გამოსათხოვარ სიტყვას არ ამბობს — იგი მადლიერებით იხსენებს დიდ სულიერ მამას, რომლის სახელი და ღვაწლი სამუდამოდ დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

მარადიული იყოს მისი ნათელი ხსოვნა.

სარედაქციო საბჭოს სახელით,
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ECONOMY AND WRITING SYSTEMS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 21, 2026
Published: February 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-12

Gia Kvashilava
Professor, PhD in Mathematics, PhD in Economics,
Caucasus International University,
President of the Academy of Phasis,
ORCID ID: 0000-0002-8511-0203
E-mail: gia.kvashilava@tsu.ge

ABSTRACT

The paper examines economic activities (the production, distribution, exchange, and accounting of goods) and writing systems during the Bronze Age, primarily in the Colchian-Minoan cultural context. According to the oldest Hellenic sources, such as Apollonius of Rhodes, Strabo, Clement of Alexandria, and others, the Corybantes – priest-deities originating from Colchis – are considered the discoverers of bronze and iron processing, writing, music, and arithmetic. They created sacred cyrbeis – inscriptions carved on clay, copper, or wooden plates – which contained laws, religious rules, and geographical information (roads, borders).

In this work, the author demonstrates that the Cretan hieroglyphic (CH) and Linear A (LA) inscriptions, dated to the 20th–15th centuries BC, represent economic documents written in the Proto-Kartvelian-Colchian language. These inscriptions describe income and expenditure accounts, trade transactions, personnel records, toponyms, ethnonyms, agricultural products (barley, wheat, olives, grapes, flax, etc.), domestic animals, vessels, as well as the decimal counting system, arithmetic operations (addition – "kuro", subtraction – "kiro"), and metrological units.

Writing systems (LA, and later LB) emerged from economic necessity – for the census of the population, taxation, storage, and distribution management. They contributed to the development of production, trade, and taxation mechanisms in Minoan Crete, the Mediterranean basin, and the Black Sea region. The author of the paper connects this tradition with the linear signs discovered on the territory of Georgia and suggests that the origins of Georgian writing should be sought in the distant past in Asia Minor and Crete.

Keywords: *economic accounting, CH and LA writing systems, Proto-Kartvelian-Colchian language, cyrbeis, Corybantes.*

REFERENCES:

1. Amiranashvili Sh. (1961). At the Cradle of Georgian Culture. Newspaper "Komunisti", 1961, №273, 2.XII (in Georgian).

2. Chadwick, J. 1976. *The Mycenaean World*. New York: Cambridge University Press.

3. Gamkrelidze, Th. V., and Ivanov, V. V. 1995. *Indo-European and the Indo-Europeans: A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture, Part I.* New York: Mouton de Gruyter.

4. Fähnrich, H. 2013. *Die ältesten georgischen Inschriften.* Leiden: Brill.

5. Javakhishvili I. 1949. *The Purpose, Sources and Methods of History in the Past and Now; Georgian Paleography*, Book III, Part I. Tbilisi: Tbilisi State University Press (in Georgian).

6. Kaukhchishvili, T. 1975. *Herodotus, History*, Vol. 1. Tbilisi: Tbilisi University Press (in Georgian)

7. Kvashilava, G., 2011. Decipherment of the Inscriptions of Linear A and its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language. *Studies in History and Ethnology,* Vol. XIII, Ivane Javakhishvili Institute of

History and Ethnology, Tbilisi, 2011, 227–310.

8. Kvashilava, G., 2014a. On Deciphering the Linear A Script Tablet HT 35 (HM 24). *Kartvelology,* N2, Ilia State University Press, Tbilisi, 2014, 116–118.

9. Kvashilava, G., 2014b. On Reading the Vessel Name – KA-TI of Linear A Inscription on Tablet HT 63 (HM 57). *Kartvelology,* N2, Ilia State University Press, Tbilisi, 2014, 118–130.

10. Kvashilava, G., 2014c. On Reading and Identifying the Vessel Name KA-DI of Linear A Clay Tablets ZA 4 and ZA 15. *Kartvelology,* N3, Ilia State University Press, Tbilisi, 2014, 37–45.

11. Kvashilava G. 2015. "Aea", "Aeaea", "Aeëtes" and "Colchis" in Written Monuments. Scientific Journal *Kartvelology*, №4, Ilia State University Press, Tbilisi, 2015, 5–18 (in Georgian).

12. Kvashilava G. 2016. On Phaistos, Hephaestos, Phustis and Phasis. Scientific Journal *Kartvelology*, №1–2, Ilia State University Press, Tbilisi, 2016, 15–43 (in Georgian).

13. Kvashilava G. 2017a. On the Decipherment of the Inscription on the Dablagomi Jar Found in Georgia and the Oldest Linear Sign on the Jumi Stone. Scientific Journal *Kartvelology*, №4, Ilia State University, Academician Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, 50–66 (in Georgian).

14. Kvashilava G. 2017b. Reading of the Linear A Class Inscriptions on the ZA Zb 3 Pithos and the HT 21 (HM 28) Clay Tablet in the Common Georgian Language. Scientific Journal *Kartvelology*, №5, Ilia State University Press, Tbilisi, 2017, 20–30 (in Georgian).

15. Kvashilava, G. 2017c. On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language. *The 2nd Academic International Conference on Social Sciences and Humanities: AICSSH, Cambridge Conference Proceedings,* May 22–24, 2017, University of Cambridge: FLE Learning, 65–73.

16. Kvashilava, G. 2017d. On the Decipherment of Linear A Inscriptions in the Common Colchian Language: Mathematics. *International Science and Technology Conference (ISTEC 2017 America) Proceedings,* Harvard University, August 16–18, Cambridge, MA, USA, 856–864.

17. Kvashilava, G., 2018. *On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language*: *qa-pa*$_3$ – a Vessel for Liquid. *Proceedings Book.* International Science and Technology Conference, Paris, France, 18-20 July, 2018, 451–462.

18. Kvashilava, G., 2019a. On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language: ku-ro and ki-ro. *ATINER's Conference Paper Proceedings Series*. Athens Institute for Education and Research, Athens, 1–22.

19. Kvashilava G. 2019b. On the Reading of Proto-Georgian Written Monuments – Linear Inscriptions (Brief Material, Results). Scientific Journal *Kartvelology*, №2, Ilia State University, Academician Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, 5–19 (in Georgian).

20. Kvashilava G. 2021. Reading of the Linear A Class Form MI-TA. Scientific Journal *Issues of Linguistics – 2020*, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2021, 44–56 (in Georgian).

21. Kvashilava, G., 2024, On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language (7), *Issues of Linguistics – 2023*, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, Tbilisi, 73–88.

22. Licheli V. 1989. Dablagomi Letters-Signs. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR, Series of History, Archaeology, Ethnography and Art History*, №4, 30–43 (in Georgian).

23. Licheli V. 2001. Issues of Colchian and Iberian Culture (4th–1st centuries BC). *Journal of the Center for Archaeological Research of the Georgian Academy of Sciences*, 3–61; 71–97 (in Georgian).

24. Urushadze A. 1964. *Ancient Colchis in the Argonauts' Legend*. Tbilisi: Tbilisi University Press (in Georgian).

25. Ventris, M., and Chadwick, J. 1973. *Documents in Mycenaean Greek: Three Hundred Selected Tablets from Knossos, Pylos and Mycenae with Introduction Commentary and Vocabulary.* Cambridge: Cambridge University Press.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკონომიკა და წერითი სისტემები

გია კვაშილავა
პროფესორი, მათემატიკის დოქტორი,
ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი,
ORCID ID: 0000-0002-8511-0203
E-mail: gia.kvashilava@tsu.ge

აბსტრაქტი

შრომაში განიხილულია ეკონომიკური საქმიანობა (საქონლის წარმოება, განაწილება, გაცვლა და აღრიცხვა) და წერითი სისტემები ბრინჯაოს ხანაში, ძირითადად კოლხურ-მინოსურ კულტურულ კონტექსტში. უძველესი ელინური წყაროების, მაგ., აპოლონიუს როდოსელის, სტრაბონის, კლიმენტ ალექსანდრიელისა და სხვათა მიხედვით, კორიბანტები – კოლხეთიდან წარმოშობილი ქურუმ-ღვთაებები – ითვლებიან ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების, დამწერლობის, მუსიკისა და არითმეტიკის აღმომჩენებად. ისინი ქმნიდნენ საკრალურ კვირბებს – თიხის, სპილენძის ან ხის ფირფიტებზე ამოკვეთილ წარწერებს, რომლებიც შეიცავდა კანონებს, რელიგიურ წესებსა და გეოგრაფიულ ცნობებს (გზები, საზღვრები).

შრომაში ავტორი აჩვენებს, რომ კრეტული იეროგლიფური (CH) და A კლასის ხაზოვანი (LA) წარწერები, რომლებიც დათარიღებულია ძვ. წ. XX–XV საუკუნეებით, წარმოადგენს პროტოქართველურ-კოლხურ ენაზე შესრულებულ ეკონომიკურ დოკუმენტებს. ამ წარწერებში აღწერილია შემოსავლისა და გასავლის ანგარიშები, სავაჭრო გარიგებები, პერსონალის აღრიცხვა, ტოპონიმები, ეთნონიმები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ქერი, ხორბალი, ზეთისხილი, ვაზი, სელი და სხვა), შინაური ცხოველები, ჭურჭელი, აგრეთვე თვლის ათობითი სისტემა, არითმეტიკული ოპერაციები (შეკრება – „კურო“, გამოკლება – „კირო“) და მეტროლოგიური ერთეულები.

წერითი სისტემები (LA, შემდგომ LB) წარმოიშვა ეკონომიკური საჭიროებიდან – მოსახლეობის აღწერის, დაბეგვრის, შენახვისა და განაწილების მართვისთვის. ისინი ხელს უწყობდა წარმოების, ვაჭრობისა და საგადასახადო მექანიზმების განვითარებას მინოსურ ხანის კრეტაზე, ხმელთაშუა ზღვის აუზსა და შავიზღვისპირეთში. შრომის ავტორი აკავშირებს ამ ტრადიციას საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ხაზოვან ნიშნებთან და მიიჩნევს, რომ ქართული დამწერლობის საწყისები შორეულ წარსულში მცირე აზიასა და კრეტაზე უნდა ვეძებოთ.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური აღრიცხვა, CH და LA წერითი სისტემები, პროტოქართველურ-კოლხური ენა, კვირვები, კორიბანტები.*

◇◇◇

სხვათა ცნობების მიხედვით, ეს წარწერები სრულდებოდა თიხის თუ სპილენძის ფირფიტებზე, ან ხის დაფებზე, სტელებსა თუ სვეტებზე (Kvashilava 2014d, 17–19).

აპოლონიოს როდოსელი (IV.277–281) წერდა: „... [კოლხებს] შემონახული აქვთ თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კვირბებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის აღნიშნულია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი". აპოლონიოს როდოსელის ამ ციტატის მიხედვით, თანამედროვე გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კ. რიტერი წერდა, რომ კვირბები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ (Kvashilava 2014d, 19), რომელსაც საქართველოს პატრიარქი, წმინდა კირიონ II იმოწმებდა: „ეს ფირფიტები [კვირბები] უდავოდ იყო ...პირველი ჩანაწერები და სავსებით შესაძლოა, რომ ისინი ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონოდა" (Kvashilava 2019b, 10).

ძველი ელინური წერილობითი ძეგლებიდან ასევე ირკვევა, რომ კორიბანტებს ძველთაგანვე ჰქონდათ საიდუმლო დამწერლობა. ხარაქს პერგამონელი ამ დამწერლობას ე.წ. ხრისოგრაფიას (ელინური chrisographía), ანუ ოქროდამწერლობას (ოქროთი წერას) უწოდებდა (Kvashilava 2014d, 20). ამ ცნობას იმოწმებდა წმინდა ევსტათიოს თესალონიკელი „ოქროს საწმისის" განმარტებისას და წერდა: „ოქროდამწერლობის მეთოდის გამო [ქალაქ იოლკოსიდან, ელადიდან] არგოს ლაშქრობა მოეწყო"[1] (ურუშაძე 1964, 150).

ელინურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი სპეციალისტი, ა. ურუშაძე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ კოლხური (ქართული) დამწერლობა, კვირბების სახით, ქურუმთა, კორიბანტ-კაბირების (დაქტილების) წრეში უნდა შექმნილიყო (ურუშაძე 1964, 165). მისი ვარაუდით, ეს დამწერლობა ჩამოყალიბდა მცირე აზიაში (ანატოლიაში) და შემდეგ გადაიტანეს კუნძულ კრეტაზე, ან პირიქით. იგი წერდა: „ი. ჯავახიშვილი იმ აზრისა იყო, რომ ქართულ დამწერლობას სათავეები შორეულ წარსულში აქვს და რომ ის შეიქმნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველთა წინაპარი ტომები გაცილებით ვრცელ ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებულნი" (ურუშაძე 1964, 148). ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ვფიქრობ მხოლოდ, რომ ეხლა მაინც სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის ახ.წ. V ს.-ში გამოგონების შესახებ და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში ...უნდა ვეძებოთ" (ჯავახიშვილი 1949, 236).

ა. ურუშაძეს მიაჩნდა, რომ „სრულიადაც არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქართველთა წინაპარ ტომებში არსებული უძველესი დამწერლობის ნიმუშები საბერძნეთის ტერიტორიაზეც აღმოჩნდეს" (ურუშაძე 1964, 149, 168). ამ მხრივ იგი წერდა: „კვირბების სახით არსებული კორიბანტული – კოლხური დამწერლობა, სრულიად შესაძლებელია, ის დამწერლობა იყოს, რომელიც «მინოსური დამწერლობის» სახელითაა ცნობილი და რომელიც კრეტის გაუშიფრავ ფირფიტებზეა დაცული" (ურუშაძე 1964, 166). ზემოთქმულის საფუძველზე, ა.ურუშაძის საბოლოო დასკვნა იყო შემდეგი: „«მინოსური [კვირბების] დამწერლობის» მომავალ კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის – იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს" (ურუშაძე 1964, 168, 114, 115).

მინოსური დამწერლობით შესრულებული წარწერები (იგივე კვირბები), 1866–1990 წწ.-ში კუნძულ კრეტის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე – კითერასა და სამოთრაკეზე აღმოაჩინეს. ეს იყო 335 ცალი კრეტული იეროგლიფური წარწერა, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. 2050–1425 წწ.-ით. 1900–1983 წწ.-ში კუნძულ კრეტაზე არქეოლოგებმა (ა.ევანსმა, დ. ჰოგარტმა, ლ. პერნიემ, ფ. ჰალბერმა, რ. პარიბენიმ, ნ. პლატონმა და სხვებმა) გათხრებისას უძველეს საცავ შენობა-ნაგებობებში აღმოაჩინეს 9000-მდე საბეჭდავი, A კლასის ხაზოვანი (LA) მარცვლოვანი დამწერლობებით შესრულებული თიხის ფირფიტები, სადღესასწაულო ორპირა ცულები, თიხისა და ქვის ჭურჭელი, სარიტუალო მაგიდები, ოქროსა და ვერცხლის თმის ქინძისთავები, ოქროს ბეჭდები, ბრინჯაოს თასები და სხვა ნივთები – სულ 1482 ცალი, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. 1950–1425 წწ.-ით. LA წარწერები კუნძულ კრეტისა და კუნძულ თერას გარდა, აგრეთვე გამოვლინდა ეგეოსის-ზღვისპირეთის სხვა ადგილებშიც (Chadwick 1976, 4), ბულგარეთში, პალესტინასა და საქართველოში

1 „პ. ინგოროყვა და შ. ნუცუბიძე აგრეთვე გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ძველბერძნულ წყაროებში დადასტურებული «ოქროდამწერლობა» იყო წერის განსაკუთრებული და სპეციფიკური ხელოვნება, რომელიც კოლხეთში გამოიყენებოდა. მათი აზრით, მისი შესრულების წესები აღწერილი იყო «ოქროს საწმისზე» – ვერძის ტყავზე და ძვ.წ. 1350–1300 წწ.-ში არგონავტებმა სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვანი კოლხური ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურეს საბეძნეთიდან «ოქრომრავალ კოლხეთში»" (კვაშილავა 2014, 20).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

(Kvashilava 2017a, 54–62). სწავლულები აღნიშნავენ, რომ ძვ.წ. IV ს.-შიც კი კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში, ლასითის რეგიონში არაბერძენი მოსახლეობის, პელასგების შთამომავალნი წარწერებს წერდნენ არაბერძნულ ენაზე (Chadwick 1976, 62).

ევროპის, ამერიკისა და რუსეთის ავტორიტეტული მეცნიერები თვლიან, რომ LA და კრეტული იეროგლიფური წარწერების შემქმნელმა მინოსელმა ხალხმა ადრებრინჯაოს ხანაში ეგეოსის-ზღვისპირეთში დააფუძნა პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია. მეცნიერები (ა. ევანსი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ა.მორპურგო-დევისი, ს. ლურიე, ვ. ისტრინი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, თ.ყაუხჩიშვილი, რ. გორდეზიანი, ნ. შენგელაია და სხვები) ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამ წარწერების ენა არაინდოევროპულია და არასემიტური (Kvashilava 2014d, 21). ამ მხრივ ა. ურუშაძე წერდა: „როცა კრეტის წარწერები შეიქმნა, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი სხვა პუნქტი არაელინური – პელასგურ-კოლხური [მაგ., მაკრელების, დოლიონების, ლელეგებისა და სხვა] მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს მოსახლეობაში კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. ქართველურ ტომებს, რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან თითქმის ყველა დარგშია გამომჟღავნებული, მრავალი ძაფი აკავშირებს უძველესი კულტურის ისეთ კერასთან, როგორიც კუნძული კრეტა იყო. თქმულება კოლხთა და კორინთელთა გამგებელ აიეტზეც პელასგურ-კოლხურ სამყაროს მჭიდროდ აკავშირებს კრეტას: კრეტის ლეგენდარული მეფის – მინოსის მეუღლე, პასიფაე ჰელიოსის ასულია; იგი აია-კოლხეთის მეფის – აიეტისა და აიაიელი კირკეს[1] და, მედეას მამიდა და არიადნეს დედაა“ (ურუშაძე 1964, 166).

ზემოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, 1996 წლიდან სავსებით ბუნებრივად გაგვიჩნდა იდეა, რომ გვეცადა A კლასის ხაზოვანი (LA) და კრეტული იეროგლიფური წარწერების გაშიფვრა. ეს წარწერები ჩვენ მიერ ამოკითხულია საერთოქართველურ (პროტოქართველურ-კოლხურ) ენაზე (Kvashilava 2011, Kvashilava 2014a, Kvashilava 2014b, Kvashilava 2014c, Kvashilava 2015, Kvashilava 2016, Kvashilava 2017a, Kvashilava 2017b, Kvashilava 2017c, Kvashilava 2017d, Kvashilava 2018, Kvashilava 2019a, Kvashilava 2019b, Kvashilava 2021, Kvashilava 2024), რისთვისაც გამოყენებულია ცნობილ ენათმეცნიერთა (ა. ჩიქობავას, გ. კლიმოვის, კ.შმიდტის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხის, ზ. სარჯველაძის, რ.ბეეკესის, მ. ჩუხუასა და სხვათა) შრომები.

ამ წარწერებში მოცემულია: შემოსავლისა და გასავლის ანგარიშები, სავაჭრო გარიგებები, ფერმერთა, მწყემსთა, ხელოსანთა, ვაჭართა და მუშათა სახელების აღწერა-აღრიცხვა, ტოპონიმები, ეთნონიმები, საოჯახო და საკულტო დანიშნულების ჭურჭელი, სასოფლო-სამეურნეო ცენტრებიდან მიღებული საკვები მარცვლეული კულტურები (ქერი, ხორბალი), მცენარეული პროდუქტები (ზეთისხილი, ვაზი, ლეღვი, სელი, სანელებლები, პიტნა), პურეული (პური, ფქვილი), შინაური ცხოველები (ხარი ანუ გამწევი ძალა, ძროხა, თხა, ცხვარი, ღორი, ცხენი, ვირი), აგრეთვე მატყლი, ტყავი, ქსოვილი და სხვა. რა თქმა უნდა, ტექსტებში მითითებული არაა ვერცხლის ან ოქროს ფული, როგორც საქონელმიმოქცევის საშუალება. ყველა საქონელი ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი და არ ფიქსირდება საქონლის ურთიერთგაცვლაც. ამ წარწერებში საგადასახადო საშუალებად გვხვდება მხოლოდ ნატურალური პროდუქტი, აქვე მითითებულია პროდუქტების იდეოგრამები და რიცხვითი ნიშნები, რომლებიც გამოიყენებოდა აღრიცხვა-ანგარიშის პროცესში. დანიშნულების მიხედვით, ეს ეკონომიკური წარწერები იყოფა სამეურნეო-ადმინისტრაციულ და რელიგიურ შენაწირთა საცნობარო მონაცემებად, რომლებშიც დასტურდება თვლის ათობითი სისტემა, მთელი რიცხვები, წილადი რიცხვები, არითმეტიკული მოქმედებების („შეკრებისა“ და „გამოკლების“) აღმნიშვნელი ტერმინები, სააღრიცხვო-საანგარიშო და მეტროლოგიური სისტემები (წონა, სიგრძე, ფართობი, მოცულობა). რამდენიმე თიხის ფირფიტაზე ჩამოწერილია, მაგ., კერძო პირთა სახელები, შესაწირავი შრომის პროდუქტები, ბოლოს კი გამოყოფილი და გამოთვლილია საბოლოო ჯამი (Kvashilava 2017d, 859, 860).

კრეტულ იეროგლიფურ წარწერებში ჩვენ მიერ ამოკითხულია, მაგ., „**აია**“ (ტოპონიმი), „**აუტი**“ („აიეტი“, ანთროპონიმი); LA-ში – „**ათაინაი**“ („ათენა“, თეონიმი); „**კიტუნე**“, „**ტიტიკუ**“, „**ნადარე**“, „**იკუტა**“ (ანთროპონიმები); „**კოლხიდელი**“ (ეთნონიმი); „**აია**“, „**ქუთა**“, „**ლასითი**“, „**იდა**“, „**დიკიტე**“ და „**მაკარიტე**“ (ტოპონიმები); „**კურო**“ („შეკრება“), „**პოტოკურო**“ („ფართო შეკრება“, „საბოლოო ჯამი“), „**სარა**“ („სრული“, „მთლიანად“, „სულ“), „**კირო**“ („გამო-

1 აიეტი ამბობს: „ჩვენ ... მივაღწიეთ ტირსენისის [ამჟამინდელი იტალიის, ტოსკანასა და ლაციოს რეგიონების] ნაპირს, სადაც ... ახლაც ცხოვრობს [კირკე]“ (აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“ III.309–313).

კლება“), „**კირისი**“ („კილისა“, „ნაკლისა“), „**კირითი**“ („ნაკლითა“); ჭურჭლის აღმნიშველი სახელები: „**კატი**“ („კოტო“, „კუტალი“), „**კადი**“ („კოდი“, „საღვინე ჭურჭელი“), „**კაპაი**“ („კოპე“, „საწყაო“), „**კასა**“ / „**კასი**“ („კოში“, „კასრი“), „**დიდი-კასე**“ („დიდი კასრი“, „ქვევრი“), „**პიტა-კასე**“ („პატარა კასრი“, „ქვევრი“), „**პატაკე**“ („ძალიან პატარა ჭურჭელი“); მცენარეების აღმნიშველი სახელები: „**მითა**“ („პიტნა“), „**დიაი**“ („ქერი“), „**საუ**“ („სელი“) და ა.შ. (Kvashilava 2011, Kvashilava 2014a, Kvashilava 2014b, Kvashilava 2014c, Kvashilava 2015, Kvashilava 2016, Kvashilava 2017a, Kvashilava 2017b, Kvashilava 2017c, Kvashilava 2017d, Kvashilava 2018, Kvashilava 2019a, Kvashilava 2019b, Kvashilava 2021, Kvashilava 2024).

ამ წარწერების სრული შესწავლა-გაშიფვრის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 4000 წლის წინანდელმა კუნძულ კრეტაზე არსებულმა მინოსურ-კოლხურმა (პროტოქართველურმა) სახელმწიფომ ფართოდ გამოიყენა წერითი, საბეჭდავებით ბეჭდვის, თვლის, სააღრიცხვო-საანგარიშო და მეტროლოგიური სისტემები მოსახლეობის რეგულარული აღწერის, დაბეგვრის, შემოსავლებისა და ხარჯების დოკუმენტირების, მათი შეგროვებისა და გადანაწილების, აგრეთვე სავაჭრო და სამშენებლო ოპერაციების განსახორციელებლად, რამაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო წარმოების, გაცვლისა და საგადასახადო მექანიზმების განვითარებას. ნათელია, რომ საქონლის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესმა განაპირობა მისი აუცილებელი აღრიცხვის, სამეურნეო ანგარიშწარმოებისა და ადმინისტრირების მიზნებისთვის საბეჭდავების, საბეჭდავი ბეჭდებისა და წერითი სისტემების – კერძოდ, კრეტული იეროგლიფური და LA მარცვლოვანი დამწერლობების – შექმნა, რაც მინოსური ხანის კრეტის კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად ითვლება.

დაახლოებით ძვ.წ. 1425 წ.-ს ელინებმა მოახდინეს კუნძულ კრეტის კოლონიზაცია. ამ პერიოდში მათ არ შეუქმნიათ საკუთარი წერითი სისტემა, არამედ თავიანთ ენაზე ეკონომიკური ანგარიშების ჩასაწერად გადმოიღეს A კლასის ხაზოვანი (LA) დამწერლობის ნიშნები, რომელთა საფუძველზე შექმნეს ე.წ. B კლასის ხაზოვანი (LB) მარცვლოვანი დამწერლობა (Gamkrelidze, Ivanov 1995, 783–784). ეს უკანასკნელი წერითი სისტემა მათ მოარგეს თავიანთ ენას და გააუმჯობესეს ანგარიშწარმოება (Chadwick 1976, 6). LB წარწერები, რომელთა დღემდე ნაპოვნი რაოდენობა დაახლოებით 5930 ცალია, დათარიღებულია ძვ.წ. 1425–1060 წწ.-ით. 1952 წ.-ს LB წარწერები მიკენური ხანის ელინურ ენაზე ამოიკითხა დეშიფრატორმა, მ. ვენტრისმა (Ventris, Chadwick 1973, xxi, xxii, xxx).

ეგეოსისზღვიპირეთში გავრცელებული კრეტული იეროგლიფები, LA და LB დამწერლობების სილაბოგრამები, აგრეთვე კნოსოსის, ფესტოსისა და მალიის მინოსური ხანის სასახლეების კედლებზე აღმოჩენილი ნიშნები უკავშირდება და სავსებით ემსგავსება საქართველოში აღმოჩენილ ხაზოვან ნიშნებსა და ცხენის დაღებს (Kvashilava 2017a, 54–57). ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა სახის კერამიკულ ნაწარმზე (ჭურჭელზე, ქვევრებზე, ამფორებზე, კრამიტებსა და სხვა), რომლებიც თარიღდება ძვ.წ. IV ს.-დან ახ. წ. IV ს.-მდე, დასტურდება უძველესი წერითი ნიშნები (ლიჩელი 1989, 32, 40, 41; ლიჩელი 2001, 5, 6, 17). ჰ. ფენრიხი (Fähnrich 2013, 221) იმოწმებს ვ. ლიჩელის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მცხეთაში, ვანსა და სხვა ადგილებში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმზე აღბეჭდილი ნიშნები წერითი ნიშნებია, რომლითაც ქართველები მრგვლოვანამდე წერდნენ. შ. ამირანაშვილი ფიქრობდა, რომ „ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ“ (ამირანაშვილი 1961). ჩვენი აზრით, შორეულ წარსულში ქართული დამწერლობის არსებობის ამ ვარაუდს ამაგრებს არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი წარწერები, რომლებიც თარიღდება დაახლოებით ძვ.წ. XXXII ს.-დან III ს.-ის ჩათვლით.

ჰ. ფენრიხი (Fähnrich 2013, 232) წერს: „[საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი 80-ზე მეტი წერითი] ნიშნები თავისი ფორმით მოგვაგონებენ ხმელთაშუაზღვისპირეთის სივრცეში გავრცელებულ ... მარცვლოვან დამწერლობას. გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში დასტურდება, რომ ქართველები სამხრეთ-დასავლეთით გაცილებით ვრცელ ტერიტორიაზე სახლობდნენ და ინტენსიური კონტაქტი ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის დანარჩენ ხალხებთან. ... ქართველებმა ხმელთაშუა ზღვის არეალიდან ... [LA] მარცვლოვანი დამწერლობა – თავიანთი პირველი წერითი სისტემა – საქართველოს არეალში განავრცეს და სხვადასხვა ფუნქციით თუ დანიშნულებით იყენებდნენ კერამიკულ ნაწარმზე (ჭურჭელზე, კრამიტებზე, დასაკრძალავ ქვევრებზე). ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა ქართველები უფრო მეტად მოაქცია ელინური გავლენის ქვეშ. ფარნავაზის დროს ამან ბიძგი მისცა დამწერლობის რეფორმას: ძველი მარცვლოვანი დამწერლობიდან ახალ ანბანურ დამწერლობაზე – მრგვლოვანზე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გადასვლას. მრავალი საუკუნის განმავლობაში ორივე ქართული დამწერლობითი სისტემა გვერდიგვერდ თანაარსებობდა. ქოთნებისა და კრამიტების გამოწვის ოსტატები მარცვლოვან დამწერლობას ძირითადად იყენებდნენ კრამიტებსა და თიხის ნაწარმზე. გაქრისტიანებით საბოლოოდ დამკვიდრდა ანბანური მრგვლოვანი დამწერლობა“ (Kvashilava 2017a, 52–54).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მარცვლოვანი ხაზოვანი ნიშნებით შესრულებული უძველესი წარწერები, რომელიც მოცემულია თიხის დოქზე, თიხის კვირისტავზე, საბეჭდავსა და სხვა მასალაზე, ჩვენ მიერ, შესაბამისად, გაშიფრულია, მაგ., სიტყვა „**კოლხეთისი**“ (?); ანთროპონიმები „**ტეკუსიკა**“ / „**ტეკუსიკე**“ და „**ტოია**“; ჭურჭლის სახელწოდებები „**კასა**“ / **კადა**“ – „კასრი“, „კოდი“ (Kvashilava 2017a, 58–62; Kvashilava 2019b, 15).

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე უძველეს ადგილობრივ ტომებს ჰქონდათ მარცვლოვანი ხაზოვანი დამწერლობა, რომელსაც ისინი იყენებდნენ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების პროცესში[1].

მინოსური კრეტისა და მიკენის კულტურების დაცემის შემდეგ LA და LB მარცვლოვანი დამწერლობები ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში თანდათანობით დავიწყებას მიეცა.

დაახლოებით ძვ.წ. XII ს.-ის შემდეგ ფინიკიელი ვაჭრები წერდნენ 22 კონსონანტური (თანხმოვნითი) დამწერლობის ნიშნით, რომლებიც ცალკეულ ბგერებს გადმოცემდა. ეს წერითი სისტემა სავაჭრო ჩანაწერების გასაკეთებლად უფრო მარტივი და ქმედითი იყო, ვიდრე მარცვლოვანი დამწერლობის ნიშნები.

1929 წ.-ს ფინიკიელთა ერთ-ერთ პორტ-ქალაქში, უგარიტში (ახლანდელი სირიის ტერიტორიაზე) არქეოლოგიური გათხრების დროს აღამოჩნდა თიხის ფირფიტები, რომლებიც დაახლოებით ძვ.წ. XII ს.-ში იყო დაწერილი უგარიტული ლურსმული წერითი სისტემით. ეს იყო 30 ნიშნისგან შემდგარი ანბანი. სპეციალისტთა მოსაზრებით, უგარიტული ლურსმული და ფინიკიური ხაზოვანი ნიშნები თითქმის ერთდროულად შეიქმნა ვაჭრების მიერ, რადგან უმარტივესი და ყველასთვის მისაწვდომი დამწერლობა საჭირო გახდა ხმელთაშუაზღვისპირეთში სავაჭრო, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ინტენსიური განვითარების პირობებში.

დიოდორე სიცილიელის (Library of History V.74.1) ცნობის მიხედვით, ფინიკიელებს თავად არ შეუქმნიათ აღნიშნული წერითი სისტემა, არამედ სხვებისგან გადმოიღეს და მხოლოდ ოდნავ შეცვალეს ნიშნების გრაფიკული მოხაზულობა. სპეციალისტთა (ა. გარდინერის, ა. ფალკენშტაინისა და სხვათა) მოსაზრებით, ფინიკიელებმა ეს სისტემა ეგვიპტელებისგან შეითვისეს. დაახლოებით ძვ.წ. IX–VIII სს.-ში ფინიკიელებმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული გავლენა მოახდინეს ძველ ელინებზე. დიოდორე სიცილიელის (Library of History III.67.1) მეორე ცნობით, პელასგებმა გადაიღეს ფინიკიური კონსონანტური წერითი სისტემა, ნიშნების გრაფიკული მოხაზულობა, წერის ტექნიკა და ნიშანთა თანმიმდევრობა, ხოლო პელასგებისგან – ელინებმა. ჩვენი აზრით, მინოსური ხანის კრეტული წერითი სისტემების ანალოგიით, პელასგებმა ფინიკიურ კონსონანტურ წერით სისტემას დაუმატეს ხმოვანთა აღმნიშვნელი ნიშნებიც, რითაც საფუძველი ჩაეყარა ბერძნული ანბანური დამწერლობის შემდგომ განვითარებას.

ჰეროდოტე (V.58, 59) წერდა შემდეგს: „[ევროპეს ძმა] კადმოსთან ერთად მოსულმა ფინიკიელებმა, რომელთაგანნიც იყვნენ გეფირაჲები, [ელადის მხარე, ბეოტიის] ქვეყანა დაასახლეს, ბევრი სხვადასხვაგვარი ცოდნა შესძინეს ელინებს და განსაკუთრებით აღსანიშნავია მათ შორის დამწერლობა, რომელიც უწინ არ ჰქონდათ ელინებს. მე მგონია, პირველად იმ დამწერლობას ხმარობდნენ, რომელსაც იყენებდა ყველა ფინიკიელი, ხოლო დრო რომ გავიდა, ენის შეცვლასთან ერთად გამოიცვალა ასოების მოხაზულობაც. ხოლო ამ დროს მოსული ფინიკიელების ირგვლივ ქვეყნის მეტი წილი ელინთაგან ეჭირათ იონელებს. ამათ ისწავლეს ფინიკიელთაგან ასოები, მცირედ შეუცვალეს მოხაზულობა და ისე იყენებდნენ მათ, ხოლო ხმარებისას, როგორც სიმართლე მოითხოვდა, ამბობდნენ, რომ ფინიკიური დამწერლობა ეწოდებაო, რადგანაც ფინიკიელების მიერ იყო შემოტანილი ელადაში. ბერძნები ძველიდანვე წიგნებს ტყავებს უწოდებდნენ, რადგანაც ოდესღაც ჭილის ნაკლებობის გამო ისინი თხის და

1 უძველესი წერითი ნიშნები აღმოჩენილია საქართველოს მრავალ ადგილას. ეს ადგილებია: დაბლაგომი და დაფნარი (სამტრედიის მუნიციპალიტეტი), ნოქალაქევი და ნანეფიშ ჭალე (სენაკის მუნიციპალიტეტი), სუფსანატანების აუზი (სოფ. ზემო ფარცხმა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ვანი და მთისძირი (ვანის მუნიციპალიტეტი), უფლისციხე (გორის მუნიციპალიტეტი), სარკინე, გრძელი მინდორი, ბაგინეთი, სამთავრო, მცხეთის აკლდამა, მოგვთაკარის სამაროვანი, კარსნისხევი, არმაზისხევი, სვეტიცხოველი (მცხეთის მუნიციპალიტეტი), სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი, თრუსოს ხეობა, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი და სხვა (Kvashilava 2019b, 13).

ცხვრის ტყავებს ხმარობდნენ საწერად. ჯერაც, ჩემს დროს, ბევრი ბარბაროსი ამისთანა ტყავზე წერს. მე თვითონ ვნახე კადემური დამწერლობა აპოლონ ისმენიელის ტაძარში, ბოჲოტიელთა [ბეოტიელთა] თებეში სამ სამფეხზე გაკეთებული. ის ძალიან ჰგავს იონიურს. ამ სამფეხთაგან ერთს ასეთი წარწარა აქვს: «ამფიტრიონის შემოწირული ვარ, ტელებოებისგან მოპოვებული»" (ყაუხჩიშვილი 1975, 333).

მოკლედ, ეს ცნობებია შემონახული ელინური ანბანური წერითი სისტემის წარმოშობის შესახებ, რომელიც შემდგომ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა განვითარების დროს, საფუძვლად დაედო ლათინურსა და ევროპის ქვეყნების დამწერლობის ნიშნების გრაფიკას.

ძველი ელინური ანბანური დამწერლობით ჩაიწერა ჰომეროსის ეპიკური პოემები „ილიადა" და „ოდისეა", რომლებშიც დასტურდება, რომ საქონელი (ხარი, ზროხა) იყო გაცვლის საშუალება და ღირებულების საზომი ერთეული. მაგ., „ოქროსმოსილი ქანაობდა ზედ ასი ფოჩი და თითო ფოჩი ასი ხარი ეღირებოდა" („ილიადა" II.449); ზევსმა გლავკოსს ჭკუა წაართვა: „ოქროს აბჯარი რვალისაში გააცვლევინა – ასზროხიანი ტიდიდს მისცა ცხრაზროხიანში" („ილიადა" VI.234–236). ღირებულების საზომი ერთეული ასევე ჰყოფილა რვალისა (ბრინჯაოსა) და რკინის გარკვეული წონის ნაჭრები. აქაველებმა (ელინებმა) ღვინო ლხინისთვის შეიძინეს, ზოგი – რვალ-სპილენძით, ზოგი – რკინით, ზოგი – ხარის ტყავით, ზოგი – მოზვერით, ზოგი – ტყვე მონებით („ილიადა" VII.471–475).

„ილიადაში" აისახა პელასგურ და ელინურ ტომთა დაპირისპირება მცირე აზიის ადრეული კოლონიზაციის პერიოდში. მასში მოთხრობილია ამბები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ჩრდილოეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ელინური ტომების ჩამოსახლებისა და ეგეოსისზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის უფრო მაღალი კულტურის მატარებელ ტომებთან ბრძოლების შესახებ. ელინურმა ტომებმა მოახდინეს ადგილობრივი მოსახლეობის სრული ასიმილაცია, ამ უძველესი ცივილიზაციის ათვისება და შემდგომი განვითარება.

დასკვნა

წერითი სისტემა არის ეკონომიკური, პოლიტიკური, ინსტიტუციური და რელიგიური ორგანიზაციების მართვა-გამგეობის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელთა გამოყენებით ადამიანთა შორის მყარდება გარკვეული ურთიერთობები მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოების პროცესში და რითაც ისინი გადასცემენ ერთმანეთს გარკვეულ ინფორმაციასა და იდეებს აღნიშნულ სფეროში მათი მიღწევების შესახებ. წერითი სისტემა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, კომუნიკაციისა თუ ინფორმაციის გაცვლის სახეობა, თავდაპირველად გაჩნდა საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა-დახვეწისა და საქონლის დათვლა-აღრიცხვის საჭიროების გამო, რაც ცივილიზაციის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

PECULIARITIES OF PUBLIC INVESTMENTS IN GEORGIA

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 10, 2026
Published: February 12, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-20

Niko Chikhladze
Doctor of Economic Sciences,
Professor at Akaki Tsereteli State University,
Professor at Central University of Europe
https://orcid.org/0000-0002-2878-1836
e-mail: nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

Mirza Khidasheli
Doctor of Business Administration,
Professor at Central University of Europe
https://orcid.org/0000-0002-7682-8109
e-mail: mirza.khidasheli @ cue .edu.ge

ABSTRACT

State investments play a significant role in the economic development of small and transition-type countries such as Georgia. They perform a stimulatory function within the framework of state fiscal policy, exerting a positive impact on business development, job creation, the growth of budgetary revenues, and GDP expansion. Attracting investments to individual territorial units of the country is associated with substantial difficulties. Therefore, public infrastructure investments assume a particularly important role in shaping the investment environment (climate) and in fostering business development in regions and territorial units. For this purpose, in recent decades the state has appropriately employed the well-established principle of outsourcing. This, in turn, contributes to the formation of added value in territorial units, the creation of employment opportunities, and the growth of budgetary revenues, which positively affects their socio-economic development and the improvement of the population's standard and quality of living.

The paper examines and analyzes the key aspects that determine the role of public infrastructure investments, including in the territorial dimension (municipalities of Georgia). The main challenges are identified, and, based on the research, generalized conclusions and recommendations are formulated.

The authors argue that the selection and prioritization of state investments should be realistic and aligned with territorial development strategies. In the implementation of public investments, it is necessary to take into account competitiveness, sustainable development, innovativeness, job creation potential, equity, and environmental protection considerations. Given the importance of infrastructure investments, it becomes necessary to introduce appropriate amendments to budgetary legislation, ensure a clear delineation of competences between central, regional, and local authorities, and minimize duplication, thereby increasing efficiency.

The research primarily employs methods of comparative analysis and synthesis, statistical observation, a systems-based approach, and other analytical methods.

The informational base of the study consists of analytical materials and reports of the National Statistics Office of Georgia, as well as strategic documents, laws, and regulatory acts; scholarly works published by Georgian and foreign authors; and the official websites of relevant ministries, agencies, and municipalities of Georgia.

Keywords: *State investment; Infrastructure; Project; GDP; Municipality; Region*

REFERENCES:

1. Dolidze, N. (2014). New Public Management Reform Features Developing In countries . Tbilisi: GIPA. URL: https://gipa.ge/uploads/files/npm%20in%20developing%20countries.pdf (In Georgian)

2. Kldiashvili, P., & Kamladze, R. (2021) Problems of assessing the socio-economic effectiveness of municipal investment projects in Georgia. *Economic Profile,* No. 1(21), pp. 124–312. DOI : https://doi.org/10.52244/ ep.2021.21.13

3. Rusadze, N., Chikhladze, N., & Ipshiradze, A. (2022) Economic Factors of Implementing New Public Management in Georgia (Context of Municipal Infrastructure). *Akaki Tsereteli State University Bulletin.* N2(20). pp. 341-357. URL: https://moambe.atsu.edu.ge/ge/article/421

4. Georgia Development Strategy: Vision 2030. p.153. URL: https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf

5. Resolution of the Government of Georgia on Approval of the Investment/Capital Project Management Methodology (№65, 16.02.2023) URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5724007?publication=0

6. Resolution of the Kutaisi Municipality Council on the Approval of the Budget of the City of Kutaisi Municipality (N3, 24.12.2025, URL: https://matsne.gov.ge/document/view/6697241?publication=0)

7. Chikhladze, N. (2025) State Infrastructure Investments Role Georgia Municipalities In development (In the book:"Economic Science And Georgia Economics") , pp. 387-396. Tbilisi, " Universal".

8. Chikhladze,N., & Rusadze, N. (2015) The role of budget investments in the socio-economic development of the region. *Business Engineering. N3, 2015* URL: https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SWUtLSUszbkh6VFE/view?pref=2&pli=1 C v. 152-156;

9. Overview of Investment/Capital Projects for 2025-2028. Ministry of Finance of Georgia. URL: https://mof.ge/ka/fl/sainvestitsio_proektebis_martva_PIM_?page=1

10. Danaj E., & Reçi L. (2024) Public investment, economic growth and efficiency . *AGORA International Journal of Juridical Sciences* . 18(1):153-164 . URL: http://dx.doi.org/10.15837/aijjs.v18i1.6752

11. Gaspar, V., Mauro, P., Pattillo, C., & Espinoza, R. (2020) Public Investment for the Recovery. IMF Blog. URL: https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2020/10/05/blog-public-investment-for-the-recovery

12. OECD (2016). Integrity in public investment for sustainable economic growth. OECD-library: URL: https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264251762-3-en.pdf?expires=1621269728&id=id&accname=guest&checksum=1D33660CFBF863D8A17FBF9B99657330

13. Public investment and infrastructure. OECD, 2024 . URL: https://www.oecd.org/en/topics/public-investment-and-infrastructure.html

14. Vammalle, C. , & Bambalaite, I. (2021) Funding and financing of local government public investment: A framework and application to five OECD countries. *OECD WORKING PAPERS ON FISCAL FEDERALISM,* No. 34. URL: https://www.oecd.org/en/publications/funding-and-financing-of-local-government-public-investment_162d8285-en.html

15. McConnell , C., & Brue C. (2000) Economics. T.1., "Infra-M", M., ст.89.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ინვესტიციების თავისებურებები საქართველოში

ნიკო ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ევროპის ცენტრალური
უნივერსიტეტის პროფესორი,
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

მირზა ხიდაშელი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის
პროფესორი,
mirza.khidasheli@cue.edu.ge

აბსტრაქტი

სახელმწიფო ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი მცირე და გარდამავალი ტიპის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში, როგორიც საქართველოა. ისინი მასტიმულირებელ ფუნქციას ასრულებენ სახელმწიფოს მიერ ფისკალური პოლიტიკის გატარების პროცესში, რაც პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, საბიუჯეტო შემოსავლების და მშპ-ის ზრდაზე. ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდება. ამიტომ, სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ საინვესტიციო გარემოს (კლიმატის) ჩამოყალიბებაში, რეგიონებსა და ტერიტორიულ ერთეულებში ბიზნესის განვითარებაში. ამისთვის, ბოლო ათწლეულებში, სახელმწიფო მართებულად იყენებს გარე კონტრაქტირების აპრობირებულ პრინციპს. აღნიშნული განაპირობებს ტერიტორიულ ერთეულებში დამატებული ღირებულების ფორმირების ხელშეწყობას, სამუშაო ადგილების შექმნას, საბიუჯეტო შემოსულობების ზრდას, რაც პოზიტიურად აისახება მათ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხის ამაღლებაზე.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ინვესტიციების როლის განმსაზღვრელი უმთავრესი ასპექტები, მათ შორის ტერიტორიულ ჭრილში (საქართველოს მუნიციპალიტეტები), გამოკვეთილია ძირითადი გამოწვევები, კვლევის საფუძველზე განზოგადებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

ავტორები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ინვესტიციების არჩევანი და მიმართულებები უნდა იყოს რეალისტური და დაუკავშირდეს ტერიტორიის განვითარების სტრატეგიას. სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებისას აუცილებელია კონკურენტუნარიანობის, მდგრადი განვითარების, ინოვაციურობის, სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალის, თანასწორობისა და გარემოს დაცვის ასპექტების გათვალისწინება. ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მნიშვნელობის გათვალისწინებით საჭირო ხდება საბიუჯეტო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, დუბლირების მინიმუმამდე დაყვანა, რაც გაზრდის ეფექტიანობას.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებულია შედარებითი ანალიზისა და სინთეზის, სტატისტიკური დაკვირვების, სისტემური მიდგომის და სხვა მეთოდები.

კვლევის საინფორმაციო ბაზას ქმნის საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანალიტიკური მასალები, ანგარიშები, აგრეთვე სტრატეგიული დოკუმენტები, კანონები და ნორმატიული აქტები, ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, საქართველოს პროფილური სამინისტროების, უწყებების და მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდები.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო ინვესტიცია; ინფრასტრუქტურა; პროექტი; მშპ; მუნიციპალიტეტი; რეგიონი*

INTRODUCTION

The management of economic activity by the state constitutes one of its core functions and, unlike the private sector, is not voluntary but mandatory in nature (McConnell & Brue, 2000).

The implementation of economic activity by the state, particularly in its investment component, is almost always associated with the creation of value added and therefore contributes to the formation of the country's gross domestic product. In the process of implementing such investments, the primary criterion is the maximization of benefits for society.

The specificity of state investments is determined by such aspects as: the use of budgetary resources by the state for the implementation of investment programs and projects; a high degree of property independence of the state as an investor; and orientation not toward profit, but toward achieving positive socio-economic and political outcomes.

MAIN PART

State investments represent one of the most powerful instruments for economic development. In the investment process, the state must reconcile public and societal interests, creating conditions and guarantees for their realization.

According to one approach, state investments are expenditures incurred by the government that contribute to the stock of physical capital (tangible assets, property excluding land, buildings and structures, machinery, transport equipment) and intangible assets (OECD, 2016).

Governments employ public investments to address various challenges over time, including global issues (climate change), local problems, periods of economic downturn, diverse demographic trends, rapid urbanization, and adaptation to new technologies. Public investments are an integral component of economic and social well-being and contribute to the formation of national capital stock. Allocating resources to core infrastructure, education, research, and development leads to increased productivity and improved living standards (Danaj & Reçi, 2024).

In OECD countries, the majority of public investments are implemented at the local level, accounting on average for 41% of total public investment. Most studies on subnational government debt focus on regional or state levels, while very few analyze public investments undertaken specifically by local governments (Vammalle & Bambalaite, 2021).

Local governments play a significant role in public investment, particularly in large-scale infrastructure projects essential for economic development and welfare. Across the OECD, local governments account on average for nearly 60% of total public investment. When well managed, public investment becomes a catalyst for regional and urban growth and development. A place-based approach to investment, supported by effective multi-level governance systems, enables countries to maximize investment efficiency and support regional development (OECD, 2024).

Public investments also play a critical role in facilitating recovery from crises and economic collapse. Some studies conducted during the COVID-19 period demonstrated that increasing public investment by 1% of GDP could strengthen confidence in recovery and raise GDP by 2.7%, private investment by 10%, and employment by 1.2% (Gaspar et al., 2020).

The annex of capital projects attached to the Law of Georgia "On the State Budget of Georgia for 2025" includes 75 capital projects, with a total allocation exceeding GEL 4.2 billion in 2025, while the cumulative cost of projects through 2028 exceeds GEL 38.0 billion. More than 92% of the total value of these projects consists of ongoing projects, primarily implemented by the Ministry of Infrastructure (Ministry of Finance of Georgia).

Notably, in the medium-term period (2025–2028), the total cost of new projects (11 projects) amounts to GEL 4,174 million, of which budgetary resources constitute GEL 2,629 million (62.9%). In 2025 alone, GEL 360 million is allocated for these projects, representing 63.7% of the total amount.

The state recognizes infrastructure development as a priority, including the promotion of municipal infrastructure development. Specifically, the national development strategy emphasizes the necessity of constructing and rehabilitating basic, educational, sports, and tourism infrastructure as a prerequisite for strengthening the economic, social, cultural, infrastructural, and institutional capacities of self-governing units (Strategy 2030).

Among the priorities of the Ministry of Infrastructure of Georgia for 2025 are: water supply, education, tourism, roads, and municipal infrastructure (see table 1).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Table 1. Budgetary Allocation of the Ministry of Infrastructure's 2025 Priorities by Share of Activities (%) (Total budget 2926 million GEL)

Sector / Area	Share of Total (%)
Water supply	18
Education	3
Tourism	1
Roads	65
Municipal infrastructure	14

Source: Compiled by the authors based on data from (www.moi.gov.ge)

As shown in Table 1, nearly two-thirds of the budget is allocated to roads (65%). Other major components include water supply (18%) and municipal infrastructure (14%).

An analysis of investments in fixed assets in Georgia is also important. In this regard, the public sector exhibits the lowest share: in 2023 it accounted for only 13%, declining to 8.6% according to 2024 results (see Table 2).

Table 2. Distribution of Investments in Fixed Assets by Sector (%), 2024

Sector	Business Sector	Industry
Private (domestic)	68.0	67.6
Private (foreign)	23.4	24.2
Public	8.6	8.2

Source: Compiled by the authors based on data from the National Statistics Office of Georgia

Figure 1. Regional Distribution of Public Investment in Fixed Assets (%), 2024



Source: Compiled by the authors based on data from the National Statistics Office of Georgia

At the same time, a pronounced asymmetry is observed in the regional distribution of public investment in fixed assets (see Figure 1). Specifically, 68% of total public investment in fixed assets is concentrated in Tbilisi, 7% in Adjara AR, 5% in Kvemo Kartli, and 20% across the remaining nine regions (business sector data).

A variable dynamic is also observed in the share of the public sector in total fixed asset investment, driven by similar dynamics in public investment in fixed assets during the period under review (see Figure 2).

Figure 2. Dynamics of the Public Sector Share in Fixed Asset Investment in Industry and the Business Sector, 2012–2024 (%)



Source: Compiled by the authors based on data from the National Statistics Office of Georgia

Constraints on the financial capacity of budgets at all levels, combined with the presence of private sector potential, create objective opportunities for integration between the public and private sectors, particularly in the implementation of infrastructure projects. In turn, the successful realization of infrastructure projects serves as a prerequisite for the socio-economic development of the country and its regions (Rusadze et al., 2022).

Over the past two decades, Georgia has actively applied outsourcing principles to promote cooperation with the private sector, especially in infrastructure activities (Chikhladze & Rusadze, 2015). As a result, the scale of the public sector changes under the influence of economic policy priorities, external economic conditions, phases of economic development, and other factors.

Georgian scholars, when characterizing the advantages of contracting with the private sector, note that this alternative mode of service delivery is cheaper, less costly, more flexible, and more adaptable to the environment. As a contracting authority, the state can select a contractor with specialized experience and skills in a particular field, employing professionals with

Table 3. Quantitative Analysis of Infrastructure Projects Implemented in Kutaisi Municipality, 2020–2024

Indicator	2020	2021	2022	2023	2024
Number of completed works/projects	102	75	136	97	66
Number of economic entities	65	51	80	52	43
Average per entity (units)	1.6	1.5	1.7	1.9	1.5
Total expenditure (thousand GEL)	19,370.2	13,035.3	39,888.1	24,358.9	44,981.7
Expenditure per project/work (thousand GEL)	189.9	173.8	293.3	251.1	681.5
Expenditure per entity (thousand GEL)	298.0	255.6	498.6	468.4	1,046.1

Source: Compiled by the authors. Datas from the Infrastructure Service of Kutaisi Municipality City Hall.

relevant expertise (Dolidze, 2014).

As noted above, one of the most effective tools for supporting the private sector and business is the application of outsourcing principles. Given the scale involved, this primarily concerns the implementation of infrastructure activities at the municipal level.

The analysis demonstrates that the share of state investments in the budget is relatively high, driven by the implementation of infrastructure projects and the recognition of this direction as a long-term development priority. Accordingly, the share of infrastructure expenditures in the budget is also substantial.

Infrastructure projects play a significant role in urban economic development and the creation of value added. During 2020–2024, 476 infrastructure works/projects were implemented through state investment by 291 economic entities. On average, one economic entity performed 1.5–1.9 works/projects (see table3).

During the period under review, the average expenditure per project (work) varied considerably. It was lowest in 2021 (GEL 173.8 thousand) and highest—four times greater—in 2024 (GEL 681.5 thousand), due to the implementation of larger-scale works financed by GEL 18.5 million transferred from the central budget for disaster recovery.

A similar pattern is observed for average expenditure per economic entity: it was minimal in 2021 (GEL 255.6 thousand) and maximal in 2024 (GEL 1,046.1 thousand) (Chikhladze, 2025).

Over the analyzed period, average expenditure per project amounted to GEL 297.6 thousand, while average expenditure per entity reached GEL 486.7 thousand. All projects implemented during the period were classified as small-scale, i.e., with a value below GEL 5 million (Government Decree, 2023).

Under the initial version of the 2026 budget, GEL 1,739 million is allocated to infrastructure projects, accounting for 15.4% of total expenditures. A sharp increase in these allocations is expected over the three-year period (see Figure 3).

Figure 3. Allocations for Infrastructure Projects in the Kutaisi Municipality Budget, 2026–2029 (million Gel)



Source: Compiled by the authors based on the 2026 budget of Kutaisi Municipality.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Under conditions of high financial centralization, the primary source of funding for infrastructure projects implemented in Kutaisi Municipality is the central budget. Specifically, only 26% of projects are financed from the local budget, while more than one-third (35%) are funded through the Regional Development Projects Fund.

CONCLUSION

The study demonstrates that the selection and orientation of state investments must be realistic and aligned with territorial development strategies. Through the implementation of large-scale investment projects, the state aims to increase production volumes and value added, foster innovative technologies, and support intellectual potential. In implementing state investments, it is essential to consider competitiveness, sustainability/sustainable development, innovation, job creation potential, equity, and environmental protection. The implementation process should be inclusive, open, and transparent, with plans, expenditures, and outcomes subject to a certain degree of public oversight.

Given the high public significance of state investments, it would be appropriate for budgetary legislation to define the concept of "state investment." Current legislation distinguishes only between "foreign" and "domestic" investment.

Clear delineation of powers among central, regional, and local authorities, minimization of duplication, and reduction of administrative barriers and burdens would enhance efficiency and effectiveness. In addition, information on state investments should be partially processed with the involvement of the National Statistics Office of Georgia and published on its official website.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

CULTURAL RESOURCE MANAGEMENT STRATEGY IN GEORGIA WITHIN THE FRAMEWORK OF ECONOMIC OPTIMIZATION PRINCIPLES

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 11, 2026
Published: February 10, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-27

Ketevan Akhobadze
National Academy of Sciences of Georgia
Doctor of Social Sciences (PhD)
Expert in the field of culture and art accredited
by the National Academy of Sciences of Georgia
ORCID: 0000-0003-0534-9124
E-mail: akhobadze21@gmail.com

ABSTRACT

The paper examines the strategy for managing resources in the cultural sector in Georgia within the framework of economic optimization principles. The author addresses issues that clearly demonstrate that governance of the cultural sector in Georgia represents a rather complex and multi-layered process.

It is well known that Georgian art, and Georgian culture as a whole, grounded in its cultural heritage, constitutes a unique phenomenon that requires no further validation. Due to its national distinctiveness and authenticity, it attracts the attention not only of professional specialists but also of tourists. Georgia is rich in cultural heritage monuments protected by the state. In essence, these assets also represent the country's cultural and historical resources, which, alongside preservation, require effective and well-structured management for the development of the cultural sector – a process that, at the present stage, remains partially problematic across various dimensions.

It is essential to consider natural and cultural-historical resources as the core of an integrated development ecosystem, around which long-term, innovative, and sustainable strategies can be formulated.

In the regional context, the importance of natural and cultural-historical resources is clearly manifested and reflected in Georgia's socio-economic reality.

Some regions of the country, particularly mountainous, border, and demographically declining territories, experience a deficit of economic diversification, a shortage of employment opportunities, and migration pressure.

Under such conditions, cultural heritage, historical monuments, traditional crafts, folklore, natural landscapes, and agro-cultural practices can be transformed into resources around which a sustainable model of local development can be built.

In Georgia, regions such as Svaneti, Kakheti, Racha, or Samtskhe-Javakheti, among others, should, in principle, build their competitive advantage precisely on the basis of natural and cultural-historical resources. However, the full realization of this potential requires such a systemic policy that considers culture not only as a tourism product, but also transforms it into a strategic asset of development.

This represents the correct approach. An ***integrated policy vision, multisectoral coordination, and partnership*** *constitute a guarantee for ensuring sustainable regional development, social stability, and competitiveness.*

Historical and cultural potential, encompassing both tangible and intangible heritage, reflects the pathways of civilization formation and development over millennia. It represents one of the most significant tourism resources for any country. However, only in developed countries (such as the United States, the United Kingdom, France, Italy, and others), where such resources are abundant and highly valuable, are cultural resources integrated holistically across sectors as indicators of societal achievement and actively leveraged through effective management approaches, including their utilization for revenue generation.

Keywords*: Keywords: culture, art, cultural policy, cultural resources, management.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REFERENCES:

1. Fingarette, Herbert (2004). Mapping Responsibility: Explorations in Mind, Law, Myth, and Culture. Open Court. ISBN 0-8126-9564-X.

2. Lobjanidze G., Kartozia K., "Actual Aspects of Georgian Ethnocultural Heritage Economics in the Context of Global Trends". p. 55-62; ISSN 1512-4649(Print) ISSN 2667-9752(Online) (in Georg.) https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2025_gascorebuli-2.pdf

3. Ministry of Culture of Georgia. (2020). Cultural Resource Management Strategy in Georgia. Tbilisi: Ministry of Culture of Georgia. https://www.culturalpolicies.net/wp-content/uploads/2022/12/Georgia_short_112022.pdf

4. National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. (2023). Cultural heritage sites registry. Tbilisi.

5. https://memkvidreoba.gov.ge

6. National Statistical Service of Georgia (Geostat). (2024). Regional Gross Domestic Product, 2024. Tbilisi: National Statistics Office of Georgia.

7. https://geostat.ge/media/76104/Regional-Gross-Domestic-Product--2024.pdf

8. The role of NGOs in implementation of the Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage/ https://ich.unesco.org/en/events/the-role-of-ngos-in-implementation-of-the-convention-for-the-safeguarding-of-the-intangible-cultural-heritage-00139

9. Recommendations adopted by the World Conference on Cultural Policies (Mexico City, 26 July-6 August 1982) and the World Tourism Meeting (Acapulco, 21-27 August 1982. /https://whc.unesco.org/en/documents/966

10. The Role of NGOs in Protecting and Preserving Cultural Heritage in the EU: The Case of Slovenia-Austria Cross-Border Program/ https://ideas.repec.org/h/ito/pchaps/270702.html

11. Todua N., Danelia L., "The Impact Of Social Media on Tourists Satisfaction (A Study Using the Stimulus-Organism-Response Model" N1 (76) 2025, Vol. 20, Issue 1.; p. 45-59; ISSN 1512-4649(Print) ISSN 2667-9752(Online); (in Georg.) https://neweconomist.com.ge/media/documents/01-2025-17.04.2025.pdf

12. World Culture Project/ A Catalyst for Global Culture Change/ https://www.peopleareculture.com/culture-change/

13. Public-private partnership in the cultural sector: A comparative analysis of European models. By Elena Borin. 2017. DOI:10.3726/b11769. ISBN: 9782807604070/ https://www.researchgate.net/publication/321212176_Publicprivate_partnership_in_the_cultural_sector_A_comparative_analysis_of_European_models

14. The Public Private Partnership in the Cultural Sector. By Carolin Huth./

15. https://www.academia.edu/31733695/The_Public_Private_Partnership_in_the_Cultural_Sector

16. https://www.undp.org/georgia/publications/public-private-partnerships-georgia

17. https://culture.ec.europa.eu/cultural-heritage/initiatives-and-success-stories/european-heritage-label

18. https://eu4georgia.eu/culture-direction/

19. European Commission. (2010). Green Paper: Unlocking the potential of cultural and creative industries. Brussels: EC Publishing// https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1762334154&tld=ru&lang=en&name=CEDC-Contribution-ICC-Green-Paper-28.7.2010-final.pdf&text https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1762334316&tld=ru&lang=en&name=cultural-economy_en.pdf

20. Throsby, D. (2001). Economics and culture. Cambridge University Press. https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1762334551&tld=ru&lang=ru&name=987927002.pdf

21. UNESCO. (2013). Creative Economy Report: Widening local development pathways. Paris: UNESCO/Publishing//https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1762334671&tld=ru&lang=en&name=creative-economy-report UNESCO_2013.pdf

22. UNESCO. (2015). Re|Shaping Cultural Policies: A decade of monitoring the 2005 Convention. UNESCO publishing // https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pdf0000240262

23. UNESCO. (2022). Culture and sustainable development: Policy recommendations. UNESCO Cultural Policies Series.// https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1762334965&tld=ru&lang=en&name=Tracker22EN.pdf&text

24. UNESCO. (n.d.). Upper Svaneti (World Heritage List). Paris: UNESCO World Heritage Centre.

25. https://whc.unesco.org

26. World Bank. (2017). Culture and sustainable tourism: A policy toolkit. Washington, DC: The World Bank/https://docs.yandex.ru/docs/view?tm=1762335100&tld=ru&lang=en&name=119954-WP-PUBLIC-SustainableTourismDevelopment.pdf&text

27. Akhobadze ketevan, 2018. State and Cultural Police. Tbilisi. 210 p. (in Georgian).

P.S. Some sources were searched using data from the AI platform ChatGPT, which has been verified by the author.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კულტურის სფეროს რესურსების მართვის სტრატეგია საქართველოში ეკონომიკური ოპტიმიზაციის პრინციპების ჩარჩოში

ქეთევან ახობაძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (PhD)
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ
აკრედიტებული ექსპერტი კულტურის და ხელოვნების სფეროში
ORCID: 0000-0003-0534-9124
E-mail: akhobadze21@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კულტურის სფეროს რესურსების მართვის სტრატეგია საქართველოში ეკონომიკური ოპტიმიზაციის პრინციპების ჩარჩოში. ავტორი განიხილავს საკითხებს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ კულტურის სფეროს მართვა საქართველოში, საკმად რთული და მრავალშრიანი პროცესია.

ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ქართული ხელოვნება, მთლიანად ქართული კულტურა, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობით - უნიკალური ფენომენია და ამას მტკიცება არ სჭირდება. თავისი ეროვნული უნიკალურობით, ავთენტურიბით, ის, მარტო პროფესიონალი სპეციალისტების კი არა, ტურისტების ყურადღებასაც იპყრობს.

საქართველოში უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელსაც სახელმწიფო იცავს. თავისთავად, ის ქვეყნის ბუნებრივ და კულტურულ-ისტორიულ რესურსაც წარმოადგენს, რომელსაც დაცვასთან ერთად, სწორი მართვაც სჭირდება კულტურის სფეროს განვითარებისათვის, რომელიც დღევანდელ ეტაპზე, გარკვეულწილად, სხვადასხვა მიმართულებით, მაინც პრობლემატურია.

აუცილებელია ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსები განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული განვითარების ეკოსისტემის ბირთვი, რომლის ირგვლივ გრძელვადიანი, ინოვაციური და მდგრადი სტრატეგიები შეიძლება ჩამოყალიბდეს.

რეგიონულ ჭრილში ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების მნიშვნელობა ნათლად იკვეთება, აისახება - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ რეალობაში.

ქვეყნის რეგიონების ნაწილი, განსაკუთრებით, მთიანი, სასაზღვრო და დემოგრაფიულად კლებადი ტერიტორიები, ეკონომიკური დივერსიფიკაციის დეფიციტს, სამუშაო ადგილების სიმცირეს და მიგრაციულ წნეხს გამიცდის.

ასეთ პირობებში, კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიული ძაგლები, ტრადიციული რეწვა, ფოლკლორი, ბუნებრივი ლანდშაფტები და აგრო-კულტურული პრაქტიკები, შეგვიძლია ისეთ რესურსად ვაქციოთ, რომლის გარშემოც - ადგილობრივი განვითარების მდგრადი მოდელი აშენდეს.

საქართველოში, წესით, ისეთი რეგიონები, როგორიცაა თუნდაც სვანეთი, კახეთი, რაჭა ან სამცხე-ჯავახეთი და ა.შ., საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას, სწორედ ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების ბაზაზე უნდა აყალიბებდნენ, მაგრამ ამ პოტენციალის სრული რეალიზაციაისეთ სისტემურ პოლიტიკას მოითხოვს, რომელიც კულტურას მხოლოდ ტურისტულ პროდუქტად კი არ განიხილავს, არამედ განვითარების სტრატეგიულ აქტივად აქცევს.

ეს არის სწორი მიდგომა. ***ინტეგრირებული პოლიტიკური ხედვა, მრავალსექტორული კოორდინაცია და პარტნიორობა*** *- რეგიონის მდგრადი განვითარების, სოციალური სტაბილურობის, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის გარანტია.*

ისტორიულ-კულტურული პოტენციალი, მატერიალური და სულიერი ძეგლები ათასწლეულების მანძილზე, ცივილიზაციათა ფორმირების და განვითარების გზას გამოხატავს. ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული რესურსიცაა ყველა ქვეყნისათვის, მაგრამ მხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.), იქ სადაც ასეთი რესურსი უხვია და ღირებული, სადაც კულტურის რესურსები, მთლიანობაში ყველა მიმართულებით, საზოგადოების მიღწევებს წარმოგვიდგენენ და სადაც, ის აქტიურად, მართვის სწორი მიდგომებით გამოიყენება და თანაც, მოგების მისაღებად.

საკვანძო სიტყვები: *კულტურა, ხელოვნება, კულტურის პოლიტიკა, კულტურის რესურსები, მართვა*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

მოგეხსენებათ, კულტურა როგორც სოციალური ინსტიტუტი - თავისი თანამედროვე პირობებით, მოქალაქეების ცხოვრების ხარისხზე ზემოქმედებს. მსოფლიომ, კულტურა სწორედაც რომ, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად აღიარა, რომლის გარეშეც ხარისხიანი საარსებო გარემოს შექმნა შეუძლებელია. ამ გარემოში კი ადამიანი, გარდა სოციალური გარანტიებისა, ყოფითობის ნაწილია.

საზოგადოების სოციალური განვითარება, სახელმწიფოსაგან კულტურის სფეროში გარკვეული მიდგომების გამომუშავებას ითხოვს, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს. ეს განვითარება, ასევე, სხვადასხვა დარგთან და ქვედარგთან კულტურის კავშირს და შერწყმას ითხოვს.

ამ საკითხებზე ზრუნვა განსაკუთრებით გაძლიერდა XX ს-ის 80-იანი წლებში, როდესაც მეხიკოს 1982 წლის მსოფლიო კონფერენცია მთლიანად კულტურის პოლიტიკას მიეძღვნა. ამ ღონისძიებით, შეკრებილმა ხელმძღვანელობამ მსოფლიოს თავისი ფორმულა-გზავნილი უკარნახა: „კულტურა ფუნდამენტური ელემენტია ყველა ადამიანის და ყველა საზოგადოების ცხოვრებაში“[1].

მიღებულ დადგენილებებზე დაყრდნობით, გაერომ (UN) მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1988-1997 წლებში კულტურის მსოფლიო განვითარების დეკადა ჩაეტარებინა, რათა კულტურული ფასეულობების განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი და აუცილებელი მექანიზმების გაცნობიერება მომხდარიყო[2].

სწორედ 80-იანი წლებიდან დაიწყო მართვის ახალი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც დეცენტრალიზაციის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ეს მოდელი, ხელისუფლებას და რეგიონებს შორის, თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა.

ძირითადი ნაწილი

კულტურის სფეროს განვითარებამ ამჟამინდელ დრო-სივრცულ განზომილებამდე საკმაოდ რთული გზა გაიარა.

„1985 წელს ევროკავშირმა მიიღო და მხარი დაუჭირა პროგრამას - „ევროპის კულტურის დედაქალაქი“. ეს პროგრამა საზოგადოების განვითარებისათვის სტიმული გახდა - კულტურის რესურსების მეშვეობით, ახალი მიდგომები ჩამოყალიბებულიყო“[3]. ამ პროგრამის მიხედვით, ყოველ წელს ახალი „კულტურის დედაქლაქის „არჩევა - კულტურის რსურსის გასააქტიურებლად ხდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ 1980-90-იან წლებში, კულტურის პოლიტიკისადმი მიდგომების ახალმა ინსტრუმენტებმა, ახალმა აზროვნებამ იჩინა თავი და დაიწყო ჩასახვა.

ამჯერად, მსურს თქვენი ყურადღება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე შევაჩერო, რომელიც მარტო კულტურის სფეროს პრობლემატიკას არ ქმნის, არამედ ჩვენი ყოფითობის ხარისხს რაღაც კუთხით განსაზღვრავს და მასზე ზემოქმედებს. ეს არის - კულტურის რესურსების მართვის საკითხი საქართველოში, რადგან საკითხის განხილვისას ჩნდება უამრავი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს: არსებობს თუ არა კულტურის სფეროს რესურსების მართვის სტრატეგია საქართველოში?

ჩემს მიერ ამ საინტერესო და მნიშვნელოვანი თემის წამოწევა განაპირობა იმან, რომ საქართველოში კულტურის რესურსების მართვა, ჯერ კიდევ, არაერთი გამოწვევის წინაშე დგას და ის, მრავალი ასპექტის გააზრებას მოითხოვს.

მოძიებული ინფორმაზიაზე დაყრდნობით და არსებული მონაცემებით მიღებულმა შედეგმა დამარწმუნა, რომ ჩვენს ქვეყანაში კულტურის სფეროს რესურსების მართვის სტრატეგია, სამწუხაროდ, კვლავ გახლეჩილია და ერთიანი სისტემური მიდგომა არ არსებობს, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრო ყოველწლიურად სხვადასხვა პროექტს ახორციელებს, რომელიც კულტურის განვითარების და მისი რესურსების მართვის საკითხებს ეხება. ამ პროცესებში, პოზიტიურ შედეგებთან ერთად, გარკვეული ნაკლოვანებები შეინიშნება.

1 Recommendations adopted by the World Conference on Cultural Policies (Mexico City, 26 July-6 August 1982) and the World Tourism Meeting (Acapulco, 21-27 August 1982. /https://whc.unesco.org/en/documents/966

2 World Culture Project/ A Catalyst for Global Culture Change/ https://www.peopleareculture.com/culture-change/

3 ახობაძე, 2018, გვ.67

N1 (80) 2026, Vol. 21, Issue 1.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, კულტურის სფეროში პერიოდულად სტრატეგიის შემუშავება არაერთგვაროვნად ხდება. რეალურად, ყველაზე ეფექტური გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც ყველა დონეზე ინტეგრირებულად იმუშავებდა, ნაკლებად განხორციელებულა. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს კულტურის პოლიტიკის 2016 წლის 1 ივლისს (N303 დადგენილება) მიღებული დოკუმენტი - "კულტურის სტრატეგია 2025", მიუხედავად მრავალი ხარვეზებისა[1].

ბოლო წლებში კულტურის სამინისტრო კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარებისათვის, მოთხოვნების მიხედვით შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებას ცდილობს, მაგრამ მაინც, მათი ეფექტურობა და გრძელვადიანი სტრატეგიული გავლენა კვლავ მტკივნეულ თემად რჩება.

მაინც რაში ვლინდება ეს გამოწვევები, თუ ჩავღრმავდებით, ორ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ვხედავ: ფინანსური რესურსების და მხარდაჭერა-განხორციელების მექანიზმების თვალსაზრისით.

მთავარი გამოწვევა კულტურის სფეროს უმცირესი ბიუჯეტია, რომელიც ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად იქცა, რადგან მკაფიო განმარტება და გააზრება, თუ როგორ უნდა იყოს სახელმწიფო რესურსები განაწილებული - არასრულყოფილია, გაუცნობიერებულია ბოლომდე. ჩემი თვალსაზრისით, მეორე დილემაა: რამდენად სათანადოდ არიან დასაქმებული კულტურის სფეროს მუშაკები, სახელმწიფო რა ტიპის დახმარებას უწევს მათ.

ამავე დროს კი საქართველო, როგორც კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით მდიდარი ქვეყანა, ბოლომდე ვერ არის აქტიური - გამოიყენოს კულტურის რესურსები ტურიზმის სფეროში. ამიტომაა დამატებითი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც არა მხოლოდ ტურიზმს, არამედ ზოგადად, კულტურის სფეროს ცოდნას, სიღრმეებს, გამჭვირვალობას, სწორ მართვას შეეხება. სრულყოფილი კვლევის ჩატარება და მომზადება, სამწუხაროდ, ასეთ სტრატეგიებზე და მის დეტალებზე კონკრეტული მასალების მოძიება რთული და განსხვავებულია. ერთ-ერთი მიზეზი სხვადასხვა უწყებას შორის დარღვეული კოორდინირებაა, ამიტომ, სრული სურათის შესაქმნელად, როგორ ვითარდება სფეროს ინიციატივები, როგორია სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა და თანხვედრა საერთაშორისო გამოცდილებასთან, მათთან ურთიერთობების გაღრმავება, სურათი ბუნდოვანია.

ინფორმაციები გაბნეულია გარდა კულტურის სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტებისა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში, ადგილობრივ კვლევებსა, ონლაინ გამოცემებში და სხვ.

ჩემი თვალსაზრისით, კულტურის სფეროს რესურსების მართვა საქართველოში უნდა განვიხილოთ როგორც კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს და აერთიანებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მონაწილეობის აუცილებლობას. ვფიქრობ, ერთიანი და კარგად დალაგებული სისტემა აქ კვლავ არ არის. თუმცა, ობიექტურები რომ ვიყოთ, გარკვეული თანხმობა არსებობს, თუ ვინ უნდა იყოსა კულტურის სფეროს მართვაში ჩართული, მაგრამ დილემაა - როგორ?!

როგორც ცნობილია, ოფიციალურად, კულტურის რესურსებს ამჟამად, ძირითადად ორი მმართველის ხელშია - საქართველოს მთავრობის (თავის შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად) და საქართველოს კულტურის სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელია არა მარტო კულტურის პოლიტიკის შემუშავებაზე, განსაზღვრაზე, პროგრამების და პროექტების დაფინანსების, გრანტების განაწილებაზე, არამედ მისი პირდაპირი ფუნქციაა - კულტურის სფეროში მიმდინარე სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა-ზედამხედველობა.

უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, ამჟამად მთავრობის და კულტურის სამინისტროს ინიციატივები, მათ მიერ განხორციელებული სტრატეგიები რეალურად არსებობს, საზოგადოების და სპეციალისტების ნაწილში ერთმნიშვნელოვანი აზრი არ არსებობს. ბუნდოვანია, როგორ უნდა გაიმიჯნოს კულტურის სფეროსთან მიმართებაში პასუხისმგებლობები და რა როლს ასრულებს ამ დროს კერძო სექტორი.

კულტურის სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია, როგორიცაა მუზეუმი,

1 https://mes.gov.ge/publicInfo/wpcontent/uploads/2013/12/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2025.pdf

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გალერეა, თეატრი, კულტურის ცენტრი და ა.შ., თავისთავად, მის ხელთ არსებული კულტურის რესურსების მართვას თვითონ ახორციელებს.

ასევე, კულტურული ღონისძიებების განხორციელების და ადგილობრივ კულტურის პროექტებზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი, რეგიონალური ხელისუფლებაც, რომელთა როლიც ადგილობრივ დონეზე საქმიანობით შემოიფარგლება. ზოგიერთი ინსტიტუტი და ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად საქმიანობს კულტურის სფეროში, განსაკუთრებით, კულტურული მემკვიდრეობის, სახელოვნებო დარგების, სახვითი ხელოვნების, განათლების მიმართულებით.

საბედნიეროდ, მართალია მცირედ, მაგრამ მაინც დაიწყო სახელმწიფო დონეზე იმის გაცნობიერება, რომ აუცილებელია - სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორების თანაარსებობა, რათა კულტურის რესურსების მართვა მდგრადი და ეფექტური იყოს. თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ იმის გააზრება მოხდა, რომ კულტურის სფეროს მართვა ინტეგრირების გარეშე შეუძლებელია და მიზნად უნდა ისახავდეს არა მარტო ეროვნული კულტურის მხარდაჭერას, არამედ რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. ამისთვის კი კერძო სექტორის და მოქალაქეების აქტიური ჩართვაა საჭირო, რადგან ისინი განვითარების დინამიკის და ინოვაციური მიდგომების უზრუნველყოფას ახდენენ. კულტურის სფერო მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა მუზეუმები, ისტორიული ძეგლები, თეატრები, მუსიკა და არქიტექტურა და ა.შ. ამიტომ, რესურსების მართვის პროცესში პროფესიონალი სპეციალისტების მონაწილეობა აუცილებელია, რომელიც არა მხოლოდ ფინანსურ მხარეს, არამედ კულტურულ და სოციალურ პროექტებს განიხილავს და იმუშავებს. გარკვეული თანხმობისა, საქართველოში კულტურის სფეროს მართვაში გარკვეული გაურკვევლობები მაინც არსებობს, რაც პირველ რიგში, ფინანსების განაწილების თანასწორობის დისბალანში იჩენს თავს და ხშირად იქმნება პრობლემა - რეგიონული კულტურის პროექტების მხარდაჭერის საკითხებზე.

ჩვენ საუკეთესო მაგალითები გვაქვს ევროპული და საერთოდ, საერთაშორისო გამოცდილებების. მათი ახალი მიდგომებზე დაყრდნობით, რომელიც სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ სექტორებს შორის პარტნიორობის გაღრმავებაზეა აგებული, შესაძლებლობა გვექნება, სახელმწიფომ საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმები უფრო ეფექტურად გამოიყენოს. ვგულისხმობ, EU და UNESCO-ს პროექტებს. ეს კი საქართველოს კულტურის სექტორს სტაბილურ ფინანსურ რესურსებს მისცემს.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტრო პასუხისმგებელია მნიშვნელოვან პროექტებზე, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, კულტურის სფეროს ბიუჯეტი მიზერულია განვითარების, ინტეგრაციის, პოპულარიზაციისთვის და ასევე, ყველა სექტორი ერთნაირად უნდა იყოს მხარდაჭერილი. ნათელია, რომ კერძო სექტორის ინვესტიციები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი უფრო გრძელვადიან განვითარებას, ახალ იდეებს და ინვესტიციებს უზრუნველყოფს - საკმარისი არ არის, რადგან კულტურის სფეროს პროექტების განხორციელება დიდ თანხებს ითხოვს, რომელთა დაფინანსება მხოლოდ შიდა რესურსებით - შეუძლებელია. მთავრობას შეუძლია ამ პრობლემატიკის მოგვარება: აითვისოს და გაავრცელოს კერძო სექტორის და ფონდების რესურსები პარტნიორობით, რითაც კულტურის პროგრამების მხარდაჭერას გაზრდის.

ცოტა უფრო რომ გავშალოთ ეს საკითხი, დავინახავთ, რომ საქართველოში კულტურის სფეროს მართვაში არსებული ხარვეზები კარგად გამოკვეთილია. რა თქმა უნდა, ურთიერთობები სხვადასხვა სუბიექტს შორის საკმაოდ არაერთგვაროვანი და ზოგჯერ, გახლეჩილია. თანაც, თითოეული სუბიექტი ცალკ-ცალკე მნიშვნელოვნად მოქმედებს, მაგრამ არასაკმარისად. კოორდინირებული თანამშრომლობა კი უმნიშვნელოვანესია, რათა კულტურის რესურსების მართვა ეფექტური და მდგრადი იყოს. დარგის სპეციალისები, ექსპერტები და "მკვლევრები შეჯერდნენ იმ აზრზე, რომ კულტურის სფეროში პოლიტიკის განხორციელება ან არგანხორციელება არის: „... შეგნებული და გააზრებული ქმედება საზოგადოებაში, რომელიც მიმართულია სხვადასხვა განსაზღვრული კულტურული მიზნების მისაღწევად, რომელშიც ჩართულია და გამოყენებული ყველა სულიერი და ფიზიკური რესურსი, რომელიც იმ განსაზღვრულ

მომენტში გააჩნია სოციუმს და რომელსაც განაგებს იგი"[1] - ხაზგასმული და აღნიშნულია იუნესკოს დოკუმენტებში[2].

ახლა, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ სახელმწიფოს როლი ამ პროცესში. გასაგებია, რომ სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი პასუხისმგებელია კულტურის პოლიტიკის შექმნაზე, ბიუჯეტის განაწილებაზე და კულტურის სფეროს ინსტიტუციების კონტროლსა და მართვაზე. ამ პროცესში, კულტურის სამინისტრო მთავარი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც კულტურის სფეროს სტრატეგიულ განვითარებაზეა პასუხისმგებელი, რომელიც შიდა და საერთაშორისო პროექტების მხარდაჭერას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებს, დაფინანსების მექანიზმების დანერგვა-განხორციელებას მოიცავს. სამინისტრო არა მარტო მართავს კულტურის და ხელოვნების პროექტების დაფინანსებას, არამედ მუზეუმების, თეატრების და სხვა კულტურული ორგანიზაციების მართვაზეცაა პასუხისმგებელი.

რაც შეეხება **ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს,** ისინი რეგიონის კულტურის სფეროს პროექტებზე, **კულტურის ცენტრების მართვაზე და კულტურული აქტივობების განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელნი.** და რაც მთავარია, ადგილობრივ მოსახლეობაში, განსაკუთრების სოფლებისა და პატარა დასახლებებში, კულტურული ღონისძიებების ხელმისაწვდომობას და აქტივობებს - უზრუნველყონ.

იმ ორგანიზაციების, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ორგანოებს წარმოადგენენ, მაგალითად საქართველოს კულტურული მემგვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სახით, **ფუნქციაა** - ისტორიული და კულტურის ძეგლების დაცვა, რეაბილიტაცია. მათი როლი, ძირითადად, კონკრეტული საგანძურის, ძეგლის შენარჩუნების და მათი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრულველყოფაში ვლინდება.

მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობა ზოგჯერ არააღდგენადია, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი გადატანა მისი უნიკალური ხასიათის (ისტორიული უბნების შემთხვევაში) ან სპეციფიური სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის (მკვიდრი თემების შემთხვევაში) გამო. აღდგენადი კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევაში, ობიექტის გადატანა ან ჩანაცვლება შესაძლებელია. ისტორიული უბანი, შეიძლება იმ შემთხვევაში ჩავთვალოთ აღდგებად კულტურულ მემკვიდრეობად, თუ მისი კულტურული და ისტორიული ღირებულებები სხვა უბნებზეცაა წარმოდგენილი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების აცილება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებელი ორგანო უზრუნველყოფს: აღდგენადი კულტურული მემკვიდრეობის შენარუნებას და ფუნქციონირებას, ან გადატანას, ან კიდევ - კონპესაციის გაცემას იმ თემებისთვის, რომლებიც ამ აღდგებადი კულტურული მემკვიდრეობით სარგებლობდნენ.

არააღდგენადი კულტურული მემკვიდრეობის მოშლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: სხვა ალტერნატივა არ არსებობს; პროექტის სარგებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს არააღდგენადი კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებას და სხვ. ეს პროცესები საერთაშორისო კანონებით და სხვა იურიდიული დოკუმენტებით არის განსაზღვრული და დაცული. ამ დოკუმენტებით, დაუშვებელია კრიტიკული კულტურული მემკვიდრეობის მოშლა, დაზიანება ან მისი რაიმე სახით ცვლილება. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია კრიტიკული კულტურული მემკვიდრეობის მოშლა ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გარეშე ექსპერტის ხელმძღვანელობით ჩატარებული კონსულტაციების შედეგად.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული მაგალითები, თუნდაც მერაბ ბერძენიშვილის ძეგლების ხელყოფის და ა.შ., როდესაც ადამიანების სიცოცხლეც შეიწირა.

კარგად ვიცით, რომ სახელმწიფოს როლი კულტურის სფეროში, ძირითადად, მართვის და რეგულირების პროცესებში გამოიხატება, ვლინდება და მიმართულებებს განსაზღვრავს. მაგრამ მისი ეფექტურობა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია - კერძო და მესამე სექტორთან რამდენადაა იგი ინტეგრირებული. **კერძო სექტორს ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა შეუძლია.** მისი **როლი, ძირითადად, დაფი-**

1 ახობაძე, 2018, გვ 64
2 https://en.unesco.org/countries/Georgia.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნანსებაში, ინვესტიციებსა და პროექტების მხარდაჭერაში მდგომარეობს. ისინი, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობენ და მატერიალურ რესურსთან ერთად, მენტალურ რესურსაც იყენებენ. მაგალითად, მსახიობები, პროდუსერები, დიზაინერები და სხვ.

ეს მათი კერძო ინიციატივებია, ისინი მხარს კულტურას და ხელოვნებას უჭერენ. კულტურის პროექტების სპონსორობა, მათი აქტივობის მაჩვენებელია არა მარტო ფინანსური, არამედ სოციალური პასუხისმგებლობის.

კერძო სექტორის სახელმწიფოსთან ურთიერთობა, ამ შემთხვევაში, პარტნიორობასა და ფინანსურ მხარდაჭერაზეა დაფუძნებული. ეს გარკვეული გამოწვევაცაა ორივე მხარისათვის, რადგან მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების შექმნა და ამუშავება, როდესაც კერძო სექტორის მიერ კულტურის სფეროში განხორციელებული ინვესტიციები, ნაყოფიერი იქნება და სტაბილურიც.

მესამე, **არასამთავრობო სექტორი,** რომელიც სხვადასხვა ფონდს, კულტურის ორგანიზაციას და საზოგადოებრივ ჯგუფს მოიცავს, დიდ და მნიშვნელობან როლს ასრულებს კულტურის რესურსების მართვაში. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა - მუზეუმების, კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების სფეროებში, რადგან შესაძლებლობებს ისინი ქმნიან სწორედ მაშინ, როდესაც სახელმწიფო და კერძო სექტორი ფინანსურ ან სხვა სახის მხარდაჭერას, **დახმარებას ვერ ან არ ახერხებენ.**

სამოქალაქო საზოგადოების ამ ჯგუფებს ადგილობრივი ინიციატივები ხშირად აქვთ, რომელიც კონკრეტული კულტურული პროექტების ან თემის გარშემო მუშაობაზეა მიმართული. მათი ძირითადი მიზანია - საზოგადოების აქტიური ჩართულობა და კულტურული პროცესების დემოკრატიზაცია. იყენებენ სხვადასხვა პროექტს ახალი თაობების კულტურული განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ პარტნიორობას სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ასევე, სტრატეგიებს მხარს უჭერენ, ერთვებიან, მათ აქტიურ მუშაობას თავისი გამოწვევები გააჩნია. **ერთ-ერთი მთავარი კი ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე დაფინანსების ნაკლებობაა.**

საქართველოში კულტურის რესერსების მართვაში, განსაკუთრებით კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით, საერთაშორისო მრავალ ორგანიზაციას, თუნდაც როგორიცაა UNESCO, ევროპის საბჭო - ძალიან დიდი დამსახურება გააჩნია. ისინი, კულტურის სფეროში, ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ხშირად უზრუნველყოფენ გრანტების და კულტურის პროგრამების სახით.

ასეთი საერთაშორისო თანამშრომლობა, კულტურის „პროდუქტის" ექსპორტს და ხელოვნების პოპულარიზაციას უცხოურ ბაზრებზე ხელს უწყობს. საერთაშორისო პარტნიორები საქართველოსთან გრძელვადიან თანამშრომლობაში არიან და ამით, სტრატეგიული პროექტების მხარდაჭერას უზრუნველყოფენ, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და კულტურის სფეროს მოდერნიზაციის მიმართულებით ნათელად ვლინდება.

როდესაც საქართველოში კულტურის სფეროს მართვაზე ვსაუბრობ, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გარკვევით ვხედავ აუცილებლობას, იმის საჭიროებას, რომ, მოკრძალებულად, მაგრამ მუდმივად, დღის წესრიგში დავაყენო და ყურადღების ობიექტი გავხადო კულტურის სფეროს ყველა მიმართულება, რადგან კვალიფიკაცია და კომპეტენცია კვლავ ჩამოუყალიბებელი და განვითარებადია. ამ სტატიის მიზანიც ეს არის, რომ მცირედი წვლილი შევიტანო ქვეყანაში კულტურის პოლიტიკის გააზრებაში, მის შესწავლაში, რადგან ის ქმედებები, რომელსაც კულტურის სამინისტრო ხელისუფლებასთან ერთად ახორციელებს - არ არის საკმარისი. „აუცილებელია, მმართველობითი გადაწყვეტილებების და ქმედებების (დაგეგმარება, აღსრულება, შეფასება, კონტროლი) ერთობლიობა"[1].

ნათელია, რომ ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსები ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა და ქვეყნისთვის ერთ-ერთ უძლიერეს რესურს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია, სხვა სფეროებთან ინტეგრირებული ურთიერთთანამშრომლობით, განვითარებით, თუ მთლიანად ქვეყნის არა, ზოგიერთი რეგიონის გადარჩენისა და წინსვლისათვის ერთადერთ რესურსად მაინც იქცეს[2].

1 ახობაძე, იქვე, 128.
2 იქვე, 179.

ჩემი თვალსაზრისით, ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების მართვის საკითხები, თუნდაც რეგიონალურ დონეზე, უფრო მეტად უნდა გაიშალოს. ამირომ, ვეცდები, წარმოვადგინო ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გარკვეული ანალიზი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი რესურსები ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ფუნდამენტური კომპონენტია და ასევე, სტრატეგიული განვითარების ერტ-ერთი ძლიერი პლატფორმა. ისინი სიმბოლური კაპიტალის შექმნით, ეროვნული იდენტობის საფუძვლებს აყალიბებენ და გლობალურ სივრცეში, ქვეყნის პოზიციონირებით, მის იმიჯს განსაზღვრავენ.

სწორედ ამიტომ, ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსები, მსოლოდ დაცვასა და კონსერვაციაზე ორიენტირებულ კატეგორიებად აღარ უნდა განვიხილოთ, არამედ ის განვითარების ისეთ დინამიკურ ინსტრუმენტად იქცევა, რომელიც სხვა სექტორებთან, როგორიცაა ტურიზმი, განათლება, კრეატიული ინდუსტრიები, ინფრასტრუქტურულ-საინვესტიციო პროექტები და განსაკუთრებით კი რეგიონალური პოლიტიკა, რომელიც ინტეგრირებული თანამშრომლობით, ქმნის ისეთ მოდელს, რომელიც რესურსების მდგრად კაპიტალიზაციას ქმნის და მის ტრანსფორმაციას, გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებად ეხმარება.

გამორჩეულად მნიშვნელოვანია მათი როლი რეგიონულ კონტექსტში, განსაკუთრებით, პერიფერიებში და დემოგრაფიულად სუსტ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსები შესაძლოა ვაქციოთ არა დამატებით, არამედ რეალური განვითარების ერთადერთ შესაძლებლობად. მათი სწორი მართით, სტრატეგიული დაგეგმით და ინტეგრირებული კულტურის პოლიტიკის ფარგლებში გამოყენებით, შეგვიძლია - კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის, სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის მიგრაციის შემცირება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის იდენტობას გააძლიერებს, რაც საქართველოს განვითარება-გაძლიერებისათვის ძალიან საჭირო და აუცილებელია.

ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების რეგიონალური მართვის პრობლემატიკის კარგად გააზრებისათვის, ამ კონტექსტში, ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის გამოცდილება მნიშვნელოვანია. თუნდაც იმიტომ, რომ ის **სხვადასხვა ელემენტის ურთიერთდაკავშირების ანუ - კოჰეზიის პრინციპს** და „place-based" განვითარების მოდელს ეყრდნობა. ევროკავშირის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები კულტურულ მემკვიდრეობას ისე განიხილავენ, როგორც ტერიტორიული კონკურენტუნარიანობის და სოციალური ინტეგრაციის ინსტრუმენტს. ევროპის მრავალ რეგიონში, კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა და კულტურული ინდუსტრიების მხარდაჭერა, ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ბირთვი გახდა, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, სადაც ინდუსტრუყლი ბაზა დასუსტდა.

საქართველოსთვის ეს გამოცდილება იმას მიუთითებს, რომ რეგიონული განვითარების პოლიტიკაში, კულტურის ინტეგრირება კომპლექსურად უნდა განხორციელდეს. კერძოდ, ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებთან, განათლებიდს პოლიტიკასთან, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებასთან კოორდინაციაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კულტურის რესურსების გამოყენება ფრაგმენტული ხასიათის გახდება და გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტად ვერ გადაიქცევა. რაც, თვალნათლივ გვაქვს ამჟამინდელი მდგომარეობით.

ამრიგად, რეგიონულ ჭრილში, კულტურის პოლიტიკაც უნდა ეფუძნებოდეს არა ფრაგმენტულ ღონისძიებებს, არამედ ინტეგრირებულ, სექტორთაშორის და მონაცემებზე დაბუძნებულ სტრატეგიას. სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კულტურულ-ისტორიულ-ბუნებრივი რესურსები გადაიქცეს არა სიმბოლურ, არამედ რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ კაპირალად, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მდგრადობისა და თანაბრად განვითარების ერთ-ერთ მთავარ საყრდენად ჩამოყალიბდება.

ამ საკითხებს ეკონომიკური თვალსაზრისით თუ გავიაზრებთ, როგორც ცნობილია. კულტურის პოლიტიკის და კულტურის რესურსების მართვის ფარგლებში, ეკონომიკური ოპტიმიზაცია ღირებულებათა სისტემას, ჯაჭვის (Value Chain) სტრუქტურული კომპონენტების სისტემურ გააქტიურებას ეფუძნება.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კულტურის რესურსების მართვის ჩარჩოში კი ეს, ისეთი აქტივების იდენტიფიცირებას და გაძლიერებას გულისხმობს, რომელიც კომერციული პოტენციალის კონვერსიას ექვემდებარება (Monetizable Assets). აღნიშნული აქტივების სტრატეგიული მენეჯმენტი კი ინოვაციური ფინანსური ნაკადების სარგებლიანობას ზრდის. ასევე, ბიზნეს-პარტნიორობის შესაძლებლობებს აფართოებს და რაც მთავარია, საჯარო სუფსიდირებაზე დამოკიდებულებას ამცირებს. ამასთან, გრძელვადიანი კაპიტალიზაციის (Long-Term Capitalization) პოლიტიკა, მდგრადი ბიზნეს-მოდელების დიზაინს ემყარება, რომლის მიზანია კულტურის რესურსების ეკონომიკურ ცირკულაციაში ინტეგრირება, რათა პროფესიული კადრების და ინფრასტრუქტურული განახლება-განვითარების უზრუნველყოფა მოხდეს. ეს რთული და მრავალდონიანი პროცესია.

თავად, **ეკონომიკური ოპტიმიზაცია** (Economic Optimization), **პროცესთა სისტემაა, რომელიც კულტურის რესურსთა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას გულისხმობს - ღირებულების შექმნის და შემოსავლის გენერაციის მაქსიმიზაციის გზით,** თან ისთნაირად, რომ კულტურის სოციალური და იდენტობითი ფუნქციები არ დაირღვეს და შენარჩუნდეს. ასეთ მოდელს თუ ავიღებთ, მაშინ მენეჯმენტი სამ პარამეტრს შორის ახდენს ბალანსირებას: **ხარჯების ეფექტურობა (Cost Efficiency), რაც ბიუჯეტის ისეთ ოპტიმალურ განაწილებას გულისხმობს, რომ შემოქმედებითი ხარისხი არ შეიზღუდოს;** ახალი ფინანსური წყაროების მოძიებით, შემოსავლების ზრდა **(Revenue Maximization)** მოხდეს და ბოლოს, კულტურული საქმიანობიდან სოციალური სარგებელი **(Social Impact)** მიიღოს.

დასკვნა

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კულტურის სფეროს რესურსების მართვა საქართველოში რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელშიც სახელმწიფო, კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო პარტნიორები უნდა თანამშრომლობდნენ. თუმცა ჯერ ერთიანი სისტემური მიდგომა მაინც ვერ ჩამოყალიბდა. **თითოეულ სუბიექტს თავისი როლი გააჩნია, მაგრამ შედეგი მხოლოდ მაშინაა ეფექტური, როცა მათი თანამშრომლობა და პასუხისმგებლობა თანაბრად განაწილებული და აღიარებულია, რომ კულტურის სფეროს რესურსების მართვა მდგრადი, ინკლუზიური და წარმატებული გახდეს.** ეს თანხმობა დღეს, მეტნაკლებად არსებობს, რომელსაც აუცილებლად, ინოვაციური, მდგრადი სტრატეგიების გაფართოება და გამყარება სჭირდება. **რაც შეეხება კულტურის რესურსების მართვაში ეკონომიკური ოპტიმაზიას, ამ სექტორის ფუნქციურ პარადიგმას ცვლის,** როცა შემოქმედებით-კულტურული აქტივობა ხარჯვითი ბიუჯეტური სტატუსიდან - **შემოსავლიან „ეკონომიკურ დრაივერად“** იქცევა, რომელიც **დამატებით ღირებულებას წარმოქმნის, ტურიზმის ზრდას** ხელს უწყობს და **გლობალურ კულტურის ბაზარზე ქვეყნის „რბილი ძალის“ პოზიციებს** აძლიერებს. და ასევე, კულტურის სფეროს რესურსები მხოლოდ ეროვნული მემკვიდრეობის სტატიკური ელემენტები არ არის, მისი დინამიკური განვითარების აქტივებია, რომელთა ეფექტიანი მართვა და სექტორთშორისო ინტეგრაცია, ჩვენი ქვეყნისათვის, მდგრადი წინსვლის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად უნდა გადაიქცეს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE ECONOMIC DIMENSION OF SPORTS ACHIEVEMENTS IN GEORGIA 2023-2024: THE ROLE AND IMPORTANCE OF SPORT SATELLITE ACCOUNTS (SSA)

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 17, 2026
Published: February 02, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-37

David Oboladze
(PhD) Doctor of Business Administration,
Associate Professor at the Georgian State University of Sport,
Chief Specialist at the Staff of the Sports Committee of the Parliament of Georgia
https://orcid.org/0000-0002-6143-9194
E-mail: david.oboladze2013@gmail.com

Ilia Soselia
IV-year Student of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0009-9921-3033
E-mail: iliasoselia2004@gmail.com

ABSTRACT

The paper analyzes the economic significance of the sports sector in Georgia based on 2023-2024 data. Utilizing the Sport Satellite Accounts (SSA) methodology, the study demonstrates a potential causal link between sporting achievements and the country's economic growth. The research highlights and confirms that sports in Georgia have transcended social boundaries and possess the potential to evolve into an independent economic sector, with a share of GDP that exceeds international benchmarks. Furthermore, the paper examines sectoral distribution and provides recommendations for data institutionalization and the further development of the sports industry.

According to the key research findings, data from Geostat for 2023-2024 (SSA) confirm that the sports economy's share of GDP is substantial: 4.7% in 2023 and 3.2% in 2024. Currently, Georgia's sports economy is a consumption and service-oriented model, where the primary value added is generated from spectator and commercial activities. The share of manufacturing and industrial components remains low, indicating potential for future growth. The historic sporting achievements of 2023-2024 align with economic activity. Although a strict causal relationship is not declared, there is a clear positive coordination between sporting results and economic indicators.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Sport Satellite Accounts are recognized as a crucial mechanism that allows for an accurate assessment of sports' contribution within the system of national accounts. Its development (including the addition of employment and regional dimensions) is critical for effective state policy planning. The development of the sports industry is viewed as a powerful factor for the country's economic diversification, investment attraction, and the creation of new growth points, which, under the right state policy, can significantly contribute to the overall prosperity of the country.

KEYWORDS: *Sports Economics, Sport Satellite Accounts (SSA), Gross Domestic Product (GDP), Value Added, Sports Tourism, Economic Multiplier.*

REFERENCES:

1. Eurostat. (2025). EU Sport Satellite Account: Research into estimating the economic value of sport in the EU 2025 edition. European Commission. https://ec.europa.eu/eurostat/documents/3888793/22121382/KS-01-25-041-EN-N.pdf

2. SMB Journal. (2025). Sport as an economic driver: Analysis and review of Eurostat's Sport Satellite Account. https://smb.edu.rs/article/sport-as-an-economic-driver-analysis-and-review-of-eurostats-sport-satellite-account-2025/

3. National Statistics Office of Georgia. (2024). Sport Satellite Accounts 2023-2024, at current prices. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/892/sportis-satelituri-angarishi [In Georgian]

4. National Statistics Office of Georgia. (2024). Number of medals won in Olympic, non-Olympic, and Paralympic sports by age and gender of athletes. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/710/sporti [In Georgian]

5. Parliament of Georgia. (2024). Report on the activities of the Sports and Youth Issues Committee for 2023-2024. https://parliament.ge/legislation/28024; https://parliament.ge/legislation/30259 [In Georgian]

6. Oboladze, D. (2025). Developing Sport Satellite Accounts in Georgia: Methodological approach, challenges, and perspectives. The New Economist, 20(3). https://neweconomist.com.ge/journal/article/developing-sport-satellite-accounts-in-georgia-methodological-approach-challenges-and-perspectives-1760936757/ [In Georgian]

საქართველოში 2023-2024 წლის სპორტული მიღწევების ეკონომიკური განზომილება: სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) როლი და მნიშვნელობა

დავით ობოლაძე
(PhD) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს პარლამენტის სპორტის
კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი
ელ.ფოსტა: david.oboladze2013@gmail.com

ილია სოსელია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV
კურსის სტუდენტი
ელ.ფოსტა: iliasoselia2004@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში სპორტის სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობა 2023-2024 წლების მონაცემებზე დაყრდნობით. სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) მეთოდოლოგიის გამოყენებით, ნაჩვენებია, რომ სპორტულ მიღწევებსა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. კვლევა ყურადღებას ამახვილებს და ადასტურებს, რომ სპორტი საქართველოში გასცდა სოციალურ ჩარჩოებს და გააჩნია პოტენცია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ეკონომიკურ დარგად, რომლის წილი მშპ-ში საერთაშორისო მაჩვენებლებს აღემატება. ნაშრომში ასევე განხილულია სექტორული განაწილება და გაცემულია რეკომენდაციები მონაცემთა ინსტიტუციონალიზაციისა და სპორტული ინდუსტრიის განვითარებისთვის.

კვლევის ძირითადი მიგნებების მიხედვით, საქართველოს საქსტატის 2023-2024 წლების (SSA) მონაცე-

მებით დასტურდება, რომ სპორტის ეკონომიკის წილი მშპ-ში საგრძნობია: 2023 წელს – 4.7%, ხოლო 2024 წელს – 3.2%. საქართველოს სპორტის ეკონომიკა ამ ეტაპზე მოხმარებასა და მომსახურებაზე ორიენტირებული მოდელია, სადაც ძირითადი დამატებული ღირებულება სანახაობრივი და კომერციული აქტივობებიდან გენერირდება. წარმოებითი და ინდუსტრიული კომპონენტების წილი ჯერჯერობით დაბალია, რაც სამომავლო ზრდის პოტენციალზე მიუთითებს. 2023-2024 წლების ისტორიული სპორტული მიღწევები თანხვედრაშია ეკონომიკურ აქტივობასთან. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არის დეკლარირებული, იკვეთება აშკარა პოზიტიური კოორდინაცია სპორტულ შედეგებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის.

სპორტის სატელიტური ანგარიშები აღიარებულია უმნიშვნელოვანეს მექანიზმად, რომელიც საშუალებას იძლევა სპორტის წვლილი ეროვნული ანგარიშების სისტემაში ზუსტად შეფასდეს. მისი განვითარება (დასაქმებისა და რეგიონული ჭრილის დამატებით) კრიტიკულია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისთვის. სპორტის ინდუსტრიის განვითარება განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური დივერსიფიკაციის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ზრდის წერტილების შექმნის მძლავრი ფაქტორი, რომელსაც სწორი სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საერთო კეთილდღეობაში.

საკვანძო სიტყვები: *სპორტის ეკონომიკა, სპორტის სატელიტური ანგარიშები (SSA), მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), დამატებული ღირებულება, სპორტული ტურიზმი, ეკონომიკური მულტიპლიკატორი.*

შესავალი

საქართველოში სპორტის ეკონომიკური შეფასება ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა. მიუხედავად სპორტული მიღწევების მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, ნაკლებად არის შესწავლილი სპორტის კავშირი ეკონომიკურ განზომილებასთან. მათ შორის, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან.

შესაბამისად, საქართველოსთვის სპორტული ეკონომიკის ჰოლისტური მიდგომის ეკოსისტემის ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ურთიერთდაკავშირებული სისტემის გაძლიერება. ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკურ განვითარებაში, რომელიც ცდილობს გააძლიეროს და გააფართოვოს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობები, სპორტის ეკონომიკური განზომილება და შეფასება მეტად მნიშვნელოვანი ხდება.

სპორტის სატელიტური ანგარიშები (Sport Satellite Accounts - SSA) წარმოადგენს ეკონომიკური სტატისტიკის სისტემას, რომელიც „ამოკრებს" სპორტთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას სხვადასხვა სექტორიდან (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, სახელმწიფო მმართველობა, ჯანდაცვა, განათლება ტურიზმი, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, მედია და სხვა) და ერთიან კომპოზიციურ შემადგენელად წარმოაჩენს თუ რა წვლილი შეაქვს სპორტს და სპორტთან დაკავშირებულ ეკონომიკას საერთო ეროვნული დოვლათის შექმნისას. სპორტის სატელიტური ანგარიშების სისტემა არის მძლავრი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ სპორტული წარმატებები, მეგაღონისძიებები, ემოციური გამარჯვებები ციფრებად და ეკონომიკურ განზომილებად გადაითარგმნოს.

SSA-ს როლი და მნიშვნელობა შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

1. **„ემოციური კაპიტალის" ეკონომიკურ კაპიტალად ქცევა:** როცა ეროვნული ნაკრები გადის ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატზე, მონაწილეობას იღებს ოლიმპიადაზე, ხდება ქვეყნის ცნობადობის ზრდა, სოციალური კაპიტალიზაცია, ქვეყანაში შემოდის ინვესტიცია (მაუწყებლობის უფლებები, ტურისტული ნაკადები, სტიმულირდება ვაჭრობა, გაყიდვები და ა.შ.). SSA-ს მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ეს მოვლენები ზეგავლენას ახდენს და ზრდის მშპ-ს და არ არის მხოლოდ „ერთჯერადი დღესასწაული".
2. **სახელმწიფო დაფინანსების ოპტიმიზაცია:** თუ სახელმწიფოს ექნება ზუსტი ციფრები (მაგალითად, სპორტში ჩადებული 1 ლარი მულტიპლიკატორებს ანუ მრავლდება ანდა უკუგებას იძლევა მრავალჯერადად სხვა სექტორებში), ეს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკას შეუწყობს ხელს და წაახალისებს სპორტის დაფინანსებას, მათ შორის სპორტული ინფრასტრუქტურის დაფინანსებას ბიუჯეტიდან.
3. **ტურიზმისა და სპორტის სინერგია:** საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს სპორტული ტურიზმის ჰაბი (ზამთრის სპორტი, სათავგადასავლო სპორტი, დიდი ტურნირების მასპინძლობა).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სპორტის სატელიტური ანგარიშები დაგვეხმარება დავინახოთ, რომელი მიმართულებაა ყველაზე მომგებიანი.

4. **ინვესტიციების, სპონსორობის ბაზრის გააქტიურება:** როდესაც კერძო კომპანიები ხედავენ სპორტის ზუსტ ეკონომიკურ გავლენას, მათი მზაობა ინვესტიციებისთვის, სპონსორობისთვის იზრდება, რადგან ეს უკვე „დანახარჯი" კი არა, „მარკეტინგული ინვესტიციაა".

სწორედ SSA-ს მეშვეობით ხდება შესაძლებელი სპორტული ეკონომიკის ჰოლისტური ეკოსისტემის დანახვა და საქართველოს სპორტის ეკონომიკური განზომილების შესაძლებლობების განჭვრეტა.

საქართველოში სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) დანერგვის თაობაზე მუშაობა აქტიურად რამდენიმე წელია მიმდინარეობს. საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის ინიციატივითა და საქსტატს შორის განხორციელებული თანამშრომლობის შედეგად, საქსტატმა მიმდინარე წელს გამოაქვეყნა 2023-2024 წლების სპორტის სატელიტური ანგარიშები. მათ შორის, საქტატი რეგულარულად აქვეყნებს მონაცემებს საქართველოს სპორტსმენების მიერ აღებული მედლების ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და პარალიმპიურ სახეობებში (მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები) რაოდენობის შესახებ.

წინამედებარე ნაშრომი ერთის მხრივ, აანალიზებს 2023-2024 წლის საქართველოს მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევების კონტექსტს და მეორეს მხრივ, სპორტულ ღონისძიებების, სპორტულ ღონისძიებებში მიღწევების კავშირს, როლს ეკონომიკური განვითარების პროცესში, როგორც 2023-2024 წლის ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით საქართველოში სპორტთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გენერაციის, წილის მაჩვენებლებს მშპ-ში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება **აღწერით-სტრუქტურულ ანალიზს**. ძირითადი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებია:

- **მონაცემთა წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 2023-2024 წლების სპორტის სატელიტური ანგარიშები.
- **SSA მეთოდოლოგია:** სპორტთან დაკავშირებული აქტივობების იდენტიფიცირება ტრადიციული ეროვნული ანგარიშებიდან და მათი დამატებული ღირებულების გამოცალკევება.
- **ინდიკატორები:** გამოყენებულია დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში, შუალედური მოხმარება და სპორტსმენების მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობრივი სტატისტიკა.

ნაშრომში გამოყენებული ანალიზი ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ გამოქვეყნებულ 2023-2024 წლის სპორტის სატელიტური ანგარიშის მონაცემებს. კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს სპორტის სატელიტური ანგარიშების (Sports Satellite Accounts – SSA) აგრეგირებული მონაცემების ანალიზი და მოცემული მაჩვენებლების, მათ შორის, საქართველოს სპორტსმენების მიერ აღებული მედლების (ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები) რაოდენობის ანალიზი.

შესაბამისად, კვლევის ძირითადი კითხვა შემდეგია:

როგორ აისახა 2023-2024 წლის სპორტული წარმატებები საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებში? მათ შორის, სპორტის სატელიტური ანგარიშების მეშვეობით დამატებული ღირებულების მეთოდოლოგიით დათვლილ მშპ-ში?

სპორტის სატელიტური ანგარიშების მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა:

- ტრადიციული ეროვნული ანგარიშებიდან, გამოცალკავებულად **იდენტიფიცირება** მოხდეს იმ ეკონომიკური აქტივობებისა რომლებიც პირდაპირ ან ირიბად კავშირშია სპორტთან (მაგალითად, სპორტული განათლება, მშენებლობა, ტურიზმი, ვაჭრობა და სხვა).
- **პირდაპირი და ირიბი წვლილის შეფასება** - გაიზომოს სპორტის სექტორის, იდნუსტრიის მიერ გენერირებული დამატებული ღირებულება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.
- **შედარებითი ანალიზი** - მოხდეს საქართველოს მაჩვენებლების კროს-სექციური შედარება მსოფლიოსა და ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან.

კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომას წარმოადგენს, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული 2023-2024 წლის სპორტის სატელიტური ანგარიშების მეშვეობით, დამატებული ღირებულების მეთოდოლოგიით დათვლილი, მონაცემებზე დაკვირვება, რომლის მეშვეობითაც ფასდება სპორტის პირდაპირი და ირიბი წვლილი ქვეყნის მშპ-ში. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა დავინახოთ სპორტთან დაკავშირებული ღირებულება ტრადიციული ეკონომიკური აქტივობისგან გამოცალკავებით.

კვლევასთან დაკავშირებული შეზღუდვები

- **მონაცემთა სიმცირე და სიახლე:** ვინაიდან სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) სფერო საქართველოში ახალია, კვლევა ეყრდნობა მხოლოდ 2023-2024 წლების სტატისტიკას.
- **დასაქმების კომპონენტის არარსებობა:** შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მონაცემების უქონლობის გამო, ანალიზში ვერ მოხვდა სპორტში დასაქმების მაჩვენებლები, რაც ზღუდავს სექტორის ეკონომიკური ზემოქმედების სრულყოფილ შეფასებას.
- **კვლევის მეთოდოლოგიური ხასიათი:** ნაშრომი ეფუძნება აღწერით-სტრუქტურულ ანალიზს და არა ეკონომეტრიკულ მოდელირებას.
- **მიზეზ-შედეგობრივი ინტერპრეტაცია:** კვლევაში წარმოდგენილი კავშირები არ უნდა აღიქმებოდეს როგორც მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებები.
- **ობიექტური შეზღუდვები:** საქართველოში სპორტის ეკონომიკური განზომილების კვლევები და მონაცემები ზოგადად შეზღუდულია სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო.

კვლევის მიზნები და ამოცანები

- **კვლევის მიზანი:** საქართველოში 2023-2024 წლების სპორტული მიღწევების ეკონომიკური განზომილების შეფასება სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) მეშვეობით და სპორტის სექტორის მშპ-ში წვლილის განსაზღვრა.

კვლევის ამოცანები:

- სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვაში.
- 2023-2024 წლების ძირითადი სპორტული წარმატებების სტატისტიკური მიმოხილვა.
- სპორტის მიერ გენერირებული დამატებული ღირებულების ანალიზი სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით.
- საქართველოს მაჩვენებლების შედარება საერთაშორისო (ევროკავშირის და მსოფლიო) ანალოგიურ მონაცემებთან.
- სექტორში არსებული გამოწვევებისა და შეზღუდვების იდენტიფიცირება.

საქართველოში 2023-2024 წლების მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევები

- 2023 წელს ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში (მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები) ქართველმა სპორტსმენებმა ჯამში მოიპოვეს 1400 მედალი, აქედან ოქრო-564, ვერცხლი-407, ბრინჯაო-429.
- 2024 წელსაც ქართველ სპორტსმენთა წარმატებები შთამბეჭდავი და გამორჩეული იყო. ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში (მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები) ქართველმა სპორტსმენებმა ჯამში მოიპოვეს 1485 მედალი, აქედან ოქრო-528, ვერცხლი-465, ბრინჯაო-492.
- საქართველოს ისტორიაში პირველად, 2024 წელს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა და მერვედფინალში ითამაშა. 2023-2024 წელს ფეხბურთში საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა, ასევე პირველად მოახერხა ევროპის ჩემპიონატზე შესარჩევი ეტაპის გადალახვა;
- პარიზის XXXIII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 28 სპორტსმენმა. ისინი გამოვიდნენ სპორტის 10 სახეობაში. ქართველმა ათლეტებმა 7 მედალი (ოქრო 3, ვერცხლი 3 და ბრინჯაო 1) მოიპოვეს, საერთო ჩათვლაში კი 206 ქვეყანას შორის 24-ე გუნდური ადგილი დაიკავეს რაც საუკეთესო შედეგი იყო ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობის პერიოდში.
- 2023-2024 წელს, აგრეთვე მსოფლიოზე და ევროპაზე მოპოვებული იქნა არაერთი მედალი. მათ შორის, იყვნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები, როგორც ოლიმპიურ, ასევე არაოლიმპიურ და პარაოლიმპიურ სპორტის სახეობებში.

სპორტის ეკონომიკური ზემოქმედება საქართველოში

სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) 2023-2024 წლის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკაში სპორტის სექტორი მზარდი მნიშვნელობის მქონე დარგია. **SSA და დამატებული ღირებულების მეთოდოლოგიის გამოყენებით, შეფასებული სპორტის პირდაპირი და ირიბი წვლილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ-ში) 2023 წელს 4.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2024 წელს - 3.2 პროცენტი.**

ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო კონტექსტში: საქართველოს მაჩვენებელი (2023 წელს - 4.7% და 2024 წელს - 3.2%) აღემატება ევროკავშირის და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს, რომელიც დაახლოებით 2.0-2.5%-ს შეადგენს. რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოში სპორტის ეკონომიკის მნიშვნელობასა და პოტენციალს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SSA მეთოდოლოგიის გამოყენებით, გაანალიზდა სპორტთან დაკავშირებული შემდეგი ძირითადი ეკონომიკური სექტორები:

- **სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა:** სპორტული კვების პროდუქტების წარმოება და მიწოდება;
- **მრეწველობა, ენერგეტიკა, წყალმომარაგება და ნარჩენების მართვა:** სპორტული ინვენტარის, ტანსაცმლისა და აღჭურვილობის წარმოება;
- **მშენებლობა:** სპორტული ინფრასტრუქტურის (სტადიონები, დარბაზები) მშენებლობა და რემონტი;
- **ვაჭრობა; ტრანსპორტი და დასაწყობება; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდება:** სპორტული საქონლით ვაჭრობა და სპორტული ღონისძიებებისკენ მიმართული ტრანსპორტირება;
- **ინფორმაცია და კომუნიკაცია:** სპორტული მედია, ტრანსლაციები და მარკეტინგი;
- **უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები:** სპორტული ობიექტების იჯარა და იურიდიული/საკონსულტაციო მომსახურება სპორტში;
- **პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობები სპორტში;**
- **სახელმწიფო მმართველობა; განათლება და ჯანდაცვა:** სპორტის სახელმწიფო დაფინანსება, სპორტული მედიცინა და განათლება;
- **ხელოვნება, გართობა და დასვენება; სხვა სახის მომსახურება:** უშუალოდ სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

ქვემოთ მოცემულია მაჩვენებლები, საქართველოში 2023-2024 წელს სპორტთან დაკავშირებული დამატებული ღირებულება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით. მათ შორის, სპორტთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობების შუალედური მოხმარება (მიმდინარე ფასებში). იხილეთ, ცხრილი 1; ნახაზი 1.

ცხრილი 1-ის და ნახაზი 1-ის მიხედვით, 2023-2024 წელს ყველაზე დიდი ეკონომიკური აქტივობა მოდის **ხელოვნება, გართობა და დასვენება; სხვა სახის მომსახურება** სექტორზე. მისი მაჩვენებელი 2023 წელს - 2387.7 მლნ. ლარს და 2024 წელს - 2471.8 მლნ. ლარს აღწევს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საკლუბო და ნაკრების დონეზე მიღწეული წარმატებები პირდაპირ აისახება გაყიდვებზე, ტრანსლაციებსა და კომერციულ შემოსავლებზე. ეკონომიკური ეფექტი პირველ რიგში აისახება

ცხრილი 1. სპორტთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობების შუალედური მოხმარება, 2023-2024 წწ. (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი)

სპორტთან დაკავშირებული დამატებული ღირებულება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით	**2023 წელი**	**2024 წელი**
(1) სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1.3	0.9
(2) მრეწველობა, ენერგეტიკა, წყალმომარაგება და ნარჩენების მართვა	71.4	7.1
(3) მშენებლობა	2.0	0.2
(4) ვაჭრობა; ტრანსპორტი და დასაწყობება; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდება	767.6	82.2
(5) ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.9	0.2
(6) უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	13.3	5.6
(7) პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობები	23.1	3.8
(8) სახელმწიფო მმართველობა; განათლება და ჯანდაცვა	60.9	22.9
(9) ხელოვნება, გართობა და დასვენება; სხვა სახის მომსახურება	2,387.7	2,471.8
შუალედური მოხმარება, სულ	**3,328.3**	**2,594.8**
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საბაზისო ფასებში	**70,328.9**	**80,979.4**
სპორტთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში, %	**4.7**	**3.2**

წყარო: ავტორის მიერ შედგენილი ცხრილი

ნახაზი 1. სპორტის მიერ წარმოქმნილი დამატებული ღირებულება ეკონომიკური სექტორების მიხედვით



წყარო: ავტორის მიერ შედგენილი გრაფიკი

პირდაპირ მოხმარების ზრდაში. ღონისძიების დროს ბილეთების, სუვენირების გაყიდვები, ტურისტული მოხმარება, ასევე ღონისძიებასთან დაკავშირებული კვებისა და განთავსების მომსახურების ინდუსტრიები, ყველა მნიშვნელოვან ზრდას განაპირობებს.

სიდიდით მეორე სექტორი არის **ვაჭრობა; ტრანსპორტი და დასაწყობება; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდება (767.6 და 82.2 მლნ. ლარი)**. სპორტული ტურიზმი 2023-2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რაც გამოიხატა გულშემატკივრების მობილობის ზრდაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. ასევე წარმოშვა ღონისძიებებთან დაკავშირებული განვითარებადი სამომხმარებლო ბაზრები, როგორიცაა სპორტული სუვენირები, სპორტული ტურიზმი, სპორტული მედია და ა.შ., რაც ახალ ზრდის წერტილებს აძლევს სამომხმარებლო ბაზარს.

სიდიდით მესამე სექტორია **სახელმწიფო მმართველობა; განათლება და ჯანდაცვა - (60.9 და 22.9 მლნ. ლარი).** უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფოს შესყიდვების როლი და საბიუჯეტო დაფინანსების მდგრადი უზრუნველყოფა სპორტის მულტისექტორული, ანუ სპორტის და სპორტით გადამკვეთი მიმართულებების გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია და ყურადსაღებია.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა სექტორები, როგორიცაა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, წყალმომარაგება და ნარჩენების მართვა, მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობები შედარებით მცირე ციფრებით არის წარმოდგენილი, მათი არსებობა ადასტურებს სპორტის „მულტიპლიკატორულ“ ეფექტს.

სპორტული მოხმარების „გადაღვრის“ ეფექტი მნიშვნელოვანია, რომელსაც დადებითი გავლენა აქვს სამომხმარებლო ბაზრის საერთო კეთილდღეობაზე. სპორტულ მოხმარებას ხშირად თან ახლავს სხვა სექტორების გააქტიურება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, მშენებლობა, ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობების პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების გააქტიურება და სხვა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მასთან დაკავშირებული მოხმარება, რაც სპორტულ ღონისძიებებს აქცევს ადგილობრივი ეკონომიკის მამოძრავებელ მნიშვნელოვან ძალად. შესაბამისად, სპორტული ღონისძიებების ჩატარებას შეუძლია მიიზიდოს მრავალი მაყურებელი და ტურისტი, რაც აჩქარებს ადგილობრივი განთავსების, კვების, ტურიზმის და სხვა მასთან დაკავშირებული ინდუსტრიების განვითარებას და ქმნის მოხმარების „მულტიპლიკატორულ ეფექტს".

მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს სპორტის ეკონომიკა ამ ეტაპზე **მომსახურებაზე, მოხმარებაზე,** ორიენტირებული მოდელია. 2023 წელს 4.7% და 2024 წელს 3.2%-იანი სპორტის მიერ წარმოქმნილი დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში მეტწილად ფორმირდება უშუალოდ სპორტული სანახაობებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების, მოხმარების სექტორში, რაც 2023-2024 წლის ისტორიულ სპორტულ მიღწევებსა და მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების მასპინძლობას შეიძლება დავუკავშიროთ.

კვლევის შედეგები

- **ეკონომიკური წილი:** სპორტის სექტორის პირდაპირი და ირიბი წვლილი საქართველოს მშპ-ში 2023 წელს იყო 4.7%, ხოლო 2024 წელს - 3.2%.
- **საერთაშორისო კონტექსტი:** საქართველოს მაჩვენებლები აღემატება ევროკავშირისა და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (დაახლოებით 2.0-2.5%).
- **დომინანტი სექტორები:** ყველაზე დიდი ეკონომიკური აქტივობა მოდის „ხელოვნება, გართობა და დასვენების" სექტორზე (2024 წელს 2,471.8 მლნ ლარი).
- **მოდელის ტიპი:** საქართველოში სპორტის ეკონომიკა ამ ეტაპზე მომსახურებაზე და მოხმარებაზე ორიენტირებული მოდელია, სადაც წარმოებითი სექტორის წილი დაბალია.

კვლევის ძირითადი მიგნებები

- **სპორტი როგორც ეკონომიკური დარგი:** საქსტატის 2023-2024 წლების მონაცემები (SSA) ადასტურებს, რომ სპორტი საქართველოში გასცდა სოციალურ-კულტურულ ფარგლებს და ჩამოყალიბდა ეკონომიკის დამოუკიდებელ, მზარდ სექტორად. მისი წილი მშპ-ში საგრძნობია: 2023 წელს – 4.7%, ხოლო 2024 წელს – 3.2%.
- **ეკონომიკური მოდელის ხასიათი:** საქართველოს სპორტის ეკონომიკა ამ ეტაპზე მომსახურებაზე, მოხმარებასა და სანახაობაზეა ორიენტირებული (განსაკუთრებით ხელოვნების, გართობისა და დასვენების სექტორში). წარმოებითი და ინდუსტრიული კომპონენტების წილი ჯერჯერობით დაბალია, რაც სამომავლო ზრდის პოტენციალზე მიუთითებს.
- **სპორტული წარმატებების ეკონომიკური ამპლიტუდა:** 2023-2024 წლების ისტორიული მიღწევები (ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი, პარიზის ოლიმპიადა) თანხვედრაშია ეკონომიკურ აქტივობასთან. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არის დეკლარირებული, იკვეთება აშკარა პოზიტიური კოორდინაცია სპორტულ შედეგებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის.
- **SSA-ს, როგორც ინსტრუმენტის მნიშვნელობა:** სპორტის სატელიტური ანგარიშები აღიარებულია უმნიშვნელოვანეს მექანიზმად, რომელიც საშუალებას იძლევა სპორტის წვლილი ეროვნული ანგარიშების სისტემაში ზუსტად შეფასდეს. მისი განვითარება (დასაქმებისა და რეგიონული ჭრილის დამატებით) კრიტიკულია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისთვის.
- **სტრატეგიული პოტენციალი:** სპორტის ინდუსტრიის განვითარება განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური დივერსიფიკაციის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ზრდის წერტილების შექმნის მძლავრი ფაქტორი.

დასკვნა

საქართველოში 2023-2024 წლების სპორტული მიღწევების ანალიზი ადასტურებს, რომ სპორტი ქვეყნის ეკონომიკის მზარდი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორია. სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) მონაცემები (მშპ-ში 4.7% და 3.2%-იანი წილით) მოწმობს, რომ სექტორი გასცდა მხოლოდ სოციალურ ჩარჩოებს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ეკონომიკურ განზომილებად.

ამ ეტაპზე საქართველოს სპორტის ეკონომიკა **მოხმარებასა და მომსახურებაზე ორიენტირებული მოდელია**, სადაც ძირითადი დამატებული ღირებულება სანახაობრივი და კომერციული აქტივობებიდან გენერირდება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კოორდინაცია ისტორიულ სპორტულ წარმატებებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის, სექტორის სრული პოტენციალის ასათვისებლად აუცილებელია:

1. მონაცემთა ბაზების გაფართოება და დეტალიზაცია

- **ინსტიტუციონალიზაცია:** აუცილებელია

N1 (80) 2026, Vol. 21, Issue 1.

სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) ყოველწლიური და სისტემური გამოქვეყნების პრაქტიკის დამკვიდრება.

- **ფინანსური გამჭვირვალობა:** უნდა შემუშავდეს მექანიზმები, რომლებიც სპორტულ ფედერაციებსა და კლუბებს დეტალური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებას დაავალდებულებს, რაც კვლევისთვის საჭირო მონაცემებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის.
- **დასაქმების კომპონენტის ინტეგრირება:** პრიორიტეტულია სპორტის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობისა და შრომის ბაზარზე მისი გავლენის გაზომვის მეთოდოლოგიის შემუშავება.

2. ანალიტიკური მეთოდების გაღრმავება

- **ეკონომეტრიკული მოდელირება:** მომავალ კვლევებში აღწერითი ანალიზის ნაცვლად სასურველია ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენება, რათა დადგინდეს ზუსტი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები სპორტულ წარმატებებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის.
- **რეგიონული ჭრილი:** მნიშვნელოვანია მონაცემების დამუშავება რეგიონულ დონეზე, რათა შეფასდეს სპორტის გავლენა ადგილობრივი ეკონომიკების განვითარებაზე.

3. სტრატეგიული სექტორების განვითარება

- **სპორტული ტურიზმის სტრატეგია:** საერთაშორისო მიღწევების ფონზე, აუცილებელია გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა, რომელიც სპორტულ ტურიზმს ეკონომიკის მდგრად შემოსავლის წყაროდ აქცევს.
- **წარმოებითი პოტენციალის ათვისება:** მოხმარებაზე ორიენტირებული მოდელიდან გადასასვლელად, ხელი უნდა შეეწყოს ადგილობრივი სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების წარმოებას.
- **ინფრასტრუქტურული ინვესტიციები:** სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს სპორტული ინფრასტრუქტურის დაფინანსება, როგორც „მარკეტინგული ინვესტიცია“, რომელიც მულტიპლიკატორულ ეფექტს იძლევა სხვა სექტორებში.

საბოლოო ჯამში, სპორტის ეკონომიკა საქართველოში წარმოადგენს „ეკონომიკური ზრდის წერტილს“, რომელსაც სწორი სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საერთო კეთილდღეობაში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

FUNCTIONS AND DYNAMICS OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN MODERN CONDITIONS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 07, 2026
Published: March 22, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-46

Givi Talakvadze
Doctor of Physical and Mathematical Sciences;
Head of Department, I. Zhordania Center
for the Study of Natural Resources
and Productive Forces, GTU
https://orcid.org/0000.0002.5785.56032
email: givitala@yahoo.com

Joseph Archvadze
Doctor of Economics;
Professor, Central European University
https://orcid.org/0000-0003-0288-288X
email: daswreba@yahoo.com

ABSTRACT

Effectively overcoming the challenges facing Georgia requires a qualitative improvement in the country's integrated resource management system, which is impossible without a substantial increase in the efficiency of integrated resources. This is closely linked to the utilization of artificial intelligence (AI) capabilities. AI enables rapid analysis of large volumes of data, identification of trends, forecasting, optimization of resources, reduction of risks, and efficient process management, while increasing system transparency and effectiveness. Its applied value is particularly evident in the development of innovative ecosystems. It accelerates research and development processes, creates new products and services, and enhances economic competitiveness. At the same time, AI represents a significant factor in global technological competition and determines countries' positions within the international system.

Globally, approximately 16–17% of the population uses generative AI; in developed countries, usage reaches 24.7%, while in developing countries it is only 14.1%. In Georgia, this figure is approximately 18.2%.

Against this background, the world is transitioning to the so-called stage of "innovative pragmatism," where the essence of innovation is defined not only by novelty but also by practical effectiveness and the implementation of optimal management models. One practical manifestation of this approach is the prioritization of production and logistics flows over purely political interests.

A particularly significant transformation is taking place in the field of education, where artificial intelligence has fundamentally reshaped the system. Its educational and applied value is determined by its ability to generate,

process, disseminate, and effectively utilize knowledge. AI has created a qualitatively new environment, making educational processes more personalized, accessible, and efficient, shifting from standardized teaching models to individualized and adaptive systems. Virtual classroom environments, adaptive learning platforms, intelligent tutoring systems, and assessment tools are significantly transforming both teaching practices and educational management.

Georgia's economic system currently represents a hybrid model that combines elements of different historical and systemic formations. Although the foundations of market infrastructure have been established and the private sector plays a dominant role, significant components of the economic system remain distorted. A substantial portion of capital is not fully engaged in reproduction processes, labor resources are not fully adapted to new demands, and land resources are used inefficiently, which is particularly reflected in the low productivity of the agricultural sector.

Under these conditions, defining the country's development strategy should be based on modern scientific knowledge and analytical approaches. Science provides the means to select optimal directions from alternative development paths and to adjust practices in a timely manner.

Alongside the rapid spread of AI, digital inequality is also increasing rapidly, while competence and proper usage lag behind overall adoption-usage remains largely superficial.

The large-scale use of artificial intelligence is also associated with certain challenges. It is essential to uphold ethical standards (such as algorithmic fairness, privacy protection, and data security) and to reduce technological inequality. Otherwise, the use of AI may deepen social inequality and generate new types of risks. One of the main risks relates to the issue of control-whether humans will be able to manage and regulate the systems they themselves have created. From a social perspective, AI may contribute to rising unemployment, increased inequality, and greater societal polarization.

The rapid and large-scale integration of artificial intelligence into virtually all areas of public life and the economy requires the adoption of legal and ethical regulatory frameworks to ensure privacy, fairness, and objectivity.

Keywords: *artificial intelligence, innovative pragmatism, integral resources, sustainable development, scientific and technological progress.*

REFERENCES:

1. Archvadze, Ioseb. "Post-Soviet Countries in the Post-Independence Period." Social Economics 6 (2013): 15–27. (in Georgian)

2. Papava, Vladimir. The Economy of Georgia: Reforms and Pseudo-Reforms. Tbilisi: Intellect, 2015. (in Georgian)

3. Talakvadze, Givi. "The Georgian People Deserve a Better Present and Future." IPN, "Opinion," 2012. (in Georgian)

4. Talakvadze, Givi. "The Georgian Economy Has Growth Potential." New Generation, 2019. (in Georgian)

5. Talakvadze, Givi. 30 Years - Georgia on the Threshold of the Fourth Decade of Restoring State Independence. Tbilisi: Necker, 2020. (in Georgian)

6. Talakvadze, Givi. "COVID-19 Pandemic - Lessons and Challenges." Business Engineering 3 (2020): 49–54. (in Georgian)

7. Talakvadze, Givi. "Integral Resource Management - A Key Condition for the Country's Sustainable Development." International Scientific-Practical Conference, GTU, Tbilisi, 2021. (in Georgian)

8. Talakvadze, Givi. "Universal Integral Resources: New Visions and Approaches." Business Engineering 3–4 (2021): 207–211. (in Georgian)

9. Talakvadze, Givi. "Optimization of Integral Resource Use Management - A Key Condition for the Country's Sustainable Development." Georgian Production Forces and Natural Resources 1, no. 2 (2022): 54–64. (in Georgian)

10. Talakvadze, Givi, and Giorgi Talakvadze. "The Neo-Industrial Paradigm of Resource Potential." Economic Profile 18, no. 124 (2023): 66–72. (in Georgian)

11. Talakvadze Givi, and Paata Koghuashvili. "The Formation of a New World Order and Its Connection with the Potential of Integral Resources." Economics 1 (2023): 3–12. (in Georgian)

12. Talakvadze Givi, Paata Koghuashvili. "The Balance of Intentions and Circumstances - the Basis of an Effective Management System." 2023. http://gtu.ge (accessed: 05.08.2023). (in Georgian)

13. Talakvadze Givi, and Ioseb Archvadze. Integral Resources of Georgia. Tbilisi: SEU, 2025. (in Georgian)

14. Talakvadze Givi, and Ioseb Archvadze. The

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Importance of Georgia's Integral Resources. "New Economist", N2(77), 2025, Vol. 20, Issue 2, pp. 119-120 (in Georgian)

15. Talakvadze, G., & Archvadze, I. (2023). Integral Resources of Georgia: Research, Analysis, Prospects. Tbilisi: Mtsignobari, p. 369. (in Georgian)

16. AI and jobs. A review of theory, estimates, and evidence. R. Maria del Rio-Chanona, Ekkehard Ernst, Rossana Merola, Daniel Samaan, Ole Teutloff. - 18.09.2025. - https://arxiv.org/abs/2509.15265?utm_source=chatgpt.com

17. AI Can Lift Global Growth. MARCELLO ESTEVAO. - March 2026. - https://www.imf.org/en/publications/fandd/issues/2026/03/point-of-view-ai-can-lift-global-growth-marcello-estevao?utm_source=chatgpt.com

18. Ranked: The Countries Adding the Most to Global GDP (2026–2030). - https://www.visualcapitalist.com/ranked-the-countries-adding-the-most-to-global-gdp-2026-2030/

19. Talakvadze Givi, Zurab Lomsadze, and Iosif Archvadze. „Приоритеты и ресурсы Грузии: мифы, история, перспективы." Экономика природопользования и устойчивое развитие 8, no. 27 (2020).

20. Talakvadze Givi. „Социальные, экономические и мировоззренческие последствия пандемии COVID-19." Science of Europe 3, no. 60 (2020): 44–50.

21. Talakvadze Givi, Otar Paresishvili, and Valentina Mirzoeva. „Ресурсный потенциал экономической реформы в условиях глобальной нестабильности." Труды Института Философии и Социологии АН Азербайджана. Баку, 2022: 118–140.

22. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. The New Economist, 20(2), 40-53.

23. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. The New Economist, 20(1), 8-23.

24. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. The New Economist, 20(4), 21-35.

25. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4), 152-157.

26. Leonhardt, Megan. "The AI Paradox: Heavy AI Usage Makes Workers Feel Less Productive." Barron's, March 25, 2026. Read article

27. Thompson, Polly. "Researchers Asked Almost 50,000 People How They Use AI. Over Half of Workers Said They Hide It from Their Bosses." Business Insider, April 29, 2025. https://www.businessinsider.com/kpmg-trust-in-ai-study-2025-how-employees-use-ai-2025-4

28. Fisher, Jon. "74% Use AI on the Job. Only 33% Know What They're Doing." Lifewire, August 11, 2025. https://www.lifewire.com/ai-productivity-training-gap-11788436

29. Microsoft. "Global AI Adoption in 2025-A Widening Digital Divide. AI Diffusion Report 2025." 2025. https://www.microsoft.com/en-us/corporate-responsibility/topics/AI-Economy-Institute/reports/Global-AI-Adoption-2025/

30. https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/2(536)/06-Talakvadze.pdf UDC 004 UAK SCOPUS Code 1405 https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-55-80 Givi Talakvadze and Joseph Archvadze, "Development of Digital Technologies and the Potential of Integral Resources as a Determining Factor of Georgia's Sustainable Development." Proceedings of the Georgian Technical University, 2025, No. 2, p.55–80. (in Georgian).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ხელოვნურ ინტელექტის ფუნქციები და დინამიკა თანამედროვე პირობებში

გივი თალაკვაძე
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის ბუნებრივი რესურსებისა და საწარმოო ძალების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე,
ელფოსტა: givitala@yahoo.com

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პროფესორი
ელფოსტა: daswreba@yahoo.com

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტის (AI) წარმოშობა, მისი გენეზისი და განვითარების რაოდენობრივი პარამეტრები წარმოადგენს მრავალგანზომილებიან და მრავალსაფეხურიან პროცესს, რომელიც აერთიანებს თეორიულ, ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ კომპონენტებს. თანამედროვე გლობალური ტრანსფორმაციების ფონზე, ხელოვნური ინტელექტის ფუნქციური დატვირთვა და გავლენის მასშტაბი გამოირჩევა მზარდი დინამიკითა და სისტემური გაფართოებით.

ამავე დროს, საქართველოს წინაშე არსებული ეკონომიკური, სოციალური და რეპუტაციული გამოწვევების ეფექტიანი დაძლევა მოითხოვს ქვეყნის ინტეგრალური რესურსების მართვის სისტემის თვისებრივ გაუმჯობესებას. აღნიშნული გარემოება ობიექტურად განაპირობებს ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის მაქსიმალური ათვისების აუცილებლობას.

გლობალურ დონეზე უკვე მიმდინარეობს ინოვაციური სისტემების ტრანსფორმაცია ე.წ. „ინოვაციური პრაგმატიზმის" პარადიგმის მიმართულებით, სადაც ინოვაციის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება არა მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლე, არამედ განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ოპტიმალური მართვის რეჟიმების, ნორმატიული ჩარჩოებისა და პრაქტიკული მიზანშეწონილობის ჰარმონიზებული ინტეგრაცია.

შესაბამისად, თანამედროვე პირობებში მკაფიოდ იკვეთება საქართველოსთვის ახალი, თვისობრივად განსხვავებული სტრატეგიული ინიციატივების შემუშავების აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდასა და საერთაშორისო იმიჯის განმტკიცებას.

აღნიშნულ კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა და ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც რესურსების ოპტიმიზაციას, ისე მმართველობითი და ანალიტიკური გადაწყვეტილებების ხარისხის არსებით გაუმჯობესებას. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი განაპირობებს საქართველოს მდგრადი განვითარების ახალი პარადიგმის ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი, ინოვაციური პრაგმატიზმი, ინტეგრალური რესურსები, მდგრადი განვითარება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციებით, რომლებიც არსებითად ცვლის სახელმწიფოების განვითარების ლოგიკასა და მათ კონკურენტუნარიანობას გლობალურ სისტემაში. აღნიშნულ პროცესებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხელოვნურ ინტელექტს (AI), რომლის კონცეპტუალური საფუძვლები ჩამოყალიბდა XX საუკუნის შუა წლებში, როდესაც მეცნიერებაში დაისვა ფუნდამენტური კითხვა — **შესაძლებელია თუ არა ადამიანის ინტელექტუალური პროცესების ფორმალიზაცია და მათი მანქანური იმიტაცია.**[1]

გამოყენებითი თვალსაზრისით, ხელოვნურმა ინტელექტმა განვითარების მრავალსაფეხურიანი გზა განვლო — ლოგიკაზე დაფუძნებული სისტემებიდან (1950–1980-იანი წლები) თანამედროვე გე-

1 ხელოვნური ინტელექტის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბება უკავშირდება 1956 წელს ჩატარებულ Dartmouth Conference-ს, სადაც პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი". კონფერენციის ინიციატორებს შორის იყვნენ John McCarthy, Marvin Minsky და სხვა გამოჩენილი მეცნიერები.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნერაციულ მოდელებამდე (მაგ., ChatGPT). ამჟამად იგი წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების მაღალეფექტიან, მრავალფუნქციურ ინსტრუმენტს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პოზიტიური ეკონომიკური და სოციალური ეფექტები. არსებული შეფასებებით, AI-ის გლობალური ბაზრის მოცულობა დაახლოებით 500 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს, ხოლო მისი საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2026–2030 წლებში დაახლოებით 25%-ის ფარგლებში პროგნოზირდება. აღნიშნულ ტენდენციას თან ახლავს ამ სფეროში დასაქმებაზე მოთხოვნის ზრდა, რაც შრომის ბაზრის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას განაპირობებს. ამავე დროს, გლობალური ეკონომიკის ზრდის საშუალო წლიური ტემპი მხოლოდ 2.7–3.3%-ის ფარგლებში მერყეობს. შეფასებების მიხედვით, **2025 წელს ხელოვნური ინტელექტის ფაქტორმა გლობალური ეკონომიკური ზრდის დაახლოებით 40% უზრუნველყო.**

პარალელურად ინტენსიურად იზრდება სამეცნიერო აქტივობაც — ყოველწლიურად ქვეყნდება ასობით ათასი კვლევა, ხოლო წამყვან კვლევით ცენტრებად გვევლინება ისეთი უნივერსიტეტები, როგორიცაა Massachusetts Institute of Technology და Stanford University. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა AI-სთან დაკავშირებული პატენტების რაოდენობაც, სადაც ლიდერობენ ისეთი ტექნოლოგიური კომპანიები, როგორიცაა IBM, Microsoft და Google.

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად ზრდის შრომის პროდუქტიულობას, აუმჯობესებს რესურსების განაწილების ეფექტიანობას, ამცირებს შეცდომების ალბათობას და აჩქარებს ინოვაციური პროცესების განვითარებას.[1] იგი უზრუნველყოფს დიდი მოცულობის მონაცემების სწრაფ ანალიზს, ტენდენციების იდენტიფიკაციასა და პროგნოზირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკაში, ბიზნესში, ჯანდაცვასა და საჯარო მმართველობაში. AI ხელს უწყობს რესურსების ოპტიმიზაციას, რისკების შემცირებას და პროცესების ეფექტიან მართვას, რაც საბოლოოდ ზრდის სისტემების გამჭვირვალობასა და ოპერაციულ ეფექტიანობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი პროგნოზირებასა და რისკების მართვაში, რაც თანამედროვე არასტაბილურ გარემოში კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებითი მნიშვნელობა მკაფიოდ ვლინდება ინოვაციური ეკოსისტემების განვითარებაში. იგი აჩქარებს კვლევისა და განვითარების პროცესებს, ქმნის ახალ პროდუქტებსა და სერვისებს, ზრდის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ამასთანავე, AI წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს გლობალურ ტექნოლოგიურ კონკურენციაში და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნების პოზიციას საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში.

დღესდღეობით მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 16–17% იყენებს გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტს (თითქმის ყოველი მეექვსე ადამიანი). განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი აღწევს დაახლოებით 24.7%-ს, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში იგი 14.1%-ის ფარგლებში მერყეობს. საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 18.2%-ს შეადგენს. [Global AI Adoption in 2025]. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ახლოსაა გლობალურ საშუალო მაჩვენებელთან, თუმცა კვლავ ჩამორჩება განვითარებულ ეკონომიკებს.

საქართველოსთვის ხელოვნური ინტელექტის განვითარება განსაკუთრებულად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ დონეზე AI უკვე ჩამოყალიბდა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად, საქართველოში იგი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, თუმცა გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი. ქვეყნის ისტორიულ-კულტურული, გეოპოლიტიკური და საგანმანათლებლო რესურსები ქმნის საფუძველს ხელოვნური ინტელექტის ფართომასშტაბიანი დანერგვისთვის, რაც შეიძლება იქცეს გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. შესაბამისად, **AI საქართველოსთვის წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ასევე მნიშვნელოვან შესაძლებლობას.**

ამავდროულად, გლობალური გარემო ხასიათდება მზარდი არასტაბილურობით. წამყვანი სახელმწიფოების ყურადღების კონცენტრაცია შიდა პრობლემებზე და მათი გავლენის შედარებითი შემცირება საერთაშორისო პოლიტიკაში ქმნის ახალ

1 AI-ის გავლენა დასაქმებაზე ისეთივე ცალსახა არაა, როგორც ეს არის ეკონომიკის ზრდაზე. - ის უფრო კონტექსტზე და მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული. - მცირდება სამუშაო ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია რუტინულ, დაბალკვალიფიციურ სამუშაოებთან, მაგრამ იზრდება AI-ისთან დაკავშირებული სამუშაო ადგილები, ზოგადად - მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე. ეს ყველაფერი ეწერება ბიზნესის იმანენტურ სტრატეგიაში: შეამციროს ხარჯები, მათ შორის ხარჯები სამუშაო ძალაზე და იმავდროულად, გაზარდოს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული კაპიტალ-ინტენსიური ტექნოლოგიები.

რეალობას, რომლის ფარგლებში 2026–2030 წლები შესაძლოა გამოირჩეოდეს ეკონომიკური რყევებით, პოლიტიკური დაპირისპირებებითა და სოციალური დაძაბულობით. აღნიშნული გარემო დამატებით გამოწვევებს უქმნის მცირე და საშუალო ზომის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, რაც საჭიროებს განვითარების მოქნილი და ტექნოლოგიურად გაძლიერებული მოდელების ფორმირებას.

ხელოვნური ინტელექტი და ინოვაციური პრაგმატიზმი

ზემოხსენებული პროცესების ფონზე, გლობალური ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება თანდათან გადადის ე.წ. „ინოვაციური პრაგმატიზმის" ეტაპზე, რომლის ფარგლებში ინოვაციის არსი განისაზღვრება არა მხოლოდ სიახლით, არამედ მისი პრაქტიკული ეფექტიანობით და ოპტიმალური მართვის მოდელების დანერგვის უნარით. აღნიშნულ რეალობაში საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტეგრალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებთან სინერგიულ კავშირში.

დღეისათვის ხელოვნური ინტელექტის ყველაზე გავრცელებული გამოყენების სფეროებია **ტექსტების გენერაცია** და **რედაქტირება, პროგრამული კოდის შექმნა, კვლევითი საქმიანობა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერა.** არსებული მონაცემებით, მომხმარებელთა დაახლოებით 20% იყენებს AI-ს ყოველდღიურად, ხოლო 33% — ყოველკვირეულად. [Researchers asked almost 50,000 people how they use AI. Over half of workers said they hide it from their bosses]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მისი გამოყენება ჯერ კიდევ კონცენტრირებულია შედარებით ვიწრო სეგმენტებში — ძირითადად IT სპეციალისტებში, ფრილანსერებში, სტუდენტებსა და მაღალი განათლების მქონე მოსახლეობაში, თუმცა მისი პოტენციალი მნიშვნელოვნად აღემატება ამჟამინდელ გავრცელებას და მოიცავს საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენას.

საქართველოს ისტორიულ-კულტურული და გეოპოლიტიკური რესურსები, ასევე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი ქმნის მყარ საფუძველს საერთაშორისო თანამეგობრობის პრიორიტეტულ პროექტებში აქტიური მონაწილეობისათვის და მრავალმხრივი - ეკოლოგიური, ეკონომიკური და შემეცნებითი - ინოვაციების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებისთვის.

თანამედროვე ეკონომიკური ტრანსფორმაციების ანალიზი მიუთითებს, რომ წარსულში ფართოდ გავრცელებული რიგი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები, მათ შორის საბაზრო თვითრეგულირების აბსოლუტიზაცია, პრაქტიკაში სრულად ვერ ამართლებს. „უხილავი ხელის" უნივერსალურობის შესახებ წარმოდგენები მნიშვნელოვნად დაკნინდა, თუმცა კვლავ შენარჩუნებულია მოლოდინი, რომ კრიზისული პროცესები თვითდინებით დარეგულირდება. ამასთან, პოზიტიურ ტენდენციად უნდა შეფასდეს ეკონომიკური პროცესების მზარდი გამჭვირვალობა და მათი დინამიკის განმაპირობებელი ფაქტორების უკეთ გააზრება. საზოგადოებაში იზრდება მოთხოვნა ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისადმი, მყარდება საბაზრო მენტალიტეტი და თანდათანობით ყალიბდება გეოეკონომიკური უპირატესობების აღქმა, თუმცა პარალელურად მწვავდება სოციალური პოლარიზაციის რისკიც. აღნიშნულ კონტექსტში სახელმწიფო კვლავაც ფორმირების პროცესშია და სრულად ვერ ახორციელებს როგორც ტრადიციულ, ისე სისტემაშემქმნელ ფუნქციებს.

აღნიშნული ტენდენციების ფონზე, გლობალური ინოვაციური სისტემები გარდაიქმნება „ინოვაციური პრაგმატიზმის" სივრცედ, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც ტრადიციული პრაგმატიზმის თანამედროვე ფორმა - ორიენტირებული არა მხოლოდ მატერიალური სარგებლის მიღებაზე, არამედ მოცემული განვითარების ეტაპისთვის ოპტიმალური, რეალისტური და შედეგზე ორიენტირებული მოდელების ფორმირებაზე, კონკრეტული ქვეყნის და რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

ინოვაციური პრაგმატიზმის ერთ-ერთ პრაქტიკულ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს მწარმოებლური და ლოგისტიკური ნაკადების პრიორიტეტიზაცია წმინდა პოლიტიკურ ინტერესებთან შედარებით. თანამედროვე პირობებში პროდუქცია და მომსახურება სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც „ვექტორული" კატეგორიები, რომელთა მიმართულება განისაზღვრება არა მოძველებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური პარადიგმებით, არამედ ეკონომიკური შედეგიანობითა და ინტეგრალური სარგებლის მაქსიმიზაციის პრინციპით. აღნიშნული ტენდენცია ნათლად აისახება გლობალური საინვესტიციო სისტემების პრაქტიკაში.

ამავდროულად, ინოვაციური სისტემებისა და ეკოსისტემების გაგება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეებით ან გარემოსდა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცვითი გაუმჯობესებით; იგი მოიცავს მიმდინარე და პერსპექტიული პროცესების ინტეგრირებულ ანალიზს და პრაქტიკულად რეალიზებადი განვითარების პროგრამების ფორმირებას. ამ კონტექსტში მიზანშეწონილია ინოვაციური ეკოსისტემების კლასიფიკაცია გლობალურ, რეგიონულ, ლოკალურ და პარციალურ დონეებად, რაც უზრუნველყოფს მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების უფრო ღრმა ანალიზს.

თანამედროვე მსოფლიო განვითარება მიმდინარეობს პარადოქსულ პირობებში: ერთი მხრივ, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი ზრდის გაურკვევლობებს და რისკებს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის უპრეცედენტო შესაძლებლობებს განვითარებისათვის. აღნიშნული გარემოებები განაპირობებს უფრო მოქნილი, ადაპტირებადი და ინტეგრირებული განვითარების მოდელების აუცილებლობას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა იძენს ფუნდამენტური კითხვა: უახლოეს მომავალში დომინანტური იქნება შესაძლებლობებზე დაფუძნებული განვითარების „დაპირებები“ თუ რისკებით განპირობებული „მუქარები“. აღნიშნული დილემის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანთა არჩევანზე, ინსტიტუციური გადაწყვეტილებების ხარისხსა და განვითარების მართვის ეფექტიანობაზე.

აშკარაა, რომ ეკონომიკა, როგორც შედარებით ინერციული სისტემა, ხშირად ვერ ეწევა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ტემპებს. ციფრული ტექნოლოგიების, რობოტოტექნიკის, ხელოვნური ინტელექტის, ბიოტექნოლოგიებისა და გენური ინჟინერიის სწრაფი განვითარება, ერთი მხრივ, ზრდის პროდუქტიულობასა და ეკონომიკური განვითარების დინამიკას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოშობს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, მათ შორის — უმუშევრობის ზრდას, სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასა და საზოგადოების ფრაგმენტაციას. პარალელურად ძლიერდება პოპულიზმისა და ნაციონალიზმის ტენდენციები, რაც ზრდის ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის რისკებს.

თანამედროვე ეტაპზე უკვე ჩამოყალიბდა ახალი თაობის ინფორმაციული, ფინანსური, ეკონომიკური და სამხედრო ტექნოლოგიები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ეროვნულ სუვერენიტეტზე, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც უკავშირდება უსაფრთხოებასა და კრიტიკულ რესურსებს. ამ ფონზე მოსალოდნელია ისეთი განვითარების ვექტორების ფორმირება, რომლებიც საფუძველს ჩაუყრის ახალ ტიპის ეკონომიკურ აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობას.

ამასთანავე, აშკარაა, რომ XX საუკუნისთვის დამახასიათებელი უნივერსალისტური თეორიები და ზოგადი მოდელები თანდათან კარგავს აქტუალობას. მათ ადგილს იკავებს უფრო რადიკალური, შედეგზე ორიენტირებული პრაგმატიზმი, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში იქცევა როგორც გლობალური, ისე რეგიონული განვითარების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად. პარალელურად შეინიშნება საერთაშორისო ინსტიტუტების ავტორიტეტისა და ეფექტიანობის შედარებითი შესუსტება, რაც კიდევ უფრო ზრდის ეროვნული და რეგიონული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას.

ხელოვნური ინტელექტი და განათლების სფერო

ეკონომიკისა და, ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრების ფართომასშტაბიანი გაციფრების პირობებში განსაკუთრებული ტრანსფორმაცია მიმდინარეობს განათლების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ განათლება ტრადიციულად ინოვაციურ სფეროდ მიიჩნევა, ბოლო წლებში საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარებამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. ხელოვნურმა ინტელექტმა - თანამედროვე ციფრული ეპოქის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ინსტრუმენტმა - არსებითად გარდაქმნა საგანმანათლებლო სისტემა. მისი გამოყენებითი ღირებულება განისაზღვრება იმ შესაძლებლობებით, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის გენერირებას, დამუშავებას, გავრცელებასა და ეფექტიან გამოყენებას.

ხელოვნურმა ინტელექტმა შექმნა ხარისხობრივად ახალი საგანმანათლებლო გარემო, სადაც სწავლების პროცესი გახდა უფრო პერსონალიზებული, ხელმისაწვდომი და ეფექტიანი. იგი ეტაპობრივად გადადის სტანდარტიზებული სწავლების მოდელიდან ინდივიდუალიზებულ და ადაპტურ სისტემებზე. ავტომატიზებული შეფასების სისტემები, ინტელექტუალური დაგეგმვის ინსტრუმენტები, AI-ზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის გენერატორები და სწავლების პროცესის მონიტორინგის მექანიზმები მნიშვნელოვნად ამცირებენ პედაგოგთა ადმინისტრაციულ დატვირთვას. აღნიშნული, თავის მხრივ, ამცირებს პროფესიული გადაღლის რისკს და ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანო-

ბას, რაც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მეტად კონცენტრირდნენ ანალიტიკურ და მენტორულ საქმიანობაზე, ხოლო მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ქმნის სწავლების ხარისხისა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესების პირობებს.

ამავე კონტექსტში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის დეტექტორები და სხვა მოწინავე ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ აკადემიური ნაშრომების შემოწმებას, პლაგიატის იდენტიფიცირებას და რეალურ დროში უკუკავშირის მიწოდებას. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვნად აძლიერებს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებს და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მასალების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე აკადემიური პერსონალის ეფექტიანობის ამაღლებას.

ვირტუალური სასწავლო გარემოები, ადაპტური სწავლების პლატფორმები, ინტელექტუალური რეპეტიტორები და შეფასების სისტემები არსებითად ცვლის როგორც სწავლების, ისე საგანმანათლებლო პროცესების მართვის პრაქტიკას. AI-ზე დაფუძნებული პლატფორმები უზრუნველყოფს სტუდენტთა ქცევის, ცოდნის დონისა და პროგრესის ანალიზს რეალურ დროში, რაც ქმნის სასწავლო პროცესის ღრმა პერსონალიზაციის შესაძლებლობას. შედეგად, თითოეული სტუდენტი იღებს მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო მასალას, სწავლის ტემპსა და მეთოდოლოგიას, რაც ზრდის როგორც სწავლის ეფექტიანობას, ისე მოტივაციას.

ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განათლებაში მიიჩნევა **პროგნოზირებადი ანალიტიკა.** არსებული მონაცემების საფუძველზე, AI უზრუნველყოფს სტუდენტთა ქცევის, პროგრესისა და აკადემიური შედეგების რეალურ დროში ანალიზს, შესაბამისი სასწავლო ტრაექტორიების ფორმირებას, აკადემიური მოსწრების პროგნოზირებას, რისკ-ჯგუფების იდენტიფიცირებასა და დროული რეკომენდაციების გენერირებას. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელს ხდის საგანმანათლებლო პროცესის უფრო ეფექტიან მართვას და ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალური შედეგების გაუმჯობესებას, ისე საგანმანათლებლო სისტემის საერთო ხარისხის ზრდას.

თუმცა, აღნიშნულ ტრანსფორმაციებს თან ახლავს მნიშვნელოვანი გამოწვევებიც. კერძოდ, იზრდება საგანმანათლებლო უთანასწორობის რისკი, ვინაიდან ყველა სტუდენტს არ აქვს თანაბარი წვდომა თანამედროვე ციფრულ რესურსებსა და ტექნოლოგიებზე. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია საგანმანათლებლო სისტემებში წარმოშობს ეთიკურ და სამართლებრივ საკითხებს, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის, სამართლიანობისა და ალგორითმული მიკერძოების პრობლემებს. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინკლუზიურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა როგორც ტექნოლოგიური, ისე ინსტიტუციური განვითარების პროცესში. სტუდენტთა მონაცემების გამოყენება საჭიროებს მკაფიო რეგულაციებს, პასუხისმგებლიან მიდგომებსა და მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას.

პერსპექტივაში მოსალოდნელია ჰიპერპერსონალიზებული საგანმანათლებლო ეკოსისტემების ჩამოყალიბება, სადაც ინტელექტუალური ასისტენტები, ინტერაქტიული სიმულაციები და რეალურ დროში უკუკავშირი უზრუნველყოფს სწავლის სრულიად ახალ ხარისხს. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განვითარება ქმნის წინაპირობას ვირტუალური, ნაწილობრივ ავტონომიური სასწავლო სისტემების ფორმირებისთვის, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს განათლების ტრანსფორმაციის პროცესს.

ამავდროულად, გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა რიგმა ეკონომიკურმა და სოციალურ-თეორიულმა პარადიგმებმა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ თავისუფლება და წესრიგი ურთიერთშემავსებელი კატეგორიებია, თუმცა მათი უზრუნველყოფა საჭიროებს აქტიურ სახელმწიფოებრივ ჩარევასა და პროფესიულ მართვას. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირება წარმოადგენს არა იდეოლოგიურ არჩევანს, არამედ განვითარების ობიექტურ აუცილებლობას. ამ კონტექსტში ბაზარი განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ფართო ფენების კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებთან თანმდევი რისკები

ხელოვნური ინტელექტის განვითარება წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტრენდს, რომელიც არსებითად ცვლის ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ პარადიგმებს. მისი გენეზისი ცხადყოფს, რომ AI არ არის ერთჯერადი ტექნოლოგიური მიღწევა,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

არამედ წარმოადგენს ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის შედეგს, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის თანმიმდევრულ დაგროვებას. ის არა მხოლოდ ზრდის რესურსების მართვის ეფექტიანობას, არამედ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების ხარისხს, ამცირებს გაურკვევლობებს და ზრდის პროგნოზირების სიზუსტეს.

ამ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის ბუნების გააზრება ხშირად არასრულყოფილი და რიგ შემთხვევაში არაკორექტულია. მისი სწრაფი გავრცელების პარალელურად იზრდება ციფრული უთანასწორობა, ხოლო გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მისი გავრცელების ტემპებს. კვლევები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა დაახლოებით 74% იყენებს ხელოვნურ ინტელექტს სამუშაო პროცესში, თუმცა მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობს მისი ეფექტიანი გამოყენების უნარებს. [74% Use AI on the Job. Only 33% Know What They're Doing]. აღნიშნული მდგომარეობა ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ხელოვნურ ინტელექტს, როგორც დამოუკიდებელ ტექნოლოგიურ და სოციალურ ფენომენს, არ გააჩნია ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება. იგი წარმოადგენს სწრაფად ჩამოყალიბებულ და კიდევ უფრო სწრაფად განვითარებად სისტემას, რის გამოც მისი თეორიული გააზრება ხშირად ვერ ეწევა პრაქტიკულ გამოყენებას.

თანამედროვე ეტაპზე ხელოვნური ინტელექტის არსი არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემთა დამუშავების, ალგორითმული ანალიზის ან ავტომატიზაციის ფუნქციებით. იგი თანდათან გარდაიქმნება კომპლექსურ სისტემად, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის მოძიება და მისი ინტერპრეტაცია, გადაწყვეტილებების მიღება, პროგნოზირება და თვითსწავლა. აღნიშნული მახასიათებლების ერთობლიობა ქმნის ახალ რეალობას, სადაც AI იწყებს ფუნქციონირებას როგორც შედარებით ავტონომიური აქტორი სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში.

ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ შესაბამისი ტექნოლოგიური და ინსტიტუციური პირობების არსებობის შემთხვევაში, **ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა მიაღწიოს განვითარების ისეთ დონეს, სადაც მისი ფუნქციონირება ნაწილობრივ გასცდება ადამიანის პირდაპირ კონტროლს.** ამ შემთხვევაში საუბარია არა ტექნიკურ გაუმართაობაზე, არამედ იმაზე, რომ ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა შეიძლება გადავიდეს მოქმედების ისეთ დონეზე, სადაც მისი გადაწყვეტილებები და გავლენები სრულად აღარ დაექვემდებარება ადამიანურ ღირებულებით, ეთიკურ და სოციალურ ჩარჩოებს.

აღნიშნული გარემოებები წარმოშობს მნიშვნელოვან გამოწვევებს. აუცილებელია ეთიკური სტანდარტების დაცვა, მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ტექნოლოგიური უთანასწორობის შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის ფართომასშტაბიანმა გამოყენებამ შეიძლება გააღრმავოს სოციალური უთანასწორობა და წარმოშვას ახალი ტიპის სისტემური რისკები.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხელოვნური ინტელექტის აღქმა, როგორც პოტენციური „ახალი სუბიექტისა", რომელიც ფუნქციონირებს ინტერესებისა და ღირებულებების სივრცეში, თუმცა მათდამი თავად ინდიფერენტულია.

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ძირითადი რისკები უკავშირდება კონტროლის პრობლემას - რამდენად შეძლებს ადამიანი მართოს და ეფექტიანად დაარეგულიროს ის სისტემები, რომლებიც თავად შექმნა. ასევე მნიშვნელოვანია ეთიკური გამოწვევები, მათ შორის ალგორითმული მიკერძოება, კონფიდენციალურობის დარღვევა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჭვირვალობა. სოციალური თვალსაზრისით, AI შეიძლება იქცეს უმუშევრობის ზრდის, სოციალური უთანასწორობის გაღრმავებისა და საზოგადოებრივი პოლარიზაციის ერთ-ერთ ფაქტორად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას გლობალური ძალაუფლების კონტექსტში. მოწინავე ტექნოლოგიებზე არათანაბარმა წვდომამ შეიძლება გააღრმავოს განსხვავებები ქვეყნებს შორის და შექმნას ახალი ტიპის ტექნოლოგიური დამოკიდებულებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად.

ამრიგად, **ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ორმხრივ ფენომენს: ერთი მხრივ, იგი არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძლიერი კატალიზატორი, ხოლო მეორე მხრივ — შეიცავს სისტემურ რისკებს, რომლებიც საჭიროებს გააზრებულ, პასუხისმგებლიან და კოორდინირებულ მართვას.** მისი ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიური პროგრესი დაბალანსებული იქნება ეთიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ ჩარჩოებთან, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ცენტრალურ როლს განვითარებადი ციფრული ცივილიზაციის პირო-

ბებში.

ხელოვნური ინტელექტის სასწავლო და გამოყენებითი ღირებულება მდგომარეობს მის უნარში უზრუნველყოს ცოდნის ეფექტიანი გენერირება და გამოყენება, გააუმჯობესოს გადაწყვეტილებების ხარისხი და ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას. შესაბამისად, მისი წარმატებული ინტეგრაცია მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ პროგრესს, სოციალურ პასუხისმგებლობასა და სტრატეგიულ ხედვას.

აღნიშნულის ფონზე, ობიექტურად ჩნდება კითხვა: როგორია ხელოვნური ინტელექტის „ბმა" თანამედროვე საქართველოს ეკონომიკასთან?

უნდა ვაღიაროთ, რომ იმ დროს, როდესაც გლობალურ დონეზე ხელოვნური ინტელექტი უკვე ჩამოყალიბდა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორად, საქართველოში იგი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. აღნიშნულ განსხვავებას განაპირობებს რიგი ობიექტური ფაქტორები. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური სისტემა კვლავ წარმოადგენს ჰიბრიდულ მოდელს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ისტორიული და ინსტიტუციური ფორმაციის ელემენტებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებულია საბაზრო ინფრასტრუქტურის ძირითადი საფუძვლები და კერძო სექტორი დომინანტურ როლს ასრულებს, ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტები ჯერ კიდევ არაეფექტიანად ფუნქციონირებს. კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი არასრულად არის ჩართული კვლავწარმოებით პროცესებში, შრომითი რესურსები სრულად ვერ ადაპტირდება თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებთან, ხოლო მიწის რესურსების არარაციონალური გამოყენება განსაკუთრებით უარყოფითად აისახება აგრარული სექტორის პროდუქტიულობაზე.

აღნიშნულ პირობებში ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე სამეცნიერო ცოდნასა და ანალიტიკურ მიდგომებს. სწორედ მეცნიერება უზრუნველყოფს განვითარების ალტერნატიულ მიმართულებებს შორის ოპტიმალური არჩევანის გაკეთებას და ეკონომიკური პრაქტიკის დროულ კორექტირებას. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია კვლავ ხასიათდება მყიფე და ზიგზაგისებური დინამიკით, რაც მიუთითებს სისტემური განვითარების პროცესის გაგრძელების აუცილებლობაზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია ყურადღების კონცენტრირება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სტრატეგიულ მიმართულებებზე, განსაკუთრებით განათლების სფეროსა და მართვის სისტემებში. რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფაში ხელოვნური ინტელექტის პოტენციალს შეუძლია შეასრულოს მზარდი და გადამწყვეტი როლი. იგი თანდათან ტრანსფორმირდება არა მხოლოდ სასწავლო-შემეცნებითი პროცესის მხარდამჭერ ინსტრუმენტად, არამედ ეკონომიკური სისტემის სრულფასოვან, დამოუკიდებელ და წარმოების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად;

1. ხელოვნური ინტელექტის სწრაფი და ფართომასშტაბიანი ინტეგრაცია საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში მოითხოვს მისი გამოყენების მკაფიო სამართლებრივი და ეთიკური რეგულირების ჩარჩოების ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას;

2. საჭიროებს გაძლიერებას და, გარკვეულ ასპექტებში, ხელახალ ფორმირებას ინსტიტუციური და ორგანიზაციული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერების, როგორც განვითარების სტრატეგიული რესურსის, ფუნქციონირებას, მისი საზოგადოებრივი როლის გაძლიერებასა და აკადემიური პრესტიჟის ამაღლებას;

3. მიზანშეწონილია სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მაღალი პოტენციალის მქონე ინტეგრალური რესურსებისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობების სრულფასოვან რეალიზაციას. აღნიშნული უნდა განხორციელდეს რესურსების ათვისებისა და კომპლექსური გამოყენების არსებითი გაუმჯობესების გზით, შესაბამისი სექტორებისა და მიმართულებების მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების მაქსიმალური ინტეგრაციით;

4. საქართველოს ინტეგრალური რესურსებისა და ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ერთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს — თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოზიტიური შედეგების მაქსიმალურ გამოყენებას და მათ საფუძველზე უკვე არსებული თუ პოტენციური რისკების მინიმიზაციას. აღნიშნული მიზნის მიღწევა საჭიროებს აქტიურ განმანათლებლურ, აკადემიურ და ინსტიტუციურ საქმიანობას, ასევე შესაბამისი პროცესების სისტემურ ინსტიტუციონალიზაციას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დასკვნითი შენიშვნა

საქართველოს განვითარების საკითხი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ან ტექნოლოგიური პარამეტრებით - იგი დაკავშირებულია საზოგადოების თვითშეგნებასთან, ისტორიულ მეხსიერებასთან და რესურსებისადმი დამოკიდებულებასთან.

დღევანდელი თაობა ხშირად არასათანადოდ აფასებს ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის როლს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, კულტურულ მემკვიდრეობას, ენასა და ტრადიციებს, რომლებიც ქმნიან ეროვნულ იდენტობას. ამასთან, სრულად არ გამოიყენება საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და სტრატეგიული პოტენციალი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოგრაფიული დინამიკის გათვალისწინება: ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 1 მილიარდიდან 8 მილიარდზე მეტამდე, მაშინ როდესაც საქართველოს მოსახლეობა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად (- თითქმის 1/3-ით) შემცირდა. ეს ტენდენცია მიუთითებს სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებზე.

ამასთანავე, ხშირად სათანადოდ არ აღიქმება ის ფაქტი, რომ **საქართველო წარმოადგენს რესურსებით მდიდარ ქვეყანას,** რომლის პოტენციალი ჯერ კიდევ სრულად არ არის რეალიზებული. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ქვეყანას გლობალურ განვითარებაში და რა ფუნქციური პოზიცია შეიძლება დაიკავოს მან მომდევნო ათწლეულებში.

ქვეყნის მდგრადი არსებობა და განვითარება დამოკიდებულია საზოგადოების უნარზე - ობიექტურად შეაფასოს რეალობა, გათავისუფლდეს სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული ინფანტილიზმისაგან და კეთილდღეობის ზრდა პირდაპირ დაუკავშიროს არსებული რესურსების, მათ შორის ადამიანური კაპიტალის, ცოდნისა და კრეატიულობის ეფექტიან გამოყენებას.

ამრიგად, საქართველოს განვითარების პერსპექტივა განსაზღვრულია არა მხოლოდ გარე ფაქტორებით, არამედ იმით, თუ რამდენად შეძლებს საზოგადოება საკუთარი პოტენციალის გააზრებასა და მისი მიზნობრივად გამოყენებას თანამედროვე ტექნოლოგიური ტრანსფორმაციების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენების პირობებში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

MATHEMATICAL MODELING OF INDIVIDUAL DYNAMICS OF MENTAL TYPES

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 23, 2026
Published: March 12, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-57

Tamaz Obgadze
Doctor of Technical Sciences, Academician, International Engineering Academy
ORCID ID: https://orcid.org/0009-0004-1067-7311
E-mail: tamaz@mail.ru

Maia Shevardenidze
Doctor of Economics, Assistant Professor, Georgian Technical University
ORCID ID: https://orcid.org/0009-0009-0264-2481
E-mail: m.shevardenidze@gtu.ge

Tornike Ogadze
Doctoral student, Caucasus International University
ORCID ID: https://orcid.org/0009-0002-8334-6420
E-mail: tornike.ogadze@ciu.edu.ge

ABSTRACT

The paper builds mathematical models of individual dynamics of the index of mental types for the Hippocratic system. For each of them, dynamic features are studied in the case of stimuli of different magnitudes.

In the case of phlegmatics, it has been shown that despite the different initial conditions caused by environmental conditions, the value of the mental type index tends towards the value of phlegmatic equilibrium. In the mathematical model constructed for the dynamics of the mental type index of an individual with a choleric temperament, the equation contains several variables, which does not allow its separate solution. Moreover, the choleric temperament is not stable and, depending on environmental conditions, it can transition to a phlegmatic or melancholic state of equilibrium. In a discrete mathematical model for the dynamics of the mental index of an individual with a melancholic temperament, which is based on Moran's mathematical model, it is shown that the value of the melancholic mental index initially increases rapidly, and then slowly stabilizes towards an equilibrium value. When studying the dynamics of the mental type index of an individual with a sanguine temperament, the scaling features are taken into account. In this case, too, the equation contains several variables, which does not allow its separate solution. Moreover, the sanguine temperament is not stable and, depending on environmental conditions, it can transition to a melancholic equilibrium state.

Keywords: *Modeling, mental type, dynamics, index, range.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REFERENCES

1. Riznichenko G., Lectures on mathematical models in biology. Textbook. M.V.Lomonosov MSU, Moscow, 2010 (in Russian)
2. Uznadze, D., Experimental foundations of mood psychology. Basic principles of mood psychology. Georgian Herald, 2009 (in Georgian);
3. Riznichenko G., Rubin A., Biophysical dynamics of production processes. Pub. by Yurait M - 2018 (in Russian)
4. Kapitsa S., Kurdyumov S., Malinetsky G., Synergetics and future forecasts. M.-Izhevsk, IKI-RHD, 2003 (in Russian)
5. Moran P.A.P. Some Remarks on Animal Population Dynamics. Biometrics 6 (3): 250-258, 1950
6. Obgadze T., Elbaqidze Kh., Mathematical theory of the interaction of mental types. Monograph, Tbilisi, 2025 (in Georgian)

Obgadze T., Shevardenidze M., Ogadze T., A conceptual model of the dynamics of individual mental types and the problem of the stability of equilibrium states. Journal „The New Economist", Tbilisi, N4 (79) 2025 p.74-80 (in Georgian)

ფსიქიკური ტიპების ინდივიდუალური დინამიკის მათემატიკური მოდელირება

თამაზ ობგაძე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემია

მაია შევარდენიძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თორნიკე ოღაძე
დოქტორანტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში აგებულია ფსიქიკური ტიპების ინდექსის ინდივიდუალური დინამიკის მათემატიკური მოდელები ჰიპოკრატეს სისტემისათვის. თითოეული მათგანისათვის შესწავლილია დინამიკური თავისებურებები სხვადასხვა მასშტაბის გამღიზიანებელის შემთხვევაში.

ფლეგმატიკის შემთხვევაში ნაჩვენებია, რომ გარემო პირობებით გამოწვეული სხვადასხვა საწყისი პირობების მიუხედავად, ფსიქიკური ტიპის ინდექსის მნიშვნელობა მიისწრაფის ფლეგმატური წონასწორობის მნიშვნელობისაკენ. ქოლერიკის ტემპერამენტის ინდივიდის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკისათვის აგებულ მათემატიკურ მოდელში განტოლება რამდენიმე ცვლადს შეიცავს, რაც მისი ცალკე ამოხსნის საშუალებას არ იძლევა. მითუმეტეს, რომ ქოლერიკის ტემპერამენტი არაა მდგრადი და გარემო პირობებიდან გამომდინარე, ის შეიძლება გადავიდეს ფლეგმატურ ან მელანქოლიკურ წონასწორობის მდგომარეობაში. დისკრეტულ მათემატიკური მოდელში, მელანქოლიკის ტემპერამენტის ინდივიდის ფსიქიკური ინდექსის დინამიკისათვის, რომელიც დამყარებულია მორანის მატემატიკურ მოდელზე, ნაჩვენებია რომ მელანქოლიკის ფსიქიკური ინდექსის მნიშვნელობა თავიდან სწრაფად იზრდება, შემდგომში კი ნელ-ნელა სტაბილირდება წონასწორული მნიშვნელობისაკენ. სანგვინკის ტემპერამენტის ინდივიდის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკის შესწავლისას გათვალისწინებულია შკალირების თავისებურებები. ამ შემთხვევაშიც, განტოლება რამდენიმე ცვლადს შეიცავს, რაც მისი ცალკე ამოხსნის საშუალებას არ იძლევა. მითუმეტეს, რომ სანგვინიკის ტემპერამენტი არაა მდგრადი და გარემო პირობებიდან გამომდინარე, ის შეიძლება გადავიდეს მელანქოლიკის წონასწორობის მდგომარეობაში.

საკვანძო სიტყვები: *მოდელირება, ფსიქიკური ტიპი, დინამიკა, ინდექსი, დიაპაზონი.*

შესავალი

როგორც ვიცით [1-7], გვაქვს ოთხი ძირითადი ფსიქიკური ტიპი: ქოლერიკი, მელანქოლიკი, სანგვინიკი და ფლეგმატიკი.

ამასთან ერთად, ჩვენ ვნახეთ რომ მელანქოლიკი და ფლეგმატიკის ტიპები მდგრადი არიან გარე შეშფოთებების მიმართ [6-7], რაც განაპირობებს მათი დინამიკის ინდექსის ცვლილების დიაპაზონის სიმცირეს.

ქოლერიკი და სანგვინიკის ფსიქიკური ტიპები არიან არამდგრადი გარე ზემოქმედებების მიმართ. შესაბამისად, სოციუმის ზემოქმედების, თუ ფერთა გამის შედეგად, მათი დინამიკის ინდექსი განიცდის გარკვეულ, სასრული დიაპაზონის, ცვლილებებს.

სწორედ, ამ ცვლილებების შესწავლას ეძღვნება ეს შრომა. ჩვენი შკალირების თანახმად, გვაქვს შემდეგი შესაბამისობები:

$\bar{x}_1 = 1$ - ფლეგმატურ ტემპერამენტი;

$\bar{x}_2 = 2$ - ქოლერიკის ტემპერამენტი;

$\bar{x}_3 = 3$ - მელანქოლიკის ტემპერამენტი;

$\bar{x}_4 = 4$ - სანგვინიკის ტემპერამენტი.

P.S. განვიხილოთ, თითოეული ეს შემთხვევა ცალ-ცალკე. თითოეული ინდივიდისათვის განვიხილავთ სხვადასხვა საწყის პირობებს, რადგან ინდივიდებზე შეიძლება ზემოქმედებდნენ სხვადასხვა გამაღიზიანებელი ფაქტორები, ფერთა გამა... რაც იწვევს სხვადასხვა განწყობას [2] და მაშასადამე სხვადასხვა საწყის ფსიქიკურ მდგომარეობას.

ფლეგმატური ფსიქიკური ტიპის ინდექსის ცვლილების დინამიკა

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ფლეგმატური ტემპერამენტის ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანების წონასწორობიდან გამოყვანა შეუძლებელია. ისინი არ არიან ემოციურნი, არიან სტაბილურნი და მშვიდნი. მათ არაფერი ანაღვლებთ, უყვართ ძილი და ხშირად ზარმაცები არიან. ფლეგმატიკებს გარე სამყაროსთან ადაპტაცია უჭირთ. ისინი თავის თავში ჩაკეტილი ინტროვერტები არიან.

ფლეგმატიკები, როგორც წესი, ზამთარში დაბადებული ადამიანები არიან და მათი ხასიათი, მნიშვნელოვნადაა განპირობებული ზამთრის ცივი ამინდებისაგან გამოწვეული რეაქციით. თუ ამას დაერთო მკაცრი ოჯახური წესრიგი (მკაცრი მშობლები ან გარემოცვა), მაშინ ბავშვობის ასაკში ყალიბდება თავის თავში ჩაკეტილი ადამიანი. თუმცა, თუ მას აქვს გატაცების სფერო, ის შეიძლება გახდეს ცნობილი ხელოვანი ან მეცნიერი.

თუ ფლეგმატიკი ბავშვობას უზრუნველად ატარებს და მშობლები ანებივრებენ, მისი ხასიათიც შესაბამისად ყალიბდება ეგოიზმის მიმართულებით. ის ყველასგან მოითხოვს აღიარებას და თაყვანისცემას.

ასეთი ბავშვობის მქონე ფლეგმატიკები ზრდასრულ ასაკში დიდ პრობლემებს აწყდებიან რეალურ ცხოვრებასთან შეჯახებისას. ხშირად, ვარდებიან დეპრესიაში და ეფლობიან ნარკომანიისა და ლოთობის ჭაობში. მათ უჭირთ შეგუება რეალურ მტრულ გარემოსთან, არ უყვართ შრომა და მიისწრაფიან სხვის ხარჯზე მსუბუქად ცხოვრებისაკენ, რაც დაკავშირებულია მრავალ ხაფანგთან.

ფლეგმატური ტემპერამენტი მცირედაა დამოკიდებული გარემო პირობებზე. ამდენად, ჯანმრთელ მდგომარეობაში, ის არის მდგრადი.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

განვიხილოთ ფლეგმატური ტემპერამენტის x_1 ინდექსის დინამიკის ჩვეულებრივი მათემატიკური მოდელი:

$$\dot{x_1} = F(x_1; t). \quad (1)$$

ფლეგმატური ტემპერამენტის ინდექსის დინამიკის მოდელირებისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ ფერხიულსტის ლოგისტიკური მოდელი [1-4]:

$$\frac{dx_1}{dt} = rx_1\left(1 - \frac{x_1}{K}\right). \quad (2)$$

ჩვენი ამოცანის შემთხვევაში, ფლეგმატიკის ტემპერამენტის x_1 ინდექსის წონასწორული მნიშვნელობებია $x_1 = 1$ და $x_1 = 0$. მაშასადამე, $K = 1$. ხოლო r ინდექსის ზრდის კოეფიციენტია, რაც გამოხატავს ფლეგმატური ტემპერამენტის ინდივიდის გარე შეშფოთებაზე რეაქციის სიჩქარეს.

ამრიგად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ინდექსის დინამიკის განტოლება ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\frac{dx_1}{dt} = rx_1(1 - x_1). \quad (3)$$

ამ განტოლების ამონახსნს აქვს შემდეგი სახე:

$$x_1(t) = \frac{x_1(0)e^{rt}}{1 - x_1(0) + x_1(0)e^{rt}}. \quad (4)$$

ადვილი მისახვედრია, რომ ფლეგმატურობის ინდექსის $x_1 = 0$ მნიშვნელობა არამდგრადია, ხოლო $x_1 = 1$ მნიშვნელობა მდგრადია, რაც თანხმობაშია ადრე გამოკვლეულ ზოგად შემთხვევასთან.

ფლეგმატურობის ინდექსის დინამიკის თვალსაჩინოებისათვის გამოვსახოთ (4) ამონახსნის დინამიკა გრაფიკულად, $x_1(0)$ საწყისი პირობის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის, ნახ. 1.



ნახ. 1. ფლეგმატურობის ინდექსის დინამიკა სხვადასხვა საწყისი პირობებისათვის

როგორც გრაფიკიდან ნათლად ჩანს, ფლეგმატურობის ინდექსის სხვადასხვა საწყისი მნიშვნელობებისათვის, სისტემა მიისწრაფის მისი წონასწორული $x_1 = 1$ მნიშვნელობისაკენ.

ქოლერიკის ფსიქიკური ტიპის ინდექსის ცვლილების დინამიკა

ქოლერიკის ტემპერამენტი მჟღავნდება ნებისყოფაში, გამბედაობასა და საკუთარი ძალების უკიდეგანო რწმენაში. ასეთი პიროვნებებისათვის დამახასიათებელია მაღალი

შრომისუნარიანობა, მიზანსწრაფულობა და თავგანწირვა. ქოლერიკები იმპულსური, არაპროგნოზირებადი ხალხია და მათ უჭირთ საკუთარი ვნებების მართვა.

ქოლერიკები როგორც წესი, გაზაფხულზე დაბადებული ადამიანები არიან. ისინი მოძრავნი, სიცოცხლისმოყვარენი და აქტიურები არიან. მათთვის უცხოა პესიმიზმი და ყოველი სიტუაციიდან ადვილ პოულობენ გამოსავალს. თუმცა, არიან სულსწრაფნი და უნდათ ყველა საკითხი უცებ გადაწყვიტონ. რის გამოც ზოგჯერ მძიმე ბრძოლების გადატანა უწევთ.

თუ ბავშვობაში მკაცრი პირობები შეხვდათ, ისინი ხდებიან ჯიუტნი, მებრძოლნი და შეუპოვარნი. ისინი ყოველთვის აღწევენ დასახულ მიზანს და ამისათვის თავგანწირულად იბრძვიან. არიან მეტად ემოციურნი და ძნელად ეგუებიან წაგებას, იბრძვიან ბოლომდე.

თუ სასათბურე პირობებში გაიზარდა, მაშინ ხასიათდებიან თავშეუკავებლობით, ზედმეტი ვნებით და პოლიგამიისკენ მიდრეკილებით. არ უყვართ ერთ საქმეზე შეჩერება და ყოველთვის ეძიებენ ახალ სფეროს, სადაც იბრძოლებენ პირველობისთვის.

ქოლერიკებზე დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობები, რომელსაც ის ყოველთვის თავის სასიკეთოდ იყენებს და გამარჯვების მოსაპოვებლად მზადაა გაწიროს სიცოცხლე.

ამდენად, ქოლერიკის ტემპერამენტი არამდგრადია და ის იცვლება პირობებიდან გამომდინარე.

განვიხილოთ ქოლერიკის ტემპერამენტის x_2 ინდექსის დინამიკის ჩვეულებრივი მათემატიკური მოდელი:

$$\dot{x_2} = F(x_1; x_2; x_3; t). \quad (5)$$

ქოლერიკის ტემპერამენტის დინამიკის მოდელირებისათვის გავიხსენოთ, რომ ფსიქიკური ტიპის ინდექსის ფლეგმატიკის შესაბამისი მნიშვნელობა: $x_1 = 1$ მდგრადი წონასწორობის წერტილია, ქოლერიკის შესაბამისი მნიშვნელობა $x_2 = 2$ არამდგრადი წონასწორობის წერტილია, ხოლო მელანქოლიკის შესაბამისი მნიშვნელობა $x_3 = 3$ მდგრადი წონასწორობის წერტილია. შესაბამისად, უმარტივეს (5) მათემატიკურ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$\frac{dx_2}{dt} = r(1 - x_2)(x_2 - 2)(x_2 - 3), \qquad (6)$$

სადაც r გამოხატავს გარე შეშფოთებაზე ქოლერიკის ტემპერამენტის ინდივიდის რეაქციის სიჩქარეს.

ქოლერიკის ტემპერამენტის ინდექსის დინამიკის ფაზურ პორტრეტს აქვს შემდეგი სახე, ნახ. 2:



ნახ. 2. ქოლერიკი ტიპის ინდექსის ფაზური პორტრეტი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნახაზიდან ჩანს, რომ ქოლერიკის ფსიქიკური ტიპი არამდგრადია გარე ზემოქმედებების მიმართ და მან შეიძლება მოირგოს მელანქოლიკის ან ფლეგმატიკის ნიღაბი, გარკვეული სიტუაციების შემთხვევაში.

Mathcad პროგრამის პლატფორმაზე, შევისწავლოთ ქოლერიკის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკა, სხვადასხვა საწყისი პირობებისათვის:

$r := 0.2$
$ic := 0.75$
$ic1 := 1.3$
$ic2 := 2.5$
$ic3 := 3.2$
$D(t, X) := r\cdot(1 - X)\cdot(X - 2)\cdot(X - 3)$
$S := Rkadapt(ic, 0, 10, 500, D)$
$S1 := Rkadapt(ic1, 0, 10, 500, D)$
$S2 := Rkadapt(ic2, 0, 10, 500, D)$
$S3 := Rkadapt(ic3, 0, 10, 500, D)$



ნახ. 3. ქოლერიკის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკა სხვადასხვა საწყისი პირობების შემთხვევაში

მელანქოლიკის ფსიქიკური ტიპის ინდექსის ცვლილების დინამიკა

მელანქოლიკის ტემპერამენტი იწვევს გამძაფრებულ მგრძნობელობას და მელანქოლიისკენ მიდრეკილებას. ასეთი ადამიანები მალე იღლებიან, ძნელად ადაპტირდებიან გარემო პირობებთან, თავის თავში არ არიან დარწმუნებული. მათი მოძრაობები ნელია, ხმა დაბალი და მორიდებული, მიმიკა ნაკლებადგამოხატული. ისინი ინტროვერტები არიან და მათზე გარემო დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს.

მელანქოლიკები უმეტესწილად ზაფხულში დაბადებული ადამიანები არიან. ისინი მგრძნობიარენი, მოჭარბებულად რომანტიკულები და სევდიანი ადამიანები არიან. ხშირად ვარდებიან დათრგუნულ მდგომარეობაში და ტირილით აღწევენ თავს მოწყენილობას. არიან მეგობრულები და სხვის მიმართ გამოხატავენ თანაგრძნობას. ისინი თავის თავში იკეტებიან და მათზე გარემოს დიდი გავლენა არა აქვს. ისინი თვითონ მშვიდდებიან და სხვისი მცდელობა აღიზიანებთ. აქვთ ღრმა ინტუიცია და ხშირად, ზუსტად გრძნობენ გარშემო მყოფი ადამიანების ბუნებას.

მელანქოლიკის ფსიქიკა მდგრადია და მასზე გავლენის მოხდენა მეტად ძნელია.

განვიხილოთ, მელანქოლიკის ტემპერამენტის x_3 ინდექსის დინამიკის ჩვეულებრივი მათემატიკური მოდელი:

$$\dot{x_3} = F(x_3; t). \quad (7)$$

მელანქოლიკის ტემპერამენტის ინდექსის დინამიკის აღსაწერად, გამოვიყენებთ მორანის [5] დისკრეტულ მათემატიკურ მოდელს:

$$N_{t+1} = N_t \exp\left\{r(1 - \frac{N_t}{K})\right\}. \quad (8)$$

სადაც r გამოხატავს მელანქოლიკის ტემპერამენტის ინდივიდის გარე შეშფოთებაზე რეაქციის სიჩქარეს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი შკალირების თანახმად, მელანქოლიკის ტემპერამენტის ინდექსის შესაბამისი წონასწორული მნიშვნელობაა $x_3 = 3$, ხოლო დისკრეტული მოდელების შემთხვევაში, წონასწორობის წერტილს შეესაბამება ტოლობა: $x_{n+1} = x_n$, მივიღებთ, რომ შესაბამის მათემატიკურ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$x_{n+1} = x_n exp\left\{r\left(1 - \frac{x_n}{3}\right)\right\}. \quad (9)$$

ამ დისკრეტული მოდელის მარჯვენა მხარის გრაფიკი და პირველი კვადრანტის ბისექტრისის გადაკვეთის წერტილი იძლევა წონოსწორობის წერტილს $x_3 = 3$ ნახ.4, ხოლო მელანქოლიკის ფსიქიკური ინდექსის დინამიკა მოცემულია ნახ.5.



ნახ. 4. დინამიკა ფაზურ სიბრტყეზე



ნახ. 5. მელანქოლიკის ფსიქიკური ინდექსის დინამიკა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ამრიგად, მელანქოლიკის ტემპერამენტის ინდექსი შეშფოთებისას, თავიდან სწრაფად იზრდება, რაც მის ადვილად გაღიზიანებადობას შეესაბამება და შემდეგ ნელ-ნელა მშვიდდება, ანუ მიისწრაფის წონასწორობის მნიშვნელობისაკენ $x_3 = 3$.

სანგვინიკის ფსიქიკური ტიპის ინდექსის ცვლილების დინამიკა

სანგვინიკური ტემპერამენტი იძლევა ენერგიულ სიცოცხლისმოყვარე ნატურას. ასეთი ტემპერამენტის ადამიანები არიან მხიარული, კომუნიკაბელური და ოპტიმისტურად განწობილნი. სანგვინიკები ადვილად გდაეწყობიან ერთი საქმიდან მეორეზე, გამოირჩევიან ადაპტაციით და გაწონასწორებული ხასიათით. მათი ქცევა დამოკიდებულია გარშემომყოფებზე, ექსტრავერტები არიან, უყვართ კაშკაშა ემოციები და ტაში.

სანგვინიკები, უმეტესწილად შემოდგომაზე დაბადებული ადამიანები არიან. მხიარული, კომუნიკაბელური და ოპტიმისტურად განწობილნი. ისინი ადვილად გადაეწყობიან ერთი საქმიდან მეორეზე, გამოირჩევიან ადაპტაციით და გაწონასწორებული ხასიათით. არიან მდგრადი ფსიქიკის მატარებელნი და ძნელად გამოდიან წონასწორული მდგომარეობიდან.

სანგვინიკებზე გარემო პირობების ზემოქმედება საგრძნობია. თუმცა, არა ისე ძლიერ, როგორც ეს ქოლერიკებზე მოქმედებს. ამდენად, ამ ტიპის ტემპერამენტი არამდგრადია. თუმცა, ქოლერიკებისაგან განსხვავებით, სანგვინიკები უფრო მეტი სიდინჯითა და დაფიქრებით გამოირჩევიან. ისინი არ მიდიან ექსტრემალურ მდგომარეობამდე.

განვიხილოთ, სანგვინიკის ტემპერამენტის x_4 ინდექსის დინამიკის ჩვეულებრივი მათემატიკური მოდელი:

$$\dot{x_4} = F(x_3; x_4; t). \qquad (10)$$

სანგვინიკების ტემპერამენტის ინდექსის დინამიკის მათემატიკური მოდელირებისათვის გამოვიყენოთ შესაბამისი უმარტივესი მათემატიკური მოდელი.

$$\frac{dx_4}{dt} = r(x_4 - 3)(x_4 - 4), \qquad (11)$$

სადაც r გამოხატავს სანგვინიკის ტემპერამენტის ინდივიდის გარე შეშფოთებაზე რეაქციის სიჩქარეს.

შესაბამისი ფაზური პორტრეტი წარმოდგენილია ნახ. 6.



ნახ. 6. სანგვინიკის ინდექსის დინამიკის ფაზური პორტრეტი

ამ სურათიდან ნათლად ჩანს, რომ სანგვინიკის ფსიქიკური ტიპის ინდივიდი $x = 4$, არაა მდგრადი გარე პირობების მიმართ და ის შეიძლება ადვილად გადავიდეს მელანქოლიკის $x = 3$ მდგომარეობაში.

Mathcad პროგრამის პლატფორმაზე შევისწავლოთ სანგვინიკის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკა, სხვადასხვა საწყისი პირობებისათვის:

```
r := 0.2(
ic := 2.5(
ic1 := 3.5(
ic2 := 4.1(
D(t, X) := r·(X − 3)·(X − 4)
S := Rkadapt(ic, 0, 10, 500, D)
S1 := Rkadapt(ic1, 0, 10, 500, D)
S2 := Rkadapt(ic2, 0, 10, 500, D)
```



ნახ. 7. სანგვინიკის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკა, სხვადასხვა საწყისი პირობებისათვის

დასკვნები

- აგებულია მათემატიკური მოდელი ფლეგმატური ტემპერამენტის ინდივიდის ინდექსის დინამიკისათვის, ფერხიულსტის ლოგისტიკური მოდელის ბაზაზე. არჩეული შკალირების შესაბამისად, შერჩეულია ლოგისტიკური მოდელის პარამეტრები.

ნაჩვენებია, რომ გარემო პირობებით გამოწვეული სხვადასხვა საწყისი პირობების მიუხედავად, ფსიქიკური ტიპის ინდექსის მნიშვნელობა მიისწრაფის ფლეგმატური წონასწორობის მნიშვნელობისაკენ;

- აგებულია მათემატიკური მოდელი ქოლერიკის ტემპერამენტის ინდივიდის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკისათვის, სადაც გათვალისწინებულია შკალირების თავისებურებები.

განტოლება რამდენიმე ცვლადს შეიცავს, რაც მისი ცალკე ამოხსნის საშუალებას არ იძლევა. მითუმეტეს, რომ ქოლერიკის ტემპერამენტი არაა მდგრადი და გარემო პირობებიდან

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გამომდინარე, ის შეიძლება გადავიდეს ფლეგმატურ ან მელანქოლიკურ წონასწორობის მდგომარეობაში;

- აგებულია დისკრეტული მათემატიკური მოდელი მელანქოლიკის ტემპერამენტის ინდივიდის ფსიქიკური ინდექსის დინამიკისათვის, რომელიც დამყარებულია მორანის მატემატიკურ მოდელზე. სადაც ჩვენი შკალირების შესაბამისად, შერჩეულია პარამეტრების შესაბამისი მნიშვნელობები.

ნაჩვენებია, რომ მელანქოლიკის ფსიქიკური ინდექსის მნიშვნელობა თავიდან სწრაფად იზრდება, შემდგომში კი ნელ-ნელა სტაბილირდება წონასწორული მნიშვნელობისაკენ;

- აგებულია მათემატიკური მოდელი სანგვინკის ტემპერამენტის ინდივიდის ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკისათვის. სადაც გათვალისწინებულია შკალირების თავისებურებები.

განტოლება რამდენიმე ცვლადს შეიცავს, რაც მისი ცალკე ამოხსნის საშუალებას არ იძლევა. მითუმეტეს, რომ სანგვინიკის ტემპერამენტი არაა მდგრადი და გარემო პირობებიდან გამომდინარე, ის შეიძლება გადავიდეს მელანქოლიკის წონასწორობის მდგომარეობაში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE RELATIONSHIP OF THE STATE AND LAW WITH CULTURE „WITH CHINESE SPECIFICITY“

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 16, 2026
Published: February 11, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-67

Givi Lobzhanidze
Doctor of Law
Professor, Georgian Technical University
ORCID: 0009-0005-4378-345X
E-mail: givi.lobzhanidze@giu.edu.ge

Ketevan Akhobadze
National Academy of Sciences of Georgia
Doctor of Social Sciences (PhD)
Expert in the field of culture and art accredited
by the National Academy of Sciences of Georgia
ORCID: 0000-0003-0534-9124
E-mail: akhobadze21@gmail.com

ABSTRACT

The paper discusses: The state and law of China are not only in a complex and heterogeneous relationship with culture, but also a historically determined level of development of society, human ability and creative power, expressed in the forms and types of organization of people's life and activity, their mutual correspondence, and also in the material and spiritual values created by the people. A distinction is made between material and spiritual culture, and in a narrow sense, this term refers to the sphere of the spiritual life of the people, which is divided into branches (political culture, labor culture, speech culture, legal culture, etc.).

Culture (Latin cultura - processing) - is a set of material and spiritual values created by humanity in the aspect of socio-historical practice and in the process of creation, which characterize the historically achieved stage of development of society. In a narrower sense, they speak of material (technology, industrial experience, material values) and spiritual (science, art and literature, philosophy, morality, law, education, etc.) culture. Culture is a historical phenomenon, the development of which depends on the changes in the development of social life. It is a characteristic of a certain historical era (the culture of the ancient world, etc.), people or nation (for example, Greek, Roman culture, Chinese culture).

Culture can be an indicator of the level of individual, group or social, mental or moral development (for example, Chinese family culture).

As is known, the Chinese civilizational model does not create a clear boundary between law and culture in

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

the state. These institutional spheres were never considered as separate from each other. It is noteworthy that, unlike the Western tradition, where law was formed as an autonomous normative system, in Chinese thought it represented an organic continuation of ethical order, social culture and cosmological harmony. And the main directions of Chinese philosophy created such an intellectual matrix, on the basis of which order and legal practice in the state were determined by culture.

All this was well manifested in the following principles: law is not an autonomous system; it is a continuation of the cultural-ethical order, because culture is the basis of political order; the legitimacy of the state as an ethical-cosmological institution is based on moral authority and cosmological harmony; Law is a governance technology and its instrumentalization is balanced by cultural traditions and, most importantly, the state is an institutional form of cultural order.

About this, the American philosopher, professor at the University of California, ***Herbert Fingarette (****born Herbert Borenstein, 1921 – 2018) wrote in his work "Confucius: The Secular As Sacred": "'For Confucius, society is fundamentally a sacred ceremony"*[1].

It should be noted that this monograph has long been recognized as one of the most important philosophical books published on this topic.

Such a formulation reflects the cultural character of the Chinese state - that it is not merely a political organism, but a "civilizational ritual."

Keywords: *State and law, Chinese characteristics, family tradition, Chinese culture, cultural policy, Confucianism, Taoism, Buddhism, intercultural, name, honor, and justice.*

1 Fingarette, 1972, p. 7

REFERENCES:

1. Bell, D. A. (2015). The China model: Political meritocracy and the limits of democracy. Princeton University Press. ISBN # 9780691166452

2. Berdiaev, N. (1990). Gosudarstvo [Государство]. Leningrad.(in russ.)

3. Berdiaev, N. (1993). Eri da kacobrioba [Нация и человечество]. Tbilisi. https://reso-kiknadze.de/bua/eri%20da%20kacobrioba.pdf

4. Berdzenishvili, A. (2011). Politikuri sotsiologia (2nd ed.). Tbilisi.https://taxuna.wordpress.com/wp-content/uploads/2015/11/amiran-berdzenishvili-politikuri-sociologia.pdf

5. Chitadze, N. (2011). Geopolitika. UDC 327.2 ჩ 673; „Universali", gv. 440, Tbilisi. https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/june/books/chitadze-geopolitika.pdf(in Georg.)

6. Chinetmcodneobis sapudzvlebi [Fundamentals of Sinology]. (2025). (Collective authors). ISBN 978-9941-510-12-0; gv. 568. pab. „Qarchkhadzis gamomcemloba". Tbilisi. (in Georg.)

7. Chitanava, N. (1997). Gardamavali periodis sotsialur-ekonomikuri problema. Tbilisi. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/526934/1/GardamavaliPeriodisSocialurEkonomikuriProblemebiDaGadawyvetis_2009.pdf#(in Georg.)

8. Constitution of Georgia. (2021). Tbilisi. (in Georg.)

9. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36; https://www.parliament.ge

10. Constitution of CPR (2018); Конституция КНР. (in Russ.)

11. Erqvania, T. (2024). Samartlis pilosopia. ISBN 978-9941-8-7256-3; gv/ 360. Pab. "Forma". Tbilisi. (in Georg.)

12. Filosofiuri leksikoni [Philosophical dictionary]. (1947). 15 ფ562; gv.725. Pab. "Sabchota Sakartvelo"; Tbilisi. (in. Georg.)

13. Fingarette, Herbert (1972). Confucius: The Secular As Sacred. Harper and Row. ISBN 0-06-131682-2.

14. Garcia, H., & Miralles, F. (2022). Ikigai (Georgian ed.). gv. 214. pab, "Codna", ISBN 978-9941-35-247-8; pab. "Kolori". Tbilisi. (in Georg.)

15. Jiang, S. (2018). China's constitutionalism and the rule of law. Springer. https://americanaffairsjournal.org/2019/08/china-and-the-rule-of-law/

16. Jolia, G. (2001; 2008). Saertashoriso etiketi. Gv.350; 172. ჯ674; Tbilisi. (in Georg.) https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/462952/1/Etiketi_Da_Korespondencia_2008.pdf

17. Kaminskaya, R. I., & Rakhimov, A. R. (1974). Pravovaya kul'tura i voprosy pravovogo vospitaniya [Правовая культура и вопросы правового воспитания]. 202 c. Moscow. (in Russ.)

18. Karchava L., Veshapidze Sh, Tsikelashvili S, „Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union". Gv.8-22. In Georgian. ISSN 1512-4649(Print) ISSN 2667-9752(Online); https://neweconomist.com.ge/media/documents/01-2025-17.04.2025.pdf

19. Karchava L, Veshapidze SH, Chiabrishvili K. "Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia". Gv.7-15. In Georgian. ISSN 1512-4649(Print) ISSN 2667-9752(Onlin)/ https://neweconomist.com.ge/media/documents/03-2023_-11_1QtBJxU.pdf

20. Liebman, B. L. (2014). Legal reform in China. The China Quarterly, 219, 165–188.

21. Lobjanidze, G. (2018). Kartuli sakhelmtsifosa da samartlis istoria. UDC 32(479.22)+34(479.22) ლ-765. Gv. 480. Pab. "bona kauza" . Tbilisi. (in. Georg)

22. Lobjanidze, G. (2024). Sakhelmtsifo samartali. ISBN 978-9941-8-4011-1; gv. 256. Saq.mec. erovn. Academia. Tbilisi. (in.Georg.)

23. Lobjanidze, G. (2025). Sesavali samartalmcodneobashi. Tbilisi. (in Georg.)

24. Matuzov, N. C., & Malko, A. V. (2002). Teoriya gosudarstva i prava [Теория государства и права]. ISBN 5-85887-189-X. Saint Petersburg. (in Russ.)

25. Morgan, L. H. (1800). Drevnee obshchestvo [Ancient society]. Saint Petersburg. (in Russs.)

26. Nye, J. S. (2004). Soft power: The means to success in world politics. Public Affairs. file:///D:/UserProfile/Downloads/_OceanofPDF.com_Soft_Power_-_Joseph_S_Nye_Jr.pdf

27. Peerenboom, R. (2002). China's long march toward rule of law. Cambridge University Press. https://docviewer.yandex.ru/view/1354330539/?*en

28. P'irvelqopili sazogadoebis istoria [History of primitive society]. Pershits I drugie…(1986). Tbilisi. (in Georg.) https://ebooks.tsu.ge/index.php/restricted/ge-books-restricted#p

29. Sigua, S. (2023). Kulturis roli aghzrdzis sakitkhshi. Zhurn. "Paraleli", (14). (in Georg.)

30. Tukvadze, A. (1998). Politikuri elita. 5-89512-116-0; gv. 240. Pab. „Codna". Tbilisi. (in Georg.)

31. Zhao, S. (2013). Cultural nationalism in contemporary China. Journal of Contemporary China, 22(82), 535–553. https://doi.org/10.4324/9780203300480

32. Akhobadze K, 2018. State and Cultural Police. ISBN 978-9941-26-296-8; Tbilisi. 210 p. "Universali" pabl. (in Georgian).

p.s. Some sources were searched using data from the AI platform ChatGPT, which has been verified by the authors.

სახელმწიფოსა და სამართლის კავშირი კულტურასთან „ჩინური სპეციფიკით"

გივი ლობჟანიძე
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი
E-mail: givi.lobzhanidze@giu.edu.ge

ქეთევან ახობაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (PhD),
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის მიერ აკრედიტებული ექსპერტი
კულტურის და ხელოვნების სფეროში
E-mail: akhobadze21@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია: ჩინეთის სახელმწიფო და სამართალი არა მარტო რთულ და არაერთგვაროვან ურთიერთობაშია კულტურასთან, არამედ ეს არის საზოგადოების განვითარების ისტორიულად განსაზღვრული დონე, ადამიანის უნარი და შემოქმედებითი ძალა, გამოხატული ხალხის ცხოვრებასა და მოღვაწეობის ორგანიზების ფორმებსა და ტიპებში, მათ ურთიერთშესაბამისობაში და, აგრეთვე, ხალხის მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებში. როგორც ცნობილია, განასხვავებენ მატერიალურ და სულიერ კულტურას, ხოლო ვიწრო გაგებით, ეს ტერმინი მიეკუთვნება ხალხის სულიერი ცხოვრების სფეროს, რომელიც ნაწილდება დარგების მიხედვით (პოლიტიკური კულტურა, შრომის კულტურა, მეტყველების კულტურა, სამართლებრივი კულტურა და ა.შ.).

კულტურა (ლათ. ცულტურა - დამუშავება) - საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის ასპექტში კაცობრიობის მიერ შექმნილი და ქმნადობის პროცესში მყოფი მატერიალური და სულიერი ღირებულებების ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოების განვითარების ისტორიულად მიღწეულ საფეხურს ახასიათებს. უფრო ვიწრო გაგებით ***მატერიალური*** *(ტექნიკა, საწარმოო გამოცდილება, მატერიალური ღირებულებანი)*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

*და **სულიერი** (მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა, ფილოსოფია, მორალი, სამართალი, განათლება და ა.შ.) კულტურის შესახებ საუბრობენ. კულტურა ის ისტორიული მოვლენაა, რომლის განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ცვლაზე. ეს, გარკვეული ისტორიული ეპოქის (უძველესი სამყაროს კულტურა და ა.შ.), ხალხის ან ერის (მაგალითად, ბერძნული, რომაული კულტურა, ჩინური კულტურა) დამახასიათებელია.*

ცნობილია, რომ კულტურა შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური ან საზოგადოებრივი, გონებრივი ან ზნეობრივი განვითარების დონის მაჩვენებელი (მაგალითად, ჩინური საოჯახო კულტურა).

*როგორც ცნობილია, ჩინეთის ცივილიზაციური მოდელი, სახელმწიფოში, სამართალს და კულტურას შორის - მკაფიო ზღვარს არ ქმნის. ეს ინსტიტუციური სფეროები, არასოდეს განიხილებოდა როგორც ერთმანეთისგან გამიჯნული. აღსანიშნავია, რომ დასავლური ტრადიციისგან განსხვავებით, სადაც **სამართალი** ავტონომიურ ნორმატიულ სისტემად ჩამოყალიბდა, ჩინურ აზროვნებაში იგი ეთიკური წესრიგის, სოციალური კულტურის და კოსმოლოგიური ჰარმონიის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენდა. ხოლო ჩინური ფილოსოფიის ძირითადმა მიმართულებებმა კი ისეთი ინტელექტუალური მატრიცა შექმნეს, რომლის საფუძველზეც, სახელმწიფოში წესრიგი და სამართლებრივი პრაქტიკა კულტურით განისაზღვრებოდა.*

*ეს ყოველივე, კარგად გამოვლინდა შემდეგ პრინციპებში: **სამართალი ავტონომიური სისტემა არ არის; იგი კულტურულ-ეთიკური წესრიგის გაგრძელებაა, რადგან კულტურა - პოლიტიკური წესრიგის საფუძველია;** სახელმწიფოს, როგორც ეთიკურ-კოსმოლოგიური ინსტიტუტის ლეგიტიმაცია, მორალურ ავტორიტეტს და კოსმოლოგიურ ჰარმონის ეფუძნება; სამართლი მმართველობითი ტექნოლოგიაა და მისი ინსტრუმენტალიზაცია, კულტურის ტრადიციებითაა დაბალანსებული და უმთავრესი - **სახელმწიფო კულტურული წესრიგის ინსტიტუციურ ფორმას წარმოადგენს.***

*ამის შესახებ, ამერიკელი ფილოსოფოსი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი **ჰერბერტ ფინგარეტი** (Herbert Fingarette (born Herbert Borenstein, 1921 – 2018) თავის ნაშრომში „Confucius: The Secular As Sacred"/"კონფუცი:სეკულარული, როგორც წმინდა" წერდა:„„კონფუცისთვის საზოგადოება, არსებითად, წმინდა ცერემონიაა"/"For Confucius, society is fundamentally a sacred ceremony"[1].*

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონოგრაფია, დიდი ხანია, ამ თემაზე გამოქვეყნებულ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფილოსოფიურ წიგნად აღიარეს.

ასეთი ფორმულირება, ჩინური სახელმწიფოს კულტურულ ხასიათს ასახავს - რომ იგი მსოლოდ პოლიტიკური ორგანიზმი კი არ არის, არამედ „ცივილიზაციური რიტუალია".

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო და სამართალი, ჩინური სპეციფიკა, საოჯახო ტრადიცია, ჩინური კულტურა, კულტურის პოლიტიკა, კონფუციანელობა, დაოსიზმი, ბუდიზმი, ინტერკულტურა, რეპუტაცია, ღირსება და სამართლიანობა.*

1 Fingarette, 1972, p. 7

შესავალი

საერთო თვალთახედვით, კულტურა არის ყველაფერი ის, რაც შექმნილია ადამიანის მიერ, აქვს საფუძველი მის სულში და მისი შემოქმედების შედეგს წარმოადგენს. ამდაგვარ ღირებულებებს უნდა მივაკუთვნოთ სახელმწიფოც და სამართალიც. უფრო მეტიც, სახელმწიფოს წარმოქმნამ ბიძგი მისცა ნახტომს კულტურის განვითარებაში, გადასვლას ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში[1]. ზემოთ ნათქვამი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა კულტურის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს, როგორც კულტურული ღირებულების გაგება, ძნელად მკვიდრდებოდა საზოგადოებაში. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიერ ადამიანის აბუჩად აგდების თეორია; რაშიც მთავარ „დამნაშავედ" სახელმწიფოს მიიჩნევდნენ. მარქსიზმის იდეოლოგების გარდა, რომლებიც სახელმწიფოში (და აგრეთვე სამართალში) ხედავდნენ მხოლოდ სოციალურ ბოროტებას, ამ თეორიას მხარს უჭერდა და გარკვეულწილად იზიარებდა რევოლუციამდელი რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წელს განიხილავდა სახელმწიფოს, როგორც ეშმაკისეულ ცდუნებას და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მსხვერპლად ეწირება ადამიანი, პიროვნება[2].

1 მორგანი, 1800
2 ნ. ბერდიაევი 1990, გვ 282

სახელმწიფოს არ წყალობდა გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშეც, მისი აზრით, ყველაფერი, რაც განამტკიცებს ძალაუფლების შეგნებას, ძალაუფლების სურვილს და თვით ადამიანის ძალაუფლებას, რაც „ძალაუფლების იარაღია", არის ცუდი. მათ შორის გულისხმობდა სახელმწიფოსაც[1].

სტატიის შექმნისას გამოყენებულია შედარებითი, ისტორიზმის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში, მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, სულ უფრო მატულობს სახელმწიფოს, როგორც კულტურული მოვლენის, ღირებულება. სახელმწიფო სულ უფრო იზრდება, როგორც ადამიანის თავისუფლების დაცვის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების ფაქტორი. მკვლევარ ს. სიგუას თვალსაზრისით, კულტურა ინსტიქტურ ლტოლვათა მოწესრიგება და ადამიანის ჰუმანიზმის შედეგია, ამიტომ, პიროვნების აღზრდის პროცესში, ერთ-ერთი უმთავრესი და გადამწყვეტი ფაქტორია. აღზრდა კი მომავლის პერსპექტივაა - როგორი იქნება ქვეყანა, საზოგადოება, პროგრესი, ინდივიდი[2]. ამიტომაც, სახელმწიფო ზრუნავს მოზარდი თაობის განათლებაზე, ხელს უწყობს საკუთარ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული კულტურის განვითარებას; ამასთან, იცავს და უფრთხილდება კაცობრიობის მიერ დაგროვილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს. ეს პროცესი ეხება ყველას და მათ შორის ჩინეთსაც.

სახელმწიფო განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პოლიტიკურ კულტურაზე, რომლის მატარებლად ითვლება საზოგადოება, პარტიები და პოლიტიკური ლიდერები, მოქალაქეები. პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგად, თავის მხრივ, იქმნება საზოგადოების, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა განშტოების, პოლიტიკური სისტემის განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

სახელმწიფო ზრუნავს სულიერი კულტურის განვითარებაზე, ხელს უწყობს და აფინანსებს ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, თეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

სამართალი, შემოქმედების, კულტურული ღირებულებების დაცვის, ადამიანის კულტურული განვითარების ოპტიმალურ პირობებს ქმნის.

კულტურული უფლებები დაკავშირებულია არა მარტო საზოგადოების მიერ შექმნილ სულიერ და მატერიალურ ფასეულობებთან, არამედ განმტკიცებულია კანონმდებლობით. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ნორმით, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს შემოქმედებით თავისუფლებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული მემკვიდრეობის შექმნასა და განვითარებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას[3].

სამართლის საფუძველზე ყალიბდება კულტურის განსაკუთრებული დონე, სამართლებრივი კულტურა, რომლის ცხოვრებაში გამტარებლად წარმოჩნდებიან მთლიანად საზოგადოება, სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, სოციალური ჯგუფები, პოლიტიკური მოღვაწეები, მოქალაქეები. პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის სამართლებრივი კულტურის განვითარება აქტუალური პრობლემაა, რადგან დიდი ხნის მანძილზე, მათ დამოუკიდებელი სამართალი არ გააჩნდათ და ამას სამართლებრივი ნიჰილიზმი მოჰყვა[4].

რაც შეეხება ჩინეთს, მან პასუხი გასცა კულტურული რევოლუციის განხორციელების ყველა აუცილებელ პირობას, რომელიც მოიცავს სოციალისტური კულტურის განმასხვავებელ თავისებურებებს - ხალხურობა, კომუნისტური იდეურობა და პარტიულობა, მეცნიერული მსოფლმხედველობა, სოციალისტური კოლექტივიზმი, სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერკულტურიზმი. სოციალისტური კულტურის შექმნასა და განვითარებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებს კომუნისტური პარტია, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს მთელ კულტურულ-აღმზრდელობით მოღვაწეობას განსაზღვრავს. სოციალიზმის პირობებში, კულტურა როგორც ეროვნული ფორმებით - მრავალგვარი, შინაარსით - სოციალისტური, თავისი სულისკვეთებითა და ხასიათით - ინტერკულტურული ფენომენი ისე გვევლინება. უფრო ინტენსიური ხდება ხალხებს შორის მატერიალური და სულიერი ღირებულებების გაცვლა, ჩინელი ხალხის კულტურული საგანძური სულ უფრო მდიდრდება ინტერკულტურული ხასიათის მქონე ქმნილებებით, რაც კომუნისტური საზოგადოების მომავალ, ერთიან, ზოგადსაკაცობრიო კულტურის ჩამოყალიბებას

1 ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ, 1947, გვ 418
2 სიგუა, კულტურის როლი აღზრდის პარალელი, N14 2023მ გვ 237
3 კონსტიტუცია. 2021;ჭითანავა (1997); Матузов. Малько 2002
4 ლობჟანიძე (2024), გვ, 183

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

განაპირობებს.

კულტურულმა რევოლუციამ სოციალისტური მშენებლობის პროცესში გამოიწვია ძირეული ცვლილებები საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. კულტურის მიზანია ჰარმონიული, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების, როგორც კულტურულ-ისტორიული პროცესის სუბიექტის, ჩამოყალიბება, მათი ურთიერთობა კი ქმნის სოციალურ საზოგადოებას „ჩინური სპეციფიკით".

გ. ჯოლიას კულტურათა დახასიათებისას ჩინური კულტურა, რეაქციულ კულტურათა რიგს მიაკუთვნა[1]. ისე როგორც ყველა ქვეყნის, ჩინეთის სამართლებრივი კულტურა, კულტურის საერთო სისტემის შემადგენელი ნაწილია, რადგანაც, სისტემაში შემავალი დარგები (რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, ეკონომიკა და ა.შ.) ავლენენ სპეციფიკურ კანონზომიერ კავშირს, რაც გულისხმობს სოციალური, სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობით განპირობებული საზოგადოებრივი ცხოვრების თვისობრივ მდგომარეობას, რომელიც სამართლებრივი მიღწევების, იურიდიული აქტების, სამართლებრივი ცნობიერების და მთლიანად სუბიექტის, ადამიანის, სხვადასხვა ჯგუფის, მთელი მოსახლეობის სამართლებრივი განვითარების მიღწევით, აგრეთვე, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიის დონით გამოიხატება.

სამართლებრივი კულტურის ცნების ჩამოყალიბის ბევრი მცდელობაა, რომლებსაც ერთმანეთთან საერთო და განმასხვავებელი ნიშნები გააჩნიათ. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამართლის სფეროში განსხვავებული სისტემები მოქმედებს. სამართლებრივი კულტურა, სამართლის სხვადასხვა ოჯახს, ერთნაირად არ ესმის. მიუხედავად ამის, მაინც შეიძლება მიახლოებითი ცნების ჩამოყალიბება და ჩვენი აზრით, შეცდომა არ იქნება, თუ მას ასე განვსაზღვრავთ: **სამართლებრივი კულტურა არის მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნის დონის ხარისხობრივი მდგომარეობა, რომელიც აისახება სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ტექნიკურ და შინაარსობრივ მახასიათებლებში, სამართალშეფარდების აქტების კანონიერებაში, სამართლებრივი სისტემის სრულფასოვნებაში, მოქალაქეთა მართლშეგნებასა და მათ ყოველდღიურ ქცევაში, რომელიც ეტევა სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმათა ფარგლებში.** აქედან გამომდინარე, განვიხილოთ სამართლებრივი კულტურის მახასიათებლები.

საზოგადოების სამართლებრივი კულტურის პირველ ნიშანს წარმოადგენს მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების განვითარების დონე, თუ რამდენად ღრმად აქვს ხალხს ათვისებული ისეთი სამართლებრივი ფენომენი, როგორიცაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, დავის გადაჭრის, კომპრომისების ძიების სამართლებრივი პროცედურის ღირებულება; რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა სამართლებრივ საკითხებში; როგორია მოსახლეობის ემოციური დამოკიდებულება კანონთან, სასამართლოსთან, სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოს, იურიდიულ საშუალებასა და პროცედურასთან; როგორია მოქალაქეთათვის განმარტება სამართლებრივი მოთხოვნების დაცვასთან თუ დაუცველობასთან დაკავშირებით და ა.შ.

სამართლებრივი ცნობიერების განვითარების დონე შეიძლება დაფიქსირებული იქნეს მხოლოდ რეალურ სამართლებრივ მოღვაწეობაში, სამართლებრივ ქცევაში, რომელსაც დამოუკიდებელი მახასიათებელები აქვს. სწორედ, სამართლებრივი კულტურის მეორე ნიშანს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განვითარების დონე წარმოადგენს. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტში და სხვა სამართალშემოქმედებით საქმიანობაში, დაკავებულნი უნდა იყვნენ იურისტები, ასევე, სამართლებრივ ურთიერთობებში გარკვეული ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას დემოკრატიული და იურიდიული პრინციპების დაცვით განახორციელებენ.

საზოგადოების სამართლებრივ კულტურაზე, არსებითად, სამართალშეფარდებაც მოქმედებს.

სახელმწიფო აპარატის სამართალდამცავი საგამოძიებო ორგანოების სტრუქტურისა და დაქვემდებარების წესის სრულყოფის საკითხი, სამართლის ავტორიტეტის ამაღლების, მისი დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცების პრობლემები - უკავშირდება სამართალდამცავ ორგანოთა მუშაობის სრულყოფას, ახალი პრინციპების დანერგვას, ხელისუფლების მესამე განშტოების მართლმსაჯულების როლის ამაღლებას და ა.შ.

საზოგადოებაში, სამართლებრივი კულტურა, მნიშვნელოვნად განისაზღვრება მოქალაქეთა რეალური სამართლებრივი ქცევით, რომელიც სამართლებრივი კულტურის მესამე ნიშანია. იმით, თუ რამდენად იციან და დროულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს (მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციის შევსება), იცავენ აკრძალვებს და რამდენად სრულფასოვნად იყენებენ თავიანთ უფლებებს.

საზოგადოების სამართლებრივი კულტურის მეოთხე ნიშანია იურიდიული აქტების ანუ დოკუმე-

1 ჯოლია 2001 გვ 22

ნტების ტექსტების მთელი სისტემის განვითარების დონე. საზოგადოების სამართლებრივი კულტურის შეფასებისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს მეხუთე ნიშანს – კანონმდებლობის სისტემას, რომლის საფუძველს კონსტიტუცია წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მთელი სისტემის განვითარების დონე, კანონების, ხელისუფლების ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების აქტების ჩათვლით. ნებისმიერი იურიდიული აქტი უნდა იყოს სამართლებრივი, ანუ პასუხობდეს საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაბატონებულ წარმოდგენებს სამართლიანობაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე. კანონი სრულყოფილი უნდა იყოს ფორმის თვალსაზრისითაც: მოკლე, მკაფიო და გასაგები მოსახლეობისათვის, გამოქვეყნებული უნდა იყოს ყველასათვის მისაწვდომ საინფორმაციო საშუალებებში და ა.შ. კანონის ხარისხზე მეტყველებს მისი რეალიზაციის მექანიზმი (ინსტიტუციონალური, ორგანიზაციული, პროცედურული, ფინანსურ-ეკონომიკური და სხვა), რომელსაც ტექსტი შეიცავს. საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ხარისხის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მდგომარეობაც. ესენია: სამართალშეფარდებითი (სასამართლოს გადაწყვეტილება და განაჩენი, გამომძიებლის დადგენილება, პროკურორის აქტი, ადმინისტრაციულ-მმართველობითი სფეროს დოკუმენტები და ა.შ.) და სამართალ-სარეალიზაციო (სამეურნეო ხელშეკრულებები და ა.შ.) დოკუმენტები.

ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტების, აგრეთვე სამართლებრივი ხასიათის სხვა (მეცნიერულ-პუბლიცისტური) ტექსტების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა არა მარტო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობის, არამედ მთლიანად, ჩინეთის კულტურის განვითარების დონესთან დაკავშირებით[1].

სამართლებრივი კულტურა არ იზომება მარტო ნორმატიული აქტების სარისხით, ამის თაობაზე შ.ლ. მონტესკიე წერდა - ჩემთვის მთავარია არა კანონების ხარისხი, არამედ ხალხის დამოკიდებულებაა მისადმი. ამ საზომით ჩინელი ხალხი მისაბაძია „კანონმორჩილების“ თვალსაზრისით. ესეც - კულტურის ნაწილია. ჯერ კიდევ ძველი ჩინეთის სამართლებრივი კულტურის ნარატივებმა, დადებითი როლი ითამაშა შემდგომი პერიოდის სამართლის ფილოსოფიისა და სამართლებრივი კულტურის კონცეფციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, რადგანაც ძირითადმა დებულებებმა შემდგომი ასახვა ანტიკური ხანის სამართლებრივ მოძღვრებებში ჰპოვეს.

თანამედროვე ჩინეთის სამართლებრივი კულტურა ახალ „რელსებზე“ დგება, რაც დაკავშირებულია მსოფლიო სამართლებრივი ოჯახების ფორმირების პროცესთან, მხედველობაშია სოციალისტური სამართლის სისტემის რეფორმაცია. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სოციალისური სამართლის სისტემაში დარჩა ჩინეთი, ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა და კუბა. ჩინეთის სამართლის სისტემა გაცილებით ჩქარი ტემპით ისწრაფვის კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახისკენ, ამიტომ, დღეის მდგომარეობით, შერეული სამართლის სისტემის ნაწილია, რომელზეც აგებულია სამართლებრივი კულტურა.

ჩინეთის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ბაზაზე, შესაძლებელია და უზრუნველყოფს საამისოდ აუცილებელ ყველა წინამძღვარს. კულტურული მემკვიდრეობა, ღირებულები ხდება, პირველ რიგში, ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლის საშუალება. სოციალური სისტემის კულტურის ძირითადი ამოცანები არის ის, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ხორციელდება სახალხო განათლების მთლიანი გარდაქმნა, როდესაც ხალხის ფართო მასები, კულტურის მიღწევებს ეზიარა. ამით შეიქმნა: სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ცხოვრების, სამეურნეო-ორგანიზაციული მართვის ახალი ფორმების ძიების, სოციალისტური ინტელიგენციის კადრების აღზრდისა და ახალი, სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობები. „ჩინური სპეციფიკით“, კულტურული რევოლუციის ეს ამოცანები საერთოა ყველა სოციალისტური ქვეყნისათვის, მიუხედავად მახასიათებლების განსხვავებისა. თავის დროზე, ჩინეთის მოსახლეობის უმრავლესობაც წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მაგრამ შეძლეს, ნახტომისებური სვლით მიეღწიათ წარმატებისათვის ყველა სფეროში.

ჩინეთის კონსტიტუციის მე-19 და 20-ე მუხლებით, სახელმწიფოს მიერ, ტარდება ღონისძიებები - კულტურული დაწესებულებების გაფართოების, აგრეთვე, სამეცნიერო და კულტურის დონის ამაღლების თვალსაზრისით, მთელს ქვეყანაში[2].

ინგლისელი სოციოლოგის ენტონი გიდენსის თეორიით, პატარა ერებისგან განსხვავებით, დიდი

1 ლობჟანიძე 2025, გვ. 164
2 Конституция КНР, (2018), ст, 19-20,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ერების მიერ სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში განხორციელებული ცვლილებები, მიმდინარეობს გამდიდრებასა და მეტოქეებზე, სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის[1]. ამ მარათონში არიან ჩაბმული სუპერსახელმწიფოები და მათ შორის ჩინეთიც, რომლის ხელისუფლების მიერ ქვეყნის შიგნით დ, ასევე, საგარეო პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებები, პირდაპირ აისახება ხალხის ცნობიერებასა და კულტურაზე, რასაც „ჩინურ სპეციპიკას" უწოდებენ.

აღმოსავლეთის ყველა დიდი კულტურა თავისთავად უნიკალურია. მათ შორის, გამორჩეული ადგილი ჩინეთს უკავია თავისი სპეციფიკური და უჩვეულოდ ძლიერი სოციალურ-კულტურული გენოტიპის ჩამოყალიბებით და არ ახასიათებს რყევები, როგორც სხვა ცივილიზაციებს[2].

მკვლევრების თვალსაზრისით, რაც ჩვენთვისაც მისაღებია, ჩინეთის მომაჯადოებელი ხიბლი, სწორედ მის მდიდარ კულტურაშია. იგი ღირებულებებზე დაფუძნებული ფუნდამენტური სისტემაა, არსებითი და ძირეული ცხოვრების სტილით, სიღრმისეული აზროვნების წესითა და მნიშვნელოვანი ესთეტიკური მახასიათებლებით, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, უწყვეტად ასაზრდოებს ჩინური კულტურის ყველა განშტოებას[3].

რა იგულისხმება „ჩინური კულტურის სპეციფიკაში"? - ეს არის ჩინური კულტურის თავისებურებები...

გთავაზობთ მათ მოკლე ანალიზს: ჩინური კულტურა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე რთული ცივილიზაციაა, რომელიც ათასწლეულებს მოიცავს და გავლენას ახდენს აღმოსავლეთი აზიის ყოფის თითქმის ყველა ასპექტზე. იგი ღრმად არის ფესვგადგმული ტრადიციებში, ფილოსოფიაში, სოციალურ სტრუქტურასა და სულიერ რწმენებში, რომლებიც ათასობით წლის განმავლობაში ვითარდებოდა. შემოთავაზებულ მასალაში მიმოხილულია ჩინური კულტურის ძირითადი თავისებურებები, მათ შორის ფილოსოფიის საფუძვლები, ოჯახური სტრუქტურა, სოციალური ეტიკეტი, თვითგამოხატვა, რელიგიური რწმენებისა და ტრადიციის როლი თანამედროვე ჩინურ საზოგადოებაში.

ძველ ჩინეთში ცერემონიის 30 ათასამდე სახეობას ითვლიდნენ. კერძოდ, როგორ დავაკაკუნოთ კარებზე, როგორ ავდგეთ, დავჯდეთ, ავიღოთ ფინჯანი ჩაით და ა.შ. ყველაფერი მკაცრად იყო განსაზღვრული. ფეოდალთა და დიდგვაროვანთა ბავშვები მათ ათვისებაზე საკმაოდ დროს ხარჯავდნენ, თუმცა ასეთი არაბუნებრივი, ხელოვნური, გართულებული ეტიკეტი, მდიდრებსა და ღარიბებს შორის დაცილებას კიდევ უფრო ზრდიდა და ე.წ. „ჩინურ კედელს" ქმნიდა.

ასე მარტო ჩინეთში არ იყო. ყველა ქვეყანას და ყველა დროში, მმართველი, გაბატონებული კლასი მის ხელთ არსებული საშუალებებით, მათ შორის, მანერებითა და ქცევის ნორმებით ღარიბებისგან განცალკევებას, გამოყოფას ცდილობდა[4].

თანამედროვე პოლიტიკურ თეორიაში სახელმწიფოს, სამართლისა და კულტურის ურთიერთმიმართება როგორც ძალაუფლების ლეგიტიმაციის, სოციალური ინტეგრაციისა და ღირებულებითი ნორმების ინსტიტუტის ცენტრალიზებული მექანიზმი, ისე განიხილება. დასავლურ ლიბერალურ მოდელში სამართალი, როგორც წესი, კულტურისგან, ფორმალურად, გამიჯნულ, ნორმატიულ-რაციონალურ სისტემად აღიქმება. თუმცა ჩინეთის შემთხვევაში, განსხვავებულ კონფიგურაციას ვხედავთ, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: **სამართალი, კულტურულ-ცივილიზაციური მატრიცის ორგანული ნაწილად ფუნქციონირებას და სახელმწიფო კი კულტურის მეშვეობით, საკუთარი ლეგიტიმაციის რეპროდუცირებას ახდენს.**

ჩინური მოდელი, ინდივიდუალისტური სამართლებრივი პრინციპებით არ მოქმედებს. ის კონფუციანური ეთიკური წესრიგის, კოლექტივიზმის და ჰარმონიის იდეაზე დგას. ჩინური კულტურის ფილოსოფიური საფუძვლები კი კონფუციანობა, დაოსიზმი და ბუდიზმია.

კონფუციანობა - კონფუციმ (551-479 წ.წ. ჩ. წ.-აღ-მდე) დააფუძნა, რომლისთვისაც მთავარია მორალი, სოციალური ურთიერთობები, სამართლიანობა და გულწრფელობა. იგი მხარს უჭერს იერარქიულ საზოგადოებას, რომლის ყველა წევრს განსაზღვრული როლი აქვს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობლებისა და წინაპრების პატივისცემას. ერგულებასა და რიტუალურ წესრიგს; ხშირად ასოცირდება ავტორიტარულ ტრადიციებთან. კონფუციანიზმში არის უამრავი საინტერესო პასაჟი. მაგ., ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებით, ადამიანიც „ღვთაებრივი კეთილშობილების" მქონე არსებაა. უშუალოდ ეს კონტექსტი, ძირითადი უფლებების თეორიის გააზრების თვალსაზრისით, თანამედროვე სამართლებრივი დისკუსიების ნა-

1 ბერძენიშვილი ა. 2011, გვ. 293
2 ჩინეთმცოდნეობის საფუძვლები, 223ლი? გვ 527
3 იქვე, გვ. 528
4 ჯოლია 2001 გვ 137

წილია[1].

ტრადიციულ თვალსაზრისზე და შეხედულებებზე დაყრდნობით, კონფუცი ავითარებს სახელმწიფოს პატრიარქალურ-პატერნალისტურ კონცეფციას. **სახელმწიფო** მის მიერ განიხილება როგორც **დიდი ოჯახი,** იმპერატორის ('ხეცის ძის') ხელისუფლება - ოჯახის მამის ძალაუფლების, ხოლო მმართველთა და ქვეშევრდომთა ურთიერთდამოკიდებულება - ოჯახურ ურთიერთობათა იდენტურია, სადაც უმცროსი დამოკიდებულია უფროსზე. კონფუცის მიერ წარმოსახული სოციალურ-პოლიტიკური იერარქია აგებულია ადამიანთა უთანასწორობის პრინციპზე. იგი ადამიანების „მდაბიოებად" და „წარჩინებულებად" დაყოფისა და ერთის მეორისადმი მორჩილების კანონზომიერებას ასაბუთებდა[2].

დაოსიზმი, რომლის საფუძველი ლაო წის დაწერილ დაო დე ცინგ-შია წარმოდგენილი, ქადაგებს ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრებას. იგი აქცენტს აკეთებს სიმარტივეზე, სპონტანურობასა და ბუნებრივ ნაკადში ჩაურევლობაზე.

დაოსიზმი (ტაოიზმი) უძველესია ჩინურ რელიგიურ კულტურაში, ამიტომ დაოისტურ ტაძრებში ყოველთვიურად ათზე მეტი დღესასწაული აღინიშნება: მათ შორის, დაოისტური დღე მთვარის კალენდრით ყოველ 15 თებერვალს[3].

ბუდიზმი, რომელიც ჩინეთში ინდოეთიდან გავრცელდა, შერწყმულია ადგილობრივ ტრადიციებთან. ბუდიზმში ძირითადია კარმა, რეინკარნაცია და მედიტაცია. ჩინეთში განავითარდა მისი სკოლები, როგორიცაა ჩანი (შემდგომში, ზენი იაპონიაში).

კონფუციმ დაამკვიდრა, სახლხთა ურთიერთობის სრულიად ახალი კულტურა. მან ასწავლა ადამიანებს არა მარტო უძველესი სტრადიციებით ტკბობა, არამედ ამ პროცესს ახლებული აღმოსავლური, სული შთაბერა. მას, უპირველეს ამოცანად, ადამიანთა სულიერი მგდომარეობის განმტკიცება, ხოლო აღზრდა, ქცევის ნორმების სრულყოფით მიაჩნდა[4].

თანამედროვე ბუდისტურ ეთიკაში მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, ეწინააღმდეგება თუ არა ბუდისტურ რელიგიურ მოძღვრებებს ადამიანის ძირითადი უფლებების ინდივიდუალისტური კონცეფცია. ბუდიზმში არსებითი პოსტულატია საკუთარი ეგოცენტრული მისწრაფებების დამარცხება. მიუხედავად ამ კონტექსტისა, ბუდიზმის თანამედროვე თეორეტიკოსები ძირითადი უფლებების თეორიას ამავე რელიგიის საფუძვლებთან წინააღმდეგობაში მყოფ კატეგორიად არ განიხილავენ[5].

ჩინურ კულტურაში დასახელებული სამი მოძღვრება თანაარსებობს და ხშირად ერთმანეთშია გადაჯაჭვული. **ჩინური კულტურის ქვაკუთხედი - ოჯახია.** იგი ფუნქციონირებს კონფუციანურ ჩარჩოში, რომელშიც კოლექტიური კეთილდღეობა ინდივიდუალურ კეთილდღეობაზე მაღლა დგას. ხშირად დიდი და გაფაითოებული ოჯახები ერთად ცხოვრობენ ან მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებენ. დიდი ოჯახების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას ვხვდებით ძველ საქართველოშიც, ნ. ხიზანიშვილი წერს - საგვარეულო ცხოვრება, ხელს არ უწყობს გაყრას, ასე ყოფილა ძველად ყველგანო და მაგალითად მოჰყავს ძველი ინდოეთი და ჩინეთი, ასეა ჩვენს მთაშიც[6].

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართალი ჩინურ მოდელში, კულტურის გაგრძელებაა და არა მისი ნეიტრალური მარეგულირებული.

ჩინეთში წინაპართა თაყვანისცემა კულტურის განსაკუთრებული მახასიათებელია. ითვლება, რომ გარდაცვლილი წინაპრები გავლენას ახდენენ ცოცხალთა ცხოვრებაზე. ასეთი პატივისცემის გამოვლინებაა წმენდის დღესასწაული (ქინგმინგ ფესტივალი), როცა ოჯახები საფლავებს ასუფთავებენ და საჭმელს სწირავენ[7].

გამორჩეულია ჩინური მშენებლობის კულტურა, მაგალითად: ჩინეთის მონარქები და მათი ოჯახების წევრები შესანიშნავ არქიტექტურულ შენობებში ცხოვრობდნენ, სადაც ტარდებოდა სახელმწიფო ცერემონიები და რელიგიური რიტუალები, ყველა მათგანი შემორჩენილი არ არის, მაგრამ დღეს არსებული არქიტექტურული ხელოვნების უზადო ნიმუშს წარმოადგენს. მაგალითად პეკინის ე.წ. 27 ჰ-ზე გაშენებულია პავილინებით, ტაძრებით, „აკრძალული ქალაქის" სამეფო კომპლექსი, 8000 დარბაზით და ოთახით, 17 სასახლით.

ჩინური ენა თვითონვე გამოხატავს კულტურულ თავისებურებას. ჩინური ენის სირთულის შესახებ მრავალი მითი და გამოთქმა არსებობს. ქართველები ხშირად ისეთ რამეს, რაც რთულია და ჩვე-

1 ერქვანია 2024 გვ 121
2 ტუკვაძე 1998, გვ. 41
3 ჩინეთმცოდნეობის საფუძვლები, გვ 360
4 ერქვანია, სამართლის ფილოსოფია, გვ121
5 ჯოლია 2001 საერთაშორისო ეტიკეტი გვვ 165
6 ლობჟანიძე 2018 გვ. 266
7 ჩინეთმცოდნეობის საფუძვლები, გვ 540

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნთვის გაუგებარია, „ჩინურს“ ეძახიან[1]. მანდარინი, რომელიც ოფიციალური ენაა, იყენებს ლოგოგრაფიულ იეროგლიფებს. თითოეული იეროგლიფი წარმოადგენს სიტყვას ან მნიშვნელობის შემცველ ერთეულს, ხშირად ისტორიული ან პიქტოგრაფიული მნიშვნელობით (ჩინურ ენათა ჯგუფი ათ ძირითად დიალექტს მოიცავს).

ჩინური დამწერლობა ერთ-ერთია იმ უძველეს დამწერლობათა შორის, რომლებიც შექმნის დღიდან თანამედროვეობამდე უწყვეტად გამოიყენება. აზიაში მას ისტორიულად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ქვეყნის - მაგალითად, იაპონურ, ვიეტნამურ და კორეულ დამწერლობებზე[2].

წერითი ენა ასრულებს კულტურული ერთიანობის როლს, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში უამრავი დიალექტი არსებობს, წერითი ენა, ძირითადად, ერთიანია.

ჩინური კულტურის ნაწილია ქაღალდის ფულის ერთეულის შემოღება, რაც ეკონომიკის სფეროში რევოლუციას წარმოადგენდა. ქაღალდის ფულმა გამოანთავისუფლა ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და სხვა მეტალები, რომელსაც იყენებდნენ მონეტების მოსაჭრელად. კომფორტული გახდა ქაღალდის ფულის შენახვა, გადატანა და გამოყენება პრაქტიკაში.

ჩინელებს მიბაძა იაპონიამ და სხვა აზიურმა სახელმწიფოებმა, ევროპაში კი ქაღალდის კუპიურების დამზადება ინგლისელებმა დაიწყეს.

ჩინურ კულტურაში მონარქის დაკრძალვის განსხვავებული წესი არსებობდა. ეს პროცესი ბრწყინვალებითა და დიდებულებით სრულდებოდა, შენდებოდა მონუმენტები, იგებოდა აკლდამები და ა.შ. ძველ ჩინელებს სწამდათ, რომ გარდაცვლილ მონარქს მარადიულ სასუფეველში სიმდიდრე და მომსახურება სჭირდებოდა. 1974 წელს ჩინელმა გლეხებმა ციანის პროვინციაში, ჭის თხრის დროს, უდიდეს მიწისქვეშა კომპლექსს მიაკვლიეს, რომელიც ჩინეთის ერთ-ერთი ძლევამოსილი იმპერატორის ცინ შიხუანდის (ძვ.წ. მე-3 ს.) სამეფო აკლდამა აღმოჩნდა. მსგავსი ნაგებობები მრავლად არსებობს[3].

ჩინურ საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეტიკეტს და სოციალური ჰარმონიის შენარჩუნებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კონცეფციაა „სახე“ (მიანძი), ადამიანის რეპუტაცია და ღირსება. „სახის დაკარგვა“ ან სხვისთვის, მისი დაკარგვის ხელშეწყობა - მიუღებელია.

პატივისცემის ნიშნებია ფორმალური მისალმება, ხანდაზმულებისადმი მოწიწება და მოკრძალებული ქცევა. სტუმართმოყვარეობა მნიშვნელოვანი ღირებულებაა და სტუმრებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

ჩინური კულტურა მდიდარია დღესასწაულებით, რომელთაგან ბევრი მთვარის კალენდარზეა დაფუძნებული და სიმბოლურ დატვირთვას ატარებს:

- ჩინური ახალი წელი (გაზაფხულის ფესტივალი): 15-დღიანი ზეიმი, რომელი ოჯახის გაერთიანებას, ფოიერვერკებსა და წითელ დეკორაციებს მოიცავს.
- შუა შემოდგომის ფესტივალი: აღინიშნება მთვარის ფორმის ნამცხვრებითა და ფარნებით. პატივს მიაგებენ მთვარესა და ოჯახის ერთიანობას.
- დრაკონის ნავის ფესტივალი: დრაკონის ნავის რბოლებითა და ბრინჯით დამზადებული კერძების ჭამით აღინიშნება.

ჩინური კულტურის ნაწილია ორთაბრძოლობის რამდენიმე მიმართულებით განვითარების ხელოვნება, მათგან ერთ-ერთია ტაიჩი (ტაი ჩუ ვან), რომელიც ათასობით წელიწადს ითვლის ბუდიზმსა და კონფუციზმთან ერთად: იგი ძალიან პოპულარულია აღმოსავლეთ ქვეყნებში, მათ შორის იაპონიაშიც.

თაი ჩი, თავდაპირველად, იყო ნინძა, შინაგანი საბრძოლო ხელოვნება, რომელიც ხელს უწყობდა პიროვნულ განვითარებას, ასევე მიიჩნეოდა სხეულისა და გონების სამკურნებლად. ჩინეთის მთავრობამ ტაიჩი აღიარა, როგორც ვარჯიში. მან დაკარგა თავდაპირველი კავშირი საბრძოლო ხელოვნებასთან და იქცა ყველასათვის ხელმისაწვდომ ჯანმრთელობის წყაროდ[4].

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეპოქაში, გაზრდილია გლობალიზაციისა და კულტურული ურთიერთობის გავლენათა კოეფიციენტი, რამაც კომპლექსური ცვლილებები გამოიწვია,[5] ნარჩუნდება ეროვნული კულტურის ფასეულობები.

ჩინური ხელოვნება დღესაც გამოხატავს ღრმა პატივისცემას ბუნების, გარემოს ბალანსის მიმართ. მკვლევრების თვალსაზრისით, ჩინური კულტურაში ტრადიციული ფერწერა და კალიგრაფია კონცენტრირებულია ფუნჯის ტექნიკასა და ბუნების თემებზე, როგორებიცაა პეიზაჟები, ფრინველები და ყვავილები, რომლებსაც სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნიათ:

1 ჩინეთმცოდნეობის საფუძვლები, გვ 470
2 იქვე, 482-502
3 ჯოლია, 2001, 309
4 გარსია.....2022, გვ 174
5 ჯოლია გვ.81

- წითელი ფერი აღნიშნავს ბედნიერებასა და წარმატებას, გაიგივებულია მამაკაცურ აქტიურ საწყისებთან, ... და ა.შ.;
- რიცხვი 8 - სიმდიდრესთან ასოცირდება;
- დრაკონი წარმოადგენს ძალაუფლებას და ხშირად იმპერატორებთან ასოცირდება.
- დიდ სიხარულს ანიჭებთ წითელი და მწვანე ყვავილები.

ჩინური სამზარეულო კულტურული იდენტობის საფუძველია. იგი გამოირჩევა რეგიონული მრავალფეროვნებითა და გემოს ბალანსით (ტკბილი, მჟავე, მწარე, ცხარე, მარილიანი) სიჩუანის ცხარე კერძებიდან დაწყებული, კანტონური დელიკატესებით დამთავრებული. ჩინეთში ზვიგენის სუპს განსაკუთრებული ფორმის კერამიკული კოვზებით მიირთმევენ. აქ საკვები, არა მარტო აუცილებლობა, არამედ სოციალური და კულტურული მოვლენაცაა, რადგანაც ნ. ბერდიაევის თვალსაზრისით, ეროვნულ კულტურათა და ცხოვრების სახეთა ქმნილება ვერ ეგუება გარეგან, იძულებით დასაზღვრას, იგი არ არის აღსრულება რაიმე მოხვეული კანონისა, იგი თავისუფალია, მასში შემოქმედებითი სილაღეა. დაკანონებული ნაციონალიზმი და დაკანონებული ჰუმანიზმი ორივე ერთნაირად თრგუნავს შემოქმედებით გაქანებას[1], მათ შორის კულტურის სფეროს განვითარებას.

ამის მიუხედავად, XX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, სწრაფმა მოდერნიზაციამ მრავალი ცვლილება მოიტანა. ურბანიზაციამ, ეკონომიკურმა რეფორმებმა და გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოების ფასეულობები, განსაკუთრებით ახალ თაობაში, თუმცა ტრადიცია კვლავ რჩება ძლიერ საფუძვლად. მთავრობა და საზოგადოება უფრო მეტად ცდილობენ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, როგორებიცაა კლასიკური ლიტერატურა, ტრადიციული ფესტივალები და კონფუციანური ღირებულებები.

ჩინურ კულტურაზე უამრავი ნაშრომი დაიწერა გამსხვავებულ ჭრილში. ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი და კროს-კულტურების მკვლევრის **ედუარდ ჰოლის** (*Edward Twitchell Hall Jr. 1914-2009)* მიერ აღწერილი მაღალი კონტექსტის მქონე ჩინური კულტურა - არაპირდაპირია, მასში უხვადაა არავერბალური მინიშნებები და თანამოსაუბრეთა ურთიერთგაგებას მოითხოვს.

ნიდერლანდელი სოციოლოგის **ჰერტ ჰოფსტედეს** კულტურული ცვლილებების განზომილებათა სქემას თუ გამოვიყენებთ, ის ჩინეთის კულტურის ისეთ ასპექტს წარმოაჩენს, როგორიცაა ძალაუფლების მაღალი მიმღებლობა, რაც საზოგადოების იერარქიული დაყოფის, ძალაუფლებისა და ასაკობრივი უპირატესობის პატივისცემას გამოხატავს. ამასთან, ჰოფსტედეს გაურკვევლობის თავიდან არიდების განზომილებაში ნათლად ჩანს ჩინური კულტურის თანაბარი ლტოლვა ბუნდოვანებისა და კანონზომიერებისაკენ[2].

ჩინელებს კომუნიკაციის სფეროშიც განსაკუთრებულობა ახასიათებთ. ამიტომ მკვლევრები, არც ამ წახნაგს ტოვებენ უყურადღებოდ. სწორედ აქედან გამომდინარე, ბრიტანელი ლინგვისტის, **რიჩარდ ლუისის** (Richard D. Lewis, დაბ. 1930) მოდელი ჩინურ კულტურას ახასიათებს, როგორც არაპირდაპირი კომუნიკაციის სტილის მქონე „რეაქტიულ“ კულტურას, რაც, ასევე, ეხმიანება ჰოლის მაღალი კონტექსტის კომუნიკაციის სტილს.

სამივე მეცნიერის განზომილებები გვაძლევს საშუალებას, მრავალი კუთხით განვიხილოთ ჩინური კულტურა, გამოვყოთ მისი მთავარი ღირებულებები და მახასიათებლები, როგორებიცაა, კოლექტივიზმი, ძალაუფლების პატივისცემა, ჰარმონიისკენ სწრაფვა, არაპირდაპირი და ნაგულისხმევი კომუნიკაციის ფორმა, მოქნილობა დღის განრიგის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღებისას და სხვ[3].

ცალკე მსჯელობს თემაა სავაჭრო ურთიერთობების გადაკვეთა, კულტურის რეცეფციასთან, ამის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ „დიდ აბრეშუმის გზის“ გავლენა კულტურის განვითარებაზე. სადაც თავის დროზე ჩართული იყო საქართველოც და ამ ისტორიულ გზის ქვეყნების კულტურა ურთიერთზეგავლენას ახდენდა, რაც საერთაშორისო ხასიათს ღებულობდა.

ჩინეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის სფეროს გაფართოების პროგრამაში, მნიშვნელოვანი ადგილი კულტურულ ექსპანსიას ეკისრება. 2004 წელს, ჩინეთის მთავრობამ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 100-ზე მეტი „კონფუციური ინსტიტუტის“ შექმნის პროგრამა მოიწონა. ამ ინსტიტუტების მიზანია ჩინური კულტურისა და ენის გავრცელება[4].

„მშვიდობიანი აღზევების“ სტრატეგიის შედეგად, ჩინურმა კულტურამ ნელ-ნელა შეაბიჯა მანამდე არ არსებულ სივრცეებში და ამ გზით, ჩინეთი, დასავლეთის თვალსაწიერშიც იმიჯს და ავტორიტეტს აუმჯობესებს.

და ბოლოს, რა არ არის მიღებული ჩინეთში:

1 ჯოლია, გვ41
2 ჩინეთმცოდნეობის საფუძვლები, გვ. 554
3 იქვე, 554
4 იქვე, გვ. 554

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აგრესიულობა და ეგოცენტრულობა, არათანმიმდევრობა, სავიზიტო ბარათის გარეშე ყოფნა, პარტნიორისათვის სახელით მიმართვა (გვარს წინ ემატება „მისტერ"), გამუდმებით თვალებში ყურება, ხშირი ვიზუალური კონტაქტით, საჩუქრის თეთრ ფერში შეხვევა, თეთრი და ცისფერი ყვავილების, ასევე საათის ჩუქება, წერის შემთხვევაში ჯერ სახელის, შემდეგ გვარის მოხსენიება, ეგზოტიკურ კერძზე უარის თქმა, მოლაპარაკების ნაჩქარევი წარმართვა, ფრონტაციული[1] ურთიერთობა, მოკლე ვადიანი შეთანხმება, გადაწყვეტილებათა ინდივიდუალურად მიღება. ძვირადღირებული საჩუქრის მირთმევა, ტრაბახი, საერთო თეფშიდან უკანასკნელი ნაჭრის აღება, წვრილმანი გასამრჯელოს[2] გადახდა და ა.შ.

თუ ამ საკითხებს კულტურის სოციოლოგიის ჭრილშიც განვიხილავთ, ძალიან საინტერესო სურათს მივიღებთ: თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებში სახელმწიფოს, სამართლის და კულტურის ურთიერთმიმართება როგორც ძალაუფლების ლეგიტიმაციის, სოციალური ინტეგრაციის და ღირებულებითი ნორმების ინსტიტუციონალიზაციის ცენტრალური მექანიზმი ისე განიხილება. დასავლურ ლიბერალურ მოდელში სამართალი, როგორც წესი, კულტურისგან, ფორმალურად, გამიჯნულ, ნორმატიულ-რაციონალურ სისტემად აღიქმება. თუმცა ჩინეთის შემთხვევაში, განსხვავებულ კონფიგურაციას ვხედავთ, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: სამართალი კულტურულ-ცივილიზაციური მატრიცის ორგანულ ნაწილად ფუნქციონირებს და სახელმწიფო კი კულტურის მეშვეობით, საკუთარი ლეგიტიმაციის რეპროდუქციას ახდენს.

ჩინური მოდელი, ინდივიდუალისტურ სამართლებრივ პრინციპებს არ ეფუძვნება. ის კონფუციანურ ეთიკური წესრიგის, კოლექტივიზმის და ჰარმონიის იდეაზე დგას.

კონფუციანური ფილოსოფია ჩინური სამართლებრივი კულტურის ღირებულებით საფუძველს გასაზღვრავს და კონფუციანური ხედვა კი სამართალს, როგორც პირველადი რეგულირების ინსტრუმენტს ისე არ განიხილავს - აქ უფრო მნიშვნელოვანია მორალური წესრიგი და ჰარმონია. თანამედროვე ჩინური სამართლის მსოფლიოში ერთ-ერთ გამოჩენილი მკვლევარი **ბენჯამინ ლ.ლიბმანი** (Benjamin L. Liebman, 1969) აღნიშნავს: „ჩინეთში კანონი ისტორიულად ფუნქციონირებდა როგორც მორალური წესრიგის დამატება და არა როგორც მმართველობის ავტონომიური სისტემა"/ "In China, law historically functioned as a supplement to moral order rather than as an autonomous system of governance".[3]

ანალოგიურად, ჩინელი იურიდიული და პოლიტიკური თეორეტიკოსი და ჩინეთის მინზუს უნივერსიტეტის პრეზიდენტი **ციან შიგუნი** (Jiang Shigong, 1967), რომელიც ჩინეთში ლიბერალიზმს ეწინააღმდეგება, თავის შრომებში ხაზგასმულად გამოხატავს თავის თვალსაზრსს, რომ ჩინურ პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში, კონსტიტუცია, მხოლოდ იურიდიულ ტექსტად ვერ განიხილება. ის ცივილიზაციური მანდატის გაგრძელებაა: „ჩინეთის კონსტიტუცია არ არის მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტი, არამედ ისტორიული ცივილიზაციისა და პოლიტიკური მორალის გამოხატულებაა"/"The Chinese Constitution is not merely a legal document but an expression of historical civilization and political morality" [4].

შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ სამართალი ჩინურ მოდელში, კულტურის გაგრძელებაა და არა მისი ნეიტრალური მარეგულირებელი.

თანამედროვე ეტაპზე, ჩინური სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის აქტიურ ინტეგრაციას სამართლებრივ სტრუქტურებში ახორციელებს. იტალიელი ფილოსოფოსის და პოლიტიკური მოღვაწის **ანტონიო გრამშის** (*Antonio Gramsci*, 1891–1937) „კულტურის ჰეგემონიის" ჩარჩოში თუ ამ პროცესებს შევხედავთ, ჩინური სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ჰეგემონია სახელმწიფოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუციონალიზაციის გზით ხორციელდება.

ამერიკელი სოციოლოგი **ანდრეი ბელი** (Daniel A. Bell, 1919-2011) წერდა: „ჩინეთის პოლიტიკური მოდელი მერიტოკრატიას, კულტურულ ტრადიციასა და სახელმწიფო ავტორიტეტს ერთიან ნორმატიულ ჩარჩოში აერთიანებს"/"China's political model integrates meritocracy, cultural tradition and state authority into a unified normative framework"[5].

ამ მოდელში, სამართალი, როგორც ღირებულებითი ჩარჩოს ინსტრუმენტი ისე მოქმედებს, ხოლო კულტურის შესახებ კანონმდებლობა - სახელმწიფოს და კულტურის ალიანსს აყალიბებს.

1 ფრონტაციული ურთიერთობა არის აგრესიული, დაპირისპირებაზე ორიენტირებული ქცევა, რომელიც ხასიათდება ღია კონფლიქტით, წინააღმდეგობითა და დაძაბულობით და გულისხმობს მტრულ განწყობას, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც პირად, ისე პოლიტიკურ დონეზე

2 ჯოლია 341

3 Liebman, 2014, p. 167

4 Jiang, 2018, p. 24

5 Bell, 2015, p. 38

ჩინეთის ოფიციალური დისკურსი ტერმინს - „rule of law with Chinese characteristics" იყენებს, რომელიც სამართლის სისტემის განვითარებას გულისხმობს პარტიულ-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ფარგლებში.

დღევანდელი ჩინეთის მმართველი ხელისუფლება სამართალს განიხილავს როგორც მმართველობის ეფექტურ ინსტრუმენტს და არა ძალაუფლების შეზღუდვის მექანიზმს.

ამერიკელი მეცნიერი, სამართლის პროფესორი **რენდალ პირენბუმი** (Randall Peerenboom, 1958) დღევანდელი ხელისუფლების ქმედებას ასე აფასებს: „ჩინეთი ავითარებს კანონის უზენაეს სისტემას და არა დასავლური სტილის კანონის უზენაესობას"/„China is developing a rule by law system rather than a Western-style rule of law"[1]. ასეთ კონტექსტში კი სამართალი ჩინეთში კულტურის და პოლიტიკის ერთიანობის ინსტრუმენტი ხდება, რომელიც ეროვნული იდენტობის და ცივილიზაციურ თვითაღქმას ემყარება.

ჩინეთის კულტურის პოლიტიკა სახელმწიფო განვითარების სტრატეგიაშია ინტეგრირებული, რომელშიც კულტურა როგორც „რბილი ძალის" (**Joseph Nye-ის** კონცეფცია) რესურსად, ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტად აღიქმება და გლობალურ მსოფლიო დიპლომატიის ფორმატად გადამუშავდა, ჩამოყალიბდა.

თუ დღევანდელი ჩინეთის კულტურის შესახებ საკანონმდებლო ბაზას გადავხედავთ, ის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივი ჩარჩო, ციფრული მედია-ტექნოლოგიების რეგულაცია და ამავე დროს, იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმები.

დანვერის უნივერსიტეტის ჩინელ-ამერიკელი პოლიტილოგი, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის პროფესორი **სუიშენ ჩჟაო** (Suisheng Zhao, 1954) აღნიშნავს, რომ „კულტურული ნაციონალიზმი რეჟიმის ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი წყარო გახდა თანამედროვე ჩინეთში"/„Cultural nationalism has become an important source of regime legitimacy in contemporary China".[2]

აქედან ჩანს, რომ თანამედროვე ჩინეთის სამართალი მხოლოდ სოციალური წესრიგის შენარჩუნებას არ ემსახურება, ის - კულტურის სფეროს სახელმწიფოებრივ რეპროდუქციაზე ზრუნავს.

დასკვნა

ჩინეთის ამ მოდელის მიხედვით, სახელმწიფო-სამართალი-კულტურა - ერთიან ნორმატიულ ეკოსისტემას ქმნიან, სადაც სამართალი ავტონომიურად კი არ მუშაობს, არამედ კულტურასთან ინტეგრირებულ მმართველობით ინსტრუმენტს წარმოადგენს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩინური სპეციფიკა, სახელმწიფოს, სამართლის და კულტურის ურთიერთობაში შემდეგნაირად არის გამოხატული:

- სამართალი ცივილიზაციურ-ეთნიკურ ტრადიციაზეა დაფუძნებული;
- სახელმწიფო, ლეგიტიმაციას, კულტურული მემკვიდრეობის ინსტრუმენტალიზაციის გზით ახორციელებს;
- კულტურის პოლიტიკა სამართლებრივი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია;
- სამართალი, როგორც ღირებულებათა წესრიგის ინსტიტუციური ფორმა ისე ფუნქციონირებს;

ჩინეთის ისტორიის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ჩინური კულტურა არ წარმოადგენს მარტო ფილოსოფიის, რიტუალების, ხელოვნებისა და ოჯახური ღირებულებების მოზაიკას, არამედ ამ ფენომენის ზეგავლენა აისახებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კულტურაზე. აქედან გამომდინარე, ხდებოდა სახელმწიფოს მართვის სისტემების ფორმირება, საკანონმდებლო აქტების შექმნა, სამეცნიერო დარგების, სწავლა-განათლების სისტემის, ქალაქთმშენებლობის პრინციპების, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების სტილის განვითარება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თითოეული ხალხის კულტურა უნიკალურია და კულტურის იდენტობა სხვადასხვა ხალხის, მათი ცხოვრების წესების და ნორმების ინდივიდუალიზმს არ გამორიცხავს, პირიქით, ამ საერთო და განსხვავებული ნორმების საფუძველზე ტარდება საერთაშორისო ურთიერთობები და მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა ხალხებს შორის. ეს კარგად ჩანს ჩინეთის მაგალითზეც.

ამდენად, ჩინური კულტურა, გარკვეულწილად, ზოგადაღმოსავლური კულტურისაგანაც კი განსხვავებულია, ამიტომაც ტერმინი **„ჩინური სპეციფიკით"**, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეესაბამება - გამართლებულია.

1 Peerenboom, 2002, p. 3
2 Zhao, 2013, p. 536

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE GEORGIAN INSURANCE MARKET: EMERGING TRENDS, CHALLENGES, OPPORTUNITIES, AND GROWTH DRIVERS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 11, 2026
Published: February 17, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-80

Giorgi Abashishvili
Doctor of Business Administration,
Professor at Alte University
(https://orcid.org/0009-0001-6183-4872),
E-mail: giorgi.abashishvili@gmail.com

Salome Liparteliani
PhD Candidate of Caucasus
International University,
https://orcid.org/0009-0005-9567-5282)
E-mail: salome.liparteliani@ciu.edu.ge

ABSTRACT

The Georgian insurance market has undergone significant transformation in recent years, driven by regulatory reforms, evolving market structures, and changing economic conditions. These developments have shaped emerging trends, created new challenges and opportunities, and influenced the financial growth prospects of insurance companies. This paper examines the role of regulation as a key growth driver within the Georgian insurance market, with a particular focus on its impact on insurers' financial performance, stability, and competitiveness.

The study employs a mixed-methods approach, combining quantitative analysis of financial data with qualitative assessment of regulatory frameworks and market perceptions. The primary objective is to evaluate how regulatory measures affect financial growth, profitability, and sustainability across the sector. Key regulatory aspects are analyzed alongside their positive and negative implications for market participants.

The research is structured around two main sections. The first section reviews the evolution of insurance regulation in Georgia, compares domestic regulatory practices with international standards, and assesses their influence on market structure and competitive dynamics. The second section analyzes insurers' financial indicators, including balance sheets and income statements, to identify trends in asset quality, capital adequacy, solvency, and profitability following regulatory changes. Empirical findings also reflect market participants' perceptions of regulatory effectiveness and associated challenges.

The analysis is based on financial data published by the State Insurance Supervision Service of Georgia, ensuring a comprehensive and reliable assessment of sector performance. By identifying key trends, challenges, opportunities, and growth drivers, the paper contributes to the existing literature and provides practical, evidence-based recommendations aimed at supporting the sustainable and competitive development of the Georgian insurance market.

Keywords: *Insurance Market, Georgia, Growth, Regulation, Digitalization.*

REFERENCES:

1. Murashko, O., Havrylyuk, R., Operuk, V., Zhuvahina, I., Chornovol, A., & Andriyenko, M. (2021). Economic and legal aspects of eu insurance market development. https://www.proquest.com/docview/2565225936/fulltextPDF/F5289293D96E4460PQ/1?accountid=143042.

2. Maier, M., Carlotto, H., Saperstein, S., Sanchez, F., Balogun, S., & Merritt, S. (2020). Improving the Accuracy and Transparency of Underwriting with Artificial Intelligence to Transform the Life-Insurance Industry. https://www.proquest.com/docview/2451174428/fulltextPDF/1C441E3D6BB54014PQ/1?accountid=143042.

3. Verulava, t., & jorbenadze, a. (2021). Context and issues of social health insurance introduction in georgia. https://umbalk.org/wp-content/uploads/2021/09/09.Context-and-issues-of-social-health-insurance.pdf.

4. Porrini, D. (2015). Risk Classification Efficiency and the Insurance Market Regulation. https://doi.org/10.3390/risks3040445.

5. OECD. (2023). Global Insurance Market Trends 2023 . https://doi.org/10.1787/e141d5ff-en: OECD.

6. Verulava, T. (2023). Managed Competition and Health Insurance Reforms in Georgia. https://www.researchgate.net/profile/Tengiz-Verulava/publication/370161825_Managed_Competition_and_Health_Insurance_Reforms_in_Georgia/links/6442f64a017bc07902cdc683/Managed-Competition-and-Health-Insurance-Reforms-in-Georgia.pdf.

7. Lehane, D. (2020). Deloitte. Impact of COVID-19 on the insurance industry . https://www2.deloitte.com/ie/en/pages/covid-19/articles/impact-COVID-19-insurance-industry.html.

8. ISSSG (2023), Insurance State Supervision Service of Georgia Annual Report 2023, <https://www.insurance.gov.ge/Files/ShowFiles?id=b91208a4-f6f9-46b5-955e-04ae81bb86ce>

9. ISSSG (2024), Insurance State Supervision Service of Georgia User Guide - Consumer rights in insurance relations and current news, <https://insurance.gov.ge/Files/ShowFiles?id=bb98ac4a-020a-4d20-b217-6efc0ecd626b>

10. ISSSG (2025), Annual Report 2024, https://insurance.gov.ge/en/page/publications

11. XPRIMM. (2025), "Insurance Profile Goergia Market Overview Full Year 2024" XPRIMM Publication, https://www.xprimmpublications.com/books/aama/#p=1

12. World Bank Group (2022), "Georgia - financial sector assessment", <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/224301643135539486/georgia-financial-sector-assessment>

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი: არსებული ტენდენციები, გამოწვევები, შესაძლებლობები და ზრდის დრაივერები

გიორგი აბაშიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ალტე უნივერსიტეტის პროფესორი
giorgi.abashishvili@gmail.com

სალომე ლიპარტელიანი
PhD კანდიდატი -
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
salome.liparteliani@ciu.edu.ge

აბსტრაქტი

საქართველოს სადაზღვევო ბაზარმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, რაც განპირობებულია მარეგულირებელი რეფორმებით, ბაზრის სტრუქტურული ცვლილებებითა და ეკონომიკური გარემოს დინამიკით. აღნიშნულმა პროცესებმა ჩამოაყალიბა ახალი ტენდენციები, წარმოშვა მრავალმხრივი გამოწვევები და შესაძლებლობები და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ ზრდასა და სტაბილურობაზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგულირების როლზე, როგორც ბაზრის ერთ-ერთ მთავარ ზრდის დრაივერზე, განსაკუთრებით კომპანიების ფინანსურ შედეგებზე, მდგრადობაზე და კონკურენტუნარიანობაზე.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება კომბინირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ ანალიზს ფინანსური მონაცემების საფუძველზე და ხარისხობრივ შეფასებას რეგულაციებისა და ბაზ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რის მონაწილეთა შეხედულებების მიხედვით. ნაშრომის მთავარი მიზანია შეფასდეს, როგორ მოქმედებს არსებული მარეგულირებელი ჩარჩო კომპანიების ზრდასა და მომგებიანობაზე, და გამოვლინდეს მის მიერ შექმნილი შესაძლებლობები, გამოწვევები.

ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მიმოხილულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის რეგულირების განვითარების ისტორია, შედარებულია ქართული პრაქტიკა საერთაშორისო სტანდარტებთან და შეფასებულია მისი გავლენა ბაზრის სტრუქტურასა და კონკურენტულ გარემოზე. მეორე ნაწილი ეთმობა ფინანსური მაჩვენებლების დეტალურ ანალიზს, მათ შორის ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებების გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა განსაზღვრონ აქტივების ხარისხი, კაპიტალის საკმარისობა, გადახდისუნარიანობა და მომგებიანობის ტენდენციები რეგულაციების შემოღების შემდეგ.

კვლევის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სადაზღვევო ზედამხედველის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ფინანსური მონაცემები. ნაშრომი ხაზს უსვამს ბაზრის მონაწილეების აღქმას რეგულაციების ეფექტურობის შესახებ, გამოყოფს მთავარი ტენდენციებს, პრობლემურ სფეროებს და ახალ შესაძლებლობებს. საბოლოოდ, წარმოდგენილია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ბაზრის მდგრად, ეფექტიან და კონკურენტუნარიან განვითარებას, სასარგებლოდ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორისთვის.

საკვანძო სიტყვები: *სადაზღვევო ბაზარი, საქართველო, ზრდა, რეგულირება, დიჯიტალიზაცია.*

შესავალი

მსოფლიოსა თუ ქართულ რეალობაში დაზღვევის სოციალურ ეკონომიკური როლი მზარდია, რომლის პარალელურადაც იცვლება რისკის აღქმის მნიშვნელობა როგორც ინდივიდების ასევე ბიზნესის თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა ზემოთ თქმული გარკვეული გამოწვევების მატარებელია. ცალსახაა, რომ მარეგულირებლის კონკრეტულად, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის როლი ამ მიმართულებით საკმაოდ დიდია განსაკუთრებით სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ნაწილში.

სადაზღვეო ბაზრის რეგულირების გავლენა კომპანიების ფინანსური ზრდის პერსპექტივებზე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშნელოვან საკითხს ეკონომიკურ მეცნიერებებში. საქართველოს სადაზღვევო სექტორი მუდმივად განიცდის ცვლილებებს და რეგულაციების განვითარებას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე, ფინანსურ სტაბილურობაზე და ზრდის პოტენციალზე. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის რეგულაციების გავლენა კომპანიების ფინანსურ განვითარებაზე, რისთვისაც გამოყენებული იქნება როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი კვლევითი მეთოდები. ნაშრომის ძირითადი მიზანია განისაზღვროს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის რეგულაციების გავლენა კომპანიების ფინანსურ ზრდაზე. კვლევის პროცესში განხილული იქნება რეგულაციების ძირითადი ასპექტები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე მათი ზემოქმედება ბაზრის მოთამაშეებზე. ნაშრომი საკუთარი არსით აკადემიურ სიახლეს წარმოადგენს რამდენიმე ასპექტში: საქართველოს სადაზღვევო ბაზრის რეგულაციების გავლენის კომპლექსური ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარებით; სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ცვლილებების ანალიზი რეგულაციების შემოღების შემდეგ პერიოდში; ინოვაციური რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის მდგრად და კონკურენტუნარიან განვითარებას. ნაშრომის დასასრულს შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს: საქართველოს სადაზღვევო ბაზრის რეგულაციების გაუმჯობესების პრაქტიკულ მექანიზმებს; კომპანიებისთვის ფინანსური ეფექტიანობის გაუმჯობესების სტრატეგიებს; ბაზრის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ინოვაციურ მიდგომებს. აღნიშნული კი თავის მხრივ თანაბრად ეფექტიანი იქნება როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორისთვის და ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის.

ცნობისთვის, ნაშრომში გამოყოფილია ორი ძირითადი ქვეთავი, რომელიც აერთიანებს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის რეგულაციებს, მათ განვითარების ისტორიას, საერთაშორისო გამოცდილების შედარებას და მათი გავლენა სექტორის სტრუქტურაზე, ამ თავში განხილული იქნება რეგულაციების გავლენა კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე. გამოყენებული იქნება მონაცემთა ანალიზი, რომლის საფუძველზეც შესწავლილი იქნება ფინანსური ზრდის ტენდენციები და გამოწვევები. ასევე, წარმოჩინდება ძირითადი მიგნებები და ტენდენციები ბაზრის მონაწილეთა მიერ რეგულაციების აღქმაში.

ნაშრომი მიზნად ისახავს არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის შეფასებას, არამედ ისეთი რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ეფექტიან და მდგრად განვითარებას.

მონაცემების ძირითად წყაროს წარმოადგენს „სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური" (შემდგომში ნაშრომში გამოყენებული იქნება, როგორც სადაზღვეო ზედამხედველი/რეგულატორი) მიერ შეგროვებული და გამოქვეყნებული ფინანსური მონაცემები, კვლევაში გამოყენებულია ძირითადად სექტორის ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც ნათლად ასახავს ბაზრის მდგომარეობას.

ძირითადი ნაწილი

ბოლო პერიოდში გლობალური ბიზნეს ლანდშაფტი მოწმე გახდა უპრეცედენტო გამოწვევების მოწმე გახდა, რომლებიც წარმოიშვა COVID-19 პანდემიით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სხვადასხვა სექტორზე, მათ შორის სადაზღვევო ინდუსტრიაზე. პანდემიის გავრცელებამ გამოიწვია დომინოს ეფექტი ეკონომიკასა და ბაზრებზე, რამაც გამოიწვია შეფერხებები როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ბაზრებზე. ამ კონტექსტში, გარემოს არაპროგნოზირებადობის გათვალისწინებით სადაზღვევო ინდუსტრიის შესწავლის როლი მზარდია. პანდემიის მიერ წარმოდგენილი გარემოებების საპასუხოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ასევე მარეგულირებელმა საკანონმდებლო ჩარჩომაც. აღნიშნული თვალსაზრისით, არაერთი კვლევით დადასტუდა რომ პოსტპანდემიერ პერიოდში კომპანიების პროაქტიული სტრატეგიული ქმედებები და მოქმნილი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა მსოფლიოს სადაზღვევო ინდუსტრიისთვის კრიტიკული მნიმნიშნელობის მატარებელია (Deloitte, 2020).

ევროკავშირის სადაზღვევო ბაზრის განვითარების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მრავალი ქვეყნისათვის (Murashko, 2021). სადაზღვევო ბაზრის რეგულირების ძირითადი კომპონენტები მიმართულია მზღვეველების შესაძლო მომავალი კრიზისების პრევენციაზე. სადაზღვევო ბაზრის საპროგნოზო მაჩვენებლები, სადაზღვევო პრემიის განსხვავებული მაჩვენებლის მქონე ქვეყნების ანალიზი ადასტურებს ევროკავშირის სადაზღვევო ბაზრის, როგორც მსოფლიოს უდიდეს ბაზრის რეგულირების აუცილებლობას და ამასთან, წევრი ქვეყნების მიერ ახალი გადახდისუნარიანობის II და IDD დირექტივების დანერგვის ეფექტურობას. აღნიშნულის თანახმად, ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში გადახდისუნარიანობის კრიზისის დროს საკანონმდებლო ბაზა ამცირებს სადაზღვევო კომპანიების სისტემურ რისკებს, რის შედეგადაც სადაზღვევო მომსახურების მომხმარებლები იღებენ დადგენილ სადაზღვევო გადასახადებს, იმის გათვალისწინებით, რომ რისკები შენარჩუნეულია ოპტიმალურ დონეზე დროული გადახდების განსახორციელებლად (Murashko, 2021).

სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელი ინფორმაციის ასიმეტრიულობაა, რომლის ეფექტურობასაც უმეტესწილად რისკის კლასიფიკაცია განაპირობებს. ამასთან ხშირად ბაზრის რეგულირება გარკვეული შეზღუდვების დაწესებად აღიქმება. რისკის კლასიფიკაციის ეფექტურობა სადაზღვევო ბაზრის რეგულირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილია (Porrini, 2015). ტრადიციული ეკონომიკური თეორია განასხვავებს ორი ტიპის ასიმეტრიულობის პრობლმას. ესენია, არარელევანტური შერჩევა და მეორე ინფორმაციის ნაკლებობა, სადაზღვევო კომპანიების ჭრილში. სადაზღვევო დაფარვისთვის დარიცხული პრემიის განსაზღვრისას სადაზღვევო კომპანიებმა მნიშვნელოვანია შეაფასონ დაზღვეული ინდივიდისთვის მოსალოდნელი ზარალი. შესაბამისად, რისკის კლასიფიკაციის სისტემის მიზანია უზრუნველყოს, დაჯგუფება იმგვარად რომ პროცესი იყოს ეფექტური. ამისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არაკორელირებული რისკების მაქსიმალურად დაყოფას, ცალკეულ ვიწრო ტიპის კატეგორიებად, რისკების მინიმიზაციის მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანი მასშტაბის მქონე რისკების სწორი კონტროლი შესაძლოა მოხდეს, თუ კომპანია რისკის ჯგუფებს სწორად ანაწილებს. მსგავსი ტიპის ზუსტი დიფერენციაცია ძირითადად მიზნად ისახავს სადაზღვევო კომპანიის წინაშე არსებული საშუალო რისკის შემცირებას ჯგუფში რისკის დიაპაზონის შემცირების გზით. ბაზრის პერსპექტივიდან, დაზღვეულის დაყოფა რისკების ცალკეულ ჯგუფებად რისკის სპეციფიკური ზემოქმედების მიხედვით, მზღვეველებს საშუალებას აძლევს მიერ განსაზღვრული პრემიები ახლოს იყოს მოსალოდნელ ზარალთან (Porrini, 2015). ასიმეტრიულობის გათვალისწინებით, სადაზღვევო ბაზრის ეფექტურობა არსებითად დამოკიდებულია ინფორმაციაზე, რომელიც მზღვეველებს შეუძლიათ შეაგროვონ რისკის შესახებ (Porrini, 2015).

ინდუსტრია ხშირად აწყდება სისტემურ გამოწვევებს, რომლებიც სცილდება რისკის შეფასების ტექნიკურ სირთულეს; ხელოვნური ინტელექტის (AI) ეთიკურ და პასუხისმგებლობით გამოყენებას შეუძლია გადაჭრას ზოგიერთი მნიშვნელოვანი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გამოწვევა და ამასთან, ფართოდ გააუმჯობესოს საზოგადოების ფინანსური კეთილდღეობა; ისტორიული მონაცემების ხელმისაწვდომობა უპრეცედენტო შესაძლებლობას აძლევს AI-ს გარდაქმნას ანდერრაითინგი სრულად სხვა სტანდარტზე სიცოცხლის დაზღვევის ინდუსტრიაში. AI-ს მეშვეობით ანდერრაიტინგის სიზუსტის გაუმჯობესება ძალზე ღირებული მცდელობაა, რომლის პარალელურად აუცილებელია განხილულ იქნას ისეთი საკითხები როგორიცაა კონფიდენციალურობის შენარჩუნება და გამჭვირვალობის დაცვა მონაცემებისა და მეთოდოლოგიის ჭრილში. ისტორიული მონაცემის არსებობა და მანქანური სწავლების პროგრესი იძლევა შესაძლებლობას გაუმჯობესდეს ანდერრაიტინგის სიზუსტე და გამჭვირვალობა სიცოცხლის დაზღვევის ინდუსტრიაში სიკვდილიანობის რისკის სტანდარტული საზომებით. ინდუსტრიის მომავალი მოიაზრებს სადაზღვევო ინოვაციებს. არსებობს მრავალი არატრადიციული და შეუსწავლელი წყარო, როგორიცაა ფინანსური მონაცემები, საჯარო ჩანაწერები, ჯანმრთელობის ელექტრონული მონაცემები, ტარებადი სენსორები და გენეტიკური ინფორმაცია, რამაც შეიძლება გაუმჯობესოს სიზუსტე, ჩართოს ალტერნატიული ანდერრაიტინგის მექანიზმები ან გააძლიეროს პროგრამები. მანქანური სწავლების კვლევა აუმჯობესებს რისკის შერჩევას და ალგორითმული გათვლებით. აღნიშნული სიახლე ინდუსტრიაში საინტერესო მიმართულებების პოტენციალის ილუსტრაციაა (Maier, et al., 2020)

საქართველოს მოსახლეობის ცნობიერება სადაზღვევო პროდუქტებთან მიმართებით სექტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. აღსანიშნავია, ისიც რომ არსებობს სადაზღვევო პროდუქტების სახეობები, რომლებიც ქართულ ბაზარზე არც კი გვხვდება (ვერულავა, და სხვ., 2015). აღნიშნული ასევე გამოწვეულია არასაკმარისი ცნობიერებით. საკითხი უფრო მეტად რთულდება მომხმარებლებისთვის იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტები და შეთავაზებები საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც მომხმარებლებისათვის გაურკვევლობის ფაქტორს ზრდის (ვერულავა, და სხვ., 2015).

უახლესი მონაცემებით, საქართველოს სადაზღვევო ბაზარი დინამიური ზრდით ხასიათდება. ხუთი წლის ჭრილში ფაქტობრივად გაორმაგდა სადაზღვევო ბაზარი. 2024 წელს მოზიდულმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1 259 მლნ ლარი შედაგინა, რაც თავის მხრივ 18%-იან ზრდას წარმოადგენს. ამავდროულად, 24%-იანი ზრდა დაფიქსირდა სადაზღვევო მოგების ნაწილშიც და 307 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგების ნაწილი გაიზარდა 72%-ით და 127 მლნ. ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა მოგების ზრდა გამოწვეულია სადაზღვევო ბაზრის ზრდის კვალდაკვალ სადაზღვევო მოგების ზრდით. ამასთან სხვა შემოსავლის კომპონენტითაც. ამასთან ამ მიმართულებით საგულისხმოა დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლაც, რაც წმინდა მოგების ზრდის ნაწილში ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება იქნას განხილული.

ბაზრის განვითარების ტენდენციები ხელს უწყობს კომპანიებს რომ მომხარებლებს უფრო მეტად განვითარებული და საჭიროებაზე ორიენტირებული პროდუქტები შესთავაზონ. ისიც უნდა ითქვას რომ ათი წლის ჭრილში მონაცმების ანალიზით ბაზრის ლიდერი სამედიცინო დაზღვევის მიმართულებაა (დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2025).

დასკვნა

ბოლო წლებში არსებული პროგრესის და საერთაშორისო პრაქტიკის კომპონენტების იმპლემენტაციის მიუხედავად, ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც აფერხებს ბაზრის განვითარებას. აღნიშნულის პარალელურად არსებობს რიგი ფაქტორები, რასაც კომპანიების, მზღვეველების და და ზოგადი თვალსაზრისით, სექტორის ყველა მონაწილის ზრდის პერსპექტივაზე გავლენა აქვს. ამასთან, საზოგადოების ცნობიერება სადაზღვევო პროდუქტების მიმართ ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე, რაც ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა სექტორისთვის.

აღსანიშნავია, რომ ბაზრის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მარეგულირებლის წინაშე მდგარი ერთ-ერთი საკითხია. დღევანდელ საქართველოს მოსახლეობაში მხოლოდ რიგი პროდუქტები სარგებლობენ პოპულარობით. სხვა შემთხვევაში ადამიანები არ ფლობენ ინფორმაციას მათთვის მნიშვნელოვანი დაზღვევის შესახებ. თავის მხრივ დასახელებული საკითხი, როგორც ბიზნესის ასევე ზედამხედველობის სამსახურისთვის გამოწვევაა.

ცალსახაა, რომ სექტორის ფუნქციონირებაში მარეგულირებლის როლი საკმაოდ დიდია, რაც განპირობებულია ბაზრის და რისკის სპეციფიკით, შესაბამისად დირექტივების, ნორმების, საქმიანობის სპეციფიკის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანა ცვალებად გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ზედამხედველობა ამ მიმართულებით შესაბამის აქტივობებს და ქმედით ნაბიჯებს ახორციელებს, თუმცა მნიშვნელოვანია გაიზომოს როგორია გავლენის ხარისხი და ამასთან გავლენა კომპანიების ფინანსურ ზრდაზე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND DATA-DRIVEN POLICY IN ECONOMIC GOVERNANCE: OPPORTUNITIES AND RISKS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 22, 2026
Published: March 11, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-85



Vasil Zagaidze
Master of Public Administration,
MA Student (First Year), Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: https://orcid.org/0009-0007-1627-1322
E-mail: vasil.zagaide102@ens.tsu.edu.ge

Loid Karchava
Doctor of Business Administration,
Associate Professor, Caucasus
International University
ORCID: https://orcid. org/00000003-2857-0235
E-mail: loidk@yahoo.com

ABSTRACT

Research Objective*: Modern economic governance increasingly operates under conditions of heightened uncertainty, nonlinear dynamics, and rapidly expanding data environments. In such contexts, traditional econometric and statistical approaches often face limitations in delivering timely and actionable policy guidance. Against this backdrop, this paper examines how artificial intelligence (AI) and data-driven policy approaches can enhance economic decision-making while reshaping the institutional architecture of economic governance. The objective of the study is twofold: first, to assess AI's role as an analytical capability within economic policy processes; and second, to identify governance risks arising from the structural integration of data-centric tools into public decision-making systems.*

Methodological Approach*: The study adopts a theoretical–conceptual research design. It synthesizes scholarly literature on artificial intelligence in economic analysis, bounded rationality, algorithmic governance, and evidence-based policymaking. Particular attention is paid to the shift from interpretation-centered models toward prediction- and pattern-oriented approaches enabled by machine learning. In addition, the paper conducts a comparative review of policy frameworks and governance guidelines developed by major international institutions, including the OECD, the European Union, and the World Bank, focusing on transparency, accountability, and human oversight.*

Key Findings and Applications*: The findings indicate that AI is most effective in economic policy when employed as a decision-support analytical layer rather than as a substitute for human judgment. In this role, AI*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

enhances forecasting accuracy, strengthens real-time monitoring, and mitigates the constraints of bounded rationality by expanding the scale and speed of information processing. At the same time, the study demonstrates that data-driven policy is not value-neutral: AI systems may reproduce historical biases embedded in data and create governance risks related to opacity and accountability. Effective application therefore requires robust ethical, institutional, and legal safeguards to ensure legitimate, transparent, and equitable economic governance.

Keywords: *artificial intelligence; data-driven policy; economic decision-making; algorithmic governance; ethics and economics.*

REFERENCES:

1. Arnold, M., Goldschmitt, M., & Rigotti, T. (2023). *Dealing with information overload: A comprehensive review.* Frontiers in Psychology, 14, Article 1122200. https://doi.org/10.3389/fpsyg.2023.1122200

2. Australian Government, Department of Veterans' Affairs. (2020). *Department of Veterans' Affairs annual report 2019–20.* Canberra, Australia. https://www.transparency.gov.au/publications/veterans-affairs/department-of-veterans-affairs/department-of-veterans-affairs-annual-report-2019-2

3. Business and Technology University. (2023). *Strengthening digital governance: Electronic governance and the future of public administration.* Tbilisi, Georgia. [In Georgian]

4. Castelluccia, C., & Le Métayer, D. (2019). *Understanding algorithmic decision-making: Opportunities and challenges* (EPRS Study PE 624.261). European Parliamentary Research Service. https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2019/624261/EPRS_STU(2019)624261_EN.pdf

5. Center for Effective Global Action. (n.d.). *Using AI and digital data to target cash transfers in Togo.* Retrieved December 22, 2025, from https://cega.berkeley.edu/collection/ai-assisted-cash-transfers-togo/

6. Chanturía, N. (2025, August 14). *Artificial intelligence in the workplace: What companies should consider when adopting automated decision-making.* Business Insider Georgia. https://businessinsider.ge/Businessadvisor/khelovnuri-inteleqti-samushao-adgilas-raunda-gaitvalistsinon-kompaniebma-avtomatizebuli-gadatskvetilebebis-mighebisas-27142 [In Georgian]

7. Cipollone, P. (2024, July 4). *Artificial intelligence: A central bank's view* [Keynote speech]. European Central Bank. https://www.ecb.europa.eu/press/key/date/2024/html/ecb.sp240704_1~e348c05894.en.html

8. Chu, C. Y., Chang, J.-J., & Lin, C.-C. (2025). *Why does AI hinder democratization?* PNAS, 122(19), e2423266122. https://doi.org/10.1073/pnas.2423266122

9. Craig, L., & Walch, K. (2025, March 18). *Data quality in AI: 9 common issues and best practices.* SearchEnterpriseAI. https://www.techtarget.com/searchenterpriseai/feature/9-data-quality-issues-that-can-sideline-AI-projects

10. de Pedraza, P., & Vollbracht, I. (2023). *General theory of data, artificial intelligence and governance.* Humanities and Social Sciences Communications, 10(1), Article 607. https://doi.org/10.1057/s41599-023-02096-w

11. Demetrashvili, K., et al. (2004). *Framework program for the development of information and communication technologies in Georgia.* https://shorturl.at/d98BE [In Georgian]

12. Dhanaraj, R. K., Maragatharajan, M., Sureshkumar, A., & Balakannan, S. P. (2025). *On-device AI for climate-resilient farming…* Scientific Reports, 15, 31195. https://doi.org/10.1038/s41598-025-16014-4

13. Emagia Staff. (2025, August 7). *AI in finance: Revolutionizing financial services with intelligence and innovation.* https://www.emagia.com/resources/glossary/ai-in-finance/

14. European Commission. (n.d.). *AI Watch – Public sector.* https://ai-watch.ec.europa.eu/topics/public-sector_en

15. Frost, N. (2024). *The impoverished publicness of algorithmic decision making.* Oxford Journal of Legal Studies, 44(4), 780–807. https://doi.org/10.1093/ojls/gqae027

16. Fuentes Nettel, P., et al. (2024). *Government AI Readiness Index 2024.* Oxford Insights. https://oxfordinsights.com/wp-content/uploads/2024/12/2024-Government-AI-Readiness-Index-2.pdf

17. Gabisonia, Z. (2021). *National strategy of artificial intelligence for Georgia.* Comparative Law Journal, 8, 22–30. [In Georgian]

18. Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development. (2024). *National strategy for the development of Georgia's digital economy and information society 2025–2030.* [In Georgian]

19. Giest, S., McBride, K., Nikiforova, A., & Sikder, S. K. (2025). *Digital & data-driven transformations in governance.* Data & Policy, 7, e21. https://doi.org/10.1017/dap.2024.47

20. Harari, Y. N. (2018). *Why technology favors tyranny.* The Atlantic. https://www.theatlantic.com/

magazine/archive/2018/10/yuval-noah-harari-technology-tyranny/568330/

21. Hill, A. C., & McCormick, C. (2025, January 24). *The world faces a sharp rise in extreme weather. Can AI help?* CFR. https://www.cfr.org/article/world-faces-sharp-rise-extreme-weather-can-ai-help

22. Institute for Development of Freedom of Information. (2021). *The use of artificial intelligence systems in Georgia: Legislation and practice.* https://idfi.ge/public/upload/Article/ENG%20The%20Use%20of%20Artificial%20Intelligence%20Systems%20in%20Georgia_Legislation%20and%20Practice_19_02_2021.pdf

23. Institute for Development of Freedom of Information. (2022, November 22). *Georgia's challenges in terms of open data management...* https://idfi.ge/ge/georgias_challenges_in_terms_of_open_data_management_and_international_good_practices [In Georgian]

24. International Telecommunication Union. (2021a). *Georgia – Digital development country profile.* https://www.itu.int/.../Digital%20Development%20Country%20Profile_Georgia_29.10.21.pdf

25. International Telecommunication Union. (2021b). *Investing in innovation: Georgia's digital development journey.* https://www.itu.int/hub/2021/11/investing-in-innovation-georgias-digital-development-journey/

26. Ji, J. (2025). *The impact of artificial intelligence on commercial big data.* https://doi.org/10.54254/2754-1169/2025.GL27475

27. Kvelaidze, N. (2022, November 2). *Use of artificial intelligence and its legal aspects.* Forbes Georgia. https://forbes.ge/blogs/khelovnuri-inteleqtis-gamoqheneba-da-misi-samarthlebrivi-aspeqtebi/ [In Georgian]

28. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. *The New Economist*, *20*(2), 40-53.

29. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. *The New Economist*, *20*(1), 8-23.

30. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. *The New Economist*, *20*(4), 21-35.

31. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(4), 152-157.

32. Chigladze, G. and Karchava, L., 2025. The revolutionary impact of digital technologies on financial architecture. *The New Economist*, *20*(2), pp.92-104. (In Georgian)

33. Love, P., & Stockdale-Otarola, J. (Eds.). (2017). *Debate the issues: Complexity and policy making.* OECD Publishing. https://doi.org/10.1787/9789264271531-en

34. Lomia, E., 2020. Political realism in international relations: classical realism, neo-realism, and neo-classical realism. International Journal of Social, Political and Economic Research, 7(3), pp.591-600.

35. Lomia, T. and Lomia, E., 2020. Economic and Political Support of the European Union to Georgia: Retrospective Analysis of the EU-Georgia Relations. Vallis Aurea, 6(1), pp.35-43.

36. Lomia, E., 2020. The Evaluation of Russia's foreign policy towards Georgia following the 'Rose Revolution'. Journal of Liberty and International affairs, 6(1), pp.112-128.

37. Lomia, E., 2021. China's belt and road initiative and Georgia: A short overview. Journal of Liberty and International Affairs, 7(3), pp.373-385.

38. Lomia, E. and Karchava, L., 2021. Georgian ethnopolitical conflict as a subject of confrontation between the USA and Russia. Journal of Liberty and International Affairs, 7(2), pp.90-102.

39. Machovec, C., Rieley, M., & Rolen, E. (2025, February). *Incorporating AI impacts in BLS employment projections.* Monthly Labor Review. https://www.bls.gov/opub/mlr/2025/article/incorporating-ai-impacts-in-bls-employment-projections.htm

40. Manheim, K. M., & Kaplan, L. (2019). *Artificial intelligence: Risks to privacy and democracy.* Yale Journal of Law & Technology, 21, 106–188. https://yjolt.org/sites/default/files/21_yale_j.l._tech._106_0.pdf

41. Maslej, N., et al. (2025). *Artificial Intelligence Index Report 2025.* https://doi.org/10.48550/arXiv.2504.07139

42. MindTitan. (n.d.). *AI use cases for government: How Estonia is leading the way.* https://mindtitan.com/resources/industry-use-cases/ai-use-cases-in-government/

43. Mullainathan, S., & Spiess, J. (2017). *Machine learning: An applied econometric approach.* Journal of Economic Perspectives, 31(2), 87–106. https://doi.org/10.1257/jep.31.2.87

44. Murphy, B., & BouKaram, F. (2025, September 19). *Governing with AI: The new face of tax authorities.* Grant Thornton Ireland. https://www.grantthornton.ie/insights/factsheets/governing-ai-tax-authorities/

45. National Bank of Georgia, President. (2020, Au-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

gust 18). *Regulation on risk management of data-driven statistical, artificial intelligence and machine learning models (Decree No. 151/04).* https://matsne.gov.ge/ka/document/view/4964423?publication=0 [In Georgian]

46. OECD. (2025). *Governing with artificial intelligence: The state of play and way forward in core government functions.* https://doi.org/10.1787/795de142-en

47. OECD Observatory of Public Sector Innovation. (2022, November 16). *The AuroraAI…* https://oecd-opsi.org/innovations/auroraai/

48. Organisation for Economic Co-operation and Development. (n.d.). *OECD AI Principles.* https://www.oecd.org/en/topics/sub-issues/ai-principles.html

49. Palavandishvili, B. (2020, May 21). *Data economy and new opportunities* [GC Analysis]. https://www.geocase.ge/media/517/Data-Economy---B.-Palavandishvili.pdf [In Georgian]

50. Talakvadze, G., & Archvadze, I. (2023). Integral Resources of Georgia: Research, Analysis, Prospects. Tbilisi: Mtsignobari, p. 369. (in Georgian)

51. https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/2(536)/06-Talakvadze.pdf UDC 004 UAK SCOPUS Code 1405 **https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-55-80** Givi Talakvadze and Joseph Archvadze, "Development of Digital Technologies and the Potential of Integral Resources as a Determining Factor of Georgia's Sustainable Development." Proceedings of the Georgian Technical University, 2025, No. 2, p.55–80. (in Georgian)

52. Parliamentary Budget Office of Georgia. (2021, June 30). *Evidence-based policy: Essence and importance.* https://pbo.parliament.ge/... [In Georgian]

53. Personal Data Protection Service of Georgia. (2024). *2024 activity report of the Personal Data Protection Service of Georgia.*

54. Personal Data Protection Service of Georgia. (n.d.-a). *Artificial intelligence ("AI") and associated risks.* https://pdps.ge/... [In Georgian]

55. Personal Data Protection Service of Georgia. (n.d.-b). *EU "Artificial Intelligence Act".* https://pdps.ge/... [In Georgian]

56. PMC Research Center. (2021). *Georgia – Fit for the age of artificial intelligence?* https://www.pmcresearch.org/policypapers_file/cbd96050fe3956d32.pdf

57. Policy and Management Consulting Group. (2025, October 2). *Launching the readiness assessment methodology in Georgia…* https://pmcg-i.com/...

58. Portulans Institute. (2024). *Network Readiness Index 2024: Georgia.* https://download.networkreadinessindex.org/reports/countries/2024/georgia.pdf

59. Public Defender of Georgia. (2025, June 24). *Artificial intelligence as a threat…* https://www.ombudsman.ge/res/docs/2025062413595059351.pdf [In Georgian]

60. Rees, C. (2019, November 3). *Artificial intelligence: Ethical issues.* Georgian Bar Association. https://shorturl.at/wy6k4 [In Georgian]

61. Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024. *Official Journal of the European Union.* https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2024/1689/oj/eng/

62. Saura García, C. (2024). *Datafeudalism: The domination of modern societies by Big Tech Companies.* Philosophy & Technology, 37, 90. https://doi.org/10.1007/s13347-024-00777-1

63. Saltelli, A., & Giampietro, M. (2015). *The fallacy of evidence-based policy.* https://doi.org/10.48550/arXiv.1607.07398

64. Shengelia, K. (2024). *The role of artificial intelligence in the future of business education.* Economics, 106(1–2), 22–28. [In Georgian]

65. Symbio6. (n.d.). *AI readiness map – global country comparison.* https://symbio6.nl/en/apps/ai-readiness-map.html

66. Veshapidze, S. (2023). New developments in the global world: challenges and opportunities for Georgia. The New Economist, 18(3), 44-2. [In Georgian]

67. Veshapidze, S., Bakhtadze, L., Putkaradze, R., Kharitonashvili, J., Danelia, I., Lominashvili, M., & Chantladze, N. (2024). Modern International Economic Relations of Georgia: Monograph. Tbilisi: Smarty. [In Georgian]

68. Ugwudike, P. (2022). *Predictive algorithms in justice systems and the limits of tech-reformism.* International Journal for Crime, Justice and Social Democracy, 11(1), 85–99. https://doi.org/10.5204/ijcjsd.2189

69. van Ooijen, C., Ubaldi, B., & Welby, B. (2019). *A data-driven public sector.* OECD Working Papers on Public Governance No. 33. https://doi.org/10.1787/09ab162c-en

70. Varian, H. R. (2014). *Big data: New tricks for econometrics.* Journal of Economic Perspectives, 28(2), 3–28. https://doi.org/10.1257/jep.28.2.3

71. The World Bank. (2021). *World Development Report 2021: Data for better lives.* https://wdr2021.worldbank.org/

72. World Bank Group. (n.d.). *DIME Artificial Intelligence.* https://www.worldbank.org/en/about/unit/unit-dec/impactevaluation/ai

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ხელოვნური ინტელექტი და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა ეკონომიკურ მმართველობაში: შესაძლებლობები და რისკები

ვასილ ზაგაიძე
საჯარო მმართველობის მაგისტრი,
თსუ-ს ეკონომიკის მაგისტრატურის
პირველი კურსის სტუდენტი
ORCID: https://orcid.org/0009-0007-1627-1322
ელ. ფოსტა: vasil.zagaidze102@ens.tsu.edu.ge

ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: loidk@yahoo.com

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *თანამედროვე ეკონომიკური მმართველობა სულ უფრო მეტად ფუნქციონირებს მაღალი გაურკვევლობის, არაწრფივი დინამიკისა და სწრაფად გაფართოებული მონაცემთა გარემოს პირობებში. ასეთ კონტექსტში ტრადიციული ეკონომეტრიკული და სტატისტიკური მიდგომები ხშირად აწყდება შეზღუდვებს დროული და ქმედითი პოლიტიკის რეკომენდაციების მიწოდების თვალსაზრისით. აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ შეუძლია ხელოვნურ ინტელექტსა (AI) და მონაცემებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ მიდგომებს გააუმჯობესოს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ამავდროულად გარდაქმნას ეკონომიკური მმართველობის ინსტიტუციური არქიტექტურა. კვლევის მიზანი ორმხრივია: ერთი მხრივ, შეფასდეს AI-ის როლი როგორც ანალიტიკური შესაძლებლობა ეკონომიკური პოლიტიკის პროცესებში; ხოლო მეორე მხრივ, გამოვლინდეს ის მმართველობითი რისკები, რომლებიც წარმოიშობა მონაცემებზე დაფუძნებული ინსტრუმენტების საჯარო გადაწყვეტილების სისტემებში სტრუქტურული ინტეგრაციის შედეგად.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება თეორიულ-კონცეპტუალურ კვლევით დიზაინს. იგი აერთიანებს აკადემიურ ლიტერატურას ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ეკონომიკურ ანალიზში, შეზღუდული რაციონალობის კონცეფციაში, ალგორითმულ მმართველობასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკის შემუშავებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერპრეტაციაზე ორიენტირებული ანალიტიკური მოდელებიდან პროგნოზირებასა და ნიმუშებზე დაფუძნებულ მიდგომებზე გადასვლას, რაც შესაძლებელი ხდება მანქანური სწავლების მეშვეობით. ამასთანავე, ნაშრომი მოიცავს OECD-ის, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული პოლიტიკის ჩარჩოებისა და მმართველობითი სახელმძღვანელოების შედარებით მიმოხილვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ადამიანის ზედამხედველობის პრინციპებს.*

ძირითადი შედეგები და გამოყენება; *კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკურ პოლიტიკაში ყველაზე ეფექტიანად ფუნქციონირებს როგორც გადაწყვეტილების მხარდამჭერი ანალიტიკური შრე და არა როგორც ადამიანის განსჯის ჩანაცვლების ინსტრუმენტი. ამ როლში AI აუმჯობესებს პროგნოზირების სიზუსტეს, აძლიერებს რეალურ დროში მონიტორინგს და ამცირებს შეზღუდული რაციონალობის გავლენას ინფორმაციის დამუშავების მასშტაბისა და სიჩქარის გაფართოებით. ამასთან, კვლევა აჩვენებს, რომ მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა ვერ ჩაითვლება ღირებულებით ნეიტრალურად: AI სისტემებს შეუძლიათ ისტორიულ მონაცემებში ჩაშენებული მიკერძოებების რეპროდუქცია და მმართველობითი რისკების წარმოქმნა, რომლებიც უკავშირდება გაუმჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების ხარვეზებს. შესაბამისად, მათი ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს მყარ ეთიკურ, ინსტიტუციურ და სამართლებრივ გარანტიებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლეგიტიმური, გამჭვირვალე და სამართლიანი ეკონომიკური მმართველობა.*

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი; მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა; ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება; ალგორითმული მმართველობა; ეთიკა და ეკონომიკა.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკაში გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვნად გართულებულია გლობალური ეკონომიკის კომპლექსურობისა და არაწრფივი დინამიკის გამო. ეკონომიკა სულ უფრო მეტად აღიქმება როგორც კომპლექსური ადაპტიური სისტემა, სადაც აგენტებისა და ინსტიტუტების ურთიერთქმედება წარმოშობს გაუთვალისწინებელ შედეგებსა და სისტემურ რისკებს (Love & Stockdale-Otarola, 2017). ასეთ პირობებში ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა ნაკლებად ექვემდებარება წრფივ პროგნოზირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კრიზისები, პანდემიები, კლიმატის ცვლილება და ტექნოლოგიური გარდაქმნები არღვევს წარსულ ტენდენციებზე დაფუძნებულ მოლოდინებს (Love & Stockdale-Otarola, 2017; World Bank, 2021).

მონაცემთა მოცულობის ზრდამ და ჰეტეროგენულობის გაძლიერებამ ანალიტიკური გარემო მნიშვნელოვნად გაართულა. კვლევები აჩვენებს, რომ მონაცემთა სიჭარბემ შეიძლება შეამციროს გადაწყვეტილებების ხარისხი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც ტრადიციული ანალიტიკური ინსტრუმენტები ვეღარ პასუხობს თანამედროვე მონაცემთა გარემოს სირთულესა და დინამიკას (Arnold et al., 2023; Ji, 2025).

ამ ფონზე კლასიკური ეკონომეტრიკული მიდგომები ნაკლებად არის მორგებული დიდი მოცულობის, ჰეტეროგენული და არაწრფივი მონაცემების ანალიზზე, რაც ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის რისკებს (Ji, 2025). ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელოვნური ინტელექტი (AI), როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი. იგი ხელს უწყობს რთული მონაცემების დამუშავებას, მნიშვნელოვანი ნიმუშების გამოვლენასა და გადაწყვეტილების მხარდაჭერას (de Pedraza & Vollbracht, 2023).

თანამედროვე მიდგომებით, AI აღარ განიხილება როგორც ადამიანური გადაწყვეტილების შემცვლელი. იგი უფრო მეტად აღიქმება გადაწყვეტილების მხარდამჭერ ანალიტიკურ მექანიზმად. მისი დანიშნულებაა მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერება, მაშინ როდესაც საბოლოო პასუხისმგებლობა კვლავ ადამიანებსა და ინსტიტუტებზე რჩება (OECD, 2025). შესაბამისად, მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა თანამედროვე ეკონომიკური მმართველობის ცენტრალურ ელემენტად ყალიბდება.

წინამდებარე კვლევის მიზანია გააანალიზდეს ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის როლი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შეფასდეს მათი გავლენა თანამედროვე ეკონომიკური მმართველობის ხარისხზე.

თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები

ხელოვნური ინტელექტი XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ტრანსფორმაციულ ტექნოლოგიად მიიჩნევა. მისი გავლენა სცდება ცალკეულ სექტორებს და უშუალოდ ეხება ეკონომიკურ ანალიზსა და საჯარო მმართველობას. საერთაშორისო კვლევების მიხედვით, AI-ის განვითარებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ინტერესი მისი ეკონომიკური პოტენციალის მიმართ, განსაკუთრებით პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიმართულებით (OECD, 2025; Maslej et al., 2025).

ტრადიციული ეკონომიკური პოლიტიკა დიდწილად ემყარებოდა შედარებით სტაბილურ გარემოზე მორგებულ მოდელებსა და ეკონომეტრიკულ შეფასებებს. თანამედროვე ეკონომიკური გარემო კი ხასიათდება მონაცემთა მასშტაბური ზრდით, არაწრფივი პროცესებითა და მაღალი გაურკვევლობით. ამიტომ იზრდება მოთხოვნა ისეთ ანალიტიკურ მიდგომებზე, რომლებიც ეფექტიანად იმუშავებს მაღალგანზომილებიან და ჰეტეროგენულ მონაცემთა გარემოში (Varian, 2014; Mullainathan & Spiess, 2017).

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს AI, განსაკუთრებით მანქანური სწავლების მეთოდები. ისინი მონაცემებში არსებული ნიმუშების იდენტიფიკაციის საფუძველზე უზრუნველყოფს პროგნოზირებას, კლასიფიკაციასა და გადაწყვეტილების მხარდაჭერას. მათი მთავარი უპირატესობა პროგნოზირების მაღალი სიზუსტეა. გარდა ამისა, ეს მეთოდები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ისეთი კავშირები, რომლებიც ტრადიციული მეთოდებით ხშირად შეუმჩნეველი რჩება, მაშინ როცა კლასიკური ეკონომეტრიკა მეტად ორიენტირებულია ინტერპრეტაციასა და მიზეზობრივი კავშირების დადგენაზე (Varian, 2014; Mullainathan & Spiess, 2017).

მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა გულისხმობს მმართველობით მიდგომას, სადაც პოლიტიკის ფორმირება, განხორციელება და შეფასება ემყარება მონაცემთა სისტემურ ანალიზს. შედეგად, იზრდება გადაწყვეტილებების მიზნობრიობა და მცირდება სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე დამოკიდებულება (van Ooijen et al., 2019; OECD, 2025). თუმცა ეს პროცესი ღირებულებით ნეიტ-

რალური ვერ იქნება, რადგან მონაცემები სრულად ობიექტურ სოციალურ რეალობას ყოველთვის არ ასახავს, ხოლო ალგორითმები თავისუფალი არ არის მიკერძოებისგან. ამიტომ AI-ის ეფექტიანი გამოყენება საჭიროებს მკაფიო ინსტიტუციურ ჩარჩოებს, გამჭვირვალობის სტანდარტებსა და ადამიანის ზედამხედველობას (Saltelli & Giampietro, 2015; OECD, 2025).

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ეკონომიკურ პოლიტიკაში

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში სულ უფრო მეტად წარმოადგენს საჯარო მმართველობის ანალიტიკური ფუნქციის მნიშვნელოვან კომპონენტს. მონაცემთა მოცულობის ზრდა, მათი მრავალწყაროიანობა და ეკონომიკური პროცესების არაწრფივი დინამიკა ამცირებს ტრადიციული ინსტრუმენტების ეფექტიანობას. ამის საპასუხოდ, AI აძლიერებს დროულ ანალიზს, პროგნოზირებასა და პოლიტიკის ოპერატიულ კორექტირებას (OECD, 2025; Parliamentary Budget Office, 2021).

ფისკალურ პოლიტიკაში AI გამოიყენება პროგნოზებისა და სცენარიული შეფასებების გასაუმჯობესებლად. მისი ანალიტიკური პოტენციალი განსაკუთრებით მკაფიო ხდება მაშინ, როდესაც ფისკალური ანალიზი მაკროეკონომიკური, სექტორული და ადმინისტრაციული მონაცემების ინტეგრირებულ დამუშავებას ეფუძნება (OECD, 2025). მონეტარულ პოლიტიკასა და ფინანსური სტაბილურობის სფეროში იგი აუმჯობესებს ინფლაციისა და სისტემური რისკების შეფასებას (Cipollone, 2024). სოციალური, აგრარული და კლიმატური პოლიტიკის სფეროებშიც AI ქმნის უფრო მიზნობრივი და ოპერატიული ჩარევების შესაძლებლობას (Dhanaraj et al., 2025; Hill & McCormick, 2025). ამდენად, AI უკავშირდება მმართველობის უფრო სწრაფ, მიზნობრივ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ფორმატზე გადასვლას (OECD, 2025).

საერთაშორისო გამოცდილება

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობა და AI-ის ინტეგრაცია შედეგიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ტექნოლოგიურ პროგრესს თან ახლავს ინსტიტუციური, სამართლებრივი და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ნორმატიულ და ორგანიზაციულ ჩარჩოს, რომელშიც იგი ინერგება (van Ooijen et al., 2019; OECD, 2025; World Bank, 2021).

ევროკავშირის მიდგომა ამ მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე ინსტიტუციურად გამართულ მაგალითად მიიჩნევა. მისი მონაცემთა პოლიტიკა ორიენტირებულია მონაცემთა ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ხელახალი გამოყენების ხელშეწყობაზე, ხოლო AI Act ეფუძნება რისკზე დაფუძნებულ რეგულირებას, გამჭვირვალობასა და ადამიანის ზედამხედველობას (European Commission, n.d.; Regulation (EU) 2024/1689, 2024). ამავე ხაზს ავითარებს OECD-იც, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, პასუხისმგებლიან მმართველობასა და ადამიანის ზედამხედველობას AI-ის გამოყენების პროცესში (OECD, 2025). ამდენად, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ AI-ის ეფექტიანი ინტეგრაცია მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, არამედ მათ შერწყმას სამართლებრივ წესრიგთან, ინსტიტუციურ პასუხისმგებლობასა და დემოკრატიულ ზედამხედველობასთან.

საქართველოს კონტექსტი: ინსტიტუციური მზაობა და ძირითადი გამოწვევები

საქართველოს შემთხვევაში იკვეთება როგორც სტრუქტურული პოტენციალი, ისე მნიშვნელოვანი შეზღუდვები. ქვეყანა ცდილობს რეგიონულ ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბებას და ეტაპობრივად უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ქმნის საფუძველს მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობისა და AI-ის სისტემური განვითარებისათვის (Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development, 2024; Gabisonia, 2021).

საერთაშორისო ინდექსები მიუთითებს, რომ საქართველოს აქვს გარკვეული ტექნოლოგიური და ადამიანური პოტენციალი, მაგრამ ინსტიტუციური მზაობა კვლავ შეზღუდულია (Fuentes Nettel et al., 2024). განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ AI-ის სფეროში სამართლებრივი ჩარჩო ჯერ კიდევ არასრულყოფილია, ინსტიტუციური კოორდინაცია სუსტია, ხოლო საჯარო სექტორში პრაქტიკული გამოყენების დონე დაბალია (Public Defender of Georgia, 2025).

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს პოზიტიურ ინსტიტუციურ მაგალითს, რომელმაც AI-ის რისკების მართვის მიმართულებით მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა (National Bank of Georgia, 2020). თუმცა, საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება ღია მონაცემების არასისტე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მური მართვა, ციფრული უნარების დეფიციტი და სპეციალიზებული ზედამხედველობის არქონა. ამის გამო, AI-ის ინტეგრაცია ქვეყანაში შესაძლოა დარჩეს ნაწილობრივი და ინსტიტუციურად სუსტი (Institute for Development of Freedom of Information, 2021, 2022).

საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერებასა და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებას, განსაკუთრებით ანალიტიკური და ციფრული უნარების მიმართულებით. სწორედ ამ წინაპირობებზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ქვეყანა AI-ის გამოყენებას ეკონომიკური ეფექტიანობისა და მმართველობის ხარისხის გასაძლიერებლად (Public Defender of Georgia, 2025; Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development, 2024).

რისკები და ეთიკური გამოწვევები

ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის ინტეგრაციას თან ახლავს სისტემური რისკები, რომელთა უგულებელყოფა საფრთხეს უქმნის როგორც პოლიტიკის ეფექტიანობას, ისე მის ლეგიტიმურობას. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ალგორითმული მიკერძოება, რადგან AI ავტომატურად არ უზრუნველყოფს ობიექტურ გადაწყვეტილებებს და ხშირად ასახავს იმავე მიკერძოებებს, რაც მონაცემებსა და მათ დიზაინშია ჩადებული (Manheim & Kaplan, 2019). ამას ემატება მონაცემთა სანდოობისა და წარმომადგენლობითობის პრობლემა, რაც ზრდის მცდარი გადაწყვეტილებების რისკს (Craig & Walch, 2025).

კერძო ან ნახევრად ავტონომიურ სისტემებზე გადაჭარბებულმა დამოკიდებულებამ შეიძლება შეასუსტოს საჯარო კონტროლი და ანგარიშვალდებულება (Castelluccia & Le Métayer, 2019; Frost, 2024). AI ასევე უკავშირდება კონფიდენციალურობის, კიბერუსაფრთხოების და ციფრული უთანასწორობის ზრდის რისკებს, ხოლო მისი არასათანადო გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში "ციფრული ავტორიტარიზმის" საფრთხესაც წარმოშობს (Chu et al., 2025). სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს "სანდო AI"-ის პრინციპებზე დაფუძნებული სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოების შექმნა, სადაც ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს გამჭვირვალობას, ახსნადობას, ადამიანის ზედამხედველობასა და უფლებების დაცვას (OECD, 2025; Regulation (EU) 2024/1689, 2024).

დასკვნა

წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვე ეკონომიკური მმართველობა სულ უფრო მეტად საჭიროებს ისეთ ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეძლებს მასშტაბური, ჰეტეროგენული და დინამიკური მონაცემების ეფექტიან დამუშავებას. ამ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტი და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა გარდაქმნის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ლოგიკას და აძლიერებს მმართველობის სიზუსტეს, ოპერატიულობასა და მტკიცებულებით საფუძვლიანობას (OECD, 2025; Mullainathan & Spiess, 2017).

თუმცა AI-ის რეალური ღირებულება ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განიხილება არა როგორც ადამიანური გადაწყვეტილების შემცვლელი, არამედ როგორც მხარდამჭერი ანალიტიკური მექანიზმი. საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ტექნოლოგიური შესაძლებლობები თავისთავად საკმარისი არ არის. აუცილებელია ძლიერი სამართლებრივი, ინსტიტუციური და ეთიკური ჩარჩოები, ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატიული ზედამხედველობა (OECD, 2025; Public Defender of Georgia, 2025).

საქართველოს აქვს განვითარების წინაპირობები, თუმცა კვლავ დგას ინსტიტუციური სიმწიფისა და სამართლებრივი სიცხადის გაძლიერების საჭიროების წინაშე. ამიტომ AI-ის წარმატებული ინტეგრაცია დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებს საქართველო ტექნოლოგიური განვითარების დაკავშირებას პასუხისმგებლიან, დემოკრატიულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მმართველობასთან (Fuentes Nettel et al., 2024; Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development, 2024).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

OCCUPATIONAL SAFETY POLICY IN THE CONTEXT OF MODERN CHALLENGES

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 17, 2026
Published: March 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-93

Beka Peradze
PhD Candidate in Economics at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Lecturer at Georgian National University
ORCID iD: 0009-0004-2277-7061
e-mail: bperadze1@gmail.com

ABSTRACT

This article aims to review Occupational Safety Policy in the face of modern challenges. Occupational safety as a multidisciplinary discipline is constantly facing new challenges and risks, which are caused by such processes constantly occurring in society and the economy as technological progress, globalization, and ongoing social and political changes.

As a result of the impact of these factors, the field of occupational safety, in the conditions of rapidly changing technologies and the economy, constantly requires new regulation of the legal sphere. Against the background of the fact that these issues are also facing challenges in developed economies, they require special attention from states with economies in transition. Among the events of recent years, the COVID pandemic period is worth highlighting. It is against the background of these global challenges that in 2022 the main principles determining occupational safety and health gained international recognition - by moving to the ranks of international "fundamental" labor norms.

Emphasizing the global importance of the principles of decent work and social justice provides an opportunity to rethink this issue and develop strategic approaches to address existing challenges. Over the past decade, Georgia has made significant steps, including the inclusion of provisions on a safe working environment in the Constitution of Georgia, Organic Law of Georgia on Occupational Safety, and other normative acts. At the same time, Labor Inspection Office of Georgia (LEPL), was established to enforce these legislative provisions.

That is why, given the importance of the issue, the article presents a historical overview of the labor safety reform and ways to improve labor safety in the short and long term. The proposed approach will further contribute to the establishment of a safety culture in the workplace and reduce the number of industrial accidents. The historic decision presented allows the 187 members of the International Labor Organization to step up their efforts to uphold fundamental principles, which are particularly important in a context where 2.93 million workers die and 395 million become disabled every year due to work-related factors. (15)

***Keywords**: Occupational safety, decent work, Labor rights, occupational safety policy, Occupational accidents, Decease, ILO, OSH, OSH conventions, OSH Directives, Organic Law of Georgia on Occupational Safety, Labour Inspection Office of Georgia, Ratification, Industrial injuries, Reforms, Challenges.*

REFERENCES:

1. International Labour Organization, International Labour Office, Technical and Ethical Guidelines for Workers' Health Surveillance, 1998 https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/@publ/documents/publication/wcms_publ_9221108287_en.pdf

2. Kurasbediani S., "Thematic Report on the Implementation of Obligations Undertaken under the Association Agreement with the European Union in the Field of Occupational Safety" Legal Compliance and Effectiveness of Enforcement, Committee on European Integration of the Parliament of Georgia, Tbilisi, 2023 (In Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

3. Iremadze I., Chubinidze G., Sartania K., "History of Labor in Georgia", Tbilisi, 2024 (In Georgian)

4. Organizing occupational (occupational) medicine in Georgia taking into account international experience, research, author of the research - Natsvlishvili B., 2023 (In Georgian)

5. LEPL - Labor Inspection Office of Georgia, 2024 Activity Report https://lio.moh.gov.ge/upload/20250902041302-ANGARISHI_KART%20(6).pdf (In Georgian)

6. Vision 2030 - Georgia's Development Strategy https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=428&info_id=85680 (In Georgian)

7. Council of European Union, Brussels, Association Implementation Report on Georgia, 2022, 10.8.2022 SWD (2022) 215 final, 17, https://www.ecoi.net/en/file/local/2078335/ST_11784_2022_INIT_en.pdf%3B+filename%2A%3DUTF-8%27%27ST_11784_2022_ INIT_en.pdf

8. ILO Curriculum on Building Modern and Effective Labour Inspection Systems, Policy and Planning of Labour Inspection, Module 3, ILO, p.9, principle 3, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/genericdocument/wcms_856563.pdf

9. ILO Curriculum on Building Modern and Effective Labour Inspection Systems, Policy and Planning of Labour Inspection, Module 3, ILO, p.9, principle 3, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/genericdocument/wcms_856563.pdf

10. Fundamental Principles Of Occupational Health and Safety, Benjamin O. Alli https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/%40dgreports/%40dcomm/%40publ/documents/publication/wcms_093550.pdf

11. Organic Law of Georgia "On Occupation Safety"

12. Law of Georgia "On Labour Inspection"

13. https://normlex.ilo.org/dyn/nrmlx_en/f?p=NORMLEXPUB:1:0::NO

14. https://www.ilo.org/topics-and-sectors/safety-and-health-work#stat

15. https://www.ilo.org/topics-and-sectors/safety-and-health-work#stat

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

ბექა ფერაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორანტი
მოწვეული ლექტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ORCID iD 0009-0004-2277-7061
ელ.ფოსტა: bperadze1@gmail.com;

აბსტრაქტი

პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა(შრომის უსაფრთხოება) როგორც მრავალპროფილური დისციპლინა მუდმივად ახალი გამოწვევებისა და რისკების წინაშე დგას. რასაც საზოგადოებასა და ეკონომიკაში მუდმივად მიმდინარე ისეთი პროცესები განაპირობებს როგორიცაა ტექნოლოგიური პროგრესი, გლობალიზაცია, მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. ამ ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, შრომის უსაფრთხოების სფერო, სწრაფად ცვალებადი ტექნლოგიებისა და ეკონომიკის პირობებში მუდმივად საჭიროებს სამართლებრივი სფეროს ახლებურად რეგულირებას. იმ ფონზე, კი როდესაც აღნიშნული საკითხები განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებშიც გამოწვევის წინაშე დგას, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების მხრიდან. ბოლო წლების მოვლენებიდან, ხაზგასასმელია COVID პანდემიის პერიოდი. სწორედ ამ გლობალური გამოწვევების ფონზე, 2022 წელს მოიპოვა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის განმსაზღვრელმა ძირითადმა პრინციპებმა საერთაშორისო აღიარება - შრომის საერთაშორისო „ფუნდამენტური“ ნორმების რიგებში გადანაცვლებით.

აღსანიშნავია, მსოფლიოში 10 ფუნდამენტური კონვენციის რატიფიცირების მდგომარეობის შეფასებაც, რომლიდანაც ნათლად ჩანს შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული

კონვენციების დაბალი მაჩვენებელი (2025 წლის მდგომარეობით პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კონვენცია - C155 რატიფიცირებულია წევრი 187 სახელმწიფოდან 89-ის მიერ; N187-ე კონვენცია პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ჩარჩოს შესახებ კი რატიფიცირებულია წევრი 187 სახელმწიფოდან 74-ის მიერ) (13), შესაბამისად კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია ამ მიმართულებით ქვეყნების მზაობის შეფასების საჭიროებაც.

ღირსეული შრომის პრინციპებისა და სოციალური სამართლიანობის გლობალური მნიშვნელობის ხაზგასმა იძლევა შესაძლებლობას, რომ აღნიშნული საკითხი ახლებურად გადაიხედოს და შემუშავდეს სტრატეგიული მიდგომები არსებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად. წარმოდგენილი ისტორიული გადაწყვეტილება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 187 წევრს აძლევს საშუალებას გაზარდონ ძალისხმევა ფუნდამენტური პრინციპების დასაცავად, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ყოველწლიურად 2.93 მილიონი დასაქმებული იღუპება და 395 მლნ დასაქმებული შავდება სამუშაოსთან დაკავშირებული ფაქტორების კვალდაკვალ. (14)

საკვანძო სიტყვები: *შრომის უსაფრთხოება, ღირსეული შრომის პირობები, შრომითი უფლებები, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული ჯანმრთელობა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანმრთელობის დაცვის კონვენციები, ჯანმრთელობის დაცვის დირექტივები, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, შრომის ინსპექციის სამსახური, რატიფიკაცია, საწარმოო დაზიანებები, რეფორმები, გამოწვევები.*

შრომის უსაფრთხოების მიზანი და ამოცანები

ჯერ კიდევ, 1950 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ILO) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) პირველ ერთობლივ სხდომაზე იქნა მიღებული **პროფესიული ჯანმრთელობის** შესახებ განმარტება, რომლის მიხედვითაც პროფესიული ჯანმრთელობის მიზანი უნდა იყოს ყველა პროფესიის დასაქმებულთა ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის უმაღლესი დონის ხელშეწყობა და შენარჩუნება, რაც მოიცავს სამუშაოს ადაპტაციას ადამიანთან და თითოეული ადამიანის ადაპტაციას თავის სამუშაოსთან. გარდა ამისა, აღნიშნულ სხდომაზე პროფესიული ჯანმრთელობა აღიარებულ იქნა მულტიდისციპლინარულ მიდგომად და აქცენტი სამ სხვადასხვა მიზანზე იქნა გაკეთებული. კერძოდ, დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება და ხელშეწყობა; სამუშაო გარემოს გაუმჯობესება უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით; შრომის ორგანიზაციებისა და სამუშაო კულტურის განვითარება.

აქვე აღსანიშნავია, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად (ILO) შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (OSH) განისაზღვრება, როგორც დისციპლინა, რომელიც ეხება სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებისა და დაავადებების პრევენციას, ასევე დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვასა და ხელშეწყობას. (1)

სფერო ფართოა და მოიცავს უამრავ დისციპლინას, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილზე და გარემოზე არსებულ საფრთხეებთან. სფეროს სისტემური მართვისთვის საჭიროა სტრუქტურების, უნარების, ცოდნისა და ანალიტიკური შესაძლებლობების ფართო სპექტრი, რათა კოორდინირებული და დანერგილი იქნეს ეროვნული OSH სისტემების შემადგენელი ყველა საკითხი, რათა დაიცვას როგორც უშუალოდ დასაქმებული პირები, ასევე სამუშაო გარემო და ნებისმიერი იქ მყოფი პირი. (10)

შრომის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ შრომის უსაფრთხოების სფეროში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რიგი კონვენციების რატიფიცირება ჯერ არ განხორციელებულა, საქართველომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით გათვალისწინებული არაერთი საერთაშორისო სტანდარტის ასახვა უზრუნველყო ეროვნულ კანონმდებლობაში. ქვეყანას მნიშვნელოვანი პროგრესი სწორედ ამ მიმართულებით აქვს მიღწეული იმ რეფორმისტული მიდგომებით, რომელიც ერთი მხრივ უკავშირდება შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის საკანონმდებლო გაფართოებას და ეფექტიანი აღსრულების მექანიზმის დანერგვას (ემსახურება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 81-ე კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების ფაქტობრივ იმპლემენტაციას) (2), ხოლო მეორე მხრივ - ევროკავშირის კანონმდებ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლობასთან დაახლოების გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებულ რეფორმებს.

სანამ არსებული მდგომარეობის შეფასებაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია მცირე ისტორიული რაკურსი გავაკეთოთ აღნიშნული მიმართულებით, რომელიც რამდენიმე ეტაპადაც შესაძლებელია იქნეს წარმოდგენილი: (3) **I ეტაპი** — საბჭოთა მემკვიდრეობად (1991-მდე) შეიძლება იქნეს მოხსენიებული, რომლის დროსაც OSH ნორმები მხოლოდ ფორმალურად იყო ძლიერი და უსაფრთხოების კულტურა ნაკლებად იყო განვითარებული. ჯანმრთელობა არა მიზანი, არამედ რესურსი იყო, უფრო მეტად დათვლაზე იყო ორიენტირებული და ერთგვარი დევიზით ფუნქციონირებდა: ჯანმრთელი მუშა-შესრულებული გეგმა; (4) **II ეტაპი** — შესაძლოა მოვიხსენიოთ როგორც კოლაფსი და უკონტროლო ბაზარი (1991–2006), როდესაც უსაფრთხოება "ფუფუნებ"-ის საგანს წარმოადგენს და პრევენციული მიდგომები მშრომელთა დასაცავად - გაუფასურებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველო სწორედ ამ პერიოდში უერთდება ისეთ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს, როგორიცაა გაერო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ევროპის საბჭო და სხვ; **III ეტაპი** — სრული დერეგულაციის პერიოდი (2006–2015). სახელმწიფო ზედამხედველობის მოშლამ ამ სფეროზე ბიზნესის ადვილად კეთების გამართლებით, სრულიად მოშალა ისედაც არარეგულირებულ შრომით ურთიერთობებში შრომის უსაფრთხოების საფუძვლები და ხელი შეუწყო ფატალური შემთხვევებისა თუ მძიმე საწარმოო ტრამვების რაოდენობის ზრდას; **IV ეტაპი** — საფუძვლის ჩაყრა (2015–2018) სწორედ ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების კვალდაკვალ იწყება, როდესაც 2015 წელს ჯანდაცვის სამინისტროში დეპარტამენტის სახით იქნება შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი შეზღუდული და მინიმალური მანდატით; **V ეტაპი** — ინსტიტუციურ გაძლიერებად (2019–2020) შეიძლება იქნეს მიჩნეული, ვინაიდან ქვეყანა პირველ რეალურ ნაბიჯებს დგამს შრომის უსაფრთხოების ნორმების ევროკავშირის მარეგულირებელ ჩარჩო დირექტივასთან დაახლოებით, როგორც შრომის უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით (ტექნიკურ დონზე) ისე შრომის კოდექსისა და შრომის უსაფრთხოების კანონის ახლებურად რეგულირებით; **VI ეტაპი** — თანამედროვე ფაზა (2021–2025), რომელიც ქვეყნის მასშტაბით მოქმედ საზედამხედველო სისტემას კიდევ უფრო აძლიერებს, ასოცირების ხელშეკრულების გათვალისწინებით ახდენს კანონმდებლობის ჰარმონიზებას, მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოების ცნობიერებას და უსაფრთხო შრომის კულტურა სრულიად ახალ ფაზაში გადაჰყავს სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური თუ გეოპოლიტიკური გამოწვევების მიუხედავად.

თანამედროვე ფაზის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შრომის ინსპექციის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმალიზდა კანონის სახით, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონი.

კანონის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი", „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის, კანონიერების, პროფესიონალიზმისა და კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით. ამავე კანონის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახურმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები ისე უნდა განახორციელოს, რომ შრომითი ნორმების ეფექტიან გამოყენებაზე მაქსიმალურად შესაძლო გავლენა მოახდინოს. (12)

აღსანიშნავია, რომ შრომითი ნორმების დარღვევისთვის შრომის ინსპექციის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ადმინისტრაციული სახდელები როგორიცაა: ა) გაფრთხილება; ბ) ჯარიმა; გ) სამუშაო პროცესის შეჩერება. გამოსაყენებელ სახდელთა შერჩევისას შრომის ინსპექციის სამსახური მანდატის ფარგლებში სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით განსაზღვროს გამოსაყენებელი სახდელის ტიპი, რომლის გამოყენებისას ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს და იყენებს დარღვევის თანაზომიერი პასუხისმგებლობის ზომას.

მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც „შრომის

ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა არის მრჩეველთა საბჭო. კანონით საბჭოს შექმნის და ფუნქციონირების საკითხი, წარმოადგენს დემოკრატიულობის განმსაზღვრელ უნიკალურ ფენომენს. მრჩეველთა საბჭო არის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შრომის ინსპექციის სამსახურისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს შრომის ინსპექციის სამსახურის სტრატეგიის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, მრჩეველთა საბჭოს არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც დადებითად აისახა შრომის უსაფრთხოების საზედამხედველო სისტემის ფუნქციონირებაზე, რაც უსაფრთხოების სტანდარტის დამკვიდრებას გულისხმობს.

ასევე უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის ხედვა 2030, რომელიც მდგრადი განვითარების მერვე მიზნის - ღირსეული შრომა და ეკონომიკური ზრდა, მიღწევის კვალდაკვალ, ეროვნული სტრატეგიის გათვალისწინებით მიზნად ისახავს შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესებას, რათა ხელი შეუწყოს დასაქმებულისთვის ღირსეული შრომის პირობების ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოს სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევების შემცირება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი განსაზღვრულია სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის აღსრულების სისტემის განგრძობადი გაუმჯობესება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს რესურსების რაოდენობრივ ზრდას, ხარისხობრივ გაძლიერებასა და რეგიონული ოფისების გაფართოებას. ასევე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების იმპლემენტაციას საქართველოს კანონმდებლობაში. (6)

ევროკომისიის წლიური ანგარიშის თანახმად, დამატებითი ადამიანური რესურსით შრომის ინსპექციის სამსახურის დაკომპლექტება და მისი მანდატის გაფართოება ქმნის სახელმწიფოში შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების ზედამხედველობის გაძლიერების შესაძლებლობას. (7) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციით, არაგეგმური ინსპექტირების მასშტაბების ზრდაზე საუბრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რისკებზე ორიენტირებული და პროპორციულობის საერთაშორისო პრინციპი; აღსრულება უნდა იყოს რისკზე დაფუძნებული და პროპორციული: ინსპექტირების სიხშირე და გამოყენებული რესურსები უნდა იყოს რისკის დონის პროპორციული და სააღსრულებო ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევების შედეგად გამოწვეული ფაქტობრივი რისკის შემცირება. (8)

არსებულის მიმოხილვასთან ერთად, ძალზედ მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც შრომის უსაფრთხოების ფორმირების პროცესში საქართველომ განვლო. კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართის შესაბამისად განსაზღვრულმა OSH დირექტივებმა ასახვა ჰპოვა შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

1. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
2. „სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის №341 დადგენილება;
3. „ტექნიკური რეგლამენტის - სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №590 დადგენილება;
4. „ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის №457 დადგენილება;
5. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილება;
6. „ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1 მაისის №167 დადგენილება;
7. „სახელმწიფო დროშის ქვეშ მოძრავ გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №5 ბრძანება;
8. "სამუშაო სივრცეში სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1 მაისის №135 დადგენილება.

გარდა აღნიშნულისა, ასოცირების ხელშეკრულების 229-ე მუხლი ხაზს უსვამს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტური და პრიორიტეტული კონვენციების რატიფიცირებას, რომლის თაობაზეც ევროკომისია 2023-2025 წლების გაფართოების ანგარიშებში საუბრობს.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმის განხორციელების შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით მიაღწია მნიშვნელოვან პროგრეს, რაც პირველ რიგში გამოიხატება სამუშაო ადგილზე შემცირებულ ფატალური უბედური შემთხვევების სტატისტიკაში (იხ.ცხრილი).

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით აღსანიშნავია, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, 2024 წლისთვის სიკვდილიანობა 44%-ით არის შემცირებული. ამასთან, აქტიური ბიზნეს სუბიექტებისა და დასაქმების რაოდენობის ზრდის მიუხედავად პროპორციულად შემცირებულია სამუშაო ადგილზე მომხდარი ინციდენტების რაოდენობა და შესაბამისად, ინციდენტების მაჩვენებელიც, რაც ასახავს უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტურ აღსრულებას და პრევენციული ზომების დადებით გავლენას. (5)

გაუმჯობესების გზები მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, არსებითად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები, რომელიც ქვეყანას შრომის უსაფრთხოების სფეროს დახვეწისა და გაუმჯობესების გზაზე ესაჭიროება.

ამ მიზნით, ხაზი უნდა გაესვას ქვეყანაში შრომის ინსპექტირების ინსტიტუციური მეხსიერების მოკლე ისტორიას, რაც თავისთავად ქმნის ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური კადრების დეფიციტს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის ისტორიული განვითარების შედეგად, ქვეყანაში დღეის მდგომარეობით არ არსებობს სისტემური მიდგომები პროფესიული დაავადების ადრეული დიაგნოსტირებისა და შესაბამისი მართვის კუთხით. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან სამუშაო ადგილებზე საწარმოო ფაქტორების გრძელვადიანი მავნე ზემოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანება, შრომის უსაფრთხოების სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც შესამაბისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც შრომის უსაფრთხოების სფეროს დღემდე მიღებული აქვს, ასევე, ზედამხედველობის შედეგად

2018-2024 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდენობა



	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ფატალური	59	45	39	37	35	34	33
არაფატალური	199	168	249	253	330	347	257

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

გამოვლენილი დარღვევების შესწავლით, შესაძლებელია სფეროს გაძლიერებისთვის მოკლევადიან (3-4 წლიანი) და გრძელვადიან (5-10 წელი) პერსპექტივებზე ვისაუბროთ.

მოკლევადიანი პერიოდისთვის განსახორციელებელი ამოცანები:

1. ინსპექტირების მონაცემების საფუძვლების შესაბამისობის ანალიზი და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;

2. ინსპექტირების დაგეგმვის, განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაციფრულება;

3. ინფორმაციის მართვის უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;

4. ინსპექტორთა რაოდენობრივი ზრდა, რეგიონული მოცვის გაფართოება, ასევე, რესურსების მიზნობრივი ათვისების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება/განხორციელება;

5. შრომის უსაფრთხოების სფეროში სექტორულად განსაზღვრული დირექტივების იმპლემენტაცია.

გრძელვადიანი პერიოდისთვის განსახორციელებელი ამოცანები:

1. შრომის უსაფრთხოების სფეროში პრიორიტეტული და ფუნდამენტური კონვენციების რატიფიცირება;

2. პროფესიული დაავადებების კვლევითი დიაგნოსტიკის, აღრიცხვისა და პრევენციის პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი პროგრამების განხორციელება მისი ეფექტური აღსრულებისთვის.

3. ცნობიერების ამაღლებისა და კონსულტაციის გაწევის შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი სტრატეგიული კამპანიების დაგეგმვითა და განხორციელებით;

4. ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი თუ პროფესიული მიმართულებით შრომის უსაფრთხოების კულტურის მდგრადი გაძლიერების ხელშეწყობისთვის შესაბამისი საგნის, კურიკულუმის შემუშავება;

5. შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის ეტაპობრივი დახვეწა დამატებითი სპეციალიზაციის განხრით, დარგობრივი, პროფილური სპეციფიკის (სამშენებლო სექტორი, მომპოვებელი მრეწველობა და სხვ.) გათვალისწინებით.

6. ქვეყანაში ოპერირებადი საწარმოებისთვის, რომელთაც მოძველებული სამუშაო მოწყობილობები, მანქანა დანადგარები გააჩნიათ მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება რათა უმტკივნეულოდ მოხდეს მათი ჩანაცვლება სამუშაო ადგილებზე;

7. კომპანიათა რეიტინგული სისტემის ფორმირება და შრომის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინება კონკურენტულ უპირატესობად სახელმწიფო ტენდერის დროს კომპანიების შერჩევის პროცესში.

8. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, შრომის უსაფრთხოების კომპონენტის სავალდებულო სატენდერო პირობად გათვალისწინებასთან ერთად, მონიტორინგის გაძლიერება;

9. მომეტებული საფრთხის/განსაკუთრებულად მაღალი რისკის კომპანიებში შესაბამისი კვალიფიკაციის/ნებართვის მქონე პირების დასაქმების ვალდებულების შემოღება. ამ მხრივ დამსაქმებელთა პასუხისმგებლობის გაზრდა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისთვის სპეციალური მოწმობების უზრუნველყოფა, მათი შემდგომი დასაქმების მიზნით.

დასკვნა

შრომის უსაფრთხოება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა არამხოლოდ დასაქმებულის კეთილდღეობას, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგრადობასაც განსაზღვრავს.

აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, ბოლო დეკადის განმავლობაში საქართველოში გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მათ შორის უსაფრთხო სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული დათქმები ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, შრომის უსაფრთხოების კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებში. ამავე დროს, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების აღსასრულებლად შეიქმნა უწყება სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის სახით. აღნიშნული რეფორმის შედეგად, შრომის უსაფრთხოების კუთხით, ქვეყანას რეგიონში ერთ-ერთ ლიდერი ქვეყნის პოზიციონირების საშუალება მიეცა. რაც მთავარია, რეფორმა დადებითად აისახა ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებაზე, რაც პირველ რიგში ფატალური უბედური შემთხვევებისა და საწარმოო ინციდენტების კლების ტენდენციაში ვლინდება.

მიუხედავად აღნიშნულისა, შრომის უსაფრთხოების შინაარსიდან გამომდინარე, გლობალიზაციის, ციფრული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის მზარდი გავლენისა თუ სამუშაო გარემო პირობების სხვა სახეცვლილების გამო, სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოება მსოფლიოში ყოველწ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლიურად ახალი გამოწვევების წინაშე დგება. სწორედ ამიტომ, შრომის უსაფრთხოების ეფექტური პოლიტიკა მოითხოვს სამმხრივ ფორმატში - სახელმწიფოს, დამსაქმებლებისა და დასაქმებულების კოორდინირებულ მოქმედებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ეფექტიანი დაცვა.

სწორედ ამიტომ, შრომის უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია უწყვეტად გაგრძელდეს შრომის უსაფრთხოების რეფორმა. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია შესაბამის ვადებში მიღებულ იქნეს ის ტექნიკური რეგლამენტები, რომლის ასახვის ვალდებულება საქართველოს აქვს სხვადასხვა სექტორული მიმართულებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გრძელვადიან სტრატეგიაში, არამედ ყოველწლიურად გაგრძელდეს შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება, რაც პროაქტიული ინსპექტირებების რაოდენობის ზრდაში უნდა გამოიხატოს. ასევე, სახელმწიფოს ყურადღება მეტად უნდა იქნეს მიპყრობილი უსაფრთხოების კუთხით შესაბამისი პროფესიის კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებასა და პროფესიული დაავადებების სადიაგნოსტიკო პროგრამების განხორციელებაზე.

აღნიშნული მიდგომა სამუშაო ადგილებზე კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებასა და შეამცირებს საწარმოო შემთხვევების რაოდენობას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE DIASPORA AND GEORGIA

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 17, 2026
Published: March 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-101

Archimandrite Abo (Levan Chachua)
Doctoral Candidate (Third Year),
Faculty of Engineering Economics,
Media Technologies, and Social Sciences,
Georgian Technical University
ORCID: https://orcid.org/0009-0002-4781-2877
E-mail: abo.chachua@gmail.com

ABSTRACT

The establishment of the Diocese of Western Europe is associated with His Holiness, the Catholicos-Patriarch of All Georgia, Archbishop of Mtskheta-Tbilisi, and Metropolitan of Bichvinta and Tskhum-Abkhazia, His Holiness and Beatitude Ilia II. By his blessing, and in accordance with the decree of the Holy Synod of the Georgian Orthodox Church, the Diocese of Western Europe was founded on October 17, 2002.

This date represents an important milestone both in the martyrological history of the ancient autocephalous Georgian Orthodox Church and in its modern history, particularly in relation to the pastoral care of thousands of its faithful scattered abroad. As early as 2009, the dioceses of Great Britain and Ireland were separated from it; subsequently, in 2014, the dioceses of Germany and Austria, as well as Belgium and the Netherlands, were likewise established.

Undoubtedly, for the millions of Georgians living in emigration, the functioning of churches and monasteries, as well as the increase in the number of clergy beyond the borders of Georgia, constituted an urgent necessity. As an independent ecclesiastical body, the Georgian Orthodox Church, in deciding to establish dioceses within its jurisdiction in Western Europe, thereby defined its pastoral and spiritual responsibility toward tens of thousands of compatriots living abroad in emigration.

At that time, with the blessing of Patriarch Ilia II, only three parishes were functioning in Western Europe: in Strasbourg, Brussels, and Munich.

***Keywords**: diaspora, migration, challenges, opportunities, evaluation.*

REFERENCES:

1. Metropolitan Anania (Japaridze). History of the Georgian Apostolic Church. Tbilisi, 2000. (In Georgian)
2. Metropolitan Anania (Japaridze). The Biblical History of the Ancestors of the Georgians: From Adam to Jesus. (In Georgian)
3. Metropolitan Anania (Japaridze). Diptych and Diaspora. Tbilisi, 2009. (In Georgian)
4. The Church – The Church of the Future: Christians in the Contemporary Diaspora. Hildesheim, 1994, pp. 17–30.
5. Hermann J. Roerig. Diaspora – The Church as a Minority (EThSt 62). Erfurt, 1991, pp. 231–298.
6. Sebastian Rimestad. Orthodox Christian Identity in Western Europe: Claims to Religious Authority. New York, 2021.
7. N. Grdzelishvili. Religious Tourism. Monograph in three parts. Tbilisi, 2023. (In Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დიასპორა და საქართველო

არქიმანდრიტი აბო (ლევან ჩაჩუა)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,
მესამე კურსის დოქტორანტი.
abo.chachua@gmail.com

აბსტრაქტი

დასავლეთ ევროპის ეპარქიის დაფუძნება დაკავშირებულია მის უწმიდესობასთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით. 2002 წლის 17 ოქტომბერს, დაფუძნდა დასავლეთ ევროპის ეპარქია, საქართველოს უძველესი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მოწამეობრივი ისტორიისთვის, ეკლესიის უახლესი ისტორიისთვის, მისი უცხოობაში გაფანტულ ათასობით სულიერ შვილზე მზრუნველობისთვის, ეს მნიშვნელოვანი თარიღია. ჯერ კიდევ 2009 წელს მას გამოეყო დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის და შემდგომ 2014 წელს, გერმანიისა და ავსტრიის, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიები. რათქმაუნდა მილიონობით გადახვეწილი ქართველისთვის უდიდეს საჭიროებას წარმოადგენდა ეკლესია მონასტრების ფუნქციონირება და სასულიერო პირთა გამრავლება საქართველოს საზღვრებს მიღმა, როგორც დამოუკიდებელმა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, გადაწყვიტა რა, დასავლეთ ევროპაში, თავის იურისდიქციაში ეპარქიები გაეხსნა, ამით განსაზღვრა ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება ათიათასობით სამშობლოდან, უცხოეთში, ემიგრაციაში მყოფი თანამემამულეებისადმი. იმ დროისთვის დასავლეთ ევროპაში პატრიარქ ილია მეორეს კურთხევით დაფუძნებული, მხოლოდ სამი სამრევლო მოქმედებდა: სტრასბურგში, ბრიუსელსა და მიუნხენში.

საკვანძო სიტყვები: *დიასპორა, მიგრაცია, გამოწვევები, შესაძლებლობები, შეფასება.*

შესავალი

ვფიქრობ, დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის ხელახლა აღმოჩენა და გააზრება, რაც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა საზღვარგარეთ შექმნეს. დიასპორაში დაგროვებული გამოცდილების - მეთოდების და მოდელების, პრინციპებისა და კრიტერიუმების დღევანდელ საეკლესიო პრაქტიკაში გაცოცხლება არის დღეს ჩემი და ქართველი ბერმონაზვნებისა და სამღვდელოების ერთ-ერთი დიდი გამოწვევა და ამოცანაც. ეს დაგვეხმარება ჩვენი დიასპორის უკეთ გაგებასა და მის უკეთ მართვაში. ჩვენთვის ცნობილია ქართული ბერმონაზვნობა, რომელმაც იმთავითვე მჭიდრო კავშირშები დაამყარა საზღვარგარეთულ სამონასტრო-საგანმანათლებლო კერებთან, სამეფო ოჯახისა და მორწმუნე დიდგვაროვნების დახმარებით ისინი ასევე აფუძნებდნენ საკუთარ სამონასტრო და საგანმანათლებლო ცენტრებს დიასპორაში და შთაგონების წყარო იყვნენ საკუთრივ სამშობლოში არსებული საეკლესიო, ლიტურგიკული და, საგანმანათლებლო ცხოვრების პროგრესში. როგორ უხერხდებოდათ მათ ეს დიდი საქმე? უპირველესად თავიანთი ეკლესიისა და სამშობლოს უანგარო სიყვარულით, დიდი ნებისყოფით, რომ შეესწავლათ უცხო ენები, იქნებოდა ეს ბერძნული, სირიული თუ სხვა. ენის ცოდნით ისინი შესაძლებელს ხდიდნენ ერთის მხრივ ბერძნულ და სირიულ კულტურაში ინტეგრაციას, და მეორეს მხრივ - უცხოენოვანი ხელნაწერების ქართულში თაგრმნას, იქნებოდა ეს ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული, პატრისტიკულ-საღვთისმეტყველო თუ სხვა ჟანრის ლიტერატურა. აგრეთვე ხელოვნება. ჩვენი წინაპრების გამოცდილების კვლავ აღმოჩენა დაგვეხმარება ჩვენი ტრადიციის უკეთ გაგებაში. ეს შეიძლება იყოს ინოვაცია, მაგრამ ტრადიციაზე დაფუძნებული. აქ, ინოვაცია არ უნდა იქნას გაგებული თანამედროვე და დასავლური პერსპექტივიდან, როგორც ორიგინალურობა და წარსულის რადიკა-

ლური ცვლილება, არამედ როგორც ტრადიციის ინტერპრეტაციის მოდალობა. ამდენად ინოვაციამ უნდა შეინარჩუნოს ტრადიციის სულისკვეთება. ფაქტი, რომ მიგრაცია იწვევს ინოვაციას, ეკლესია კი თარგმნის ამ ინოვაციას ტრადიციის შუქზე. ესაა ჩვენი, როგორც ეკლესიის პასუხი თანამედროვე აღელვებულ და დაბნეულ საზოგადოებებში. ებრაელები დიასპორაში თარგმნიან ბიბლიას ბერძნულად, რითაც მივიღეთ სეპტუაგინტა. მათ ახალი წმ. წერილი კი არ დაწერეს დიასპორაში, არამედ საკუთარი თარგმნეს ხალხის გასაგებ ენაზე. იგივეს აკეთებდნენ ჩვენი ქართველი ბერები უცხოეთში. ისინი ახალ ღვთისმეტყველებას კი არ იგონებდნენ, როგორც ეს სამწუხაროდ ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდებში მოდად იქცა, არამედ უკვე არსებულ, წმ. ეკლესიის მიერ დამტკიცებულ მოძღვრებას, ღვთისმეტყველებას გვაწვდიდნენ ჩვენთვის გასაგებ ენაზე. ესაა ჩვენი წინაპრების, ქართველი საეკლესიო მოღვაწეების დიდი გამოცდილება დიასპორაში. (Metropolitan Anania (Japaridze). History of the Georgian Apostolic Church).

დღევანდელი შეფასება

დღეისათვის დიასპორაში გადინების მოტივები არსებობს: 1) მსხვერპლის დიასპორა 2) სამსახურებრივი მოტივით განპირობებული მიგრაცია 3) პოლიტიკური სარჩულით გამოწვეული მიგრაცია 4) სავაჭრო სახის დიასპორა 5) სამეცნიერო კულტურული მოტივიაცია საზღვარგარეთ წასვლის და .ა.შ. მიუხედავად ამ სხვადასხვა მოტივებისა, ქართული დიასპორის მენტალიტეტი და ბუნება საწყის ეტაპზე ერთი და იგივეა. კერძოდ ის ყველაზე ახლოს დიასპორის გაგების ებრაულ- იუდაურთან მოდელთან დგას, კერძოდ შევინარჩუნოთ ორიგინალური ბმა ცენტრთან, სადაც ხდება კოლექტიური მეხსიერების გზით საკუთარი ეთნიკური საწყისის ერთგულება. ეს ნიშნავს დისპორაში სამშობლოს იდეით ცხოვრებას და ბოლოს უკან დაბრუნების სურვილსა და სულისკვეთებას - იქნება ეს საკუთარ სიცოცხლეში, თუ სიცოცხლეში დატოვებული ანდერძი, რომ დავიკრძალოთ ქართულ მიწაზე. თუ ებრაელი დიასპორაში შენატრის იერუსალიმს და სიონის მთას, როგორც თავისი ხსნის გარანტს, სადაც ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს, ჩვენს შემთხვევაში ეს ჩვენი ქართული მიწაა, საიდანაც ჩვენ წარმოვდგებით. იცხოვრო დიასპორის ამ ებრაული დიასპორის გაგებით, ავტომატურად ნიშნავს მასპინძელ საზოგადოებასთან ერთგვარ შინაგან კონფლიქტს - კონფლიქტს მასპინძელი ქვეყნის ტრადიციასთან, კულტურასა თუ ღირებულებებთან. ამავდროულად უნდა ითქვას, რომ ეს განსაკუთრებით პირველ სამ თაობაში იგრძნობა. იქ, სადაც უფრო დიდი დრო გადის, კონფლიქტებიც მცირდება. ხსენებული პირველი სამი თაობა ტიპოლოგიურად შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოდ: 1) პირველი თაობა - ბრძოლა გადარჩენისათვის. ოჯახი ან პიროვნება, რომელიც სამშობლოდან საზღვარგარეთ მოდის და დიასპორულ ცხოვრებას უერთდება. აქ სახეზე გვაქვს მასპინძელი ქვეყნის ენისა და წეს-ჩვეულებების ცოდნის პრობლემა, რადგან ეს თობა საქართველოშია დაბადებული და გაზრდილი. შესაბამისად არსებობს ინტეგრაციის სირთულეც. დიასპორის პირველი თაობა იბრძვის საკუთარი ოჯახის გადარჩენისთვის, რომ საარსებო პირობები შეუქმნას ოჯახს ან საკუთარ თავს.

მეორე თაობა ხასიათდება როგორც ინტეგრაციის თაობა. ის იწყებს უკვე მასპინძელ საზოგადოებაში სრულფასოვან დამკვიდრებას. მას ამაში უკვე ხელს უწყობს ადგილობრივი ენისა და წეს-ჩვეულებების ცოდნა, რომელშიც ის გაიზარდა და სოციალიზდა, თუმცა ნელ-ნელა თავს იჩენს იდენტობის კრიზისის დაბადება. მაგალითად, მეორე თაობის შვილი ბელგიაში, გერმანიაში, იტალიაში არის ქართველი, ხოლო საქართველოში ბელგიელი, გერმანელი თუ იტალიელი.

მესამე თაობის ადამიანი კი უკვე იწყებს საკუთარი ეროვნული ფესვის ძებნას და მის თავიდან აღმოჩენას. ამას ეწოდება ტრანსნაციონალური იდენტობის ძებნა, რაც თავის თავად პოზიტიური მოვლენაა. მესამე თაობის ადამიანს უჩნდება სურვილი, იცოდეს საიდან არის, რომელია მისი აღმსარებლობა, ვინ არის მისი წინაპარი, რაა მისი ეროვნული იდენტობა - კულტურა, ფასეულობები, ტრადიცია და ა.შ.

ეს სოციო-კულტურული ანალიზი კი ნაკლებად ეხება იმ თემებს და დიასპორის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც არ ქონია წყვეტა საკუთარ ეროვნულ ეკლესიასთან დიასპორაში. აქ ჩვენს ქართულ სამრევლოებსა და ეპარქიებს გადამწყვეტი როლი აკისრიათ, რომელსაც ისინი ნამდვილად პირნათლად ასრულებენ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიასპორაში არის მქადაგებელი არ მარტო მაცხოვნებელი სწავლებისა, არამედ აკავშირებს საკუთარ შვილებს თავიანთ სამშობლოსთან, მის ტრადიციებთან, კულტურასთან, ენასა თუ ღირებულებებთან.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გამოწვევები და შესაძლებლობები - ზოგიერთი ასპექტი

ადაპტაცია- Laxismus და სიმკაცრე- Rigorismus.

დიასპორის საფრთხეებია ადაპტაცია-Laxismus და სიმკაცრე-Rigorismus: როგორც ყველა სხვა სამოძღვრო-პასტორალური რეალობა, დიასპორაც იმყოფება Laxismus და სიმკაცრე-Rigorismus დილემის წინაშე, მაგალითად: ინტერრელიგიური, ან ინტერკონფესიური შერეული ქორწინებები: არამართლმადიდებელ პირს ვნათლავთ ხელახლა მართლმადიდებლურად, ანდა მისი საპირისპირო რეალობა, რომ ყველაფერი დასაშვებია, ანუ სეკულარული საზოგადოების ეთოსი, რაც არა მარტო დიასპორაში, არამედ საქართველოშიც უკვე ფეხს იდგამს. ზოგიერთისთვის რწმენა და ეკლესია საერთოდ აღარ თამაშობს რაიმე სახის როლს და ისინი თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. ზოგიერთ ქვეყანაში დიასპორა მიდრეკილია გეტოიზაციისკენ. ვრჩებით საკუთარ თავთან, მხოლოდ ერთმანეთთან, მასპინძელ კულტურასთან ყოველგვარი კავშირისა და დიალოგის გარეშე. მაგალითები: ერთის მხრივ ქართული ცეკვა და საკვირაო სკოლა მნიშვნელოვანია ქართველი ახალგაზრდებისთვის, მეორეს მხრივ კი ეს რჩება მხოლოდ ქართულ გარემოში და ვიქცევით მხოლოდ კულტურულ დაწესებულებად, სადაც რწმენის ქადაგება და კატეხიზაცია არაა სახეზე. შედეგად დიასპორა კარგავს მისიონერულ ძალას. ხანდახან მასპინძელი ქვეყნის ხალხი, ანუ სტუმრები ჩვენს დიასპორაში თავს უცხოდ გრძნობენ, რადგან ქრისტიანული რწმენის ირგვლივ თემებს და სულიერ ცხოვრებისეულ პრაქტიკას კი არ აწყდებიან, არამედ მხოლოდ ქართულ თემებს.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ ორი და მეტი კულტურის ერთად ცხოვრება უკვე გამოწვევაა. გერმანულში არსებობს ერთი სიტყვა: Kulturmüdigkeit, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „კულტურული დაქანცულობა.“ ეს სიტყვა ეკუთვნის გერმანელ იურისტსა და კულტურის ფილოსოფოსს ვალტერ შუბართს, რომელმაც 1938 წელს გამოსცა წიგნი „ევროპა და აღმოსავლეთის სული“. შუბართის მიხედვით ეს კულტურული დაქანცულობა, ანუ დაღლილობა ხშირად იმ გარემოებებითაა განპირობებული, სადაც ორი ან მეტი კულტურის, ტრადიციის და მენტალიტეტის ხალხი ცხოვრობს ერთად. მათთვის, ვინც ცხოვრობდით, - მუშაობდით ან სწავლობდით სხვა კულტურაში, კარგად გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა. (The Church – The Church of the Future: Christians in the Contemporary Diaspora).

მართლმადიდებლური ქრისტიანობის ორი ტიპი

ბოლო ათწლეულების დიასპორული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ სახეზე გვაქვს მართმადიდებლური ქრისტიანობის ორი ტიპი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, თუ შევხედავთ ეთნიკურად ქართველ მართლმადიდებებს, რომლებიც წარმოშობით ქართველები არიან, და იმათ, რომლებიც ეროვნებით ფრანგი, ბელგიელი, გერმანელი და ა.შ. მართლმადიდებლურად მოინათლნენ, მაგრამ ტრადიციულად, კულტურულად, განათლებით და მენტალიტეტით ისევ ფრანგები, ბელგიელები, გერმანელები და ა.შ. რჩებიან. აქ იკვეთება ორი ჯგუფი: მორწმუნენი მიგრაციული ფონით და მის გარეშე. ამ ორ ფენომენს სებასტიან რიმესტადი „“cradle-აკვანსა“ ანუ სამშობლოსა და „მოქცეულებს-conversio“-ს უწოდებს. ამ მოქცეულთათვის მართლმადიდებლობა უფრო ხანგრძლივი, ინტელექტუალური გამოწვევის შემდეგ სულიერი ძიებით მიღწეული მართლმადიდებლობაა. მათ ხშირად რადიკალურად განსხვავებული სამოძღვროპასტორალურ - პრაქტიკული მოთხოვნილებები აქვთ ვიდრე ემიგრანტებს, რომელთაც გენეტიკურად, ონტოლოგიურად იმემკვიდრეს ეს რწმენა. შესაბამისად მოძრვარს უდგას გამოწვევა, რომ მათ დიფერენცირებულად მიუდგეს საეკლესიო-პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას. რეალურად აქ არ არის წინააღმდეგობა მართლმადიდებლობის ამ ორმაგ იდენტობაში თეორიულად, მაგრამ პრაქტიკაში ეს მართლმადიდებელი „cradle“ და „convert“ ხანდახან ერთმანეთს ეჯახება, რაც დრო და დრო კონფლიქტსაც იწვევს. დასავლეთში დატოვო საკუთარი აღმსარებლობა და გახდე მართლმადიდებელი, ნიშნავს რწმენის სისტემასთან და მის ღირებულებებთან დამაჯერებელი მიდგომის შედეგს. ამ ორმა შემთხვევამ აჩვენა, რომ არსებობს განსხვავება იმ მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის, რომლებიც ჩამოდიან მართლმადიდებლური კულტურის მქონე ქვეყნიდან და გადადიან ერთის მხრივ არამართლმადიდებლურ კონტექსტში. მეორეს მხრივ, დასავლური ქრისტიანობის მიერ დომინირებული კულტურა. (Sebastian Rimestad. Orthodox Christian Identity in Western Europe: Claims to Religious Authority. New York, 2021).

დიასპორის პოზიტიური შესაძლებლობები: პროფილირება და გახსნა გარესამყაროს მიმართ

დიასპორაში მნიშვნელოვანია იმ სულიერი ღირებუებების კვლავ აღმოჩენა, რამაც ევროპა დაბადა როგორც ქრიტიანული ევროპა. წმ. მოციქულები პეტრე და პავლე ანათებენ რომს, საიდანაც იწყება ევროპის გაქრისტიანება. ამას ემატება აღმსავლური სამონასტრო ტრადიციის შემოსვლა დასავლეთში მეხუთე საუკუნის მოღვაწე წმ. იოანე კასიანეს და სხვა ასკეტი მამების მიერ, რომლებაც აღმოსავლური ბერმონაზვნობა გააცვნეს დასავლეთს, რის საფუძველზეც დაიბადა ბენედიქტინელებისა და სხვა სულიერი მოღვაწეების სამონასტრო-საგანმანათლებლო კერები. ეს სკოლები გახდნენ წყარო შემდეგ დასავლური უნივერსიტეტის, ჰოსპიტებისა და ეკონომიკის დაბადების. ჩვენთვის როგორც სასულიერო პირებისთვის მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის ცოდნა, დაფასება, გააზრება და შემდეგ გადაცემა. მივიღოთ მასპინძელი ქვეყნისგან ის, რაც წმიდაა, ძვირფასია, ღირებულია, ის რაც საერთოა. ამ კუთხით კარგი იქნებოდა ცალკეულმა ეპარქიამ დიასპორაში გამოიკვლიოს 1054 წლამდე არსებული წმინდანები, რომ მოხდეს ზოგიერთი მათგანის წმ. სინოდის მიერ ჩვენს საეკლესიო კალენდარში დამკვიდრება. მსგავსი აქცენტების დასმა ასევე ჩვენი დიასპორის მასპინძელი ქვეყნების პირველი ათასწლეულის წმინდანების მოძიების კუთხით იქნებოდა საინტერესო - ბელგიის, ჰოლანდიის, და სხვადასხვა ქვეყნების ეკლესიების ისტორიიდან. დიასპორაში მასპინძელმა ქვეყნებმა უფრო მეტი იციან ჩვენი ეროვნული წმინდანების შესახებ. ჩვენს შემთხვევში საინტერესო და ნიშანდობლივია ის, რომ ყველა პირველი ქართული სამრევლო ეროვნული წმინდანების მფარველობის ქვეშ დაფუძნდა და გაიხსნა.

დასკვნა

დიასპორას შეუძლია ბევრ გამოწვევებს გასცეს პასუხი, ისტორიულად საკუთარი სამშობლოსთვის ვიცით, რაც გააკეთეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა. ეს უნდა იქცეს ისნპირაციის წყაროდ, რომ ერთის მხრივ, ჩვენი მაცხოვნებელი რწმენით ვიცხოვროთ, რომელიც სახლიდან აქ წამოვიღეთ და მეორეს მხრივ, ეს რწმენა გადავცეთ მასპინძელ ქვეყნებს დიასპორაში. დღეს ევროპასა და ამერიკაში მნიშვნელოვანია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი მტკიცე რწმენისა და ღირბულებების გაჟღერება, რაც მასპინცელი ქვეყნის ენისა და კულტურის ასევე კარგ ცოდნას ითხოვს. ჩვენ ვდგავართ ორი დიდი გამოწვევის წინაშე, როგორც ეკლესია და როგორც ქრისტიანული საზოგაოდება:

1) გამოწვევა, რომელსაც ქვია აღმოსავლური ფუნდამენტალიზმი, ფუნდამენტალისტური და პოლიტიკური ისლამის სახით,

2) დასავლური სეკულარიზმი, რომელსაც აღარ ესმის, რომ ევროპული ცივილიზაცია არა თავისუფლების, როგორც უმაღლესი პრინციპის მონაპოვარია, არამედ სახარებისეული ღირებულებებისა და მარადიული პრინციპების, რომელსაც აქაურმა დასავლურმა ბერმონაზვნობამ ჩაუყარა საფუძველი ბენედიქტიანელი ბერების სახით მეექვსე საუკუნიდან, რამაც დაბადა ქრისტიანული ევროპა.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND ECONOMIC POLICY: RISK ANALYSIS AND GOVERNANCE CHALLENGES IN THE MODERN STATE

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 25, 2026
Published: March 17, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-106

Giorgi Nikuradze
PhD Student at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0004-9951-4809
Email: tsu.giorginikuradze@gmail.com

ABSTRACT

Research Objective: *The objective of this article is to analyse systematically the risks associated with the use of artificial intelligence (AI) in economic policy and to identify the principal governance challenges faced by the modern state under conditions of algorithmic decision-support and digital transformation.*

Methodological Approach: *The study employs an analytical and comparative approach, drawing on institutional analysis and a critical review of international regulatory and policy frameworks. The research is based on the examination of key documents and conceptual sources, including OECD, IMF, World Bank, NIST AI RMF, the EU AI Act, and contemporary academic literature on AI governance, public administration, and economic policy.*

Main Results and Implications: *The findings demonstrate that the integration of artificial intelligence into economic policy generates interconnected governance, institutional, and socio-economic risks. These include the diffusion of accountability, reduced transparency and explainability, risks related to data quality and algorithmic bias, labour-market polarization, and the growing danger of technocratic overdependence in public decision-making. The analysis shows that AI can strengthen evidence-based economic policymaking only when embedded within a coherent regulatory and institutional framework. The article argues that the effective and responsible use of artificial intelligence in economic policy requires risk-based regulation, institutionalized human oversight, standardized data governance, independent auditing mechanisms, and stronger public-sector capacities. AI should therefore be understood not as an autonomous decision-maker, but as a supportive policy instrument operating under conditions of accountability, transparency, and democratic control.*

Keywords: *Artificial intelligence; economic policy; public governance; governance risks; regulatory framework; institutional development.*

REFERENCES:

1. Acemoglu, D., & Johnson, S. (2023). *Power and progress: Our thousand-year struggle over technology and prosperity*. PublicAffairs.

2. Acemoglu, D., & Restrepo, P. (2022). Tasks, automation, and the rise in U.S. wage inequality. *Econometrica, 90*(5), 1973–2016. https://doi.org/10.3982/ECTA19815

3. Bender, E. M., Gebru, T., McMillan-Major, A., & Shmitchell, S. (2021). On the dangers of stochastic parrots: Can language models be too big? In *Proceedings of the 2021 ACM Conference on Fairness, Accountability, and Transparency* (pp. 610–623). Association for Computing Machinery. https://doi.org/10.1145/3442188.3445922

4. Brynjolfsson, E., Li, D., & Raymond, L. R. (2023). *Generative AI at work* (NBER Working Paper No. 31161). National Bureau of Economic Research.

https://doi.org/10.3386/w31161

5. European Commission. (2022). *Coordinated Plan on Artificial Intelligence 2022 Review*. European Commission.

6. International Monetary Fund. (2024). *Gen-AI: Artificial intelligence and the future of work* (Staff Discussion Note SDN/2024/001). International Monetary Fund.

7. Janssen, M., & Kuk, G. (2016). Big data in public administration: Opportunities and challenges. *Government Information Quarterly, 33*(3), 371–380. https://doi.org/10.1016/j.giq.2016.08.007

8. National Institute of Standards and Technology. (2023). *Artificial Intelligence Risk Management Framework (AI RMF 1.0)* (NIST AI 100-1). U.S. Department of Commerce. https://doi.org/10.6028/NIST.AI.100-1

9. OECD. (2022). *OECD framework for the classification of AI systems: A risk-based approach to trustworthy AI*. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/da45f1d7-en

10. Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024 laying down harmonised rules on artificial intelligence (Artificial Intelligence Act). (2024). *Official Journal of the European Union*.

11. Rodrik, D. (2022). An industrial policy for the twenty-first century. *Oxford Review of Economic Policy, 38*(3), 391–409. https://doi.org/10.1093/oxrep/grac027

12. Shengelia, T., & Berishvili, K. (2025). Innovative business in Georgia: Problems and prospects. *The New Economist, 20*(1), 24–35. (In Georgian).

13. Todua, N., & Kartsivadze, G. (2025). Students' perceptions of ChatGPT integration in higher education. *The New Economist, 20*(4), 36-49. (In Georgian).

14. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. *The New Economist*, *20*(2), 40-53.

15. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. *The New Economist*, *20*(1), 8-23.

16. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. *The New Economist*, *20*(4), 21-35.

17. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(4), 152-157.

18. UNESCO. (2021). *Recommendation on the Ethics of Artificial Intelligence*. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization.

19. World Bank. (2022). *GovTech maturity index: The state of public sector digital transformation (2022 update).* World Bank.

20. World Economic Forum. (2023). *The Global Risks Report 2023*. World Economic Forum.

ხელოვნური ინტელექტი და ეკონომიკური პოლიტიკა: რისკების ანალიზი და მმართველობითი გამოწვევები თანამედროვე სახელმწიფოში

გიორგი ნიკურაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: tsu.giorginikuradze@gmail.com

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *სტატიის მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების სისტემური ანალიზი და იმ ძირითადი მმართველობითი გამოწვევების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც თანამედროვე სახელმწიფო დგას ალგორითმული გადაწყვეტილების მხარდაჭერისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება ანალიტიკურ და კომპარატიულ მიდგომებს, ინსტიტუ-*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ციური ანალიზისა და საერთაშორისო რეგულაციური და პოლიტიკის ჩარჩოების კრიტიკული მიმოხილვის გამოყენებით. ნაშრომი ეყრდნობა ძირითადი დოკუმენტებისა და კონცეპტუალური წყაროების შესწავლას, მათ შორის OECD-ის, IMF-ის, World Bank-ის, NIST AI RMF-ის, ევროკავშირის AI Act-ისა და თანამედროვე აკადემიური ლიტერატურის, რომელიც შეეხება ხელოვნური ინტელექტის მმართველობას, საჯარო ადმინისტრირებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას.

ძირითადი შედეგები და იმპლიკაციები: *კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმოშობს ურთიერთდაკავშირებულ მმართველობით, ინსტიტუციურ და სოციალურ-ეკონომიკურ რისკებს. მათ შორისაა პასუხისმგებლობის დიფუზია, გამჭვირვალობისა და განმარტებადობის შემცირება, მონაცემთა ხარისხთან და ალგორითმულ მიკერძოებასთან დაკავშირებული საფრთხეები, შრომის ბაზრის პოლარიზაცია და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ტექნოკრატიულ დამოკიდებულებაზე გადაჭარბებული დამყარების მზარდი საფრთხე. ანალიზი აჩვენებს, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ინტეგრირებულია თანმიმდევრულ რეგულაციურ და ინსტიტუციურ ჩარჩოში. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი და პასუხისმგებლიანი გამოყენება მოითხოვს რისკზე დაფუძნებულ რეგულირებას, ადამიანური ზედამხედველობის ინსტიტუციონალიზაციას, მონაცემთა მმართველობის სტანდარტიზაციას, დამოუკიდებელი აუდიტის მექანიზმებსა და საჯარო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი უნდა განიხილებოდეს არა როგორც ავტონომიური გადაწყვეტილების მიმღები, არამედ როგორც ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და დემოკრატიული კონტროლის პირობებში მოქმედი პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტი.*

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი; ეკონომიკური პოლიტიკა;* სახელმწიფო მმართველობა; მმართველობითი რისკები; რეგულაციური ჩარჩო; ინსტიტუციური განვითარება.

შესავალი

კვლევის აქტუალობა. ციფრული ტრანსფორმაციის მიმდინარე ეტაპზე ხელოვნური ინტელექტი იქცა არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციად, არამედ სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურულ კომპონენტად. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, რომელიც ტრადიციულად ეფუძნებოდა სტატისტიკურ მონაცემებს, მაკროეკონომიკურ მოდელირებასა და ექსპერტულ შეფასებებს, სულ უფრო მეტად ეფუძნება მასშტაბურ მონაცემთა ანალიზსა და ალგორითმულ პროგნოზირების სისტემებს (OECD, 2022; World Bank, 2022). აღნიშნული ცვლილება ასახავს საჯარო სექტორში მონაცემთა მმართველობის, ანალიტიკური ინფრასტრუქტურისა და ციფრული შესაძლებლობების მზარდ მნიშვნელობას, რაც პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო შესაძლებლობების (state capacity) ტრანსფორმაციას. შედეგად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში იზრდება ტექნოლოგიური სისტემების როლი, რაც ცვლის არა მხოლოდ ინსტრუმენტულ ლოგიკას, არამედ მმართველობითი პასუხისმგებლობის, ანგარიშვალდებულებისა და პოლიტიკის ციკლის ორგანიზების ფორმებს.

ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში გამოიყენება შრომის ბაზრის პროგნოზირებაში, ფისკალური რისკების შეფასებაში, რესურსების განაწილების ოპტიმიზაციაში და რეგულაციური პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზში. აღნიშნული შესაძლებლობები ზრდის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის (evidence-based policymaking) განვითარების პოტენციალს და აძლიერებს სახელმწიფოს ანალიტიკურ შესაძლებლობებს. თუმცა, ამავე დროს, ეკონომიკური პოლიტიკის ალგორითმიზაცია წარმოშობს ახალი ტიპის მმართველობით რისკებს, რომლებიც უკავშირდება ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას, მონაცემთა ხარისხს, ალგორითმულ მიკერძოებას და გადაწყვეტილების პროცესში ადამიანური კონტროლის შემცირებას.

თანამედროვე სახელმწიფოსთვის, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას, ისე სტრუქტურულ გამოწვევას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფოს ინსტიტუციური მზაობა, პროფესიული კომპეტენციები და რეგულაციური ჩარჩოს ადეკვატურობა. ამ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტი უნდა განიხილებოდეს არა როგორც ავტონომიური

გადაწყვეტილების მიმღები მექანიზმი, არამედ როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია მმართველობითი ჩარჩოს ხარისხზე და პასუხისმგებლიანი გამოყენების პირობებზე.

სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს კვლევის აქტუალობას და ქმნის საჭიროებას იმ რისკებისა და მმართველობითი გამოწვევების სისტემური ანალიზისა, რომლებიც თან ახლავს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში.

კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგიური ჩარჩო. კვლევის ძირითადი მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით წარმოშობილი რისკების სისტემური ანალიზი და იმ მმართველობითი გამოწვევების იდენტიფიკაცია, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოს წინაშე დგას გადაწყვეტილების მიღების პროცესის ალგორითმიზაციის პირობებში. სტატია არ განიხილავს ხელოვნურ ინტელექტს როგორც ტექნოლოგიურ ფენომენს, არამედ როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის ეფექტიანობა და უსაფრთხოება დამოკიდებულია ინსტიტუციურ ჩარჩოზე, რეგულაციურ მექანიზმებსა და სახელმწიფო შესაძლებლობებზე.

კვლევის ამოცანებია:

1. ხელოვნური ინტელექტის როლის განსაზღვრა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში;
2. რისკების კლასიფიკაცია მმართველობით, ინსტიტუციურ და სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში;
3. სახელმწიფო შესაძლებლობების (state capacity) ანალიზი AI-ის ინტეგრაციის პირობებში;
4. იმ მმართველობითი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური ინსტრუმენტების პასუხისმგებლიან გამოყენებას.

კვლევა ეფუძნება ანალიტიკურ და კომპარატიულ მეთოდებს, ინსტიტუციური ეკონომიკის მიდგომას და საჯარო პოლიტიკის ანალიზის ჩარჩოს. გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციების (OECD, IMF, World Bank), რეგულაციური ინიციატივების (EU AI Act, NIST AI RMF) და თანამედროვე აკადემიური კვლევების კრიტიკული მიმოხილვა. მეთოდოლოგიურად ნაშრომი ეყრდნობა ხარისხობრივ ანალიზს და კონცეპტუალურ მოდელირებას, რაც შესაძლებელს ხდის რისკების სისტემატიზაციასა და მმართველობითი პასუხების ჩამოყალიბებას.

ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში

ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში. ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტთა სისტემას, რომლის მიზანია მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, რესურსების ეფექტიანი განაწილება და სოციალური კეთილდღეობის ზრდა. ტრადიციულად, გადაწყვეტილების მიღება ეფუძნებოდა სტატისტიკურ მონაცემებს, ეკონომეტრიულ მოდელებსა და ექსპერტულ ანალიზს. თუმცა ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში პოლიტიკის ფორმირების ანალიტიკური საფუძველი მნიშვნელოვნად იცვლება. ეს ცვლილება უკავშირდება არა მხოლოდ მონაცემთა მოცულობის ზრდას, არამედ მათი დამუშავების სისწრაფის, პროგნოზირების შესაძლებლობებისა და გადაწყვეტილების მხარდაჭერის ინსტრუმენტების ხარისხობრივ გარდაქმნას, რაც ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების ფორმას უფრო მონაცემზე ორიენტირებულსა და ტექნოლოგიურად ინტეგრირებულ პროცესად აქცევს (OECD, 2022; World Bank, 2022).

მონაცემთა მასშტაბური დაგროვება, დამუშავებისა და ანალიზის მზარდი შესაძლებლობები ქმნის პირობებს, სადაც ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა სულ უფრო მეტად ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. ხელოვნური ინტელექტი ამ პროცესში ფუნქციონირებს როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც ზრდის პროგნოზირების სიზუსტეს, ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და აძლიერებს პოლიტიკის ოპერატიულობას. შედეგად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში იზრდება ალგორითმული მოდელების როლი, რაც ნაწილობრივ ცვლის სახელმწიფოს მმართველობით ლოგიკას და პოლიტიკის ციკლს უფრო უწყვეტ, ადაპტაციურ და რეალურ დროზე ორიენტირებულ პროცესად აქცევს (European Commission, 2022). ამგვარად, ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკური ანალიზის შინაარსზე, არამედ მონაცემთა ინტეგრაციის, ციფრული კოორდინაციისა და ტექნოლოგიური ინტერპრეტაციის ხარისხზეც.

აღნიშნული ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური ცვლილება. იგი გულისხმობს ინსტიტუციური შესაძლებლობების გადაფასებას, სადაც სახელმწიფოს ეფექტიანობა დამოკიდე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ბულია მონაცემთა მართვის სისტემებზე, ანალიტიკური ინფრასტრუქტურის ხარისხზე, საჯარო სექტორის პროფესიულ კომპეტენციებზე და მმართველობითი ჩარჩოს ადაპტაციურობაზე. World Bank-ის შეფასებით, ციფრული სიმწიფე და საჯარო სექტორის ანალიტიკური შესაძლებლობები განსაზღვრავს, რამდენად ეფექტიანად შეძლებს სახელმწიფო ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას საჯარო ღირებულების შესაქმნელად (World Bank, 2022). ამავე დროს, OECD მიუთითებს, რომ AI სისტემების ინტეგრაცია ეკონომიკურ და საჯარო პოლიტიკაში საჭიროებს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, რათა ტექნოლოგიური ეფექტიანობა არ გადაიზარდოს მმართველობითი გაუმჭვირვალობის, ინსტიტუციური შეუსაბამობის ან პასუხისმგებლობის დიფუზიის წყაროდ (OECD, 2022).

შესაბამისად, ციფრული ეპოქა ეკონომიკური პოლიტიკისთვის ნიშნავს არა მხოლოდ ახალი ანალიტიკური ინსტრუმენტების დამატებას, არამედ გადაწყვეტილების მიღების ლოგიკის, ინსტიტუციური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფო შესაძლებლობების სტრუქტურულ გარდაქმნას. ამ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის როლი უნდა შეფასდეს არა როგორც ტექნოლოგიური ტრენდის გამოხატულება, არამედ როგორც სახელმწიფოს ანალიტიკური და მმართველობითი შესაძლებლობების ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ცენტრალური ფაქტორი, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია პასუხისმგებლიანი ინტეგრაციის ხარისხზე, ინსტიტუციურ მზაობასა და საჯარო მმართველობის ადაპტაციურობაზე.

ხელოვნური ინტელექტი როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი. ხელოვნური ინტელექტის განხილვა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად მოითხოვს მისი ფუნქციური, ინსტიტუციური და მმართველობითი როლის მკაფიო განსაზღვრას. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში AI გამოიყენება პროგნოზირების პროცესებში, შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზში, ფისკალური რისკების შეფასებაში, ფინანსური სტაბილურობის მონიტორინგში, საჯარო რესურსების განაწილების ოპტიმიზაციაში და რეგულაციური პოლიტიკის ეფექტიანობის მოდელირებაში. ამ ფუნქციებით ხელოვნური ინტელექტი აძლიერებს მონაცემებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირების შესაძლებლობას, ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და ზრდის ანალიტიკური რეაგირების ოპერატიულობას (OECD, 2022; European Commission, 2022). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ალგორითმულ სისტემებს შეუძლიათ რთული და მრავალფაქტორიანი ეკონომიკური პროცესების უფრო სწრაფი დამუშავება, ვიდრე ტრადიციულ ანალიტიკურ მექანიზმებს, რაც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, პოლიტიკის ციკლი გახდეს უფრო მოქნილი, ადაპტაციური და წინმსწრები (World Bank, 2022).

თუმცა AI-ის ინსტრუმენტული ღირებულება არ უნდა გაიგივდეს მის ნორმატიულ ან მმართველობით ავტონომიასთან. ხელოვნური ინტელექტი მოქმედებს მონაცემთა, მოდელებისა და წინასწარ განსაზღვრული ალგორითმული ლოგიკის საფუძველზე, მაგრამ იგი ვერ განსაზღვრავს პოლიტიკური არჩევანის ღირებულებით მიმართულებას. ეკონომიკური პოლიტიკა ყოველთვის მოიცავს პრიორიტეტების განსაზღვრას, რესურსების გადანაწილებას, სოციალური სამართლიანობის შეფასებასა და მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებებს, რაც უშუალოდ უკავშირდება დემოკრატიულ ლეგიტიმაციასა და საჯარო პასუხისმგებლობას (Rodrik, 2022). შესაბამისად, AI არ უნდა განიხილებოდეს როგორც პოლიტიკის ავტონომიური სუბიექტი; იგი უფრო სწორად უნდა შეფასდეს როგორც ანალიტიკური მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც აძლიერებს გადაწყვეტილების მიმღებთა შესაძლებლობებს, მაგრამ არ ანაცვლებს მათ პოლიტიკურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას (Regulation (EU) 2024/1689).

ამასთანავე, ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში AI-ის გამოყენება ცვლის არა მხოლოდ ანალიზის ტექნიკურ ფორმას, არამედ გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუციურ ლოგიკასაც. თუ ტრადიციულ მოდელში ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი ეფუძნებოდა ეკონომეტრიულ შეფასებებს, ექსპერტულ ინტერპრეტაციასა და ადმინისტრაციულ პროცედურებს, ალგორითმული სისტემების დანერგვა ზრდის ავტომატიზებული ან ნახევრად ავტომატიზებული ანალიტიკის მნიშვნელობას. ეს ნიშნავს, რომ იცვლება ცოდნის წარმოების წყარო, ავტორიტეტის განაწილების ფორმა და იმ სუბიექტების წრე, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკის ფორმირებაზე. სწორედ ამიტომ AI-ის ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალებად, არამედ ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ნაწილად, რომელიც ხელახლა აყალიბებს ურთიერთობას ტექნიკურ ექსპერტიზას, საჯარო ადმინისტრირებასა და პოლიტიკურ

გადაწყვეტილებას შორის (Janssen & Kuk, 2016; Acemoglu & Johnson, 2023).

ინსტრუმენტული მიდგომის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას. ალგორითმული სისტემის მიერ წარმოებული რეკომენდაცია, პროგნოზი ან რისკის შეფასება ვერ გახდება პასუხისმგებლობის მატარებელი; საბოლოო პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე რჩება ადამიანურ და ინსტიტუციურ დონეზე. ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფისკალური, სოციალური, შრომითი თუ მარეგულირებელი გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ფართო საზოგადოებრივ ჯგუფებზე და დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ შედეგებთან, ისე სამართლიანობისა და ლეგიტიმურობის საკითხებთან (NIST, 2023). სწორედ ამიტომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ მმართველობით ჩარჩოს, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, ვინ ახორციელებს ზედამხედველობას, ვინ არის პასუხისმგებელი შედეგებზე და რა მექანიზმებით ხდება ალგორითმული შეცდომების ან მიკერძოების გამოვლენა და კორექტირება (Regulation (EU) 2024/1689; UNESCO, 2021).

ამ კონტექსტში ცენტრალური ხდება გამჭვირვალობის, განმარტებადობისა და ადამიანური ზედამხედველობის საკითხი. ეკონომიკური პოლიტიკის პროცესებში გამოყენებული AI სისტემები არ უნდა იქცეს „შავი ყუთის“ ტიპის ინსტრუმენტებად, რომელთა შიდა ლოგიკა გაუგებარია როგორც საჯარო ადმინისტრაციისთვის, ისე მოქალაქეებისთვის. პოლიტიკის ანალიტიკური მხარდაჭერა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად, თუ მისი საფუძვლები საკმარისად განმარტებადია, მის შედეგებზე შესაძლებელია პროფესიული და ინსტიტუციური კონტროლი და დაცულია გასაჩივრებისა და კორექტირების შესაძლებლობა (NIST, 2023). ადამიანური ზედამხედველობის ინსტიტუციონალიზაცია ამ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ფორმალური მოთხოვნა; იგი წარმოადგენს იმ პრინციპულ პირობას, რომელიც იცავს ეკონომიკურ პოლიტიკას ტექნოკრატიული დომინაციისა და პასუხისმგებლობის დიფუზიისგან (Regulation (EU) 2024/1689).

ამასთან, AI-ის გამოყენება ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა შეფასდეს მისი ინსტრუმენტული ეფექტიანობისა და ინსტიტუციური რისკების ერთიან ჭრილში. ერთი მხრივ, იგი აძლიერებს სახელმწიფოს ანალიტიკურ შესაძლებლობებს და ქმნის პირობებს უფრო ზუსტი, სწრაფი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისათვის. მეორე მხრივ, თუ მისი ინტეგრაცია არ იქნება თანხვედრაში რეგულაციურ, ადმინისტრაციულ და ეთიკურ ჩარჩოებთან, იგივე ინსტრუმენტი შეიძლება გადაიქცეს მმართველობითი რისკების, სოციალური გადახრებისა და ლეგიტიმაციის პრობლემების წყაროდ (OECD, 2022; UNESCO, 2021). შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში უნდა განიხილებოდეს როგორც მაღალი პოტენციალის მქონე, მაგრამ მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი ინსტრუმენტი, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე, არამედ იმ ინსტიტუციური დიზაინის ხარისხზე, რომელშიც იგი ფუნქციონირებს (World Bank, 2022; Acemoglu & Johnson, 2023).

ამასთან, აღნიშნული ინსტრუმენტის წარმატებული გამოყენება მოითხოვს სახელმწიფოს მიერ მკაფიო სტრატეგიული ხედვის ფორმირებას. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა Shengelia-სა და Berishvili-ს (2025) პოზიცია, რომელთა მიხედვითაც, ქვეყნის ინოვაციური განვითარებისათვის აუცილებელია მკაფიო სახელმწიფო სტრატეგიის, შესაბამისი ინსტიტუციური გარემოსა და ეფექტიანი ადმინისტრაციულ-რეგულაციური მექანიზმების ჩამოყალიბება. ეს მიდგომა ადასტურებს, რომ AI-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში ინტეგრაცია ვერ იქნება შედეგიანი, თუ იგი არ დაეფუძნება ინსტიტუციურ მზაობას, კოორდინირებულ სახელმწიფო პოლიტიკას და გრძელვადიან მმართველობით დიზაინს.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად უნდა შეფასდეს ორმაგი პერსპექტივიდან: როგორც ანალიტიკური შესაძლებლობების გამაძლიერებელი მექანიზმი და როგორც მმართველობითი ჩარჩოსადმი მგრძნობიარე ტექნოლოგიური კომპონენტი. მისი რეალური ღირებულება განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად ფართოა მისი გამოყენების არეალი, არამედ იმით, თუ რამდენად პასუხისმგებლიანად, გამჭვირვალედ და ინსტიტუციურად გამართულად ხდება მისი ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში. სწორედ ამ პირობებში შეიძლება AI იქცეს სახელმწიფო შესაძლებლობების გამაძლიერებელ ინსტრუმენტად და არა ეკონომიკური პოლიტიკის ავტონომიური ან უკონტროლო ლოგიკის მატარებლად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები ეკონომიკურ პოლიტიკაში

მმართველობითი და ინსტიტუციური რისკები. ეკონომიკური პოლიტიკის პროცესებში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ქმნის არა მხოლოდ ოპერატიულ ან ტექნიკურ გამოწვევებს, არამედ მმართველობითი არქიტექტურის ფუნდამენტურ გადაფასების საჭიროებას. როდესაც ალგორითმული სისტემები ერთვება პოლიტიკის ფორმირებაში, რესურსების განაწილებასა და რისკების შეფასებაში, პასუხისმგებლობის კლასიკური საჯარო-სამართლებრივი მოდელი, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება გადაწყვეტილების იდენტიფიცირებად ავტორსა და ანგარიშვალდებულების მკაფიო ჯაჭვს, რაც ნაწილობრივ დიფუზირდება. სწორედ ამიტომ რისკების მართვის თანამედროვე ჩარჩოები ხაზს უსვამს, რომ AI სისტემების დანერგვა საჯარო სექტორში საჭიროებს პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას, ზედამხედველობის ინსტიტუციონალიზაციას და კონტროლის მექანიზმების წინასწარ განსაზღვრას (NIST, 2023).

თუმცა აქ პრობლემა მხოლოდ პროცედურული არ არის. ალგორითმული სისტემების კომპლექსურობა ქმნის ეპისტემურ რისკს — გადაწყვეტილების საფუძვლების არასრული განმარტებადობა ზღუდავს საჯარო დასაბუთების შესაძლებლობას და ამცირებს დემოკრატიული ლეგიტიმაციის ხარისხს. საჯარო პოლიტიკაში გადაწყვეტილება არ არის მხოლოდ ოპტიმიზაციის შედეგი; იგი საჭიროებს ნორმატიულ დასაბუთებას, არგუმენტირებადობას და გასაჩივრებადობას. როდესაც მოდელის შიდა ლოგიკა გაუმჭვირვალეა, იზრდება "black box governance"-ის საფრთხე, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკური პასუხისმგებლობის რეალიზაციაზე. თანამედროვე AI მმართველობის დისკურსი სწორედ ამიტომ მიუთითებს, რომ ეთიკური პრინციპების დეკლარირება არასაკმარისია და აუცილებელია მათი ინსტიტუციურ მექანიზმებად გარდაქმნა — სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული არქიტექტურის დონეზე. ევროკავშირის AI Act-ის მაღალი რისკის სისტემებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები ამ ლოგიკას ასახავს, რადგან აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ტექნიკურ შესაბამისობაზე, არამედ ადამიანური ზედამხედველობის, დოკუმენტირების და ანგარიშვალდებულების სისტემურ უზრუნველყოფაზე (Regulation (EU) 2024/1689).

მმართველობითი რისკი ასევე უკავშირდება ავტორიტეტის ტრანსფორმაციას. ეკონომიკური პოლიტიკა ტრადიციულად ეფუძნებოდა ექსპერტულ ანალიზს, თუმცა საბოლოო არჩევანი რჩებოდა პოლიტიკურ სუბიექტზე. ალგორითმული სისტემების მზარდი ავტორიტეტიზაცია ქმნის საფრთხეს, რომ ტექნიკური რეკომენდაცია აღქმული იყოს როგორც ნორმატიულად სავალდებულო. ამგვარი „ტექნოკრატიული სლაიდი" ამცირებს პოლიტიკის პროცესში ღირებულებითი დისკუსიის სივრცეს და ზრდის ინსტრუმენტული რაციონალობის დომინირებას. შედეგად, გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა შეიძლება ფორმალურად დარჩეს ადამიანზე, თუმცა ფაქტობრივად გადაინაცვლოს მოდელის რეკომენდაციულ ძალაზე. ეს ქმნის პასუხისმგებლობის დიფუზიის რისკს, სადაც რთულდება იმის განსაზღვრა, არის თუ არა კონკრეტული შედეგი პოლიტიკური არჩევანის, მოდელის პარამეტრების თუ მონაცემთა სტრუქტურის პროდუქტი.

ინსტიტუციური შესაძლებლობების საკითხი ამ კონტექსტში ხდება ცენტრალური. სახელმწიფო შესაძლებლობები (state capacity) არ განისაზღვრება მხოლოდ ტექნიკური ინფრასტრუქტურით; იგი მოიცავს ანალიტიკურ კომპეტენციებს, რეგულაციურ უნარს, კოორდინაციის მექანიზმებს და ცოდნის დაგროვების ინსტიტუციურ პროცესს. OECD მიუთითებს, რომ პასუხისმგებლიანი AI ინტეგრაცია საჭიროებს საჯარო სექტორის პროფესიული კომპეტენციების სისტემურ გაძლიერებას და რისკზე დაფუძნებული მმართველობითი მიდგომის დანერგვას (OECD, 2023). World Bank-ის GovTech შეფასებებიც ადასტურებს, რომ ციფრული სიმწიფის დაბალი დონე ზღუდავს სახელმწიფო ინსტიტუტების უნარს ეფექტიანად მართოს ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია (World Bank, 2022). ეს ნიშნავს, რომ ტექნოლოგიური შესაძლებლობა თავისთავად არ ქმნის მმართველობით ეფექტიანობას; გადამწყვეტია ინსტიტუციური ადაპტაციის სიღრმე.

Janssen და Kuk (2016) ამტკიცებენ, რომ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების სისტემები საჯარო სექტორში ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ინტეგრირებულია სამართლებრივ ჩარჩოსთან, ორგანიზაციულ სტრუქტურებთან და პასუხისმგებლობის მკაფიო მექანიზმებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება "fragmented digital governance", სადაც ტექნოლოგიური ინსტრუმენტები ადმინისტრაციული ლოგიკისგან იზოლირებულად ფუნქციონირებს და ვერ ქმნის სისტემურ ღირებულებას. ეს რისკი განსაკუთრებით აქტუა-

ლურია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, სადაც გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს რესურსების განაწილებაზე, კონკურენციის სტრუქტურასა და სოციალურ შედეგებზე.

აღნიშნული არგუმენტი უფრო ფართო თეორიულ მნიშვნელობას იძენს ინსტიტუციური ეკონომიკის პერსპექტივიდან. ამ მიდგომის მიხედვით, ტექნოლოგია არ არის ნეიტრალური ძალა; იგი მოქმედებს ძალაუფლების უკვე არსებულ განაწილებაზე და შეიძლება გააძლიეროს ან შეასუსტოს არსებული ასიმეტრიები (Acemoglu & Johnson, 2023). შესაბამისად, ალგორითმული სისტემების ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც მექანიკური ოპტიმიზაცია, არამედ როგორც ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ცვლის ცოდნის, ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის განაწილების ფორმებს.

ამავე ლოგიკას ემყარება Todua-სა და Kartsivadze-ს (2025) პოზიციაც, რომელთა მიხედვითაც, AI-ის ინტეგრაცია მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული არა მხოლოდ პრაქტიკულ შედეგებთან, არამედ ქცევით არჩევანთან, აღქმულ სარგებლიანობასთან და სოციალურ გავლენასთან. ეს მიუთითებს, რომ მისი ინსტიტუციური დანერგვა მხოლოდ ტექნიკური პროცესი არ არის და მმართველობით და ქცევით გამოწვევებსაც მოიცავს.

ამრიგად, მმართველობითი და ინსტიტუციური რისკები შეიძლება კონცეპტუალურად დაჯგუფდეს სამ ძირითად განზომილებად:

1. **ლეგიტიმაციის რისკი** — როდესაც გადაწყვეტილების საფუძვლები არასაკმარისად განმარტებადია და ზღუდავს დემოკრატიულ კონტროლს;
2. **პასუხისმგებლობის დიფუზიის რისკი** — როდესაც რთულდება გადაწყვეტილების ავტორისა და შედეგის წყაროს იდენტიფიცირება;
3. **ინსტიტუციური შეუსაბამობის რისკი** — როდესაც ტექნოლოგიური შესაძლებლობები არ არის თანხვედრაში სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ჩარჩოსთან.

შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ რეგულირებას, არამედ მმართველობითი არქიტექტურის რედიზაინს, სადაც პასუხისმგებლობა, ზედამხედველობა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულება სისტემურად ინტეგრირებულია ალგორითმული ანალიტიკის პროცესში. ეს გულისხმობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ალგორითმიზაცია წარმოადგენს ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესს და არა მხოლოდ ანალიტიკური ინსტრუმენტის გაუმჯობესებას.

მონაცემთა ხარისხისა და ალგორითმული მიკერძოების რისკები. ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანობა და სანდოობა პირდაპირ არის დამოკიდებული მონაცემთა ხარისხზე, რეპრეზენტატიულობასა და დამუშავების სტანდარტებზე. რისკების მართვის საერთაშორისო ჩარჩოები ხაზს უსვამს, რომ მონაცემთა არაზუსტი, არასრული ან ისტორიულად მიკერძოებული ბაზები შეიძლება იქცეს სისტემური გადახრის წყაროდ, რაც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების შედეგებზე (NIST, 2023). ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ანალიტიკური მოდელების შედეგები შეიძლება განსაზღვრავდეს რესურსების განაწილებას, დასაქმების პოლიტიკას, საგადასახადო შეღავათებს ან სოციალური მხარდაჭერის მექანიზმებს. ასეთ პირობებში მონაცემთა ხარისხი აღარ არის მხოლოდ ტექნიკური პარამეტრი; იგი ხდება პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგების განმსაზღვრელი ფაქტორი.

ისტორიული მონაცემები ხშირად ასახავს უკვე არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობებს. თუ ალგორითმული სისტემები ეფუძნება ასეთ მონაცემებს შესაბამისი კორექტირების, ბალანსირების ან ნორმატიული ჩარჩოს გარეშე, არსებობს რისკი, რომ ისინი არა მხოლოდ ასახავს, არამედ ავტომატიზებულად რეპროდუცირებს და აძლიერებს არსებულ დისბალანსებს (Bender et al., 2021). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის, საკრედიტო ხელმისაწვდომობისა და სოციალური დახმარების პოლიტიკის შემთხვევაში. ავტომატიზაციისა და ამოცანებზე დაფუძნებული ტექნოლოგიური ცვლილების ეკონომიკური ანალიზი მიუთითებს, რომ ალგორითმულ სისტემებს შეუძლია გავლენა მოახდინოს შემოსავლების განაწილებასა და უთანასწორობის დინამიკაზე (Acemoglu & Restrepo, 2022). შესაბამისად, მონაცემთა სტრუქტურა და მოდელირების ლოგიკა შეიძლება გახდეს სტრუქტურული სოციალური შედეგების გამაძლიერებელი.

OECD-ის რეკომენდაციები AI-ის პასუხისმგებლიანი გამოყენების შესახებ მიუთითებს, რომ მონაცემთა მართვა და მიკერძოების შემცირების მექანიზმები უნდა იყოს სისტემურად ინტეგრირებული პოლიტიკის პროცესებში (OECD, 2023). ეს გულისხმობს მონაცემთა წყაროების დივერსიფიკაციას, წარმომადგენლობითობის შეფასებას და

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მიკერძოების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტების გამოყენებას. ალგორითმული მიკერძოება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური ხარვეზით; იგი შეიძლება გადაიზარდოს ინსტიტუციურ პრობლემად, როდესაც პოლიტიკის გადაწყვეტილებები, ფორმალურად მონაცემებზე დაფუძნებული, რეალურად ასახავს ძალაუფლებისა და რესურსების ისტორიულ ასიმეტრიებს.

UNESCO-ს ეთიკური ჩარჩო ხაზს უსვამს, რომ AI სისტემები უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობისა და არადისკრიმინაციის პრინციპებს (UNESCO, 2021). აღნიშნული მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში, სადაც გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს სოციალურ მობილობასა და შესაძლებლობების განაწილებაზე. ევროკავშირის რეგულაციური მიდგომა მაღალი რისკის სისტემების მიმართ მოითხოვს მონაცემთა ხარისხის შეფასებას, დოკუმენტირებას და ტექნიკურ კონტროლს, რათა შემცირდეს მიკერძოების და არასწორი შედეგების რისკი (Regulation (EU) 2024/1689). ეს მიუთითებს, რომ მონაცემთა მართვა აღარ არის მხოლოდ ტექნიკური ამოცანა, არამედ მმართველობითი პასუხისმგებლობის სტრუქტურული კომპონენტი.

ამგვარად, მონაცემთა ხარისხისა და ალგორითმული მიკერძოების რისკები მოიცავს:

1. არასრული ან არარეპრეზენტატიული მონაცემების გამოყენებას;
2. ისტორიული უთანასწორობის ავტომატიზებულ რეპროდუქციას;
3. პოლიტიკის შედეგების ინსტიტუციურ გადახრას;
4. სამართლიანობის პრინციპებთან შეუსაბამობის საფრთხეს;
5. შემოსავლებისა და შესაძლებლობების განაწილების სტრუქტურულ დამახინჯებას.

რისკების შემცირება მოითხოვს მონაცემთა შეგროვების სტანდარტიზაციას, წარმომადგენლობითობის სავალდებულო შეფასებას, მოდელების რეგულარულ გადამოწმებას, დამოუკიდებელ ალგორითმულ აუდიტს და საჯარო სექტორის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას. გარდა ამისა, აუცილებელია პოლიტიკის პროცესში ექსპლიციტური ნორმატიული ჩარჩოს არსებობა, რომელიც განსაზღვრავს სამართლიანობისა და თანასწორობის კრიტერიუმებს ალგორითმული გადაწყვეტილებების შეფასებისას. მხოლოდ ამ პირობებში შესაძლებელია ტექნოლოგიური ანალიტიკის გამოყენება ისე, რომ იგი არ გადაიზარდოს სტრუქტურული უთანასწორობის განმტკიცების მექანიზმად.

სოციალურ-ეკონომიკური და სტრუქტურული რისკები. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში მჭიდროდ უკავშირდება შრომის ბაზრის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, უნარების მოთხოვნის ცვლილებასა და შემოსავლების განაწილების დინამიკას. თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გარკვეულ სექტორებში ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს, თუმცა მისი ეფექტები არ არის თანაბრად განაწილებული სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს შორის (Brynjolfsson et al., 2023). აღნიშნული ტენდენცია ქმნის უნარებზე დაფუძნებული პოლარიზაციის რისკს, სადაც მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი იღებს დისპროპორციულ სარგებელს, ხოლო დაბალი ან საშუალო კვალიფიკაციის მქონე ჯგუფები შეიძლება აღმოჩნდეს სტრუქტურული გადაადგილების წინაშე (IMF, 2024).

სოციალურ-ეკონომიკური რისკი განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკა თავად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს შრომის ბაზრის პროგნოზირებისა და დასაქმების პროგრამების დაგეგმვის პროცესში. თუ ანალიტიკური მოდელები არ ითვალისწინებს რეგიონულ, სექტორულ და სოციალურ განსხვავებებს, პოლიტიკის გადაწყვეტილებებმა შეიძლება გაამყაროს არსებული უთანასწორობა. OECD-ის ანალიზი მიუთითებს, რომ AI-ის ინტეგრაცია საჯარო პოლიტიკაში საჭიროებს უნარების განვითარებისა და გადამზადების სტრატეგიების პარალელურ განხორციელებას, რათა შემცირდეს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ნეგატიური ეფექტები (OECD, 2023).

გარდა შრომის ბაზრის დინამიკისა, არსებობს ეკონომიკური სტრუქტურის კონცენტრაციის რისკი. AI ტექნოლოგიები ხშირად საჭიროებს მასშტაბურ მონაცემებსა და გამოთვლით რესურსებს, რაც აძლიერებს მსხვილი ტექნოლოგიური პლატფორმების როლს და ზრდის ბაზრის კონცენტრაციის ალბათობას. ტექნოლოგიასა და ძალაუფლებას შორის კავშირი განხილულია ინსტიტუციური ეკონომიკის პერსპექტივიდან, სადაც ხაზგასმულია, რომ ტექნოლოგიურმა ინოვაციამ შეიძლება გააძლიეროს უკვე არსებული ძალაუფლების ასიმეტრიები, თუ არ არსებობს შესაბამისი ინსტიტუციური ბალანსი (Acemoglu & Johnson, 2023).

სისტემური დამოკიდებულების რისკი ასევე

უკავშირდება პოლიტიკის პროცესის ტექნოკრატიზაციას. თუ ეკონომიკური პოლიტიკა გადაჭარბებულად ეყრდნობა ავტომატიზებულ პროგნოზირებას და რაოდენობრივ მოდელებს, შეიძლება შემცირდეს ღირებულებითი დისკუსიისა და კრიტიკული შეფასების სივრცე. ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს სოციალური პრიორიტეტების განსაზღვრას და რესურსების გადანაწილებას, რაც ყოველთვის შეიცავს ნორმატიულ ელემენტს. ტექნოლოგიური ანალიტიკის გადაჭარბებულმა ავტორიტეტიზაციამ შეიძლება შეამციროს პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა.

ამრიგად, სოციალურ-ეკონომიკური და სტრუქტურული რისკები მოიცავს:

1. უნარებზე დაფუძნებული პოლარიზაციის გაღრმავებას;
2. შრომის ბაზრის სტრუქტურულ გადაადგილებას;
3. ბაზრის კონცენტრაციის ზრდის შესაძლებლობას;
4. პოლიტიკის პროცესის ტექნოკრატიზაციის საფრთხეს.

ამ რისკების მართვა მოითხოვს ადაპტაციური შრომის პოლიტიკას, განათლებისა და გადამზადების სისტემების გაძლიერებას, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას და პოლიტიკის პროცესში ნორმატიული პასუხისმგებლობის შენარჩუნებას.

რისკების მართვის აუცილებელი პირობები. წინა ქვეთავებში განხილული მმართველობითი, მონაცემთა და სოციალურ-ეკონომიკური რისკები მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში საჭიროებს სისტემურ და მრავალდონიან მმართველობით ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს რეგულაციურ, ინსტიტუციურ და დემოკრატიულ განზომილებებს. რისკზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს სისტემების კლასიფიკაციას, პასუხისმგებლობის განაწილებას და ზედამხედველობის მექანიზმებს, წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ პრინციპს (NIST, 2023; Regulation (EU) 2024/1689). აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ მაღალი გავლენის მქონე ალგორითმული სისტემები უნდა დაექვემდებაროს წინასწარ შეფასებას, ტექნიკურ დოკუმენტირებას, გამჭვირვალობის მოთხოვნებს და დამოუკიდებელ აუდიტს. თუმცა რეგულაციური შესაბამისობა თავისთავად არ უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მდგრადობას; აუცილებელია მმართველობითი არქიტექტურის შიდა ინტეგრაცია პოლიტიკის ციკლთან.

ადამიანური ზედამხედველობის ინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს კრიტიკულ კომპონენტს. ევროკავშირის რეგულაციური ჩარჩო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „human oversight"-ის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ საბოლოო პასუხისმგებლობა საჯარო გადაწყვეტილებებზე რჩება ადამიანურ სუბიექტზე და არ გადაეცემა ავტომატიზებულ სისტემას (Regulation (EU) 2024/1689). ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პოლიტიკა ყოველთვის შეიცავს ნორმატიულ არჩევანს — პრიორიტეტების განსაზღვრას, რესურსების გადანაწილებას და ღირებულებით შეფასებას. შესაბამისად, ალგორითმული ანალიზი უნდა ფუნქციონირებდეს როგორც მხარდამჭერი ინსტრუმენტი და არა როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მატარებელი.

მონაცემთა მართვის სტანდარტიზაცია და ხარისხის კონტროლი ასევე წარმოადგენს რისკების შემცირების აუცილებელ პირობას. OECD ხაზს უსვამს, რომ საჯარო სექტორმა უნდა განავითაროს მონაცემთა მმართველობის მკაფიო წესები, გამჭვირვალობის მექანიზმები და შიდა კომპეტენციები, რათა უზრუნველყოს პასუხისმგებლიანი AI გამოყენება (OECD, 2023). ევროპული პოლიტიკის დონეზეც ხაზგასმულია, რომ AI-ის ეფექტიანი ინტეგრაცია საჭიროებს კოორდინირებულ ინსტიტუციურ სტრატეგიას, რომელიც აერთიანებს რეგულაციას, ინოვაციას და საჯარო სექტორის შესაძლებლობებს (European Commission, 2022). ეს მიუთითებს, რომ რისკების მართვა ვერ შემოიფარგლება ტექნიკური კონტროლით და მოითხოვს პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სისტემურ ინტეგრაციას. ამ კონტექსტში საგულისხმოა Shengelia-სა და Berishvili-ს (2025) პოზიცია, რომელთა მიხედვითაც, გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ინოვაციური განვითარების მკაფიო სტრატეგია, შექმნას შესაბამისი ინსტიტუციური გარემო და განავითაროს ისეთი ადმინისტრაციულ-რეგულაციური მექანიზმები, რომლებიც პრიორიტეტულ სფეროებში ინოვაციური პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფს. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება არის გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანა. World Bank-ის ანალიზი მიუთითებს, რომ ციფრული სიმწიფე და საჯარო

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სექტორის ტექნიკური უნარები განსაზღვრავს ტექნოლოგიური ინოვაციების ეფექტიანობას (World Bank, 2022). თუმცა ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდა უნდა იყოს თანხვედრაში ინსტიტუციური მდგრადობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებთან. სისტემური ტექნოლოგიური რისკების გლობალური შეფასებები მიუთითებს, რომ ტექნოლოგიური ინოვაცია, ინსტიტუციური მოუმზადებლობის პირობებში, შეიძლება გადაიზარდოს სოციალურ და ეკონომიკურ დისბალანსში (World Economic Forum, 2023). შესაბამისად, სახელმწიფო შესაძლებლობების განვითარება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ ანალიტიკურ, ეთიკურ და რეგულაციურ კომპეტენციებს.

გარდა ამისა, დემოკრატიული ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს რისკების მართვის ფუნდამენტურ წინაპირობას. AI სისტემების გამოყენება ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა იყოს თანხვედრაში სამართლიანობის, არადისკრიმინაციისა და გამჭვირვალობის პრინციპებთან (UNESCO, 2021). ეს გულისხმობს არა მხოლოდ ტექნიკურ შესაბამისობას, არამედ საჯარო კომუნიკაციას, განმარტებადობას და საზოგადოების ინფორმირებულ მონაწილეობას პოლიტიკის პროცესში. ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც კოლექტიური არჩევანის სფერო, საჭიროებს საზოგადოებრივ ნდობას; შესაბამისად, ალგორითმული გადაწყვეტილებების გაუმჭვირვალობამ შეიძლება დააზიანოს ნდობის საფუძველი.

ამრიგად, რისკების მართვის აუცილებელი პირობები შეიძლება სისტემატიზდეს შემდეგ კომპონენტებად:

1. რისკზე დაფუძნებული რეგულაციური ჩარჩო;
2. ადამიანური ზედამხედველობის ინსტიტუციონალიზაცია;
3. მონაცემთა მმართველობის სტანდარტიზაცია და წარმომადგენლობითობის კონტროლი;
4. დამოუკიდებელი აუდიტისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები;
5. საჯარო სექტორის პროფესიული, ტექნიკური და ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება;
6. დემოკრატიული ლეგიტიმურობისა და ეთიკური პრინციპების უზრუნველყოფა;
7. პოლიტიკის ციკლთან ალგორითმული ინსტრუმენტების სისტემური ინტეგრაცია.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იქცეს სახელმწიფო შესაძლებლობების გამაძლიერებელ ინსტრუმენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ინტეგრირებულია ინსტიტუციურ რეფორმებთან, პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებასთან და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებთან თანხვედრაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექნოლოგიური ავტომატიზაცია შეიძლება იქცეს არა ეფექტიანობის წყაროდ, არამედ ინსტიტუციური რისკების გამაძლიერებელ ფაქტორად.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველობითი არქიტექტურის გარდამავალ ეტაპს. ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდა ქმნის მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ახალ სტანდარტს, რაც ზრდის ანალიტიკურ სიზუსტესა და პოლიტიკის ოპერატიულობას. თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული ტრანსფორმაცია თან ახლავს მმართველობით, ინსტიტუციურ და სოციალურ-ეკონომიკურ რისკებს, რომლებიც სისტემური ხასიათისაა და ვერ განიხილება მხოლოდ ტექნიკური პრობლემის დონეზე.

მმართველობითი რისკები უკავშირდება პასუხისმგებლობის განაწილებას, განმარტებადობის პრობლემას და ინსტიტუციური შესაძლებლობების დეფიციტს. მონაცემთა ხარისხისა და ალგორითმული მიკერძოების საკითხები ქმნის სტრუქტურული უთანასწორობის გაღრმავების საფრთხეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისტორიული დისბალანსები ავტომატიზებულად რეპროდუცირდება. სოციალურ-ეკონომიკური რისკები კი ეხება შრომის ბაზრის პოლარიზაციას, ბაზრის კონცენტრაციის ზრდას და პოლიტიკის პროცესის ტექნოკრატიზაციის შესაძლებლობას.

აღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტი არ წარმოადგენს თვითმყოფად მმართველობით სუბიექტს. მისი ეფექტიანობა და უსაფრთხოება დამოკიდებულია ინსტიტუციურ ჩარჩოზე, რეგულაციურ სტანდარტებზე და სახელმწიფო შესაძლებლობებზე. შესაბამისად, ეკონომიკურ პოლიტიკაში AI-ის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, ადამიანური ზედამხედველობის მყარ მექანიზმებს, მონაცემთა მმართველობის სტანდარტიზაციას და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იქცეს სახელმწიფო შესაძლებლობების გამაძლიერებელ ინსტრუმენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ინტეგრირებულია პასუხისმგებლიანი მმართველო-

ბის პრინციპებთან და არ ანაცვლებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ტექნოლოგიური ავტომატიზაციით. სწორედ ამ პირობებში შესაძლებელია ტექნოლოგიური ინოვაციის გამოყენება ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის, სოციალური სტაბილურობისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გასაძლიერებლად.

წარმოდგენილი კვლევა ავითარებს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის რისკების ინტეგრირებულ კონცეპტუალურ ანალიზს, რომელიც სისტემურად აერთიანებს მმართველობით, ინსტიტუციურ და სოციალურ-ეკონომიკურ განზომილებებს ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში. განსხვავებით ზოგადი AI მმართველობის ლიტერატურისგან, რომელიც ძირითადად კონცენტრირდება ტექნოლოგიური ეთიკის, მონაცემთა დაცვისა და რეგულაციური შესაბამისობის საკითხებზე, ნაშრომი AI-ს განიხილავს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტულ კონტექსტში და ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს შესაძლებლობების (state capacity) სტრუქტურულ მნიშვნელობაზე. კვლევა აჩვენებს, რომ ალგორითმული სისტემების ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე, არამედ ინსტიტუციური ჩარჩოს ხარისხზე, ძალაუფლების განაწილების ლოგიკაზე და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების მექანიზმების სიმტკიცეზე. ამგვარად, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია წარმოჩნდება როგორც ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესი, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ურთიერთდამოკიდებულ დინამიკაში იმყოფება. აღნიშნული მიდგომა ქმნის თეორიულ საფუძველს რისკზე დაფუძნებული მმართველობითი მოდელის განვითარებისთვის, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზს აკავშირებს ინსტიტუციურ ეკონომიკასთან, საჯარო მმართველობის თეორიასთან და სახელმწიფო შესაძლებლობების კვლევასთან.

ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პირობებში ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია სახელმწიფოს სტრატეგიულ შესაძლებლობებზე და ინსტიტუციური არჩევანის ხარისხზე. როგორც აღნიშნავს Rodrik (2022), თანამედროვე ინდუსტრიული და ტექნოლოგიური პოლიტიკა მოითხოვს სახელმწიფო შესაძლებლობების გააზრებულ გაძლიერებას, რათა ტექნოლოგიური პროგრესი გარდაიქმნას ფართო სოციალურ და ეკონომიკურ სარგებლად. აღნიშნული პერსპექტივა აძლიერებს არგუმენტს, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ტექნიკურ ინოვაციას, არამედ მიზანმიმართულ ინსტიტუციურ დიზაინსა და საჯარო პასუხისმგებლობას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ANALYSIS OF THE INSTITUTIONAL ARRANGEMENT FOR ENVIRONMENTAL PROTECTION IN GEORGIA

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 19, 2026
Published: March 11, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-7

Nika Tsotsoria
PhD Student at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0004-6254-9864
Email: nika.tsotsoria4371@eab.tsu.edu.ge

ABSTRACT

Research Objective: *The objective of this study is to provide a comprehensive analysis of the institutional arrangement for environmental protection in Georgia. It examines the organizational and legal framework, the roles and responsibilities of central and local authorities, inter-agency coordination mechanisms, and the alignment of national environmental governance with European integration standards. Given Georgia's ecological diversity, growing environmental challenges, and commitment to EU directives, understanding the effectiveness of institutional arrangements is crucial for sustainable development and policy-making.*

Methodological Approach: *This research employs a normative-legal and institutional analysis methodology. Primary sources include legislation, government regulations, policy documents, strategic plans, and international guidelines (including EU acquis). The study evaluates institutional interactions, decision-making processes, enforcement mechanisms, and public participation, integrating both qualitative and comparative approaches to assess the system's efficiency and capacity for reform.*

Main Results and Implications: *The findings indicate that while Georgia's institutional framework for environmental protection has improved significantly over the past decade, challenges remain. Key weaknesses include limited inter-agency coordination, insufficient monitoring and enforcement capacity, and low levels of public engagement. The study highlights areas where reforms and policy adjustments are needed to strengthen institutional effectiveness. These insights are relevant for policymakers, environmental authorities, and international partners supporting Georgia's environmental governance and sustainable development goals.*

Key words*: Environmental protection; Institutional arrangement; Green economy; Green policy; Sustainable development.*

REFERENCES:

1. Aladashvili, G. (2025). Waste Oils: Systemic Management Experience and Georgia's Challenges. The New Economist, №4, pp. 63–73. https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2025-63-73-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf

2. Aladashvili, G. (2024). Plastic Use in the Focus of Political Decisions. The New Economist, №4 (19), 2024. https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2024-18-25.pdf

3. Aladashvili, G. (2022). Aspects of Improving Waste Management in the European Union. The New Economist / ახალი ეკონომისტი, Vol. 17, Issue 2, 76–84. https://neweconomist.com.ge/media/documents/76-84.pdf

4. Abesadze, R. (2014). Economic Development. P. Gugushvili Institute Publishing, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, p. 60.

5. Buachidze, N., Dzebisashvili, N., Gurguliani, I., & Chikviladze, K. (2023). Circular economy of Georgia.

In Circular Economy: Recent Trends in Global Perspective. IDEAS RePEc. https://ideas.repec.org/h/spr/sprchp/978-981-16-0913-8_12.html

6. Ellen MacArthur Foundation. (2021). Circular economy in waste management. https://ellenmacarthurfoundation.org/topics/circular-economy-introduction/overview

7. Gurguliani, I. (2025). Waste management and circular economy issues in Georgia. United Nations Economic Commission for Europe. https://unece.org/sites/default/files/2021-11/5_2_ENG_waste%20policy-georgia.pdf

8. Gvelesiani, R., Gogorishvili, I., Erkomaishvili, G., Lekashvili, E., Khurtsia, L., & Gaprindashvili, G. (2022). Economic Policy: Book II. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Ekonomikuri-Politika_II.pdf

9. Japaridze, O. (2025). Challenges and Opportunities for Sustainable Development of Mountain Tourism in Georgia. The New Economist, № 4, 89–94. https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2025-89-94-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf

10. Karchava, L., & Kutaladze, E. (2020). Tourism as One of the Priority Directions in Georgia. The New Economist / ახალი ეკონომისტი, № 3 (58), 45–51. https://neweconomist.com.ge/media/documents/Eko-3-2020-45-51.pdf

11. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. The New Economist, 20(2), 40-53.

12. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. The New Economist, 20(1), 8-23.

13. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. The New Economist, 20(4), 21-35.

14. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4), 152-157.

15. Khutsishvili, T., & Lomidze, N. (2022). Circular economy and resource efficiency in Georgian municipalities. Georgian Economic Review, 14(2), 101–118.

16. Kvashilava, G. (2025). The Origin and Development of Agriculture – The First Economic Revolution. The New Economist, № 1 (76), 60–70. https://neweconomist.com.ge/media/documents/01-2025-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90-60-70.pdf

17. Moniava, T. (2020). Conclusions regarding legal forms of compensation for environmental damage in forest exploitation. The New Economist, № 1–2 (Vol. 15). https://neweconomist.com.ge/media/documents/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90-2.pdf

18. Okrotsvaridze, L., & Okrotsvaridze, A. (2021). Ecology – "World Through a Small Window". The New Economist / ახალი ეკონომისტი, Vol. 16, Issue 3 (3–4), 62–63. https://neweconomist.com.ge/media/documents/Okrocvaridze.pdf

19. Okrotsvaridze, L. (2021). The Modern Vision of Agritourism / აგროტურიზმის თანამედროვე ხედვა. The New Economist / ახალი ეკონომისტი, Vol. 16, Issue 1, 60–84. https://neweconomist.com.ge/journal/article/the-modern-vision-of-agritourismagroturizmis-tanamedrove-khedva-1623168565/

20. Otarashvili, A. (2025). Regional problems of agricultural development and economic policy measures for their resolution. The New Economist, 20(4), 103–109. https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2025-103-109-%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf

21. Pavliashvili, S. (2023). Waste Management and Extended Producer Responsibility in Georgia. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. https://www.mepa.gov.ge/En/News/Details/21302

22. Pavliashvili, S. (2024). Symposium: Waste Management and Circular Economy. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. Retrieved from: https://www.mepa.gov.ge/Ge/News/Details/22903

23. Pavliashvili, S., & Gubeladze, D. (2020). Agroecological agriculture and organic agricultural activities. The New Economist / ახალი ეკონომისტი, №3 (58), 15–21. https://neweconomist.com.ge/media/documents/Eko-3-2020-15-21P_G.pdf

24. Tskhakaia, K. (2024). Biodegradable waste management in Georgia: Opportunities and challenges.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Environmental and Climate Technologies, 28(1), 556–565. https://sciendo.com/de/article/10.2478/rtuect-2024-0043

25. Tsotsoria, N. (2025). Economic policy of waste management and utilization in Georgia. The New Economist, 20(4), 95–102. https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2025-95-102-%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90.pdf

26. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10(2), 22-32. https://neweconomist.com.ge/media/documents/19-33.pdf

27. Veshapidze, S., Kereselidze, L., & Tsirdava, N. (2024). Decarbonization of energy and challenges of sustainable development of Georgia.

28. Zarnadze, G. (2023). The Aspects of Implementing Eco-Innovations in Business. The New Economist, №1 (68), 2023, 26–33. https://neweconomist.com.ge/media/documents/01-2023-26-33-%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94.pdf

29. Zhgenti, N. (2024). Economic Policy of Environmental Protection Facing Modern Challenges. The New Economist, №1 (19), 2024 https://neweconomist.com.ge/media/documents/11.pdf

30. European Environment Agency. (2020). Circular economy and waste management in Europe. https://www.eea.europa.eu/themes/waste

31. European Environment Agency. (2021). Waste management in Europe – Trends and indicators. https://www.eea.europa.eu/themes/waste

32. Georgian Ministry of Environmental Protection. (2022). Waste management system in Georgia. https://waste.mepa.gov.ge/Methodology/Index

33. Matsne.gov.ge. (2025). Georgia – Waste Management Code. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416

34. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia (MEPA). (2024). A New Project aimed at Waste Management in Georgia. https://mepa.gov.ge/En/News/Details/21654

35. UNDP. (2022). Municipal waste management in Georgia. https://www.undp.org/georgia/publications/municipal-waste-management

36. World Bank. (2020). Georgia: Municipal waste management modernization. https://projects.worldbank.org/en/projects-operations/project-detail/P160215

37. OECD. (2020). Municipal waste management indicators. https://www.oecd.org/environment/waste/

38. European Investment Bank. (2021). Financing waste management projects in Eastern Europe and Caucasus. https://www.eib.org/en/projects/sectors/environment/waste-management/index.htm

საქართველოს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი

ნიკა წოწორია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: nika.tsotsoria4371@eab.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს გარემოს დაცვის ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი. კვლევა ეხება ორგანიზაციულ და სამართლებრივ ჩარჩოს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლებსა და პასუხისმგებლობებს, უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმებს და ეროვნული გარემოსდაცვითი მართვის შესაბამისობას ევროკავშირის ინტეგრაციის სტანდარტებთან. საქართველოს ეკოლოგიური მრავალფეროვნება, მზარდი გარემოსდაცვითი გამოწვევები და ევროკავშირის დირექტივების განხორციელების ვალდებულება ქმნის აუცილებლობას ინსტიტუციური მოწყობის ეფექტიანობის შესწავლისა მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ფორმირების მიზნით.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება ნორმატიულ-სამართლებრივ და ინსტიტუციურ ანალიზს. ძირითადი წყაროებია: კანონმდებლობა, სახელმწიფო რეგულაციები, პოლიტიკის დოკუმენტები,*

სტრატეგიული გეგმები და საერთაშორისო რეკომენდაციები. კვლევა აფასებს ინსტიტუციური ურთიერთქმედების პროცესებს, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს, განხორციელების შესაძლებლობებს და საზოგადოების ჩართულობას, ინტეგრირებულია როგორც ხარისხობრივი, ისე შედარებითი მიდგომები სისტემის ეფექტიანობისა და რეფორმების შესაძლებლობების შესაფასებლად.

ძირითადი შედეგები და გამოყენება: *ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს გარემოს დაცვის ინსტიტუციური ჩარჩო ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა სირთულეები კვლავ რჩება. მთავარ პრობლემებს წარმოადგენს უწყებებს შორის შეზღუდული კოორდინაცია, მონიტორინგისა და აღსრულების შესაძლებლობების არასაკმარისი დონე, ასევე საზოგადოების დაბალი ჩართულობა. კვლევა გამოყოფს მიმართულებებს, სადაც საჭიროა რეფორმები და პოლიტიკის ცვლილებები ინსტიტუციური ეფექტიანობის გასაძლიერებლად. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელებისთვის, გარემოსდაცვითი უწყებებისთვის და საერთაშორისო პარტნიორებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს გარემოსდაცვით მართვას და მდგრადი განვითარების მიზნებს.*

საკვანძო სიტყვები: *გარემოს დაცვა, ინსტიტუციური მოწყობა, მწვანე ეკონომიკა, მწვანე პოლიტიკა, მდგრადი განვითარება.*

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნეში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გარემოს დაცვის პრობლემა გახლავთ. დღეისათვის, მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების მატება. გარემოსდაცვითი პოლიტიკა მოიაზრებს ზრუნვას და მიზნების შემუშავებას, რომელიც ემსახურება გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას და მის შენარჩუნებას. ამით ის ცდილობს ბუნებრივი რესურსების დაზოგვას, რომ გაუმჯობესდეს ადამიანის ცხოვრების წესი ქალაქებში მდგრადი განვითარების დანერგვით. კაცობრიობის გადარჩენისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვის პრობლემების გადაჭრას.

არ არსებობს გარემოს დაცვის პოლიტიკის კონკრეტული ცნება, იგი სივრცობრივსა და ბიოლოგიურ ასპექტებს გულისხმობს. იგი იმ ყველა ღონისძიებას გულისხმობს, რომელიც ადამიანის და აგრეთვე ბუნების სასიცოცხლო შენარჩუნებას და გარემოს დაზიანებების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. გარემოს დაცვის პოლიტიკა - მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომლების მიზანია ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების ერთიანობაში შენარჩუნება და გარემოს დაზიანებების აღმოფხვრა (Gvelesiani, 2022).

ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა კომპლექსური და მუდმივად დინამიური პროცესია, სადაც ადამიანის საქმიანობის შედეგად გარემოს მდგომარეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მუდმივად მატულობს. ეკოლოგიური პრობლემები, როგორიცაა ჰაერის დაბინძურება, ნარჩენების დაგროვება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ხაზს უსვამენ გარემოს დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების მნიშვნელობას ჯანსაღი და მდგრადი საზოგადოებისთვის (Okrotsvaridze,2021).

ადამიანის საქმიანობის პირველი სისტემური ორგანიზება გარემოს რესურსებზე – აგრარული რევოლუცია – წარმოადგენს ნიმუშს, თუ როგორ წარმოიქმნებოდა ადრეული ინსტიტუციური ჩარჩოები ბუნებრივ რესურსთა მართვისთვის. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რესურსების ეფექტური გამოყენება, ტექნოლოგიების განვითარება და მართვის წესების დამკვიდრება უკვე პირველ ეკონომიკურ რევოლუციაში აისახა, რაც დღესდღეობით გარემოს დაცვის პოლიტიკასა და ინსტიტუციურ მოწყობაზე შესაბამისი პარალელის შექმნის საშუალებას გვაძლევს (Kvashilava, 2025).

გარემოს დაცვის ინსტიტუტების მოწყობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახლავთ სოციალურ-ეკონომიკური აქტივობებით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან არიდება და არსებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირება სასურველ დონემდე. აგრეთვე, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც, რა თქმა უნდა, გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს მომავალი თაობების ჯანსაღ და სრულყოფილ გარემოში ცხოვრებას.

ტყის ექსპლუატაციის პროცესმა საქართველოში გამოავლინა, რომ ბუნებრივი რესურსების შემცირება და ეკოლოგიური ზიანის მატება პირდაპირ უკავშირდება არამდგრად მართვასა და გაუმართავ მარეგულირებელ ჩარჩოს. ასეთი პრაქტიკა ხაზს უსვამს გარემოს დაცვის ინსტიტუციური

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პოლიტიკის მნიშვნელობას, რომელიც თითქოს ავალდებულებს სახელმწიფოს ეფექტურად დაგეგმოს, ზედამხედველობდეს და შეასრულოს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების პოლიტიკა, რათა შემცირდეს მრავალი ფედერალური და ლოკალური ეკოლოგიური პრობლემები (Moniava, 2020).

ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში ინსტიტუციური ჩარჩოს განხილვა გარემოს დაცვის პოლიტიკის შესახებ. პირველ რიგში, განვიხილოთ ინსტიტუციური მოწყობის არსი. ინსტიტიციური მოწყობა - არის ფორმალური და არაფორმალური თანამშრომლობის სტრუქტურები, რომლებიც მხარს უჭერენ და აკავშირებენ საჯარო და კერძო ინსტიტუტებს ან ორგანიზაციებს, რათა დაეხმარონ მათ მანდატის შესრულებას და რომლებიც გამოიყენება სამართლებრივი, ორგანიზაციული და პროდუქტიული ჩარჩოების შესაქმნელად.

მთავარი მიზანი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა გახლავთ ქვეყნის დაბალანსებული და მდგრადი განვითარება. იმისათვის, რომ საქართველოში გადაიჭრას ერთიანი გარემოსდაცვითი საკითხები, რომლებიც გახლავთ: ჰაერის დაბინძურების შემცირება, ნარჩენების მართვის ორგანიზება, წყლის დაბინძურების შემცირება, მისი ხარისხის საკითხების გადაწყვეტა, ბიომრავალფეროვნებისა და ტყის რესურსების დაცვა, შავი ზღვის სანაპიროს მოწყობა და სხვა, ამისთვის საჭიროა გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრირება და სამინისტროებს შორის თანამშრომლობა. უამრავი მკვლევარი ადასტურებს, რომ გარემოსდაცვითი პოლიტიკა არის ყველა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი.

უმნიშვნელოვანესია მწვანე ეკონომიკის განხილვა, რომელიც გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარი ნაწილია. მწვანე ეკონომიკა - არის ადამიანების ცხოვრების დონის, აგრეთვე სოციალური თანასწორობის ამაღლება იმ ეკოლოგიური რისკების და ეკოლოგიური დეფიციტის პირობებში. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ მწვანე ეკონომიკამ თავის თავზე აიღო ეკონომიკის, ეკოლოგიის, სოციალური პოლიტიკის განვითარება (Abesadze, 2014).

ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ მწვანე პოლიტიკის თეორიის თანახმად, ადამიანის და ბუნების სხვადასხვა შვილთა კეთილდღეობა და სიცოცხლე დედამიწაზე უმთავრესი ღირებულებაა. გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი საკითხები მჭიდრო კავშირშია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერებების სფეროებთან.

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება

XXI საუკუნეში გარემოს დაცვის პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია როგორც სასრულად ფუნქციონირებელ ინსტიტუციურ ჩარჩოზე, ისე ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორების ინტეგრაციაზე. თანამედროვე გამოწვევების პირობებში, ეფექტური პოლიტიკის შემუშავება მოითხოვს მწვანე ეკონომიკის, ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას (Buachidze et al., 2023).

საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვან საყრდენად შეიძლება იქცეს საქართველოსთვის გარემოს დაცვის პოლიტიკის ეფექტურობის გაუმჯობესების მიმართულებით. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები აჩვენებს, რომ წარმატებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა ეფუძნება ძლიერ ინსტიტუციურ ჩარჩოს, ეფექტურ საკანონმდებლო ბაზას, საზოგადოების ჩართულობასა და ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას.

შვეიცარია გამოირჩევა ძლიერი ინსტიტუციური სისტემით, სადაც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები კოორდინირებულად მართავენ ნარჩენების, წყლისა და ენერგიის რესურსებს. ქვეყნის პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცირკულარული ეკონომიკის დანერგვას, ნარჩენების მინიმალიზაციას და მოსახლეობის გარემოსდაცვით განათლებას (European Environment Agency, 2020).

ესტონეთი ცნობილია თავისი სამედიცინო და ეკოლოგიური მონაცემების მონიტორინგის ციფრულ სისტემებზე, რაც საშუალებას აძლევს სწრაფ რეაგირებას გარემოსდაცვით საკითხებზე. ესტონეთის მაგალითი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ტექნოლოგიებისა და მონაცემთა მართვის ეფექტურობა ხელს უწყობს პოლიტიკის გამჭვირვალობას და მჭიდრო კონტროლს (OECD, 2020).

გერმანია თავის მხრივ გამოირჩევა მწვანე ეკონომიკისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების აქტიური დანერგვით, რაც უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის ეფექტურობას, წყლის რესურსების დაცვას და კლიმატური ცვლილებების შემცირებას (World Bank, 2020).

თურქეთი და საფრანგეთი აჩვენებენ, რომ ინსტიტუციური კოორდინაცია და ნარჩენების მართვის მრავალმხრივი მოდელები სხვადასხვა

ქვეყნისთვის წარმატების საწინდარია. ამ ქვეყნებში დამტკიცებული პოლიტიკა აერთიანებს საკანონმდებლო ჩარჩოს, საზოგადოებრივი ჩართულობას და კერძო სექტორის აქტიურ მონაწილეობას, რაც არის ეფექტური გარემოს დაცვის პოლიტიკის მთავარი ფაქტორები.

გარემოს დაცვის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

საქართველოში გარემოს დაცვის პოლიტიკის ეფექტურობის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციური მოწყობის დეტალურ ანალიზს, რადგან ინსტიტუციური ჩარჩო განსაზღვრავს, როგორ ემსახურება პოლიტიკა რეალურად გარემოსდაცვით მიზნებს. ინსტიტუციური მოწყობა მოიცავს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს, სპეციალიზებულ სააგენტოებს, გარემოსდაცვით კომპანიებს და არასამთავრობო სექტორს, რომლებიც ქმნიან თანამშრომლობის ქსელს გარემოს დაცვის პოლიტიკის სამოქმედო გეგმების ეფექტური განხორციელებისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვის ინსტიტუციური სისტემა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესით ხასიათდება. ცენტრალური ორგანოები, როგორებიცაა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სააგენტო, ახორციელებენ პოლიტიკის, რეგულირების და მონიტორინგის ფუნქციებს. ადგილობრივ დონეზე მერიები და რეგიონული სამმართველოები აქტიურად მონაწილეობენ ჰაერის, წყლის, ნარჩენების და ბიომრავალფეროვნების რესურსების მართვაში (Georgian Ministry of Environmental Protection, 2022). ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს უწყებათაშორისი კომისია, რომელიც კოორდინაციას უწევს სხვადასხვა სამინისტროსა და სააგენტოს პროექტებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას და პროექტების ეფექტურ განხორციელებას.

საქართველოს გარემოს დაცვის ინსტიტუციური მოწყობა და პოლიტიკის ფორმირება, სხვა სფეროებთან ერთად, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მდგრად განვითარებას — მაგალითად, ტურიზმის სექტორში არსებულ გამოწვევებს და შესაძლებლობებს: არასაკმარისი ცოდნა, არასრულყოფილი ინფრასტრუქტურა და გარემოსდაცვითი პრობლემები წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური ჩართულობის აუცილებლობას ამ პროცესებში (Japaridze,2025).

საქართველოს გარემოსდაცვითი მმართველობის ინსტიტუციური მოწყობა ეტაპობრივად ევროინტეგრაციის მოთხოვნებთან დაახლოების პროცესში ვითარდება, განსაკუთრებით ნარჩენი ზეთების მართვის სფეროში. სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის მექანიზმები. თუმცა, პრაქტიკაში კვლავ იკვეთება განხორციელების პრობლემები, მათ შორის მონიტორინგის სირთულეები, აღდგენა-გადამუშავების ინფრასტრუქტურის შეზღუდულობა და ინსტიტუციურ სუბიექტებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა. შესაბამისად, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება და აღსრულების მექანიზმების დახვეწა წარმოადგენს გარემოს დაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირების მნიშვნელოვან წინაპირობას (Aladashvili, 2025).

გარდა ამისა, ინსტიტუციური მოწყობა საქართველოში უნდა ასახავდეს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრირებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს ჰაერის დაბინძურების შემცირებას, წყლის რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას, ტყის და ბიომრავალფეროვნების დაცვას, ნარჩენების მართვას და შავი ზღვის სანაპიროს შენარჩუნებას (Ellen MacArthur Foundation, 2021).

საქართველოს გარემოს დაცვის პოლიტიკის წარმატება განპირობებულია სამართლებრივი ჩარჩოს, ინსტიტუციური სტრუქტურის, საზოგადოების ჩართულობის და თანამედროვე ტექნოლოგიების ერთობლივი გამოყენებით. სამომავლოდ მნიშვნელოვანია შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვას, დარღვევების კონტროლს და საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაციას, რაც საშუალებას მისცემს საქართველოში ეფექტურად დაიცვან გარემოსდაცვითი ინტერესები და ხელშეწყონ მდგრადი განვითარება.

საქართველოს გარემოს დაცვის პოლიტიკის შეფასება ეფუძნება როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო მაჩვენებლებს, რომლებიც გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, რამდენად ეფექტურად იმართება გარემოსდაცვითი პროცესები ქვეყანაში. ეროვნული მაჩვენებლები მოიცავს ჰაერის ხარისხს, წყლის რესურსების მდგომარეობას, ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნებასა და ტყის რესურსების გამოყენებას, ხოლო საერთაშორისო

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შეფასებები ადარებს საქართველოს შედეგებს OECD–ის ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს (Tsotsoria, 2025).

ჰაერის ხარისხი და გარემოსდაცვითი მაჩვენებლები

დღესდღეობით, მსოფლიოში იყენებენ ჰაერის ხარისხის ინდექსს (AQI) და PM2.5 ჰაერის დაბინძურება მსოფლიოში. საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, თბილისში PM2.5 ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია 2025 წელს 16.3 μg/m³ იყო, რაც მეტია მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდებულ დონეზე 10 μg/m³–თან შედარებით (Geostat, 2025;). ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია ტრანსპორტი, ინდუსტრიული წარმოება და ურბანული გათბობა. MEPA–ს მიერ განხორციელებული პროექტები, როგორიცაა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა, თანდათანობით აუმჯობესებს მონაცემების სიზუსტეს (MEPA, 2024).

დაბინძურების მხრივ, მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ქალაქი 2023 წელს იყო ბეგუსარაი (ინდოეთი), დღესდღეობით კი ველაზე დაბინძურებული ქალაქი მსოფლიოში გახლავთ კინშასა (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი იხ. გრაფიკი).

საქართველოს მასშტაბით, წყლის ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს როგორც კომერციულ, ისე მუნიციპალურ წყლის სისტემებში. მონაცემები აჩვენებს, რომ რამდენიმე მდინარის წყალი, განსაკუთრებით მდინარე მტკვრის ქვედა ნაპირები, აწყდება მინიმალური ეკოლოგიური სტანდარტების დაცვას. წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია როგორც სამუშაოების ეფექტური კოორდინაცია სამინისტროს დონეზე, ასევე კერძო სექტორის ჩართულობა.

მუნიციპალური ნარჩენების წარმოება საქართველოში 2022 წელს საშუალოდ 402 კგ ადამიანს/წლიურად შეადგინა, რაც ნაჩვენებია Geostat–ის მონაცემებშიპლასტმასის მოხმარება მსოფლიოში სწრაფად გაიზარდა, განსაკუთრებით ერთჯერადი გამოყენების პროდუქტებში, რაც მნიშვნელოვან გარემოსდაცვით და კლიმატურ პრობლემებს ქმნის; გადაირიცხება ნარჩენების დაგროვება ნაგავსაყრელებზე, ზრდის ნახშირორჟანგის გამონაბოლქვს და იწვევს ბიომრავალფეროვნების და ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხეს. ეფექტური პოლიტიკის უზრუნველსყოფა მოითხოვს მკაცრად განსაზღვრული ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს, ფინანსური მხარდაჭერას და ტექნოლოგიურ განვითარებას (Aladashvili,2024).

ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა აერთიანებს ტყის რესურსების მართვას, ეროვნული პარკების დაცვას და იშვიათი სახეობების მონიტორინგს. სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ 2022–2023 წლებში ტყის განადგურება შემცირდა 0.8%-ით, რაც ნაწილობრივ განპირობებულია გარემოსდაცვითი პროექტების და საჯარო ინფორმაციის გაზრდილი ხელმისაწვდომობით (Khutsishvili & Lomidze, 2022).

ევროპული კავშირის მაგალითმა აჩვენა, რომ ეფექტიანი ნარჩენების მართვა უნდა იყოს კოორდინირებული თავისივე გარემოსდაცვით საქმიანობის პროგრამებთან და მოიცავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და მარე-



ჰაერის ხარისხის ინდექსი (AQI)

გულირებელი ჩარჩოს დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით. ეს გამოცდილება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ნარჩენების მართვის ინსტიტუციური მოწყობის გაძლიერების მიმართულებით, რადგან შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ კანონის არსებობას, არამედ განხორციელების ეფექტიან მონიტორინგსა და სტრატეგიული გეგმების შეჯერებას შორის (Aladashvili,2022).

ეს მონაცემები აჩვენებს, რომ მიუხედავად პროგრესისა, საქართველოს გარემოს დაცვის პოლიტიკა კვლავ საჭიროებს ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერებას; ცირკულარული ეკონომიკის ინტეგრაციას ყველა მუნიციპალიტეტში; საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდას და ასევე სჭიროებს ჰაერის, წყლის და ნარჩენების მართვის მონიტორინგის სისტემის განვითარებას (OECD, 2020).

საქართველოს გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავებისთვის რჩევები და რეკომენდაციები

საქართველოს გარემოს დაცვის პოლიტიკის ეფექტური განვითარება XXI საუკუნის პირობებში მოითხოვს ინსტიტუციური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური სტრატეგიების ერთიან გამოყენებას. წინამდებარე ანალიზისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე გამოყოფილია რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია.

საქართველოსთვის უმთავრესი გამოწვევა რჩება უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა, რაც ხელს უშლის სამუშაოების ეფექტურ განხორციელებას (MEPA, 2024;). რეკომენდებულია: უწყებათაშორისი კომისიის გაძლიერება, რომელიც აკონტროლებს ჰაერის, წყლის, ნარჩენების და ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის განხორციელებას და ასევე ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლება რეგიონებში, ადგილობრივი მმართველობის ჩართულობით.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ცირკულარული ეკონომიკის მიღება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნარჩენების შემცირებაში და რესურსების ეფექტურ გამოყენებაში.საქართველოში რეკომენდებულია: ბიოდეგრადირებადი ნარჩენების დაწესებული სისტემა (Tskhakaia, 2024); ნარჩენების სრული ტრანსპორტირება და გადამუშავება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში; მწვანე ბიზნეს–ინიციატივების მხარდაჭერა ფინანსური სტიმულებით (World Bank, 2020).

საზოგადოების განათლება და ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად რჩება წარმატებული გარემოს დაცვის პოლიტიკისთვის.

აუცილებელია ეკოლოგიური კამპანიები სკოლებში, უნივერსიტეტებში და საჯარო სივრცეებში; ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციები, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა ნარჩენების მართვასა და დაცულ ტერიტორიებში და საჯარო ანგარიშგება გარემოს დაცვის შედეგების შესახებ.

გამოყენებული ტექნოლოგიები, როგორიცაა სენსორები ჰაერის ხარისხისთვის, წყლის მონიტორინგის მოწყობილობები და ციფრული პლატფორმები, უზრუნველყოფს რეალურ დროში მონაცემების მიღებას და სწრაფ რეაგირებას (OECD, 2020). საჭიროა ეროვნული მონაცემთა ბაზის შექმნა გარემოს დაცვის ყველა სფეროში, ასევე რეგიონული მონაცემთა ცენტრების განვითარება, რათა რეგიონებში უფრო ზუსტი ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი.

საქართველოს პოლიტიკა უნდა იყოს EU acquis–თან, OECD და UNECE სტანდარტებთან შესაბამისობაში, რაც უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას (European Environment Agency, 2020). რეკომენდებულია ეროვნული კანონმდებლობის მუდმივი შესწავლა და რეგულაციების განახლება საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით; ასევე უცხოური პრაქტიკის ადაპტაცია ადგილობრივი პირობებისთვის, განსაკუთრებით ნარჩენების მართვის, ცირკულარული ეკონომიკის და ენერგოეფექტური გადაწყვეტილებების სფეროში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ აგროეკოლოგიური სოფლის მეურნეობა და ორგანული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს გარემოზე და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებაზე, რადგან იგი ამცირებს ქიმიური სასუქების და პესტიციდების გამოყენებას, ხელს უწყობს ნიადაგის, წყლის და ბიომრავალფეროვნების დაცვის პროცესებს და ქმნის პირობებს გარემოსდაცვითად სუფთა პროდუქციის წარმოებისთვის. ეს მიდგომები გამოხატავს გარემოს დაცვის ინსტიტუციური პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს სოფლის განვითარების კონტექსტში, სადაც სახელმწიფოს მონაწილეობა, რეგულაცია და მხარდაჭერა არის მნიშვნელოვანი (Pavliashvili, & Gubeladze , 2020)

ეკოინოვაციების დანერგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს მდგრადი ეკონომიკური და

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფარგლებში, რადგან მათი გამოყენება არა მხოლოდ ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, არამედ ხელს უწყობს ტექნოლოგიური და ფინანსური ეფექტიანობის ზრდას, რაც ინსტიტუციური მომზადების აუცილებლობას უსვამს ხაზს. ეს გარემოსდაცვითი ინოვაციები მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციურ და მარეგულირებელ ჩარჩოს ფორმირებას, რათა მას ბიზნესის დონეზე ფართო გამოყენება მოჰყვეს (Zarnadze, 2023).

ეს რეკომენდაციები უზრუნველყოფს განსაკუთრებულ ყურადღებას ინსტიტუციურ კოორდინაციაზე, საზოგადოების ჩართულობაზე, ტექნოლოგიების გამოყენებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. მათი განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მწვანე ეკონომიკის განვითარებას, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

დასკვნა

საქართველოს გარემოს დაცვის პოლიტიკის ეფექტურობა დამოკიდებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის თანმიმდევრულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ მართვაზე. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს უწყებებს შორის კოორდინაციას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ეროვნული პოლიტიკის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ნარჩენების მართვის, ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით, კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც მოითხოვს დამატებით ტექნოლოგიური ინვესტიციების, ფინანსური მხარდაჭერისა და ადამიანის რესურსების გაძლიერებას (Zhgenti, 2024).

გარდა ამისა, აღსაღნიშნავია, რომ საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია მდგრადი პოლიტიკის აღსრულებისთვის. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სასწავლო და საინფორმაციო პროგრამების დანერგვა, ეკოლოგიური კამპანიები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ასევე კერძო ინვესტიციების მოზიდვა გარემოსდაცვით პროექტებში უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკა რეალურად მოემსახუროს ქვეყნის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

საერთო ჯამში, საქართველოსთვის უმთავრესი გამოწვევები რჩება ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერება, მონაცემთა მართვის ტექნოლოგიების დახვეწა, ცირკულარული ეკონომიკის ეფექტური დანერგვა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. აღნიშნული ღონისძიებების თანმიმდევრული განხორციელება საშუალებას მისცემს ქვეყანას არა მხოლოდ წარმატებით მართოს ჰაერის, წყლის, ნარჩენების და ბიომრავალფეროვნების გამოწვევები, არამედ უზრუნველყოს მწვანე ეკონომიკის განვითარების პროცესი, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება და ეკოლოგიური უსაფრთხოების მაღალი დონე მომავალი თაობებისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვის პოლიტიკა XXI საუკუნის გამოწვევების პირობებში აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ინსტიტუციურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს მდგრად, ეფექტურ და ინოვაციურ გარემოსდაცვით სისტემას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ECONOMIC IMPACT OF SOIL DEGRADATION AND ASSESSMENT OF RESTORATION EFFICIENCY IN THE AGRICULTURAL SECTOR

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 07, 2026
Published: March 22, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21012026-127



Ani Otarashvili
PhD Student at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: https://orcid.org/0009-0008-9212-409X
Email: ani.otarashvili@tsu.ge

ABSTRACT

Research Objective: *The objective of this study is to examine the economic impact of soil degradation and to assess the efficiency of restoration measures in the agricultural sector. The research focuses on identifying the main forms of soil degradation—such as erosion, nutrient depletion, and salinization—and evaluating their effects on agricultural productivity, farm income, and long-term economic sustainability.*

Methodological Approach: *The study applies a mixed research methodology combining quantitative and qualitative analysis. Statistical data on agricultural output, land productivity, and investment in land restoration are analyzed. This allows estimating the economic losses associated with soil degradation. Comparative regional analysis and a review of policy frameworks are used to evaluate the cost-effectiveness and long-term benefits of soil restoration measures. General scientific methods, including analysis, synthesis, and comparative assessment, are employed to determine the relationship between soil quality, economic performance, and policy intervention.*

Main Results and Implications: *The findings demonstrate that soil degradation significantly reduces crop yields, increases production costs, and weakens the overall competitiveness of the agricultural sector. The study reveals that investment in soil restoration—such as sustainable land management practices, improved irrigation systems, and soil fertility enhancement—can generate positive economic returns in the medium and long term. Effective policy instruments, including financial incentives, support for sustainable farming technologies, and awareness programs, are essential for mitigating economic losses and ensuring sustainable agricultural development. The results provide practical implications for policymakers, agricultural producers, and researchers working in the fields of environmental economics and rural development.*

Key Words: *Soil degradation, agricultural productivity, economic impact, land restoration, sustainable agriculture, cost-effectiveness.*

REFERENCES

1. Archvadze, I., & Mekvabishvili, E. (2010). Current State of Agriculture in Georgia and Development Prospects. Economics and Business, No. 6

2. Gvelesiani, R. (2012). Economic Policy of Agricultural Sector Development. Proceedings of the I International Scientific-Practical Conference "Priorities of Sustainable Agricultural Development".

3. Tsotsoria, N. (2026). Economic policy of waste management and utilization in Georgia. New Economist. https://neweconomist.com.ge/journal/article/economic-policy-of-waste-management-and-utilization-in-georgia-1769512567/

4. Otarashvili, A. (2026). Regional problems of agricultural development and economic policy measures for their resolution. The New Economist, 20(4), 95–102. https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2025-95-102-%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90.pdf

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

5. FAO. (2023). Soil Degradation and Conservation. Food and Agriculture Organization.

6. Gvelesiani, R. (2012). Economic Policy. Tbilisi: Universali Publishing House.

7. Kharaishvili, E. (2011). Problems of Competition and Competitiveness in Georgia's Agri-Food Sector. Tbilisi: Universali Publishing House.

8. Erkomaishvili, G. (2010). Economic Policy Determining National Competitiveness. Collection of Scientific Papers. Tbilisi.

9. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10(2), 22-32.

10. Veshapidze, S., Kereselidze, L., & Tsirdava, N. (2024). Decarbonization of energy and challenges of sustainable development of Georgia.

11. Hasidi, J. (2017). Introduction to Entrepreneurship, Parts I–II (Theoretical Foundations).

12. Koguashvili, P., Zibzibadze, G. (2010). Agricultural Economics. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

13. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2023). Annual Report. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=1&pageSize=9

14. Archvadze, I., Mekvabishvili, E. (2010). Current State of Agriculture in Georgia and Development Prospects. "Economics and Business", No. 6.

15. Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027: Action Plan for 2024–2027.

16. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2019). Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021–2027. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395

17. Report on Results Achieved by Extended Producer Responsibility Organizations. (2023).

18. Monitoring Report on the Implementation of the 2023 Action Plan of the Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027.

19. Monitoring Report on the Implementation of the 2022 Action Plan of the Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=2&pageSize=9

20. Monitoring Report on the Implementation of the 2021 Action Plan of the Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=2&pageSize=9

21. Monitoring Report on the Implementation of the 2020 Action Plan of the Agricultural Development Strategy 2015–2020. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=3&pageSize=9

22. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2021). Small and Medium Enterprise Development Strategy of Georgia 2021–2025. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf

23. Georgia's Innovation and Technology Agency. (2021). https://grants.gov.ge (Last accessed: 22.12.2021)

24. Faltin, G. (2015). The Mind Beats Capital: A Completely Different Way of Starting Entrepreneurship. Entrepreneurship for Everyone: Smart, Economical, Simple. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi.

25. Monitoring Report on the Implementation of the Rural Development Strategy 2017–2020 Action Plan (2020). https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=4&pageSize=9

26. Hasidi, J., Komselsi, A., Papaliou, I., Psilaki, M., Gvelesiani, R., Mekvabishvili, E., Gagnidze, I., Lekashvili, E., Natsvaladze, M. (2011). Theoretical Foundations of Entrepreneurship (Supplementary Textbook), Part III. Tbilisi State University Press. Tbilisi.

27. Hamilton, A. (1791, December 5). Report on the Subject of Manufactures.: https://founders.archives.gov/documents/Hamilton/01-10-02-0001-0007

28. Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021–2027. https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/Agriculture-and-Rural-Development-Strategy-of-Georgia-2021%E2%80%932027.pdf

29. Regional Development Programme of Georgia 2018–2021. https://www.mrdi.gov.ge/files/1/2018_2021_regional_development_programme_of_georgia_unofficial_translation.pdf

30. Regional Problems of Accelerating Economic Development Rates in the Context of Globalization (Georgian Case Study). https://www.researchgate.net/publication/315646492

31. Georgia's Agricultural Sector: Analyzing Indicators and Challenges. https://gnomonwise.org/en/publications/review/119

32. Problems of Youth Employment in the Agricultural Sector of Georgia and Causes of Migration. https://www.researchgate.net/publication/321747012

33. Government of Georgia. (2021). Program for 2021–2024: Towards Building a European State. https://www.gov.ge/files/41_79014_435561_gov-program.PDF

34. Soken-Huberty, E. (2019). 10 Reasons Why

Agriculture Is Important. https://theimportantsite.com/10-reasons-why-agriculture-is-important/

35. Luoni, S. Food Hubs and Rebuilding the Missing Middle Market Structure in Agriculture: The Social Role in Supply Chain Development. https://www.usda.gov/media/blog/2011/11/14/reflection-state-agriculture-and-future

36. Lehner, P. H., Rosenberg, N. A. Farming for Our Future: The Science, Law, and Policy of Climate-Neutral Agriculture. https://www.eli.org/eli-press-books/farming-our-future-science-law-and-policy-climate-neutral-agriculture

37. Okrotsvaridze, L. (2021). The Modern Vision of Agritourism. The New Economist, Vol.16(1).

38. Shengelia, N. (2024). The significance of developing digital competencies among employees in the agricultural sector. The New Economist N_1, Vol.19, Issue 1.

39. Neweconomist. (2024). Raw material base for the production of phosphate fertilizers in Georgia. The New Economist, Vol.19, Issue https://neweconomist.com.ge/journal/article/raw-material-base-for-the-production-of-phosphate-fertilizers-in-georgia-1712645312/

40. Lal, R. (2023). Soil degradation and restoration strategies for sustainable agriculture. Springer, Cham.

ნიადაგის დეგრადაციის ეკონომიკური გავლენა და აღდგენის ეფექტიანობის შეფასება აგროსექტორში

ანი ოთარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: ani.otarashvili@tsu.ge
საკონტაქტო: +995 558 12 34 60

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია ნიადაგის დეგრადაციის ეკონომიკური გავლენის შესწავლა და აგროსექტორში აღდგენის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება. კვლევა ფოკუსირებულია ნიადაგის დეგრადაციის ძირითად ფორმებზე — როგორიცაა ეროზია, გამოფიტვა და დამლაშება — და მათი ზეგავლენის ანალიზზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობაზე, ფერმერთა შემოსავალსა და გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობაზე.

მეთოდოლოგიური მიდგომა: კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მიწის პროდუქტიულობისა და ნიადაგის აღდგენაში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება ნიადაგის დეგრადაციით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების შეფასებისთვის. შედარებითი რეგიონული ანალიზისა და პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვის საფუძველზე ფასდება აღდგენითი ღონისძიებების ხარჯთეფექტიანობა და გრძელვადიანი სარგებელი. გამოყენებულია ზოგადსამეცნიერო მეთოდები — ანალიზი, სინთეზი და შედარებითი შეფასება – ნიადაგის ხარისხს, ეკონომიკურ შედეგებსა და პოლიტიკურ ინტერვენციებს შორის კავშირის დასადგენად.

ძირითადი შედეგები და იმპლიკაციები: კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ნიადაგის დეგრადაცია მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლიანობას, ზრდის წარმოების ხარჯებს და ასუსტებს აგროსექტორის კონკურენტუნარიანობას. კვლევა ცხადყოფს, რომ ნიადაგის აღდგენაში განხორციელებული ინვესტიციები — როგორიცაა მდგრადი მიწათსარგებლობის პრაქტიკები, გაუმჯობესებული სარწყავი სისტემები და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება — საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში იძლევა დადებით ეკონომიკურ ეფექტს. ეფექტიანი პოლიტიკის ინსტრუმენტები, მათ შორის ფინანსური წახალისება, მდგრადი აგროტექნოლოგიების მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლების პროგრამები, არსებითია ეკონომიკური დანაკარგების შემცირებისა და მდგრადი აგრარული განვითარების უზრუნველყოფისთვის. კვლევის შედეგები პრაქტიკულად სასარგებლოა პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის, აგრარული სექტორის წარმომადგენლებისა და გარემოს ეკონომიკისა და რეგიონული განვითარების სფეროში მომუშავე მკვლევრებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგის დეგრადაცია, აგროპროდუქტიულობა, ეკონომიკური გავლენა, მიწის აღდგენა, მდგრადი სოფლის მეურნეობა, ხარჯთეფექტიანობა.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

ნიადაგი წარმოადგენს აგრარული წარმოებისა და სოფლის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს. მისი ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე, ფერმერთა შემოსავალზე, აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობაზე და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე. ნიადაგის დეგრადაცია, როგორიცაა ეროზია, საკვები ელემენტების გამოფიტვა, დამლაშება ან ორგანული ნივთიერებების დაკარგვა, წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას როგორც რეგიონული, ასევე ეროვნული აგრარული განვითარებისათვის.

თანამედროვე პირობებში, გლობალიზაცია, კლიმატის ცვლილება, ტექნოლოგიური პროგრესი და საერთაშორისო ბაზრების მზარდი კონკურენცია კიდევ უფრო აქტუალურად აყენებს ნიადაგის პრობლემას. დეგრადირებული ნიადაგი იწვევს მოსავლიანობის შემცირებას, წარმოების ხარჯების ზრდას, აგროსექტორის ეკონომიკური პოტენციალის დაქვეითებას და ხარჯთეფექტიანობის შემცირებას. რეგიონებს შორის ნიადაგის ხარისხის განსხვავება კიდევ უფრო აძლიერებს ეკონომიკურ დისბალანსს, რაც ხშირად იწვევს მიგრაციას, სოფლის ტერიტორიების დაცლას და სოციალური პრობლემების გამწვავებას.

ნიადაგის დეგრადაციის გავლენა აღემატება უშუალო ეკონომიკურ დანაკარგებს. იგი ასევე საფრთხეს უქმნის ბუნებრივ რესურსებს, წყლის და გარემოს მდგრადობას, აგრარული წარმოების გრძელვადიან სტაბილურობას და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ, ნიადაგის აღდგენა და მისი ეფექტიანი მართვა წარმოადგენს როგორც ეკონომიკურ, ისე ეკოლოგიურ საჭიროებას.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, ინვესტიციები ნიადაგის აღდგენის მიმართულებით, სუბსიდირება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და სასოფლო-სამეურნეო განათლების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დეგრადაციის შემცირებაში და აგროსექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. რეგიონის სპეციფიკაზე მორგებული პოლიტიკის მოქმედება, რაც ითვალისწინებს ადგილობრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ფერმერთა სტიმულირებას, აუცილებელია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-ეკოლოგიური შედეგების მისაღწევად. თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ინოვაციური განვითარება პირდაპირ არის კავშირში ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღებასთან და ციფრულ ტრანსფორმაციასთან.

ამ თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ნიადაგის დეგრადაციის პრობლემის დაუმუშავებლობა აფერხებს აგრარული სექტორის განვითარებას, სუბრეგიონული უთანასწორობის შემცირებას და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. შესაბამისად, აუცილებელია ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი მიზეზების სისტემური ანალიზი, მისი ეკონომიკური გავლენის შეფასება და აღდგენის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება.

წინამდებარე სტატიის მიზანია ნიადაგის დეგრადაციის ეკონომიკური გავლენის ანალიზი, აღდგენის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება და პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს აგროსექტორის მდგრად განვითარებას, რეგიონებში უთანასწორობის შემცირებას და ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას.

ნიადაგის დეგრადაციის ფორმები და მისი გავლენა აგროპროდუქტიულობაზე: სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ნიადაგის დეგრადაცია არის მრავალმხრივი პროცესი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო მიწების ხარისხის გაუარესება, ორგანული ნივთიერებების შემცირება, ეროზია, დამლაშება, ნიადაგის ფენების ცვლილება და სხვა ფიზიკური-ქიმიური ცვლილებები მოაქვს. მსოფლიოში ნიადაგის დეგრადაციის პრობლემის მასშტაბი უზარმაზარია: გლობალური შეფასებებით, სასოფლო-სამეურნეო ეროზია, დამლაშება, დაბინძურება და სხვა პროცესი მიწის ფართობის ერთ ნაწილზე უკვე მძიმედ მოქმედებს — 1.9 მილიარდ ჰექტარზე მეტი ნიადაგი დეგრადირებულია და დაახლოებით 10 % მიწები დამლაშებულია, რამაც შეამცირა მოსავლიანობა და საფრთხე შეუქმნა სასურსათო უსაფრთხოებას.

საქართველოში ნიადაგის დეგრადაციის პრობლემაც მძაფრად დგას. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობი დაახლოებით 3 მლნ ჰექტარს აღემატება. ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით **35% დეგრადირებულია**, რაც კრიტიკულად მეტყველებს ნიადაგის ხარისხისა და პროდუქტიულობის პრობლემაზე. ამ დეგრადირებული ფართობის ნაწილი უკვე ითვლება როგორც ეროზიულად დაზიანებული, ხოლო ნაწილიც — სხვა ფორმებით, მაგ. ნიადაგის დამლაშებით ან დაბინძურებით.

ამ მასშტაბური დეგრადაციის უკან მდგომი ძირითადი ფორმებია:

- **წყლის ეროზია**, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია ციცაბო რელიეფზე და ნალექის შედეგად ზედა ნიადაგის ფენის ჩამორეცხვას იწვევს;
- **ქარის ეროზია**, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოშია თვალსაჩინო და გამოწვეულია ზედაპირის დაცლით, მოშენებითა და ძლიერი ქარებით;

- **დამლაშება**, რომელიც ხშირია სარწყავი სისტემების არასწორი მართვის გამო, განსაკუთრებით კახეთის არიდულ და ნახევრად არიდულ ტერიტორიებზე;
- **ნიადაგის ორგანული ნივთიერებების (ჰუმუსის) დაკარგვა**, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას.

ამ ფორმათა ერთობლიობამ მნიშვნელოვნად დააქვეითა ნიადაგის ნაყოფიერება — საქართველოში მიჩნეულია, რომ დეგრადირებული მიწების ნაყოფიერება საშუალოდ 55–65 %ით ნაკლებია, ვიდრე ჯანმრთელი მიწების შემთხვევაში, რაც პირდაპირ ასახავს მოსავლიანობის გაზრდის პრობლემას და ეკონომიკურ დანაკარგებს ფერმერებისათვის.

ნიადაგის დეგრადაციით გამოწვეული მოსავლიანობის შემცირება ფაქტობრივად ფასდება როგორც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში, რომ ფერმერებს უწევთ უფრო მაღალი ფინანსური რესურსების ხარჯვა მოსავლიანობის აღსადგენად – უფრო მეტი სასუქების შეძენა, დამცავი სისტემების მოწყობა და ტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელება, რაც ამცირებს სექტორის კონკურენტუნარიანობას.

ამრიგად, საქართველოში ნიადაგის დეგრადაციის ფორმები და მათი გავრცელება ცხადად წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც არა მხოლოდ გარემოს და ეკოლოგიის თვალსაზრისით არის მძიმე, არამედ აქვს პირდაპირი ეკონომიკური შედეგებიც — მოსავლიანობის კლება, წარმოების ხარჯების ზრდა და აგროსექტორის მდგრადი განვითარების შეფერხება.

შემდეგ, განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო და ჩინეთი, პრობლემებს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, მოსავლიანობის არასტაბილურობა და კლიმატური რისკები. საქართველოში განსაკუთრებით პრობლემურია სარწყავი სისტემების არასაკმარისი განვითარების დონე, რაც ზამთრისა და ზაფხულის წვიმიანობის არათანაბარი განაწილების გამო ახდენს მოსავლიანობის ცვლილებას. მაგალითად, შიდა ქართლის რეგიონში, კასპის მუნიციპალიტეტში ბოსტნეულის მოსავლიანობა საშუალოდ 3–5 ტონას შეადგენს ჰექტარზე, ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტში ხილის და ბოსტნეულის მოსავლიანობა 4–6 ტონას აღწევს ჰექტარზე (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023; Luoni, 2011). სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა ძირითადად ტექნოლოგიურად მოწინავეა, თუმცა მშპ-ში წილი მცირეა, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი დაბალია. განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში უფრო მაღალია და დასაქმებულთა რაოდენობა დიდია, რაც აისახება ეკონომიკურ სტაბილურობაზე და სოციალური პრობლემების შემცირებაზე. საქართველოს მაგალითი აჩვენებს, რომ აგროსექტორს აქვს დიდი პოტენციალი, თუმცა საჭიროა ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, სარწყავი სისტემების გაუმჯობესება და ფერმერთა მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს მოსავლიანობა და პროდუქტის ხარისხი.

სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე აჩვენებს აგრარული პოლიტიკის მნიშვნელობას ეკონომიკის მდგრადობაში, აგროსექტორის განვითარებაში და გლობალურ კონკურენციაში ქვეყნის პოზიციების განსაზღვრაში (USDA, 2023; FAO, 2023; Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023; Luoni, 2011).

აგროსექტორის მდგრადი განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ მიწის რესურსების ეფექტიან გამოყენებას, არამედ სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციასაც. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას წარმოადგენს აგროტურიზმი, რომელიც ხელს უწყობს ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებას და დამატებითი შემოსავლების შექმნას სოფლის მოსახლეობისთვის.

ნიადაგის დეგრადაციის ეკონომიკური დანაკარგების შეფასება

ნიადაგის დეგრადაცია იწვევს მრავალმხრივ ეკონომიკურ დანაკარგებს, რომლებიც ვლინდება როგორც მიკროეკონომიკურ, ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. მისი გავლენა სცილდება მხოლოდ აგროპროდუქტიულობის შემცირებას და მოიცავს ფერმერთა შემოსავლების კლებას, წარმოების ხარჯების ზრდას, მიწის საბაზრო ღირებულების შემცირებას, ინვესტიციური რისკების ზრდასა და რეგიონული ეკონომიკური აქტივობის დაქვეითებას.

1. პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები

პირდაპირი დანაკარგები დაკავშირებულია მოსავლიანობის შემცირებასთან. დეგრადირებული ნიადაგის შემთხვევაში მცირდება ძირითადი კულტურების (მარცვლეული, ბოსტნეული, ტექნიკური კულტურები) საშუალო მოსავალი ჰექტარზე. საერთაშორისო შეფასებებით, ეროზიის მაღალი დონე საშუალოდ 20–50%-ით ამცირებს მოსავლიანობას, ხოლო მძიმე დეგრადაციის პირობებში დანაკარგი შეიძლება 70%-საც აღწევდეს.

მოსავლიანობის შემცირება ავტომატურად იწვევს ფერმერული შემოსავლის შემცირებას. მაგალითად, თუ საშუალო მოსავალი 1 ჰექტარზე 4 ტონაა და ბაზრის ფასი 600 ლარია ტონაზე, 30%-იანი კლება ფერმერს თითო ჰექტარზე დაახლოებით 720 ლარის შემოსავალს აკარგვინებს. მასშტაბურად, ეს უკვე რეგიონული და ეროვნული ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან ზარალს ნიშნავს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

2. არაპირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები

არაპირდაპირი დანაკარგები მოიცავს:

- სასუქებისა და აგროქიმიკატების გაზრდილ ხარჯებს;
- სარწყავი წყლის მოხმარების ზრდას;
- დამატებით მექანიზაციასა და ენერგო დანახარჯებს;
- მიწის ღირებულების შემცირებას;
- აგროსექტორში საინვესტიციო აქტივობის კლებას.

დეგრადირებული მიწა ნაკლებად მიმზიდველია ინვესტორებისთვის, რადგან წარმოების რისკი მაღალია და უკუგების პერიოდი იზრდება. შედეგად, რეგიონებში ფერხდება კაპიტალის მობილიზაცია და ეკონომიკური ზრდის ტემპი მცირდება.

3. მაკროეკონომიკური გავლენა

ნიადაგის დეგრადაცია გავლენას ახდენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე და სავაჭრო ბალანსზე. მოსავლიანობის შემცირება ზრდის იმპორტზე დამოკიდებულებას, რაც უარყოფითად აისახება საგარეო სავაჭრო ბალანსზე. აგრარული სექტორი, რომელიც ბევრ განვითარებად ქვეყანაში მნიშვნელოვან წილს იკავებს მშპ-ში, დეგრადაციის პირობებში ვეღარ ასრულებს სრულფასოვნად ეკონომიკური სტიმულატორის ფუნქციას.

გლობალური შეფასებებით, ნიადაგის დეგრადაციით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად ასობით მილიარდ დოლარს აღწევს. ეს ზარალი მოიცავს როგორც უშუალო პროდუქტიულობის კლებას, ასევე ეკოსისტემური სერვისების დაკარგვას (წყლის რეგულაცია, ნახშირბადის შეკავება, ბიომრავალფეროვნება).

4. შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომები

ნიადაგის დეგრადაციის ეკონომიკური დანაკარგების შეფასება შესაძლებელია რამდენიმე მეთოდით:

- **ხარჯ-სარგებლის ანალიზი (Cost-Benefit Analysis)** – ადგენს, რამდენად აღემატება დეგრადაციით გამოწვეული ზარალი აღდგენის ღონისძიებების ხარჯებს;
- **პროდუქტიულობის ცვლილების მეთოდი** – აფასებს მოსავლიანობის შემცირებით გამოწვეულ ფინანსურ დანაკარგებს;
- **ალტერნატიული ღირებულების მეთოდი** – ადგენს მიწის გამოყენების პოტენციურ სარგებელს, რომელიც დეგრადაციის გამო იკარგება;
- **დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი** – განსაზღვრავს გრძელვადიან ეკონომიკურ ზარალს დროის ფაქტორის გათვალისწინებით.

5. რეგიონული პერსპექტივა

რეგიონებში, სადაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ძირითადი შემოსავლის წყაროს, ნიადაგის დეგრადაცია ზრდის სიღარიბის რისკს და აძლიერებს სოციალურ უთანასწორობას. განსაკუთრებით დაუცველია მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები, რომელთაც არ აქვთ საკმარისი რესურსი ნიადაგის აღდგენითი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ამრიგად, ნიადაგის დეგრადაციის ეკონომიკური დანაკარგების შეფასება აუცილებელია არა მხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისთვისაც. ზუსტი რაოდენობრივი შეფასება ქმნის საფუძველს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების, საინვესტიციო სტიმულებისა და მდგრადი მიწათსარგებლობის სტრატეგიების შემუშავებისთვის.

ნიადაგის აღდგენის ღონისძიებები და მათი ხარჯთეფექტიანობა

ნიადაგის დეგრადაციის დასაძლევად და მისი პროდუქტიულობის აღსადგენად სხვადასხვა ღონისძიებები გამოიყენება, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების აღდგენას, ასევე ეკოლოგიურად მდგრადი მიწათსარგებლობის შექმნას. აღდგენის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

1. **კონსერვაციული მიწათმოქმედება (Conservation Agriculture)** – მოიცავს ნიადაგის არასრულ დამუშავებას, მცენარეთა მუდმივი საფარის შენარჩუნებას და მარცვლეულის ბრუნვით კულივაციას. კვლევებით დადგინდა, რომ ასეთი მეთოდები იძლევა ნიადაგის ეროზიის შემცირებას 40–60 %-ით და მოსავლიანობის ზრდას 10–25 %-ით, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს ქმნის ფერმერისთვის. ([FAO, 2023])
2. **ორგანული სასუქების გამოყენება** – აუმჯობესებს ნიადაგის ორგანულ ნივთიერებათა შემცველობას და წყლის შეკავების უნარს. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ორგანული სასუქის გამოყენება საშუალოდ ზრდის მოსავლიანობას 15–20 %-ით, ხოლო ნიადაგის ორგანული ნივთიერებების შემცველობას 25–30 %-ით.
3. **ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები (Erosion Control Measures)** – მოიცავს ტერასირებას, მცენარეთა ზოლების გაშენებას და წყლის წვეთოვანი სისტემების გამოყენებას. საერთაშორისო მონაცემებით, ტერასირების შედეგად მოსავლიანობა საშუალოდ 20–35 %-ით იზრდება, ხოლო ნიადაგის ღერძული ეროზიის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება.
4. **სარწყავი სისტემების გაუმჯობესება და ეფექტური წყლის მენეჯმენტი** – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამლაშებული და ნახევრადმშრალი რეგიონებისათვის, სადაც არაეფექტური

სარწყავი წყალი იწვევს ნიადაგის ქიმიურ დეგრადაციას. სწორი სარწყავი სისტემები საშუალოდ 25–30 %-ით ზრდის მოსავლიანობას და ამცირებს წყლის ხარჯებს.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი

ნიადაგის აღდგენის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა შეფასებულია როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. პირველი ეტაპი მოიცავს საწყის ინვესტიციას (სასოფლო ტექნიკა, სასუქები, სარწყავი სისტემა), ხოლო გრძელვადიანი სარგებელი მოდის მოსავლიანობის გაზრდით, წარმოების ხარჯების შემცირებით და ფერმერთა შემოსავლის ზრდით.

მაგალითად, საქართველოში სუბრეგიონულ დონეზე ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ 1 ჰექტარზე 1000–1500 ლარის ინვესტიცია ნიადაგის აღდგენაში იძლევა მოსავლიანობის საშუალოდ 20–25 %-იან ზრდას, რაც უკანასკნელ 3–5 წელიწადში მთლიანად ფარავს საწყის ხარჯებს და დამატებით შემოსავალსაც ქმნის.

ხარჯთეფექტიანობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს:

- **ხარჯ-სარგებლის ანალიზით (Cost-Benefit Analysis)**, სადაც განისაზღვრება, რამდენად უფრო დიდი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს მოსავლიანობის ზრდამ აღდგენის ღონისძიებებიდან, ვიდრე ინვესტიციების ხარჯებმა;
- **დისკონტირებული ფულადი ნაკადებით (Discounted Cash Flow, DCF)**, რათა გათვალსიწინდეს გრძელვადიანი სარგებელი და ფერმერული შემოსავლების ცვლილება;
- **პროდუქტიულობის მოდელებით**, სადაც მოსავლიანობის ზრდა პირდაპირ თარგმნება ფულად, მოცემულ ადგილობრივ ბაზრის ფასებზე დაყრდნობით.

გლობალური პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეფექტიანი აღდგენა (ტერასირება, ორგანული სასუქი, ინოვაციური სარწყავი სისტემები) ხანგრძლივად იძლევა რიცხობრივად უმეტეს სარგებელს ინვესტიციაზე: ყოველ 1 დოლარზე დახარჯულს ეკონომიკური სარგებელი 2–4 დოლარის ფარგლებში გამოიმუშავებს.

დასკვნა

ნიადაგი წარმოადგენს აგრარული წარმოების და სოფლის ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს, რომლის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება მოსავლიანობას, ფერმერთა შემოსავლებს, რეგიონულ ეკონომიკური სტაბილურობასა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას. ნიადაგის დეგრადაცია, რომელიც გამოიხატება ეროზიით, დამლაშებით, ორგანული ნივთიერებების შემცირებით, ნიადაგის სტრუქტურის დარღვევითა და სხვა ცვლილებებით, წარმოადგენს გლობალურ და ეროვნული მასშტაბის გამოწვევას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნიადაგის დეგრადაცია ვლინდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ეკონომიკური დანაკარგებით. პირდაპირი დანაკარგები დაკავშირებულია მოსავლიანობის შემცირებასთან და ფერმერული შემოსავლის დაქვეითებასთან, ხოლო არაპირდაპირი დანაკარგები მოიცავს წარმოების ხარჯების ზრდას, მიწის საბაზრო ღირებულების დაქვეითებას, ინვესტიციების რისკის ზრდას და რეგიონული ეკონომიკური აქტივობის შემცირებას. გლობალური და ეროვნული მონაცემები ადასტურებს, რომ დეგრადირებული მიწების სიმცირე უკვე სერიოზულ გავლენას ახდენს აგროსექტორზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში.

ნიადაგის აღდგენის ღონისძიებები, როგორიცაა კონსერვაციული მიწათმოქმედება, ორგანული სასუქების გამოყენება, ეროზიის კონტროლი, სარწყავი სისტემების გაუმჯობესება და კულტურათა როტაცია, გამოირჩევა მაღალი ხარჯთეფექტიანობით. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ თითოეული ჰექტარის აღდგენა, მიუხედავად საწყისი ხარჯებისა, უზრუნველყოფს ეკონომიკურ სარგებელს და ქმნის საფუძველს მდგრადი მიწათსარგებლობისა და რეგიონული განვითარებისათვის.

დასკვნიდან გამომდინარე, შესაძლებელია ძირითადი რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

1. სახელმწიფო პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს რეგიონის სპეციფიკას, ნიადაგის ხარისხის შეფასებას და მიზნობრივ ინვესტიციებს აღდგენის ღონისძიებებში.
2. აუცილებელია ფერმერთა სტიმულირება ინოვაციური და ეკოლოგიურად მდგრადი ტექნოლოგიების დანერგვისთვის.
3. სტატისტიკური მონაცემების რეგულარული შეგროვება და ანალიზი უზრუნველყოფს ნიადაგის მდგომარეობის მონიტორინგს, აღდგენის ეფექტიანობის შეფასებას და პოლიტიკის ოპტიმიზაციას.

მთლიანობაში, ნიადაგის მდგრადი მართვა და აღდგენის ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება არა მხოლოდ აუმჯობესებს აგროსექტორის პროდუქტიულობას, არამედ მნიშვნელოვნად ავითარებს რეგიონულ ეკონომიკას, ზრდის ფერმერთა შემოსავალს, ამცირებს რეგიონებს შორის უთანასწორობას და უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

თარიღი, რომელიც პიროვნულ საზღვრებს სცდება და ეროვნულ მნიშვნელობას იძენს

აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა 90 წლისაა

ჟურნალი „The New Economist“ (ახალი ეკონომისტი) გულითადად და განსაკუთრებული პატივისცემით ულოცავს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას დაბადებიდან 90 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლის იუბილეს — თარიღს, რომელიც არა მხოლოდ პიროვნულ, არამედ ეროვნულ მნიშვნელობას ატარებს.

ბატონი ნოდარის ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს იშვიათ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა ღირსეულად განვლოს ისტორიის ორი სრულიად განსხვავებული ეპოქა — საბჭოთა და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდი — და ორივეგან შეინარჩუნოს პიროვნული მთლიანობა, სახელმწიფოებრივი აზროვნება და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისთვისაც თანამდებობა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი, არამედ მუდამ იყო ქვეყნის სამსახურის საშუალება.

„სახელმწიფო იქ იწყება, სადაც პირადი ინტერესები ეროვნული პასუხისმგებლობით იცვლება.“
ნოდარ ჭითანავა

მისი მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს უახლესი ისტორიის გარდამტეხ ეტაპებს. როგორც მაღალი რანგის ხელმძღვანელი, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვაში, აგრარული სექტორის გაძლიერებაში, დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმირებაში და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი მონაწილეობა იმ პროცესებში, რომლებმაც გზა გაუხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას — ეპოქალურ მოვლენას, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი განვითარების ვექტორი.

აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას მოღვაწეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი საქმიანობით. ბოლო ათწლეულებში მან თავი მთლიანად მიუძღვნა მეცნიერებას და ჩამოყალიბდა, როგორც გამორჩეული ეკონომისტი-მკვლევარი. მისი ნაშრომები გამოირჩევა სიღრმით, სისტემურობითა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ანალიზით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის განვითარების კომპლექსურ ხედვას და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

მისი მეცნიერული კონცეფცია — „ეკონომიკური პატრიოტიზმი“ — დღესაც მნიშვნელოვან ინტელექტუალურ საყრდენს ქმნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გააზრებისათვის. ამ მიდგომის მიხედვით, ეკონომიკა არ არის მხოლოდ ბაზრის მექანიზმების ერთობლიობა, იგი არის სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის სფერო, სადაც მთავარი მიზანი საზოგადოების კეთილდღეობა და ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაა.

ბატონი ნოდარის პიროვნება განსაკუთრებულად გამოირჩევა იმითაც, რომ მან წარმატებით გააერთიანა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, აკადემიური პატიოსნება და სახელმწიფოებრივი ხედვა. იგი სამართლიანად აღიქმება როგორც „ცოცხალი არქივი“ და ერთგვარი ხიდი წარსულსა და მომავალს შორის — ადამიანი, რომლის გამოცდილება და ცოდნა ფასდაუდებელია თანამედროვე საქართველოსთვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი როლი ეროვნული თვითმყოფადობის, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობისა და საზოგადოებრივი კონსოლიდაციის პროცესებში. მის მიერ მხარდაჭერილმა და განხორციელებულმა გადაწყვეტილებებმა შექმნა საფუძველი იმ სტაბილურობისთვის, რომელიც აუცილებელი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების საწყის ეტაპზე.

ბატონ ნოდარ ჭითანავას აზროვნებას ახასიათებს ყოვლისმომცველი, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული და კომპლექსური ხედვა, რომელიც არსებითად ემსახურება საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზაციის ინტელექტუალურ გზამკვლევობას. მისი მსჯელობა და დასკვნები არა მხოლოდ თეორიულად არგუმენტირებულია, არამედ პრაქტიკულადაც მნიშვნელოვან ორიენტირებს სთავაზობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს.

მისი ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალის სრულფასოვანი ათვისება მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ეკონომიკური გამოწვევების ეფექტიანი გადაჭრისათვის. ბატონი ნოდარი გამოირჩევა ახალგაზრდული ენერგიითა და ნოვატორული აზროვნებით, რაც ორგანულად ერწყმის მის მრავალწლოვან პრაქტიკულ გამოცდილებასა და ღრმა თეორიულ ცოდნას. აღნიშნული სინთეზი მას შესაძლებლობას აძლევს მაღალი სიზუსტითა და ოპერატიულობით გააანალიზოს ეკონომიკური პროცესები, განსაზღვროს მათი განვითარების ტრაექტორია და დაასაბუთოს მოსალოდნელი შედეგები.

ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, იგი წარმატებით აყალიბებს ალტერნატიულ კონცეპტუალურ მიდგომებსა და განვითარების სტრატეგიულ „საგზაო რუკებს“, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის გამორჩეულ როლს თანამედროვე ეკონომიკური აზრისა და სახელმწიფოებრივი დაგეგმვის სფეროში.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ჟურნალი „The New Economist“ (ახალი ეკონომისტი) კიდევ ერთხელ გამოხატავს ღრმა პატივისცემას აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას მიმართ. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა არის მაგალითი მომავალი თაობებისთვის — მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს ერთგულება სამშობლოსადმი, პროფესიული ღირსება და შეუვალი პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედის წინაშე.

ვუსურვებთ ბატონ ნოდარს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და კიდევ მრავალ წელს ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

იოსებ არჩვაძე - 70

ცნობილი ეკონომისტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ეკონომიკის ექსპერტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, პუბლიცისტი იოსებ (სოსო) არჩვაძე 70 წლის გახდა.

ბატონი იოსებ არჩვაძე დაიბადა **1956 წლის 16 თებერვალს** თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

თავისი შრომითი საქმიანობა მან დაიწყო საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურში, სადაც გაიარა საფეხურები უფროსი ეკონომისტიდან თავმჯდომარის პირველ მოადგილემდე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით პირველად განხორციელდა საქართველოს ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება ჯერ კიდევ დამოუკიდებლობამდელ საქართველოში (1990 წ.). აღნიშნულმა ინფორმაციამ მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრასა და სამოქმედო განზრახულობაში, რაც შემდგომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ მოძრაობის ეკონომიკურ პროგრამაში აისახა. უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, სტატსამსახურის თავმჯდომარის მოადგილისა და პირველი მოადგილის რანგში, უშუალო ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით მოხერხდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და მეთოდოლოგიაზე სტატისტიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების გადაყვანა, როგორებიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, შრომის, შინამეურნეობათა და დემოგრაფიული სტატისტიკა. იგი უშუალოდ კურირებდა დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის პირველ საყოველთაო აღწერას (2002 წ.).

იოსებ არჩვაძე დღემდე ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. მის კალამს ეკუთვნის არაერთი მონოგრაფია, სახელმძღვანელო თუ სამეცნიერო სტატია საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეზე, საქართველოს ეკონომიკაზე, მის პოტენციალზე, განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებზე. მისი უშუალო ინიციატივით მომზადდა და საქართველოში პირველად გამოიცა სახელმძღვანელო „ეკონომიკის ფსიქოლოგია (2 გამოცემა - 2010 წ., 2022 წ.). იგი თანაავტორია ენციკლოპედიური დატვირთვის მონოგრაფიისა „საქართველოს ინტეგრალური რესურსები“ (2023 წ., 2025 წ.).

მისი ავტორობითა და თანაავტორობით მომზადებული სამეცნიერო შრომები, საქართველოს გარდა, გამოცემულია გერმანიაში, უკრაინაში, სომხეთში, რუსეთში.

დიდია იოსებ არჩვაძის პუბლიცისტური სტატიებისა და ინტერვიუების როლი საქართველოს ეკონომიკისა და ზოგადად ქვეყანაში პრობლემებისადმი საზოგადოებრივი ყურადღების კონცენტრირებაში. ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარება, მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის დაბერება, აგრარულ სექტორში არსებული ვითარება, საქართველოს მთიანეთის პრობლემები და

ა.შ. გამოირჩევიან მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და პუბლიცისტური ჟღერადობით. ამ მხრივ მხოლოდ მისი პუბლიცისტური კრებულების სახელწოდებებიც იკმარებდა: „ეკონომიკა და დრო“ (2000 წ.), „რა ფერისაა მილიარდი?“ (2004 წ.), „როგორ ხალხს იმსახურებს ხელისუფლება?“ (2014 წ.), „პოლიტეკონომიკური საუბრები“ (2017 წ.), „Facebook-ს ებარებოდეთ!“ (2024 წ.) და სხვ...

იოსებ არჩვაძე სოხუმელია, მის პუბლიცისტიკას წითელ ზოლად გასდევს აფხაზური თემატიკა - არაერთი პუბლიცისტური რეზონანსული სტატია, კრებული „თუ დაგივიწყო, აფხაზეთო!“ და კონფლიქტის მოგვარების კონცეპტუალური ხედვა. იუბილარი წლების გამავლობაში აქტიურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან. ამჟამად არის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი დისერტაცია.

იოსებ არჩვაძე წლებია, აქტიურად თანამშრომლობს „ქართულ ენციკლოპედიასთან“. მისი ავტორობით აღნიშნული ენციკლოპედიისათვის მომზადდა 10-ზე მეტი სტატია.

იგი დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის შემფასებლად ეკონომიკის დარგში.

ბატონი იოსები ხშირად იძლევა საინტერესო, საჭირო და კვალიფიციურ ინტერვიუებს ტელევიზიებსა და ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ეკონომიკის ექსპერტი, სადაც აკეთებს საყურადღებო დასკვნებსა და პროგნოზებს. ახლახან საჩუქრად მივიღე მისგან ახალი მხატვრული წიგნი „**სიტყვით გადარჩენილი დრო**“: ლექსები, მაჯამები, სცენარი, პროზა. თბილისი, „მწიგნობარი“, 2026. რომელიც ძალიან საინტერესოდ იკითხება.

ჟურნალ „The New Economist“ (ახალი ეკონომისტის) სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ იოსებს დაბადებიდან 70 წლის იუბილეს და ვუსრვებთ კვლავაც წარმატებით ეღვაწოს სამეცნიერო-პედაგოგიურ და პუბლიცისტურ სფეროში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

„ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“



გამოვიდა ახალი წიგნი „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების თანამედროვე გამოცდილება“!. ის წარმოადგენს მეორე ნაწილს ფართომასშაბიანი კვლევისა „**ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები**“. წიგნის ავტორები არიან: ეკონომიკის დოქტორი **ნოდარ გრძელიშვილი** და ქიმიის დოქტორი **ლაურა კვარაცხელია.** ნაშრომის მეორე ნაწილი აერთიანებს ტურიზმისა და რეკრეაციის სფეროში დაგროვილ მსოფლიო და რეგიონულ გამოცდილებას, თანამედროვე რაოდენობრივ-ხარისხობრივ მეთოდოლოგიას და სივრცითი დაგეგმარების თეორიულ და პრაქტიკულ მოთხოვნებს. ნაშრომი გამოირჩევა აკადემიური სტრუქტურით, მაღალი სანდოობითა და კომპლექსურობით, რაც მას აქცევს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმძღვანელო წყაროდ როგორც მეცნიერებისთვის, ასევე პრაქტიკის სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისთვის.

ავტორები საფუძვლიანად აანალიზებენ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების თეორიულ საფუძვლებს, ისტორიულ-გეოგრაფიულ ტრადიციებს და თანამედროვე ინტერპრეტაციებს. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული შეფასება მხოლოდ სტატიკური აღრიცხვა არ არის; იგი წარმოადგენს სივრცითი განვითარებისა და ტურიზმის მართვის სისტემას, რომელიც გავლენას ახდენს ტერიტორიულ მოწყობაზე, ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე, ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე. ნაშრომის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ ავტორები რესურსებს განიხილავენ როგორც ბუნებრივ, ასევე კულტურულ-სოციალურ კატეგორიად, რომელთა შეფასება საჭიროებს ინტერდისციპლინარულ მიდგომებს – ეკონომიკას, გეოგრაფიას, ტურიზმოლოგიას, გარემოს დაცვასა და რეგიონულ დაგეგმარებას.

წიგნში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო გამოცდილებას. განსაკუთრებით საინტერესოა ჩინეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითების შედარებითი ანალიზი, სადაც ავტორები ასახავენ რეკრეაციული პოტენციალის შეფასების ეფექტიან ინსტრუმენტებს. მათ შორის: ქულობრივ და ინდექსურ სკალებს, ექსპერტულ სისტემებს, სივრცით-ფუნქციურ კლასიფიკაციებს, და GIS–ტექნოლოგიების გამოყენებას.

ნაშრომის კიდევ ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს თანამედროვე ინდექსური მოდელების ანალიზი – STRI, რომელიც ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას იძლევა მრავალფაქტორული შედარების საფუძველზე. საინტერესოა, რომ ავტორები კვლევებზე დაყრდნობით აანალიზებენ ტურიზმის გავლენას სივრცის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებაზე, ასევე უსაფრთხოების პოლიტიკის შედარებით მოდელებს.

ნაშრომი გამოირჩევა მკაფიო ლოგიკური სტრუქტურით, მეცნიერული ენის გამართული სტილით და ზუსტად შერჩეული წყაროების გამოყენებით. აშკარად ჩანს კვლევის მაღალი დისციპლინა, დოკუმენტური სიზუსტე და თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციების ცოდნა.

ამრიგად, წიგნი „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების თანამედროვე გამოცდილება“ წარმოადგენს მაღალი ხარისხის, ინოვაციურ და ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც არსებითად ამაღლებს ტურიზმისა და რეკრეაციის კვლევის დონეს საქართველოში და ღირსეულად ჯდება საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებში. იგი წარმოადგენს როგორც უნივერსიტეტებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოს, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების პრაქტიკულ ინსტრუმენტს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

„სიტყვით გადარჩენილი დრო“

წიგნი **„სიტყვით გადარჩენილი დრო“,** რომლის ავტორია ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი **იოსებ არჩვაძე,** წარმოადგენს კრებულს, სადაც შესულია სხვადასხვა დროს ავტორის მიერ დაწერილი ლექსები, მაჯამები, ესეები, პროზაული ფორმის ნაწარმოებები, მოგონებები, რომლებშიც ასახულია ავტორის ემოციური და მოქალაქეობრივი დამოკიდებულება სხვადასხვა ცხოვრებისეული ასპექტებისა და პიროვნებებისადმი. აქვე გთავაზობთ ავტორის წინასიტყვაობას, რაც უფრო ზუსტად ასახავს წიგნის შინაარსს.

ავტორის წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული აერთიანებს ჟანრობრივად და შინაარსობრივად განსხვავებულ ტექსტებს - ლექსებსა და მაჯამებს, მოთხრობებსა და ესეებს, რომლებიც არ შექმნილა მოკლე დროით მონაკვეთში. ისინი იწერებოდა სხვადასხვა დროსა და პირობებში - რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, როგორც ფურცელზე გადატანილი ავტორისეული ხედვები, ემოციები და შეფასებები. ამ ტექსტებში აისახა როგორც პირადი განცდები, ისე საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემები, მათდამი ავტორისეული პიროვნული და მოქალაქეობრივი დამოკიდებულებით. სათქმელის უფრო ღრმად და მრავალშრიანად გადმოსაცემად მხატვრულთან ერთად გზადადგზა გამოიყენებოდა მეტაფორული და ალეგორიული ენაც.

„რამდენიმე ათეული წელი“ - არ არის მხოლოდ დროის, ადამიანის სიცოცხლისა და საქმიანობის ხანგრძლივობის საზომი, ის ეპოქის მეტაფორაცაა - ეპოქისა, რომელმაც თითოეული ჩვენგანი მრავალი ქარტეხილის წინაშე დააყენა და საზოგადოებრივი ყოფისა და ღირებულებათა სისტემის ტექტონიკური ძვრები და ცვლილებები მოიტანა. როგორც სახარებაშია ნათქვამი: *„ვიწროა კარი და საჭირველია გზა, რომელიც სიცოცხლეში მიჰყავს კაცს“* (მათე 7:14). სწორედ ასეთ ისტორიულ და სულიერ კონტექსტში რწმენა, ემპათია, სიყვარული და ჰუმანიზმი რჩებოდა და რჩება ადამიანის გადამრჩენ და დამაკავშირებელ ძალად.

კრებულის მიზანი, რომლის შემადგენელი ტექსტების უდიდესი ნაწილი პირველად ქვეყნდება, მარტივიც არის და ერთგვარად, ამბიციურიც: გააცნოს მკითხველს ავტორისეული ხედვები და, შესაძლებლობის ფარგლებში, აქციოს იგი ამ ხედვებისა და ემოციური დამოკიდებულების თანამონაწილედ - თანამგრძნობად და თანამოაზრედ.

კრებულში შესულია სამი ესსე დიდ ქართველ მსახიობზე - სერგო ზაქარიაძეზე. ერთ-ერთი მათგანის შინაარსი უკვე სათაურშივე იშიფრება („ნოსტალგია დიდი მსახიობის უთამაშებელ როლებზე“); მეორე ეძღვნება მისი მოგონებების სამტომეულს, ხოლო მესამე წარმოგვიდგენს ამ კრებულის ავტორის თვალით დანახულს ზაქარიაძეს - არა მხოლოდ როგორც გამორჩეულ ხელოვანს, არამედ როგორც დიდ მოქალაქეს, ღრმა სამწერლო ნიჭისა და მნიშვნელოვანი მწერლური პოტენციალის მქონე პიროვნებას.

სტატიაში ანეკდოტის არსის შესახებ („ანეკდოტმა რა ჰქმნა?!“) იუმორის მაღალი კონცენტრაციის მქონე ამ ჟანრის რამდენიმე ნიმუშის ანალიზის საფუძველზე, ირონიის, პარადოქსის, ალუზიისა და ექსპლიკაციის საშუალებით, ასევე კულტურულ-ისტორიული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით, გამოკვეთილია ანეკდოტის იდეა, მისი ალეგორიული ფუნქცია და განსხვავება ანდაზასა და აფორიზმთან შედარებით.

მთლიანობაში, კრებულის შემადგენელი ტექსტები - ფორმისა და ჟანრული არაერთგვაროვნობის, აზრისა და ემოციის მრავალხმიანობის მიუხედავად - ვფიქრობ, ამჟღავნებენ მყარ შინაგან ერთობასა და ურთიერთკავშირს. სწორედ ამიტომ გამოვთქვამ იმედს, რომ მკითხველი ამ წიგნში აღმოაჩენს საკუთარი განცდისა თუ ფიქრის ანარეკლს და იპოვის სივრცეს დიალოგისათვის - დროის, სამყაროსა და საკუთარი თავის წინაშე.

იოსებ არჩვაძე
2026 წლის 16 თებერვალი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკლესიის აღდგენა



აი, ეს გახლავთ „ლექარჩეს მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია“, რომელიც შენდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკიანში, **ლექარჩეში.**

მისი ძირითადი პარამეტრებია: სიგანე - 8 მეტრი, სიგრძე - 13,5 მეტრი, სიმაღლე - 9,05 მეტრი.

აღნიშნული ეკლესია შენდება იმავე ადგილას და იმავე პარამეტრებით, სადაც ჩვენს წინაპრებს 1833 წელს აუშენებიათ ხის, ხოლო 1902 წელს - ქვის ეკლესია. (ეს ინფორმაცია აღებული გვაქვს საარქივო მასალებიდან. კერძოდ, ამავე ეკლესის საეკლესიო ჟურნალის 1909 წლის ჩანაწერის მიხედვით). თუმცა, 1933-34 წლებში ადგილობრივ კომუნისტებს დაუნგრევიათ. დღეს მიმდინარეობს ამ ეკლესიის აღდგენა საპატრიარქოს შესაბამისი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით.

ანგარიშის ნომერი, სადაც შემომწირველებს შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა:

საქართველოს ბანკი. ლარში: GE81BG0000000574048941; მიმღები: ააიპ „ლექარჩე",

გფარავდეთ უფალი!

სიყვარულით,

ლოიდ ქარჩავა

სურათი 04.04.2026 მდგომარეობით.

The New ECONOMIST ახალი ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 300-600 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- 100 GEL (Lari) or 35 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 30 GEL (Lari) or 15 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 300-600 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს - 100 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 30 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი E33LB0113168905809000, სს "ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-ით აუცილებელი არ არის.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge